

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
ღავით გურამიშვილის სახ. სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური  
სასწავლებელი

ვახტანგ გოილაძე

ასურველ მამათა სამშობლო  
და  
საქართველო

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია საეკლესიო მოღვაწეთა იმ ვეგუშმა, რომელნიც ჩვენს ისტორიაში ასურელ მამათა სახელით არიან ცნობილნი.

ნაშრომში იმის დასადასტურებლად, ასურელი მამები (და არა სირიელი) წარმოშობით ჩრდილოეთ შუამდინარელი ქართველები რომ იყვნენ და ქართლში წამოსვლამდე მათი მოღვაწეობის თავდაპირველი ადგილი ჩრდილო შუამდინარეთის მთავარი კულტურული ცენტრი ქედესა იყო, ნაჩვენებია, უძველესი დროიდან ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლების არეალს კაპადოკიასთან ერთად, ჩრდ. შუამდინარეთის ცალკეულ რაიონებშიც რომ მოიცავდა. ასურელ მამებად მიჩნეული სასულიერო მოღვაწეები წარმოშობით ძირითადად კარდუხთა ქვეყნიდან და კაპადოკიიდან (სამხრეთის იბერია) უნდა ყოფილიყვნენ. ამ კუთხებიდან და საქართველოდან ქ. ედესაში სასწავლებლად თუ საცხოვრებლად ჩასულებმა შექმნეს იქ ქართული კოლონია. ქ. ედესის ქართული კოლონიის წევრები იყვნენ ასურელი მამებიც.

აღნიშნულის გარდა, ნაშრომში საქართველოს ძველი ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა განხილული.

რედაქტორი:

ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი გრანი ქავთარია

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი გურამ მაისურაძე

ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ჯემალ შარაშენიძე

## შესავალი

ქართველი ხალხის ისტორიული, კულტურულ-იდეოლოგიური ტრადიციები მჭიდროდაა დაკავშირებული კაცობრიობის ცივილიზაციის ისეთ უძველეს კერასთან, როგორც იყო ჩრდილოეთი შუამდინარეთი (ჩრდ. მესოპოტამია). ამ მხარესთან საქართველოს კულტურულ-იდეოლოგიურ ურთიერთობას ამ ბოლო ხანებამდე ყურადღება არ ექცეოდა. ამ მხრივ, პირველი გამოკვლევა ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვაქვეყნე — ჩრდილოეთი შუამდინარეთი და მისი მთავარი ქალაქი ედესა ასურულ მამათა ქართლში მოსვლამდე, მათი თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი აღმოჩნდა. შემდგომი მუშაობისას გამოვლინდა ისეთი მასალა, რომელიც ასევე უშუალოდ ედესას უკავშირდებოდა. ჩემს წინაშე დაისვა საკითხი — რას ნიშნავდა ედესელი?

ასეთი კითხვის დასმა, ერთი შეხედვით უცნაურადაც კი ჟღერს. თავისთავად ცხადია, “ედესელი” ედესის მკვიდრს, ედესის მაცხოვრებელს ნიშნავს. ისევე როგორც თბილისელი — თბილისის მოქალაქეს. მით უმეტეს, ქართველი საისტორიო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი XII ს. პირველ ნახევარში ქ.ედესაში მოღვაწე სომეხი ისტორიკოსი მათეოს ედესელი (იგივე ურპაელი), რომელსაც თავის თხზულებაში მნიშვნელოვანი ცნობები აქვს დავით აღმაშენებლის ხანის საქართველოს შესახებ.

როცა მათეოსს-ედესელს ვუწოდებთ, ამაში გასაკვირი არაფერია. მაგრამ, როცა ედესელად იწოდება V ს. ორი ისეთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, როგორებიც არიან: ცნობილი ფილოსოფოსი, თეოლოგი პეტრე იბერი და საეკლესიო მოღვაწე იერემია იბერიელი, არ შეიძლება, არ გაგიჩნდეს სურვილი, ეძიო, თუ რამ გამოიწვია მათთვის ასეთი ზეწოდების დამკვიდრება. ქ. ედესისა და, საერთოდ, ჩრდ. შუამდინარეთისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდიდა ის, რომ პეტრე იბერის მიერ იერუსალიმში დაარსებული “იბერთა მონასტერი” წყაროში “უარპაელთა მონასტრად” იწოდება.

V ს-ში იერუსალიმის ქართული მონასტრის ასე მოხსენიება, ამჯერად, თითქოს, ამ მონასტრის მსახურთა ეთნიკურ კუთვნილებაზე

მიგვეითეთებს. ამიტომ, ჩემს წინაშე დაისვა საკითხი, რას უნდა განეპირობებინა უცხოენოვან წყაროში ასეთი ცნობების გაჩენა. ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში რა მასალა გვექონდა ჩრდ. შუამდინარეთზე. IV-VI საუკუნეების საქართველოში რა იცოდნენ ჩრდილოეთი შუამდინარეთის შესახებ, იყო რაიმე ურთიერთობა საქართველოსა და ჩრდილოეთ შუამდინარეთს შორის ჩვენთვის საინტერესო ხანაში?

\* \* \*

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ქართველები რომ პალესტინის წმინდა ადგილებით იყვნენ დაინტერესებულნი, ეს ცხადია, იერუსალიმი და მისი შემოგარენი იესო ქრისტეს მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მისი ქრისტიანული სიწმიდეები ყველა ქრისტიანისათვის წმიდა და სალოცავი იყო. ქრისტიანული ქვეყნები ცდილობდნენ, ბიბლიურ და ქრისტეს მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში საკუთარი სავანეები ჰქონოდათ. მაგრამ რა საფუძველი ელო ჩრდ. შუამდინარეთით ქართველთა დაინტერესებას?

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა მონოგრაფიაზე მუშაობა დავიწყე, სულაც არ მქონდა მიზნად, ძველადმოსავლურ ხანაში ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლების პრობლემებიც შეკვლია. იმხანად ვფიქრობდი, რომ ქართველთა ინტერესს ჩრდ. შუამდინარეთისადმი მისი ბიბლიური წარსული განაპირობებდა. ამიტომ გარკვეული სამუშაო ამ მხრივაც ჩავატარე.

# თავი I. ჩრდილოეთი შუამდინარეთი ქრისტიანთა წმინდა ადგილი.

## ბიბლიური სამოთხის ცენტრი

ძველმა ქართველებმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ, იესო ქრისტემ თავის თანადროულ მმართველთა შორის მხოლოდ ჩრდ. შუამდინარეთის ერთ-ერთი პატარა სახელმწიფოს — ოსროენის (დედაქალაქი ედესა) მეფე აბგარი რომ ცნო ღირსად, თავისი ხელთუქმნელი ხატი გაეგზავნა. ძველმა ქართველებმა ასევე კარგად იცოდნენ, ჩრდილოეთი შუამდინარეთი ქრისტეს წინაპართა სამშობლო რომ იყო და იგი ბიბლიური სამოთხის ცენტრს წარმოადგენდა.

ახლა ვნახოთ, რატომ იყო ჩრდ. შუამდინარეთი ქრისტეს წინაპართა სამშობლო და “ბიბლიური სამოთხე” რა ტერიტორიებს მოიცავდა.

ბიბლიური გადმოცემით, ენათა აღრევის შემდეგ, ღმერთმა გადაწყვიტა, მის მიერ შექმნილი ხალხებიდან ამოერჩია ერთი ერი, რომელსაც დააკისრებდა თავისი სახელის წმიდად და შეურყვნელად დაცვას. კაცი, რომელიც ახალი, ღვთის რჩეული მოღვმის მამამთავარი უნდა გამხდარიყო, შუამდინარეთში დაიბადა. იგი სემის შუათანა ვაჟის, არფაქშადის შთამომავალი იყო, სახელად აბრამი (ებრ. “მამა მალალი”) ერქვა. აბრამის მამას — თერახს აბრამის გარდა ჰყავდა ორი ვაჟი — ნახორი და ჰარანი. ჰარანი მამის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა და მას ერთი ვაჟი დარჩა, სახელად ლოტი. მამის გარდაცვალების შემდეგ ლოტი პაპისეული ოჯახის ანაბრა დარჩა. აბრამმა და ნახორმა კი ცოლებად შეირთეს: აბრამმა სარაი (ებრ. “ჩემი ქალბატონი”), ნახორმა მალქა (ებრ. “დედოფალი”).

ქალდეველთა ური<sup>1</sup>, სადაც თერახი და მისი სახლეული ცხოვრობდა, მთელს შუამდინარეთში განთქმული იყო თავისი კერპთმსახურებით. თერახისათვის ძნელი ასატანი იყო კერპთმსახურთა ყურება, ამიტომ აიყარა და აბრამთან, ლოტისთან, სარაისთან ერთად ჩრდ. შუამდინარეთის ქ. ხარანში დასახლდა (116:39. ქ. ხარანი. ედესის ახლოს — სამხრეთით მდებარეობს).

სწორედ ხარანში ამოიჩნია უფალმა აბრამი თავისი რჩეული ერის — ებრაელების მამამთავრად და უთხრა, რომ დაეტოვებინა ხარანი და ქანაანში გადასახლებულიყო. მართლაც, აბრამმა ცოლთან სარაისთან

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, ქ. ურის გათხრებისას აღმოჩნდა დიდი წყალდიდობის ნაშთები. ვარაუდობენ, რომ ამ წყალდიდობის ფაქტი უნდა დადებოდა საფუძვლად ბიბლიურ თხრობას წარღვნის შესახებ (189:60-62).

და ძმისწულთან – ლოტისთან ერთად დატოვა ხარანი და ქანაანში დაემკვიდრა. იქ მიიღო აბრამმა სახელი აბრაამი – ებრ. აბრაჰამ – “მამა მრავალთა”. ე.ი. აბრაამი მრავალი ხალხის მამა უნდა გამხდარიყო, ხოლო აბრაამის ცოლი-სარაი-გახდა სარა (ქალბატონი). ღვთის განგებით, სარამ შობა ვაჟი ისაკი (116:40-54; 167:30-40).

როცა ისაკმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა, აბრაამის სურვილის შესაბამისად, ცოლად შეირთო არა ქანაანელი ქალი (სადაც ცხოვრობდა), არამედ აბრაამის ღვიძლი ძმის ნახორის შვილიშვილი რებეკა აბრაამის სამშობლოდან – ქ.ხარანიდან. ამის შემდეგ ისაკისა და რებეკას ძემ.იაკობმაც ცოლად შეირთო თავისი ბიძაშვილი ქ.ხარანიდან. ღვთის გამოცხადებით იაკობს ეუწყა, რომ “მისი შთამომავლობა დაემკვიდრდებოდა ქანაანის ქვეყანას და ქეიშასავით გამრავლდებოდა”. უმთავრესი აღთქმა კი ის იყო, რომ იაკობის საზრდულიდან გამოვიდოდა მხსნელი კაცობრიობისა (116: 61,69).

როგორც ვხედავთ, ბიბლიური ტრადიციით, იესო ქრისტე იაკობის შთამომავალი იყო და მისთვის, ასევე მისი წინაპრებისათვის ჩრდილოეთი შუამდინარეთი, კერძოდ, ქ.ხარანი სამშობლო იყო. იესო ქრისტეს წინაპართა სამშობლო კი ქრისტიანთა თვალში, ცხადია, პატივისცემით მოპყრობის ობიექტი შეიქმნებოდა<sup>2</sup>.

ქართველთა ინტერესი ბიბლიური სამყაროსადმი მხოლოდ აღნიშნულით არ იყო განპირობებული.

ბიბლიური გადმოცემით ჩრდ. შუამდინარეთი და მისი მიმდებარე მხარეები “ედემის ბაღი” ანუ “სამოთხე” იყო.

ახლა ამ მხრივ გადავხედოთ ბიბლიის ცნობებს.

უფალმა მის მიერ შექმნილი პირველი ადამიანი (ადამი) დაამკვიდრა მისთვის საგანგებოდ გაშენებულ ბაღში (“ედემის ბაღში”). ეს საუცხოო წალკოტი-სამოთხე დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროს შუაგულში იყო გაშენებული.

სამოთხისა და მისი მდინარეების შესახებ ბიბლიის ძველქართულ თარგმანში კვითხულობთ: “ხოლო მდინარე გამოვალს ედემით მოსარწყავად სამოთხისა, მიერ განიყოფვის ოთხად თავად. სახელი ერთისა – ფისონ. ესე არს, რომელი გარემოვლის ყოველსა ქვეყანასა

---

<sup>2</sup> შუა საუკუნეების ქართულ, ისევე როგორც სხვა ქრისტიანი ხალხების საისტორიო მწერლობაში ბიბლიის სამშობლოსთან ქრისტიანული სამყაროს დაკავშირება იესო ქრისტეს დაკვირვების ჩამომავლად გამოცხადებით მოხდა. ქართული საზოგადოების ინტერესი ბიბლიური დაკვირვების მიმართ განპირობებული იყო წმინდა თეოლოგიური და შემეცნებითი ინტერესებითაც. კერძოდ: დაკვირვებით – მამა იესო ქრისტესი, დაკვირვებით – იდეალური მეფე, დაკვირვებით – ბაგრატიონთა წინაპარი (80: 12-13).

ევლათისასა, მუნ, სადა-იგი არს ოქროი. ხოლო ოქროი მის ქვეყნისაი კეთილ, მუნ არს ანთრაკი და ქვაი იგი კაპოეტი და სახელი მდინარისა მეორისა – გეონ. ესე გარემოელის ყოველსა ქვეყანასა ეთიოპიისასა. და მდინარე მესამე – ტიგროსი. ესე ვალს წინაშე ასურეთსა, ხოლო მდინარე მეოთხე ეფრათი” (103:50).

როგორც ბიბლიის კომენტატორები განმარტავენ, ზემომოტანილი მითითებით, ავტორს სურდა მორწმუნეთათვის ზუსტი ცნობები მიეწოდებინა დედამიწაზე სამოთხის ადგილმდებარეობის შესახებ. მაგრამ, ზოგ კომენტატორს სამოთხის მდინარეთა შესახებ ბიბლიური ცნობები მეტად არეულად ეჩვენება (118:32-33), ამიტომ მათ გარჩევას აქ არ შეეუდგები და ძველი ებრაელი ისტორიკოსის, ქრისტეს უმცროსი თანამედროვის, იოსებ ფლავიუსის თხზულებაში “იუდეველთა სიძველეებში” ჩავიხედოთ.

ბიბლიურ სამოთხეს იოსებ ფლავიუსი ასე აღწერს: “ეს ბალი ირწყვის ერთი მდინარით, რომელიც მთელი დედამიწის ირგვლივ მიედინება. იგი ოთხ ტოტად იყოფა: ფისონი (ეს სიტყვა ნიშნავს “სიმრავლეს”) მიემართება ინდოეთისაკენ და ერთვის ზღვას. მას ელინები განგესს უწოდებენ. ეფრათი და ტიგროსი მეწამული ზღვისაკენ მიედინებიან. ეფრათს ეწოდება ფორასი (რაც ნიშნავს ან “მიმოფანტულს”, ან “ყვავილს”), ხოლო ტიგროსს – დიგლათა... რაც ნიშნავს “მახვილს”. გეონი ეგვიპტეზე მიედინება... და მას ელინები ნილოსს უწოდებენ” (124:43).

ზემომოტანილი ტექსტის გაანალიზებისას პროფ. თ.ყაუხჩიშვილმა აღნიშნა: იოსები სიტყვასიტყვით არ იმეორებს ბიბლიას (“შესაქმეთა”). იგი ავსებს, განავრცობს ბიბლიის ცნობებს. მისი აზრით, ბიბლიის ოქროთი და ძვირფასი თვლებით მდიდარი ქვეყანა Ilawilah იგივე ინდოეთია. ასევე – მისი შემოტანილია მეცნიერებაში ის, რომ ფისონ განგესია (124:43).

ვფიქრობ, “შესაქმეთა” ავტორის მონაცემები სამოთხის მდინარეების შესახებ რომ არ კონკრეტდება შემთხვევითი არაა. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იოსებ ფლავიუსმა ბიბლიური სამოთხის მდინარე ფისონი, რომ განგესად მიიჩნია, იმას ნიშნავს, იოსებ ფლავიუსის დროისათვის ბიბლიური სამოთხე ჯერ კიდევ არ იყო გაიგივებული იესო ქრისტეს წინაპართა სამშობლოსთან. სამოთხის ოთხი მდინარის აუზი ძველადმოსავლური ცივილიზაციის ფარგლებს მოიცავდა – ინდოეთიდან ეგვიპტის ჩათვლით. მაგრამ, ძველადმოსავლური ცივილიზაციის არეალში ხომ სამხრეთი ამიერ-კავკასიასაც შედიოდა?

მეცნიერთა ნაწილს სამოთხის მდინარე ფისონად არაქსი (ძველ წყაროებში იგი ფასისად იხსენიება) მიაჩნდა (118:32-33), ხოლო ზოგს (ბრუკში, კურცი, ბუნზენი) ბიბლიის ფისონი გაიგივებული აქვთ კოლხეთის მდინარე ფასისთან. ჩემი აზრით, – წერს თ.ყაუხჩიშვილი, – ბიბლიის ცნობით, ფისონი რადგან ოქროთი მდიდარი ქვეყნიდან მოედინება (მდრ. სტრაბონის ცნობა სვანეთის ოქროს შესახებ და საერთოდ ცნობები ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში ჩვენი წინაპრების მეტალურგიის შესახებ), შეიძლება ამ მდინარედ და ქვეყნად ფასისი და კოლხეთიც მივიღოთ (124:44).

თ.ყაუხჩიშვილის დასკვნით, ძველმა ბერძნულმა მწერლობამ თავისი დასაბამიდანვე იცის მდ. ფასისის არსებობა, იცის ის, რომ იგი მნიშვნელოვანი მდინარეა და ბევრ შემთხვევაში მსოფლიოში განთქმულ მდინარეთა შორისაც ასახელებს მას. ზოგმა უცხოელმა მკვლევარმა, ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ ანტიკური მწერლობა მსოფლიოს მნიშვნელოვან მდინარეთა შორის ფასისსაც ასახელებს ხოლმე<sup>3</sup>, შესაძლებლად მიიჩნია ის, რომ სწორედ “ფასისი” ეგულისხმა, ნილოსის, ეფრატისა და ტიგროსის გვერდით. მითუმეტეს, რომ “ფისონ-ფეისონი” ფონეტიკურად “ფასისს” უფრო უახლოვდება, ვიდრე სხვა რასმე (124:46).

მოტანილი მსჯელობიდან გამომდინარე, სამხრეთი ამიერკავკასია და კოლხეთი ბიბლიურ სამოთხეში შემავალ – ძველადმოსავლურ ცივილიზაციის მომცველ ქვეყანათა შორის ხვდება. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. დასახელებულ ტერიტორიაზე ძველადმოსავლურ ხანაში (ძვ.წ. XII-VIII სს.) ხომ დიაოხისა და კოლხას ქართული გაერთიანებები არსებობდა. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ბიბლიის “შესაქმეთა” წიგნის ავტორის თანახმად, ლემეხის მესამე ვაჟი თობალი (თუბელ, ებრ. Tubalcain) რომ “იყო მჭედელი სპილენძისა და რკინისა” (IV, 19-22), რომ იგივე “შესაქმეთა” წიგნი (X.2) იაფეთის ძეთა შორის ასახელებს “თობელ”-სა და “მოსოხს” (ასეთივე ტექსტია “ნეშტა” წიგნშიც. I ნეშტა, 1,5). რომ საერთოდ, “ბიბლიაში”, “თუბალი” და “მესეხი” არაერთგზის იხსენიებიან და მეტწილად ერთ კონტექსტში (“მესეხი” გვხვდება აგრეთვე ფსალმუნში. 119,5) (124:33), საეჭვოდ არ მოგვეჩვენება ძველი ქართველი ტომები კარგად რომ იყვნენ ცნობილნი “შესაქმის” ავტორისათვის და ქართულენოვანი

<sup>3</sup> როგორც თ. ყაუხჩიშვილი წერს, არაერთი ძველი ბერძენი ავტორი ასახელებს მდ. ფასისს სხვა უდიდეს მდინარეთა შორის. მაგ. პავსანია ფასისს მსოფლიოში განთქმულ მდინარეთა შორის იხსენიებს (“ელადის აღწერილობა”, IV, 34,2); მდ. ფასისის სახელს ვხვდებით ჰესიოდესთან (ძვ.წ. VIII ს.), ფასისი იცის პეროდოტემ (I, 104), ქსენოფონტემ (124:44-45).



ტომების მიერ შექმნილი კულტურული სამყარო ძველადმოსავლური ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი იყო. სამოთხის ბაღში შემავალი ქვეყნები ერთი კულტურით საზრდოობდნენ – “ეს ბაღი ირწყვოდა ერთი მდინარით”.

ჩრდილოეთ შუამდინარეთზე როცა ვსაუბრობთ, თვალწინ მისი დიდი ქრისტიანული წარსული, რაც მთავარია, ამ მხარის შესახებ ბიბლიური გადმოცემა წარმოგვიდგება. ბიბლიიდან მომდინარე ტრადიციით, ქართველთა წინაპრების ძველისძველი სამშობლო არარატიის მთისძირი იყო (114:316; 167).

ეგრძნობა რა ბიბლიურ ცნობებს “ქართლის ცხოვრება” გვამცნობს, რომ ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი თარგამოსი იყო “ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი”. მას შემდეგ, რაც ბიბლიური ბაბილონის გოლოლის შენება ვერ მოხერხდა და ღმერთმა ადამიანები სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა, ისინი დაიფანტნენ მთელ მსოფლიოში. თარგამოსიც წამოვიდა “ნათესავითურთ მისით” ჩრდილოეთით და დაემკვიდრა არარატიისა და მასისის (თანამედ. ტურ-აბდინი) მთათა შორის. აქ მისი შთამომავლობა ძალიან გამრავლდა. ამიტომ თარგამოსმა (რომელმაც 600 წელი იცოცხლა) თავის გამოჩენილ რვა ძეს: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს გაუყო თავისი სამფლობელო და ყველა თავთავის სამშობლოში დაასახლა (69: 3-4; 114: 316).

ზემომოტანილი ბიბლიური თხრობა ქართველთათვის ძალიან საინტერესოა, რადგან, ბიბლიურ გადმოცემაში გარკვეულწილად ისტორიული რეალობა ასახული. უძველეს ხანაში ქართველური და მათი მონათესავე ტომები ისტორიული საქართველოს საზღვრებიდან შორს – სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი. რაზეც ქვემოთ არაერთხელ მექნება საუბარი.

## თავი II. ჩრდილოეთი შუამდინარეთი ქართულ და სომხურ საისტორიო ტრადიციაში

### § 1. ჩრდილოეთი შუამდინარეთი და ქართული საისტორიო ტრადიცია

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ჩრდილოეთი შუამდინარეთისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს. როგორც

ძველი ქართველი ავტორი ჯუანშერი წერს, 460 წელს ირანელთა ქართლში ლაშქრობისას, ვახტანგ გორგასლის შუამდგომლობით როცა ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის მორიგება მოხდა, ირანის შაჰმა ვახტანგს უთხრა: “შენ უწყი, რამეთუ ზღუასა მოღმართ ჩუენი არს საზღვარი, განყოფილი ნოესითგან, და აწ იგი (ბიზანტიის იმპერატორი. ვ.გ.) მბრძავს ჩუენ ჯაზირსა და შამსა და მოოხრებულ არიან ქალაქნი, ხოლო შამი სამეფო ჩუენი არს. არამედ ჯაზირისა ნახევარი, განწესებული მამათა ჩუენთა, შენი არს ხუედრი, და მიუღებიეს იგი ბერძენთა, და მე ესერა შევიდოდე უკუმოდებად მისა. აწ რომელი ნაწილი მამათა შენთა არს, შენ განუყავ, შენ იცი და ბერძენთა. ხოლო სხუა ჯაზირისა მომცენ მე ბერძენთა, და რომელი ვითხოვე მე შენგან” (168: 182-183).

ჯუანშერის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობა საკმაოდ დიდი ინფორმაციის შემცველია. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ის, რომ ირანის შაჰი ჯაზირეთსა (შუამდინარეთი) და შამს (სირია) თავისი წინაპართა კუთვნილ ტერიტორიად თვლის. მაგრამ მან იცის, რომ “ჯაზირისა ნახევარი, განწესებული მამათა ჩუენთა”, ქართველთა მეფისაა (ე.ი. ქართველებისაა). შაჰის სიტყვით, ბიბლიური “ნოესითგან” ირანელთა კუთვნილი ეს ტერიტორიები ახლა უკანონოდ უჭირავთ ბიზანტიელებს. ამიტომ შეეცდება მათ უკან დაბრუნებას. ხოლო “რომელი ნაწილი შენთა არს” თუ გსურს შენ დაუთმე ბერძნებსო.

“ზღუას მოღმართ” ე.ი. ზმელთაშუაზღვის აღმოსავლეთით მდებარე სირია და შუამდინარეთი ბიბლიური ნოედან მოკიდებული ირანის შაჰს რომ თავის წინაპართა კუთვნილებად მიაჩნდა, ეს გასაკებია. სასანიანი შაჰები თავს აქემენიანთა იმპერიის მემკვიდრეებად თვლიდნენ და “ღარიოსის მემკვიდრეობაზე” აცხადებდნენ პრეტენზიას, მაგრამ რა პრეტენზიები ჰქონდა შუამდინარეთის ნახევრისადმი (ე.ი. ჩრდ. შუამდინარეთისადმი) ქართლის სამეფოს? რატომ ათქმევენებს ჯუანშერი ირანის შაჰს, რომ შუამდინარეთის “ნახევარი განწესებული მამათა ჩუენთა შენი არს ხუედრიო”?

ერთი შეხედვით, ჯუანშერის ასეთი ცნობა, “მეფეთა ცხოვრების” იმ მონათხრობიდან მომდინარედ შეიძლებოდა მიგვეჩინია, რომელშიც ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი ირანის იმპერიის ნახევრის მფლობელად და მემკვიდრედაა გამოცხადებული.

“მეფეთა ცხოვრებაში” არსებული ცნობით, მირიანი ირანის შაჰის ძე იყო და მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო “ჯაზირეთი, და შამის ნახევარი, და აღარბადაგანი. და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს”

(69:67). ე.ი. გამოდის, რომ მამის გარდაცვალებამდე მირიანის თითქმის მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასიის მფლობელი იყო, მამის გარდაცვალების შემდეგ ირანის იმპერიის ოლქებთან ერთად ისეთი ტერიტორიებიც მიიღო, რომლებიც ირანს არ ეკუთვნოდა – მთელი შუამდინარეთი და სირიის ნახევარი.

“მეფეთა ცხოვრების” ცნობა, მირიანის ირანის შაჰის ძელ გამოცხადებისა და მის მიერ მემკვიდრეობით, როგორც ირანის იმპერიაში შემავალი, ისე მის გარეთ მდებარე ტერიტორიების მიღების შესახებ, ჩვენს მეცნიერებაში, გვიანდელ გადაკეთებად ითვლება და ქართლის პირველი ქრისტიანი მეფისათვის დიდი წინაპრის გამოწახვის სურვილით ნაკარნახებ ჩასწორებადაა მიჩნეული (90:162).

ჯუანშერის თხზულებიდან ზემომოტანილი თხრობა “მეფეთა ცხოვრების” ცნობაზე რომ იყოს დამყარებული, მაშინ საეჭვოა, ჯუანშერს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის კუთვნილებად გამოცხადებული ტერიტორიებიდან მხოლოდ შუამდინარეთის ნახევარი (ისიც ბიზანტიელთა ხელქვეით მყოფი) ჩაეთვალა ქართველთა კუთვნილებად. ჯუანშერი ქართველთა საკუთრებად მხოლოდ ჩრდ. შუამდინარეთს რომ აცხადებს, როგორც ჩანს, სხვა მოტივით ხელმძღვანელობდა. მონაცემთა განსხვავებული შინაარსის გამო “მეფეთა ცხოვრებისა” და ჯუანშერის ცნობათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მსჯელობა მიუღებელია. დასახელებული ცნობები, უეჭველია, სხვადასხვა საფუძველს ემყარება.

როგორც გაირკვა, “მეფეთა ცხოვრებაში” მირიანის შესახებ ზემომოტანილი ცნობების შექმნისას ძველ რედაქტორს (შეიძლება ლეონტი მროველს), ქართლის პირველი ქრისტიანი მეფისათვის მხოლოდ დიდი წინაპრის გამოძებნის სურვილი არ ამოძრავებდა. მირიანისათვის “დიდი და სახელოვანი წინაპრის” მოძებნით დაინტერესებულმა ავტორმა, იგი მიიჩნია რა დედიტ ირანელ მიჰრანთა გვარის სასანიან უფლისწულად, სახელ მირიანს (“მიჰრანს”) მან ორიგინალურად დაუკავშირა ამიერკავკასიის ქვეყნებში მიჰრანთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ხანგრძლივი მემკვიდრეობითი სამსახურის რეალურ ფაქტზე შექმნილი, მის დროისათვის უკვე ქართველიზირებული საისტორიო ტრადიცია და მირიანის უფლებამოვალეობანი ქართლ-ალბანეთის მარზპანთა სახელომდე განავრცო (ამ საკითხთა შესახებ დაწვრილებით იხ. 29).

თვით მირიანი ფარნავაზიანთა სახლის იმ შტოს უფლისწული იყო, რომელნიც ქართლის სამეფოში მეფის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებოდნენ. მირიანი ძე იყო იმ პირისა, რომელიც “მოქცევაი ქართლისაიში” “ლევ (რევ) მამაი მირიანისად” იწოდება (29: 121-122).

ასე რომ, ჯუანშერის ცნობას ჯაზირეთის ნახევრის ქართლის მეფისადმი კუთვნილების შესახებ საერთო არაფერი აქვს “მეფეთა ცხოვრებაში” ლეონტის (?) მიერ შეტანილ ჩასწორებასთან და იგი ცალკე კვლევას მოითხოვს. მაგრამ, სანამ დასმულ საკითხს შევხებით, ვნახოთ ჩრდ. შუამდინარეთს როგორ უყურებდა სომხური საისტორიო ტრადიცია.

## § 2. ჩრდილოეთი შუამდინარეთი და სომხური საისტორიო ტრადიცია

რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი (შემდეგში ბიზანტიის იმპერია) V ს. დამდეგს ჯერ კიდევ მყარად ინარჩუნებდა რომაული მმართველობის ტრადიციებს – ქალაქებსა და დაწესებულებებში სახელმწიფო ენა ლათინური იყო. სწორედ ამ დროს დამკვიდრდა გამოთქმა “Graccum est non legitur” – ე.ი. რომის იმპერიის აღმ. ნაწილში ბერძნული ენა არ გამოიყენებოდა (არ იკითხებოდა). მაგრამ, ქართლსა და სომხეთში ასე არ იყო. აქ ჩანს, ელინისტური ტრადიციებიდან მომდინარე სირიულ-ბერძნულ განათლებულობას პატივს სცემდნენ, კვლავ ცოცხლობდა ეს ენები როგორც სასაუბრო საზოგადოების ზედაფენებში. ქართლსა და სომხეთში სირიული და ბერძნული რომ გამოიყენებოდა, ეს კარგად ჩანს V ს. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის თხზულებიდან.

რადგან ხორენაციმ კარგად იცოდა არამეულ-სირიული ენა, ვარაუდობენ, რომ მას განათლება ქედესაში უნდა მიეღო (მისი თხზულების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ სირიელი მარ აბას კატინას ნაწარმოებია მიჩნეული). მაგრამ, იმ დროინდელი განათლებულობის სრულყოფილად დასაუფლებლად და წმინდა წიგნების გასაცნობად, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ბერძნული ენა და ხორენაცი (მისი დაბადების თარიღად 410 წელია მიჩნეული) ბერძნული ენის სრულყოფილად დაუფლების მიზნით და საერთოდ, სწავლის გასაგრძელებლად გაუგზავნიათ ეგვიპტეში – იმდროინდელი ბერძნული მეცნიერების სახელგანთქმულ კერაში ალექსანდრიაში (98:5).

ხორენაცის ალექსანდრიაში გამგზავრება დაახლ. 440\45 წლებში ივარაუდება. ხორენაცის თხზულების ქართულად მთარგმნელისა და გამომცემლის, ალ. აბდალაძის თანახმად, ეს ის ხანაა, როცა “ბიზანტიის იმპერიისადმი დაპირისპირებული ირანის შაჰის კარი... სომხეთში მხარს უჭერდა სირიული კულტურის გავლენის გავრცელებას ბერძნულის საწინააღმდეგოდ. სირიულ კულტურას

სომხეთში ისედაც ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი და მთავრობის მფარველობის პირობებში მას კიდევ უფრო გაეშალა ფრთები” (98:5). ასე რომ, ხორენაცი კარგად იცნობდა ჩრდილო შუამდინარულ სამყაროს. ქ. ედესაში განათლებამიღებულმა ისტორიკოსმა, რა თქმა უნდა, ისიც კარგად იცოდა, ჩრდილოეთი შუამდინარეთი სომხური მიწა (ქვეყანა) არ იყო. მაგრამ იგი, როგორც ა. აბდალაძე წერს, არ ერიდება ფაქტების გაყალბებას. თავის ისტორიაში ( II , 30-34) გასომხებულია და სომეხთა საამაყო შვილად, სომეხთა მეფედაა გამოცხადებული ედესის მეფე აბგარი. აქედან გამომდინარე, თითქოს იესო ქრისტესთან მიწერ-მოწერა სომეხთა მეფეს ჰქონდა და ქრისტეს წამებისთანავე აბგარი მოინათლა კიდევ. მართალია, აბგარი არ გაქრისტიანებულა, — დასძენს ა. აბდალაძე, — მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მსოფლიოში პირველი ქრისტიანი მეფე III ს. დამდეგს სწორედ აბგარი IX შეიქმნა (98:26).

ისევე, როგორც ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია, ჩრდილოეთ შუამდინარეთსა და მრავალ სხვა ტერიტორიას, ხორენაციც სომხეთის საკუთრებად აცხადებს. მისი მტკიცებით: “სპარსთა და პართელთა მეფე არშაკ ღიდმა” საკუთარი ძმა გაამეფა სომხეთში, სატახტო ქალაქად გამოუყო ნისიბისი და სამფლობელოდ კი ასურეთის ერთი ნაწილი, პალესტინა, აზია, მთელი შუა ხმელეთი (მცირე აზია, ა.აბდალაძე)...პონტოს ზღვიდან იქამდე, სადაც კავკასიის მთა მისწვდება დასავლეთის ზღვას (იგულისხმება კასპიის ზღვა. ა.აბდალაძე), აგრეთვე ატრპატაკანი (98: 23-24).

ხორენაცი ნისიბისთან ერთად სომხეთის დედაქალაქად მიიჩნევს ქ.ედესას. უფრო მეტიც, ედესას იგი “სომხეთის მეფის” (ამ შემთხვევაში აბგარის) აგებულად თვლის. თითქოს აბგარმა ეს ქალაქი იმ ადგილას ააგო, სადაც ადრე სომეხთა ჯარი იდგა და ნისიბისიდან გადაიტანა სამეფო კარი, მეფეთა არქივი და ყველა თავისი კერპი <sup>1</sup> (98:123).

---

<sup>1</sup> მეტად საინტერესოა ხორენაცის ცნობა იმის შესახებ, რომ ედესის სიძველეთსაცავებში “გადაიტანეს წიგნები ნიზიბინიდან, აგრეთვე სატაძრო მატრიანები პონტოს სინოპიდან”. ხორენაცი იქვე დასძენს: ამ ცნობაში “ეჭვი ნურავის შეეპარება, რამეთუ ჩვენ თვითონ ვნახეთ ის არქივი. ამის მოწმე და თავდებია ევსევი კესარიელის საეკლესიო წიგნიც, რომელიც სომხურად ჩვენმა ნეტარმა მოძღვარმა მასტოცმა ათარგმნინა” (98:110). ხორენაცი ამ ცნობას კიდევ იმეორებს: “რომელმა მოხელეებმა, — წერს იგი, — ღიდებულად მოაწვეეს ქალაქი ედესა, სადაც შექმნეს განმოსაცავნი სომხეთში, შუამდინარეთსა და ასურეთში მოგროვილი ხარკისათვის. მათ იქვე მოუყარეს თავი არქივებსაც, გახსნეს ორი სასწავლებელიც, ერთი ადგილობრივ, ასურულ

ხორენაცის თანახმად, სომხეთით თვით ასურელი მოღვაწეებიც იყვნენ დაინტერესებულნი. როგორც იგი წერს, ბარდასენ ედესელი ჩასულა სომხეთში “რათა გაეჩინა მოწაფეები ბარბაროს წარმართთა შორის. როცა მისი [ მოძღვრება ] არ შეიწყნარეს, მაშინ მან მიაშურა ციხესიმაგრე ანის, სადაც გაეცნო სატაძრო მატიანეს, მეფეთა საქმეებიც რომ იყო შიგ აღნუსხული. ამას მიუმატა თავისდროინდელი ამბებიც და ყოველივე ასურელ ენაზე გადათარგმნა. საიდანაც შემდგომში ბერძნულად გადაიღეს” (98:154). ხორენაცისავე ცნობით. მას შემდეგ, რაც მესროპი ქართლიდან დაბრუნდა, “მან და საჰაკ დიდმა... მოწაფეები ჰოვსეფი და მისი ამხანაგი სოფელ კოლბიდან, სახელად უზნიკი, გაგზავნეს შუამდინარეთში, ქალაქ ედესაში, რათა სასწრაფოდ ეთარგმნათ ჩვენს ენაზე (ე.ი. სომხურზე. ვ.გ.) და მოეტანათ აღრინდელ წმიდა მამათაგან დაწერილი წიგნები, რაც იქ მოიპოვებოდა” (98:231).

განსაკუთრებით საინტერესოა სომეხ ავტორთა ის მონაცემები, რომლებიც ასურელთა დახმარებით სომხური ანბანის შექმნას შეეხება. ასურელები ცდილობენ თავიანთი კულტურული მიღწევები მეზობელ ქვეყნებში დაენერგათ. როგორც V ს. სომეხი ავტორი კორიუნი წერს, “ასურ ეპისკოპოსს დანიელს სომხური ენისათვის ანბანი ჰქონდა შედგენილი”. ამიტომ სომეხთა მეფე ვარამშაპუჰსა და პატრიარქ საჰაკს “კაცი წარუვლენიათ” ამ დანიელის დაახლოებულ პირთან — აბელთან და მისი მეშვეობით დანიელის მიერ შედგენილი სომხური ანბანი ჩაუტანიათ, მაგრამ იგი, რადგან სომხური ენის სპეციფიკას ვერ აკმაყოფილებდა, მაშთოცი მიაველინეს ქ.ედესასა და ქ.ამიდაში. მაგრამ მიზანს რადგან იქაც ვერ მიაღწიეს, მაშთოცი ქ.სამოსატაში ჩავიდა და ბერძენი მწიგნობარის პროფანიოსის დახმარებით შეაესო ის ასოები, რომლებიც სომხურს აკლდა (93:10-11).

---

ენაზე, ხოლო მეორე ბერძნული. პონტოელთა სინოპში არსებული ხარკის დავთრები და ბომონის არქივებიც ედესაში გადაიტანეს (98:134).

363 წელს ირანსა და რომს შორის დადებული ე.წ. “სამარცხვინო ზავით” ნისიზისი რადგან ირანელთა ხელში გადავიდა, მოსახლეობის ნაწილმა, მართლაც დატოვა იგი და იქ არსებული არქივიც გადაიტანეს ედესაში. მაგრამ რამ განაპირობა პონტოს ქ.სინოპიდან ხარკის დავთრებისა და ბომონის არქივების ედესაში გადატანა?

<sup>2</sup> ბარდასენ ედესელი (154-222) იყო ედესის პირველი ქრისტიანი მეფის აბგარ IX-ის სიყრმის მეგობარი, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, სირიული ეკლესიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მას სახარება უქადაგია სომხეთში, მაგრამ წარუმატებლად (98: 276, შენ. 169).

ისევე, როგორც ქართველები, V ს. სომხებიც, უპირველეს მოვალეობად, წმინდა წიგნების თარგმნას მიიჩნევდნენ. როგორც ლ.მელიქსეთ-ბეგი წერს, საღვთისმსახურო წიგნებს სომხები თარგმნიდნენ ასურულიდან და ბერძნულიდან. კორინთის ცნობით, დასძენს იგი, - ქ.სამოსატაში (იგივე შიმშატი. ვ.გ.) ყოფნის დროს მაშოცმა და მისმა მოწაფეებმა სოლომონის იგავებთან ერთად ძველი აღთქმის 22 წიგნი გადმოთარგმნეს (93:53).

ასე რომ, V ს-ში ასურული სამყარო, კერძოდ კი ქ.ედესა და სამოსატა რჩებოდა ისეთ კულტურულ ცენტრებად, სადაც სომხები არა მარტო განათლებას იღებდნენ, არამედ მთარგმნელობითი გაერთიანებებიც ჰქონდათ. თუმცა, იმავდროულად, კონსტანტინოპოლი იყო უკვე ის ქალაქი, სადაც წმინდა წიგნები ბერძნულად არსებობდა.

სომხეთი სხვა მხრივაცაა დაკავშირებული ჩრდ. შუამდინარეთთან. სომხეთის ეკლესიის ისტორიის მკვლევრები ფიქრობენ, რომ სომხეთში ქრისტიანობა იერუსალიმიდან ოსროენის გზით შევიდა და III ს. გასულს იგი უკვე ქრისტიანული ქვეყანა იყო. სომხეთის ეკლესიის ისტორიის ავტორიტეტად მიჩნეული მალაქია ორმანიანის მტკიცებით, სომხეთში ქრისტიანობა ახ.წ. I ს-ის დამდეგიდან იქადაგა ჯერ თადეოსმა, შემდეგ ბართლომემ (203:11). უფრო მეტიც, მ. ორმანიანს ევსევი კესარიელის ცნობა ოსროენის ეპისკოპოს მერუჟანისადმი 254 წელს დიონისე ალექსანდრიელის მიერ წერილის მიწერის შესახებ, იმის დამადასტურებლად მიაჩნია, იმ დროისათვის სომხეთში ქრისტიანობა საყოველთაოდ აღიარებული რომ იყო (203:14).

ჩრდილოეთ შუამდინარეთში მდებარე ოსროენის ოლქში ძირითადად ასირიელები ცხოვრობდნენ და ამ მხარეში ქრისტიანობის დიდი ტრადიციების გამო, მართლაც, შეიძლებოდა III ს. შუახანებში იქ საეპისკოპოსო კათედრა ყოფილიყო (ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის ცნობილი გერმანელი მკვლევრის ა.პარნაკის თანახმად, უძველესი ეკლესია, რომელიც ჩვენთვის ცნობილია 201 წელს დაინგრა ედესაში. 229:615). მაგრამ ოსროენაში ქრისტიანობის გავრცელება რა დამოკიდებულებაშია საკუთრივ სომხეთის მოსახლეობის ქრისტიანობასთან? სომხეთში ქრისტიანობის საქადაგებლად ჩასულ ბარდასენს, როგორც ზემოთ შევნიშნე, სომხებმა ხომ არ მოუსმინეს. ეს III ს-ში მოხდა, IV-V საუკუნეებში კი სომეხთა კულტურული კავშირები ჩრდილოეთ შუამდინარეთთან ეჭვს არ იწვევს.

ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს სომეხი თანამგზავრების - გაიანესა და რიფსიმეს სომხეთში შესვლის გზით მ.ორმანიანი დაინტერესდა და მიუთითა, რომ აგათანგელოსის ცნობით,

სომეხი წმინდანები გაიანე და რიფსიმე ღვევის გამო რომიდან გამოქვეყნდნ, შუამდინარეთის გავლით მივიდნენ ვალარშაპატში. ისინი რომ სომხეთის მოსაზღვრე ნისიბისის პროვინციიდან უნდა წამოსულიყვნენ, ამაზე მიუთითებს წმინდა თებრონიას საქმენი (203:16). რამდენად სწორია მ.ორმანიანის დასაბუთება სომეხი ლტოლვილების (მათთან ერთად, რა თქმა უნდა, წმინდა ნინოს შემოსვლაც ივარაუდება) ნისიბისის რაიონიდან მოსვლის შესახებ, ეს საქმის ერთი მხარეა, მაგრამ ფაქტი ისაა და ჩვენთვის საინტერესო, სომხური წყარო ლტოლვილთა ყოფნის საბოლოო პუნქტად ნისიბისს რომ ასახელებს. გამორიცხული არაა იმპერიის ცენტრალურ რაიონებში დევნას გამორიდებულ ქრისტიანებს თავი, მართლაც, ქ.ნისიბისისათვის შეეფარებინათ, სადაც დევნას დროებით გადაურჩნენ.

როგორც ვხედავთ, ძველი ქართული და სომხური ტრადიცია ჩრდილოეთი შუამდინარეთისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს. სომხური საისტორიო ტრადიცია (ამ შემთხვევაში მოვსეს ზორენაცი) არ ერიდება ფაქტების დამახინჯებას რათა არა თუ ჩრდ. შუამდინარეთი, არამედ მათი მეფეებიც (აბგარ I –დან მოკიდებული) სომხებად გამოაცხადოს. ზორენაცი სომხთა მეფის დაარსებულად თვლის ქ.ედესასაც.

ყოველივე აღნიშნული, ცხადია, სომხთა და ქართველთა თვალში ჩრდ. შუამდინარეთის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ჩრდ. შუამდინარეთისადმი ინტერესს ერთის მხრივ თუ ამ მხარის დიდი ქრისტიანული წარსული, ბიბლიური სამოთხის ცენტრად მიჩნევა განაპირობებდა, ქართველთა დაინტერესებას როგორც ვნახავთ, უფრო მეტად ჩრდ. შუამდინარეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე უძველესი დროიდან განსახლებული ქართველური მოსახლეობისადმი ნათესაური ლტოლვა კვებავდა. ასე იყო სომხების მხრეცაც. ისინი ჩრდ. შუამდინარეთის ნაწილს – ე.წ. “სომხეთის მთიანეთს”, სომეხი ხალხის ჩამოყალიბების აკენად თვლიან.

ახლა ამ მხრივ გადავხედოთ საისტორიო მასალას.

### თაკი III. ქართველები და ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლება ძველადმოსავლურ ხანაში

#### § 1. საკითხის მოკლე მიმოხილვა

მას შემდეგ, რაც ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ განსახლებული ქართველური მოდგმის ტომების შესახებ ბიბლიური



ცნობები ძველადმოსავლურ წერილობით ძეგლებში მოპოვებულმა მასალამ შეავსო, მეცნიერების წინაშე მკაფიოდ დაისვა საკითხი საქართველოს ძველი ისტორიის შესასწავლად უფრო ფართოდ გამოეყენებინათ ძველადმოსავლური მასალები. 1937 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: “... ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად აუცილებელია ჩვენთვის ხეთური, სუმერული და ხალდური წყაროებისა და მასალების გამოყენება ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისა და აღდგენისათვის” (160:95). ივ. ჯავახიშვილს მოაქვს გეგმა თუ რაზე უნდა გაამახვილონ მკვლევარებმა ყურადღება. მისი მითითებით, “ქართველური და კავკასიელთა ტომების სადაურობისა, პირვანდელი სამშობლოსი და მერმინდელი იმიგრაციის პრობლემების გამოკვლევაში ენათმეცნიერებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, ფილოლოგოსებმაც და გეოგრაფ-ისტორიკოსებმაც, მათგან ამისათვის უპირველესად ძველი და მერმინდელი გეოგრაფიული მწერლობის ყველა ცნობების შეგროვება და კრიტიკულად შესწავლაა საჭირო” (160:90).

\* \* \*

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველებს მრავალ მაღალკულტურულ თუ შედარებით ჩამორჩენილ ხალხებთან ჰქონდათ ურთიერთობა. ეს ურთიერთობა კეთილმეზობლურს გარდა, ხშირად ძალდატანებითი იყო. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ურთიერთობა უკვალოდ არ ქრებოდა, ადგილი ჰქონდა ურთიერთკულტურულ გავლენას.

ძვ.წ. XII საუკუნეში ისტორიული საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით პირველი სახელმწიფო გაერთიანებების წარმოქმნისას მხოლოდ სამხრეთში და სამხრეთ-დასავლეთში არსებობდა დიდი ცივილიზაციები. ამ ცივილიზაციებიდან სამხრეთ-დასავლეთით — მცირე აზიაში არსებულმა ხეთების იმპერიამ, ძველი წ. XII ს. დამდევს “ზღვის ხალხების” შემოსევების შედეგად შეწყვეტა არსებობა. ხეთების იმპერიის ნანგრევებზე აღმოსავლეთ ანატოლიაში კარგა ხანს, ძლიერი პოლიტიკური ერთეული აღარ წარმოქმნილა. ძვ. წ. VIII საუკუნიდან კი მცირე აზიაში ასურული წყაროები მუშქთა ძლიერი სახელმწიფოს (ბერძნული წყაროები მას ფრიგიას უწოდებენ) არსებობაზე მიუთითებენ. მაგრამ, იგი ძვ.წ. 676 წელს ურარტუს მეფე რუსა II —ემ კიმერიელებთან კავშირში გაანადგურა. ამ მძიმე მარცხის შემდეგ მუშქ-მესხთა ნაწილი აიყარა და ჩრდილო-აღმოსავლეთით დაიწყო მოძრაობა და განსახლება, სადაც შემდეგ, ანტიკურ ხანაში “მოსხური მთები” და მოსხების ქვეყანა (“მოსხიკე”) გაჩნდა. მუშქ-მესხთა ნაწილმა უფრო აღმოსავლეთისაკენ განაგრძო მოძრაობა,

როგორც ფიქრობენ, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი მათი სახელის გამო იწოდა მცხეთად.

რაც შეეხება ქართველთა სამხრეთელ მეზობლებს – ძველადმოსავლურ ხანაში, ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებიდან არსებობას განაგრძობდა ასურეთის, IX საუკუნიდან ურარტუს სახელმწიფოები. მათი ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობების გამო ქართული გაერთიანებებისა და ქართველი ტომების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები გაჩნდა ასურულ და ურარტულ წყაროებში. უფრო მეტიც, ძველადმოსავლური ქვეყნების – ელამის, მითანის, ხეთებისა და სხვათა ისტორიის შესწავლამ ახლებურად დასვა ძველ ხანაში ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლების საკითხი (იხ. ქვემოთ).

ძველ ქართულ სამყაროს გარკვეული კონტაქტები ჰქონდა ზემოდასახელებულ სახელმწიფოებთან<sup>1</sup> (რაზეც ქვემოთაც მექნება საუბარი), აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ მითანის სამეფოს ცენტრალური რაიონები (ძირითადად ხურიტული მოსახლეობით), ჩრდილოეთ შუამდინარეთში მდებარეობდა. მისი გავლენა ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა, რის გამოც, თრიალეთის კულტურაში შეინიშნება სამხრეთიდან მომდინარე კულტურული ნაკადი (114:358).

ხურიტულენოვან სამყაროსთან ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ განსახლებულ, ქართველი ხალხის ერთ-ერთ წინაპრებად მიჩნეულ, ძველადმოსავლურ საისტორიო წყაროებით კარგად ცნობილ ტაბალებსა და მუშქებს. ივ.ჯავახიშვილის თანახმად, თუ “დაბადების” (ე.ი. ბიბლიის) პირველი წიგნისა და ასურული წყაროების მოწმობით თუბალსა და მეშესს (ტაბალი და მუშქი) ორი ძლიერი ერის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, ეზეკიელ წინასწარმეტყველის დროს ისინი გოგისა და მაგოგის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ. ხოლო ჰეროდოტესა და განსაკუთრებით ქსენოფონტეს დროს (ბერძენების ისტორიკოსები მათ VI საუკუნიდან მოკიდებული უწოდებენ მოსხებს – “მოსხოი” და მესხებს – “მესხოი”. 155:400) პატარა და უმნიშვნელო ტომები იყვნენ. ასეთი საშინელი გავლენა ჰქონდა კიმერიელთა და სხვა ინდოევროპელი ტომების შემოსევას მცირე აზიაში ქართველების ძლიერებასა და ბედიღბალზე (155:416), დასძენს იგი.

---

<sup>1</sup> მეცნიერთა ნაწილი მიუთითებს კავკასიურსა და ელამურ ენებს შორის გარკვეული სიახლოვის შესახებ (151:378). ძვ.წ. II ათასეულიდან ელამის სახელმწიფოს სათავეში იდგა სუქქალმახი (151:384). ამ ტიტულსა და ქართული ზღაპრის გმირის – ამირანის მამობილის სახელს (სულკალმახი) შორის გარკვეულ კავშირს ხელავენ (გ.მელიქიშვილი, ჯ.შარაშენიძე).

იმ ინდოევროპელ ტომთა შორის, — განაგრძობს ივ.ჯავახიშვილი, — რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს ერთ დროს ძლიერი და ვრცელ ტერიტორიაზე განსახლებული ქართველური ტომების შემდგომ ბედზე, სომხებიც იყვნენ. მას შემდეგ, რაც ძვ.წ. 190 წელს მათ ხალიბებს მიწები წაართვეს<sup>2</sup>, ამ მიწებზე სომხები ჩასახლდნენ და სტრაბონის სიტყვით, კარინსა და ქსერქსენეში ხალხი უკვე სომხურად ლაპარაკობდა. ერთი საუკუნის განმავლობაში ეტყობა ქართული ენა დაჩაგრულა და სომხური გაბატონებულა. ამ ორი მხარის მცხოვრებნი სომეხნარევი ხალიბები უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც, პლინიუს სეკუნდუსი ამბობს, რომ იქ “სომეხ — ხალიბები” (“gens Armenochalibes”) მოსახლეობენო — ე.ი. გასომხებული ჭანები ყოფილან (155:420). ტაბალებისა და მუშკების მეზობლად არსებულმა არაერთმა სახელმწიფომ ვერ გაუძლო უამთა სიავეს, მაშინ როცა ქართველური ტომების შთამომავლებმა დღემდე შემოინახა თავი. მუშკების ტომის “მცირედს ნაშთს, — დასძენს ივ.ჯავახიშვილი, — ეხლაც წინანდებურად “მესხები” ჰქვია” (155:402).

ძვ.წ. 615\05 წლებში ასურეთმა, VI ს. დამდეგს კი ურარტუმ<sup>3</sup> შეწყვიტა არსებობა. ძვ.წ. 550 წელს წარმოქმნილმა აქემენიანთა სპარსეთმა მაშინდელი ცივილიზებული მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი ბატონობის ქვეშ მოაქცია. ამ დროიდან ჩვენთვის საინტერესო ჩრდილოეთ შუამდინარეთს, მცირე აზიას, სამხრეთ ამიერკავკასიას აქემენიანთა სატრაპები განაგებდნენ.

აქემენიანთა იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი ელინისტური სახელმწიფოებიდან სელევკიდების სამეფოს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა იმავე ხანებში წარმოქმნილ ახალი ქართლის სამეფოსთან. ახალი ქართლის სამეფოს შემქმნელმა ფარნავაზმა,

---

<sup>2</sup> სომხებმა მაშინ ჩამოაჭრეს ქართლის სამეფოს ზორძენე, გოგარენე და პარიადრის მთები (114:466).

<sup>3</sup> ურარტუს დანგრევის შემდეგ მის ტერიტორიაზე დროთა განმავლობაში სომეხთა წინაპრები დამკვიდრდნენ. ეს პროცესი სომხურ საისტორიო ტრადიციაშიცაა ასახული. მოვსეს ზორენაცის თანახმად, — წერს არმენოლოგი ალ. აბდლაძე, — სომხეთში მოსულ ჰაიკს და მის ამაღლას ამ ქვეყანაში ადგილობრივი მოსახლეობა დახვედრია, რომელიც ჰაიკს დაუმორჩილებია. როგორც ფიქრობენ, — დასძენს იგი, — ამ ცნობაში ასახული უნდა იყოს ისტორიული სინამდვილე იმის შესახებ, რომ სომხეთის მიწაწყალზე სომეხთა დამკვიდრებამდე სხვა წარმოშობის ტომებს უნდა ეცხოვრათ. მათ შორის ქართული მოდგმის ტომებს (1:103).

ბ.პროზნი ძვ.წ. 1200 წელს იმ ხალხთა შორის, რომელთაც “ზღვის ხალხების” შემოსევების დროს ხეთების სახელმწიფო გაანადგურეს სომხებსაც ასახელებს (175:15).

როგორც “მეფეთა ცხოვრებაშია” აღნიშნული, სამეფო გვირგვინი ანტიოქოსიდან (ე.ი. სელევკიდებიდან) მიიღო და სამეფოც “განაწესა...მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა” (69:23,25).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად ასეა წარმოდგენილი ძველადმოსავლურ სამყაროსთან ქართველთა ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში ძალიან მკრთალადაა წარმოდგენილი ჩრდილოეთ შუამდინარეთთან საქართველოს ისტორიული, კულტურული და სხვა სახის კავშირები. ამ კავშირებს, კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შორეული ფესვები ჰქონდა.

## § 2. მუშქ-კაადოკიელები. მცირე აზიის ქართველური სამყარო

სანამ მცირე აზიაში მუშქთა და მათი შთამომავლების — კაადოკიელების განსახლების საკითხს შევეხები, ვნახოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე რა აზრისაა ცნობილი ხეთოლოგი აკად. გრ. გიორგაძე. ქართველურ ტომთა უძველესი კერის არსებობა მდ. ჭოროხისა და ზემო ეფრატის სათავეებში, — წერს იგი, — სადაც მდებარეობდნენ ძვ. წ. XII ს-ის ასურული წყაროების მუშქაიას (ბერძნ. “მოსხოის”, ქართ. მესხების), დაიანის (ურარტული წყაროების “დიაუხის” ე.ი. ტაოს) ქვეყნები, უძველესი ხანებიდანვე განაპირობებდა ქართველურ ტომთა კავშირს მცირეაზიულ სამყაროსთან. სწორედ აღნიშნულ ადგილებში ხორციელდებოდა კონტაქტები კულტურულ თუ რელიგიურ სფეროებში” (20:152). რაც შეეხება ჩრდ.-აღმოსავლეთისაკენ მუშქთა მოძრაობას, გრ.გიორგაძის ვარაუდით მდ. ჭოროხისა და ზემო ეფრატის ტერიტორიიდან ქართველურ ტომთა (მუშქების) პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლება უფრო ჩრდილოეთისაკენ (ხოლო ნაწილისა — სამხრეთისაკენ), ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ უნდა მომხდარიყო და ისტორიულ ქართლში გადმოსახლებულებს თან უნდა გადმოეჩანათ თავიანთი ძველი, ანატოლიასთან მჭიდროდ დაკავშირებული, კულტურულ-რელიგიური ტრადიციებიც (20:153). ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია გამოთქმულია ვარაუდი, — დასძენს გრ.გიორგაძე, — ძველი ქართლის ზოგიერთ ტოპონიმ-ღვთაების (არმაზის, ზადენისა და სხვათა) კავშირის შესახებ მცირეაზიულ სამყაროსთან, დაშვებულია შესაძლებლობა ანატოლიიდან ინდოევროპელ ტომთა გარკვეული ნაკადის, ანდა უფრო სამხრეთიდან ქართველურ ტომთა გადმოსახლების შესახებ. ამ უკანასკნელ შესაძლებლობას მხარს უნდა უჭერდეს ძველი ქართული ისტორიული ტექსტების, როგორც ჩანს,

სარწმუნო მონაცემები. კერძოდ, მითითება “არიან ქართლიდან”, ყოველ ეჭვს გარეშე, ისტორიული ქართლის უფრო სამხრეთით მდებარე ტერიტორიიდან, გაცი და გა ლუთაებათა გადმოტანის შესახებ (20:152).

გრ.გიორგაძე, როგორც ვხედავთ, მუშქთა ძირითად საცხოვრებელ ადგილად მდ.ჭოროხისა და ზემო ეფფრატის ტერიტორიებს მიიჩნევს და თვლის, რომ ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ, აქედან პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთით გადმონაცვლების გამო, ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე გადმოსახლებულებმა შემოიტანეს “ანატოლიასთან მჭიდროდ დაკავშირებული კულტურულ-რელიგიური ტრადიციები”. თვით ანატოლიიდან კი შესაძლოა “ინდოევროპელ ტომთა გარკვეული ნაკადი შემოვიდა”. იგი ასევე შესაძლებლად თვლის სამხრეთიდან – არიან- ქართლიდან ქართველურ ტომთა გადმონაცვლებას და მათ მიერ გაცისა და გას კერპების შემოტანას. მაგრამ განა თვით აღმოსავლეთ ანატოლიაში არ ცხოვრობდნენ მუშქები? და თვით გრ.გიორგაძის გამოკვლევა ხეთურ-არამაზული ტრადიციების შესახებ, იმაზე არ მიგვითითებს გაცის და გას კერპები ქართლში სწორედ მუშქური სამყაროდან რომ იქნა შემოტანილი?

ისევე გადავხედოთ მუშქთა განსახლების არიალს.

მცირე აზიის ერთ-ერთი უძველესი მოსახლეობა მუშქები ისტორიის ასპარეზზე, როგორც ითქვა, ძვ.წ. XII ს-ში გამოჩნდნენ. როცა მათი პოლიტიკური გავლენა ეფფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (თანამედროვე მდ. მურად სუს სამხრეთით) გავრცელდა. 50 წლით ადრე მათ იქ ალზისა და ფურულუმზის ქვეყნები დაუპყრიათ, ხოლო ტიგლათფილესერ I –ის მეფობის დასაწყისში (ძვ.წ. 1115 წ.) 20 ათას მუშქ მემარსა და მათ 5 მეფეს ხელთ უგდიათ უფრო სამხრეთით მდებარე ასურეთის ვასალური ქვეყანა ქათმუნცი<sup>4</sup> (21: 5-6). რაც შეეხება აღმ. ანატოლიაში დარჩენილ მუშქებს, მათ მიერ შექმნილი სამეფო ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარშიც, განსაკუთრებით ძვ.წ. VIII-VII სს. მიჯნაზე – მეფე მითას დროს, როცა იგი ანტიასურულ კოალიციაში შედიოდა (იხ. 149).

---

<sup>4</sup> როგორც ი.ილიაკონოვი წერს, ესენი იყვნენ “აღმოსავლეთის მუშქები”. მათი განსახლების ძირითადი ცენტრი ზემო ეფფრატთან მდ. არცანიის (მურად სუ) შესართავთან მდებარე ალზის სამეფო იყო. ასურული წყაროები, – დასძენს ი.ილიაკონოვი, – ალზის უწოდებენ აგრეთვე “მუშქთა ქვეყანას”. ი.ილიაკონოვის თანახმად, ძვ.წ. X-IX ს-ებში აღმოსავლეთის მუშქები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, მდ.ტიგროსის ჩრდილოეთი შენაკადების სათავეში მდებარე მთებიდან ზემო ეფფრატის ველის დასავლეთით მდებარე ტავრის მთებამდე უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი (183:47). გრ. გიორგაძის თანახმად. „მუშქთა ძირითადი ტერიტორია ისტორიული სამხრეთ საქართველო იყო“ (24:124). მუშქთა განსახლების არეალი „სამხრეთ-დასავლეთ“ ამიერკავკასიას მოიცავდა“ (24:125).

ძვ.წ. 676 წელს ურარტუს მეფე რუსა II -სთან (რომლის მოკავშირეები კიმერიელები იყვნენ) განცდილი მარცხის შემდეგ, როცა მუშქთა ნაწილი იბულებული შეიქმნა ჩრდილო-აღმოსავლეთით გადმოსახლებულიყო, მუშქთა ძირითადი მასა სამშობლოში დარჩა და სწორედ მათ შთამომავლებს ეწოდათ შემდეგ კაპადოკიელები.

კაპადოკიელთა ქვეყანა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილს მოიცავდა. მისი ტერიტორია დასავლეთით მდ. პალისამდე (ახლანდ. ყიზილ-ირმაქი), სამხრეთით ტავრის მთებამდე, ჩრდილოეთით შავ ზღვამდე, აღმოსავლეთით კი ტიგროსისა და ევფრატის სათავეებამდე ვრცელდებოდა (147:38, შენ. 2).

ძვ.წ. 546 წელს მცირე აზია აქემენიანთა სპარსეთმა დაიპყრო და მცირე აზიის ზემოთ დასახლებულმა ნაწილმა სახელი კაპადოკია სპარსელებისაგან მიიღო. კაპადოკია სპარსულად “ლამაზი ცხენების ქვეყანას” ნიშნავს და პირველად აქემენიანი მეფის დარიოს I-ის (ძვ.წ. 522-486 წწ.) ბრძანებით ამოკვეთილ ბეჰისტუნის წარწერაში იხსენიება. კაპადოკია ჯერ ფრიგიის სატრაპიაში შედიოდა, უფრო გვიან კაპადოკია ორ სატრაპიად გაიყო. დიდი კაპადოკია-მცირე აზიის შიდა რაიონებს (მისი დედაქალაქი იყო მაზაკა, შემდეგი დროის-კესარია), მცირე კი - ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავდა. შემდეგში სახელი კაპადოკია მხოლოდ შიდა კაპადოკიას შემორჩა.

ძველი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი (დაახლ. ახ.წ. 37 - დაახლ. 100) წერს, რომ “მოსოხენები დაფუძნებულნი არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ”. მისივე ცნობით, ამ ხალხს “მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ; რამეთუ მათ აქეთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელ ყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს” (56:271). კაპადოკიელებს მესხებად თვლიდა ადრექრისტიანული ეკლესიის ცნობილი მოღვაწე ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი (დაახლ. 280-360 წწ.) . “ოსოხი, - წერს იგი, - რომლისგანაც არიან მესხენები, დღევანდელი კაპადოკიელები” (47:35).

“მოსოხი” კაპადოკიელს ნიშნავს IV ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოდორიტე კვირელისთვისაც (52:221-233). კაპადოკიის მოსახლეობის მესხურ ეთნოსზე მიუთითებდა X ს-ში ბიზანტიელი ისტორიკოსი, იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი (65:299). XI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის ლეონ გრამატიკოსის ცნობით, “მესხოსაგან [ მომდინარეობს ] მესხები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდებათ” (68:4).

როგორც ვხედავთ, ძველ ავტორებს ეჭვი არ ეპარებათ კაპადოკიელები ბიბლიური მუშქების (მოსოხების) შთამომავლები რომ

არიან. ეს აზრი დომინირებს რომაულ და ბიზანტიურ ლიტერატურაში პირველი საუკუნიდან მოკიდებული XI ს. ჩათვლით<sup>5</sup>.

კაპადოკიის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ რა აზრისანი იყვნენ გვიანი შუასაუკუნეების ქართველები, არ ვიცი, XIX ს. ქართველ მოღვაწეთა უმრავლესობას კი კაპადოკიის მოსახლეობის ქართველურ წარმომავლობაში ეჭვი არ ეპარებოდა. პროფესორმა დ.ჩუბინაშვილმა ნაშრომში “ეტიმოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის მკვიდრთა მოსახლეთა”, ძველი კაპადოკიის ტერიტორიაზე მის დრომდე შემონახული არაერთი ქართველური წარმომავლობის ტოპონიმი დაასახელა (იხ. 128). პროფესორ ალ. ხახანაშვილის მტკიცებით, ქართველი ტომები მდ. ჰალისამდე ცხოვრობდნენ. ჰალისი კაპადოკიის დასავლეთი სანაპირო იყო (219:6). ისტორიკოსი ივ. გვარამაძე ნეოკესარიის მახლობლად ასახელებს ქართულ ტოპონიმებს (19:125). კაპადოკია, ანუ ჭანეთი, – წერდა მღვდელი პ.კარბელაშვილი, – დღესაც სავსეა ეტიმოგრაფიულის და გეოგრაფიულის სახელებით, რომელნიც წმინდა ქართულნი არიან (59:26, შენ. 34). კაპადოკიის მოსახლეობას ქართულად თვლიდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი (გარდ. 1918 წ.) მისი სიტყვით, ეს სახელოვანი ქვეყანა ქართველი ტომებით იყო დასახლებული<sup>6</sup> (178:9).

რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დღიურში კაპადოკიელი მამების (ბისილი დიდის, გრიგოლ ნოსელისა და გრიგოლ ნაზიანზელის) ქართველური წარმომავლობისა და კაპადოკიის მოსახლეობის ქართველობის საკითხს შეეხო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაიაც (გარდ. 1927 წ.). მას მეტად საინტერესო მასალა მოაქვს ზემოდასახელებული სამი დიდი კაპადოკიელის ქართული წარმომავლობის საჩვენებლად<sup>7</sup>.

---

<sup>5</sup> ნ.ხაზარაძის დასკვნით, იოსებ ფლავიოსი (ფლავიუსი) და მისი მიმდევრები მნიშვნელოვნად აზუსტებენ ბიბლიური მოსოხ-მეშეხის განსახლების ტერიტორიას, როდესაც მოსოხებს, კაპადოკიას უკავშირებენ. ფლავიოსის კონცეფციას კაპადოკიის ტერიტორიაზე ბიბლიური მოსოხ-მეშეხის ლოკალიზაციის შესახებ სავსებით რეალური საფუძველი ეძებება (148:11-12).

<sup>6</sup> ბერძნები, – წერს კირიონი, – მისიონერულ მოღვაწეობაში დიდ გულმოდგინებას არ იჩენდნენ. ამ მხრივ კაპადოკიელები იყვნენ ცნობილი. კაპადოკიელებმა, – დასძენს იგი, – საქართველოს გარდა ქრისტიანობა გააერცვლეს ოსტგოთებში, ვესტგოთებში, ყირიმში (178:9).

<sup>7</sup> ამბროსი ხელაიას შესახებ მასალა მომწოდა პროფესორმა მიხეილ ქავთარიამ.

რაც შეეხება უცხოელ მეცნიერებს. მათი ერთი ნაწილი (პ.ვინკლერი, ა.გეტცე და სხვანი) მუშქებს ფრიგიელებთან აიგივებდა. ამ ბოლო ხანებში შექმნილ ახალ გამოკვლევებში მუშქები ძირითადად ქართველური წარმომავლობისად არიან მიჩნეულნი. აკად. გ.მელიქიშვილის თანახმად, “მუშქები იგივე მესხებია” (87:138). ქართული ეთნიკური ტერმინის “მესხ”-ისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში პროფ. კ.წერეთელი წერს: ფრ. დელიჩს ბიბლიის ტექსტში მოხსენიებული მეშქი, თუბალი და ბერძნული წყაროების მოსოხინები და ტიბარენები, რომელთაც ჰეროდოტე ( III , 94; VII, 78) დარიოსის XIX სატრაპიაში შემავალ ტომებად ასახელებს, ერთ და იმავე ხალხად მიაჩნდა. დელიჩისავე შენიშვნით, — დასძენს კ.წერეთელი ძველი მეშქი იგივე მუშქია, რომლებიც ტიგლათფილესერ I-ის წარწერებში იხსენიება პირველად 1100 წელს ჩვენს ერამდე (144:112).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა. მითითებული, რომ სწორედ ქართული “მესხ” ფორმა უნდა დადებოდა საფუძვლად ებრაული “ბიბლიის” “მეშქი”-სა და ბერძნულ-რომაული წყაროების “მესხი”-ს, რომ ასურულ მუშქაკუ-სა და ებრაულ მეშქი-ის ერთიმეორესთან დაკავშირება შეუძლებელია ქართული ეთნო-ტოპონიმიკის მონაცემების გათვალისწინების გარეშე (144:133).

კაპადოკიელ მუშქებს მესხებთან აიგივებენ: პ.გელცერი, კ.ბიტელი, რ.ლენჰარდი, მ.მაქსიმოვა, გ.გოზალიშვილი, ლ.სანიკიძე, ნ.ლომოური, ე.ხინთიბიძე და სხვანი. ამ პრობლემას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა და ახალ მასალათა გათვალისწინებით დადებითად გადაწყვიტა პროფესორმა ნ. ხაზარაძემ<sup>8</sup> (150:194).

კაპადოკიის შესახებ ძველ ავტორთა ცნობების გაანალიზების შემდეგ პროფ. გ.გოზალიშვილმა დაასკვნა: კაპადოკიის ტერიტორიაზე ახ.წ. IV საუკუნეში ჯერ კიდევ მოსახლეობდნენ მესხები, რომლებიც კაპადოკიელებად იწოდებოდნენ (26:165). ამავე დასკვნამდე მივიდა პროფ. ე.ხინთიბიძე. ბიზანტიური ისტორიოგრაფიისთვის, — წერს იგი, — კაპადოკია ეთნიკური ტერმინია და კაპადოკიელი არის იგივე მესხი (152:233).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სომეხი ისტორიკოსის ნ.ადონცის შრომაზე (169:3) დაყრდნობით, კ.კეკელიძის მტკიცება,

<sup>8</sup> ი.დიაკონოვის თანახმად, მუშქები პროტოსომხური ინდოევროპული ენის მატარებელი ხალხი იყო (183:46 და შემდეგი). ასეთი მოსაზრების უსაფუძვლობა კარგად აჩვენა პროფესორმა ნ.ხაზარაძემ (იხ.150). ზოგი რუსი ჟურნალისტი — მკვლევარის მტკიცებით, სლავებმა დაარსეს თბილისი. დას. საქართველოში გორდი, ძველ ფრიგიაში ქ.გორდიონი და სხვა (215:328; 94ა).



თითქოს წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლის დროისათვის კაპადოკიაში ქართული ელემენტი აღარ არსებობდა, გადასინჯვას მოითხოვს. მართალია, კაპადოკია ის ქვეყანა იყო, სადაც ცივილიზაცია შორეულ წარსულში აღმოცენდა, ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში კაპადოკიის ტერიტორიაზე მრავლად იყო სირიული კოლონიები, მაგრამ ზეთების იმპერიის ამ ძირითადი ოლქის მოსახლეობამ, თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო (იგი მთებით იყო გამოყოფილი როგორც შავი ზღვიდან, ისე მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროდან) ნაკლებად განიცადა როგორც ხეთიზაცია, ისე ელინიზაცია. ჩრდილოეთში ქ.სატალა სამხრეთში კი მელიტენა შიდა კაპადოკიას მოუხერხებელი გზებით წინა აზიასთან (საიდანაც კაპადოკიაში არამეული კულტურა გავრცელდა) აკავშირებდა. ახ.წ. 17 წლიდან კაპადოკია რომის პროვინცია გახდა (ბოლო მეფეს ერქვა არქელაოსი, რომლის ადგილობრივი სახელი იყო სისინი), მაგრამ ლათინურმა და ბერძნულმა ენებმა მხოლოდ ქალაქებში მოიკიდა ფეხი და იქაც იმ წრის სალაპარაკო ენას წარმოადგენდა, რომელთაც რომაელებთან უხდებოდა ურთიერთობა (211:117). კაპადოკიის მოსახლეობა, ასევე ძირითადად ძველი უნდა დარჩენილიყო V საუკუნისათვის (იხ.ქვემოთ). რაც შეეხება პონტოს კაპადოკიის ძველ მოსახლეობას (ხალიბები, მარები, მოსინიკები და სხვანი) მათმა შთამომავლებმა (ლაზ-ჭანებმა) თავიანთი მეობა და ენა, ცოდნა ქართველური წარმომავლობის შესახებ დღემდე შემოინახეს. ამ მხრივ საინტერესოა ერთი გადმოცემა, რომელიც ნ.მარმა ლაზეთში მოგზაურობისას ათინელი ლაზის – ფავზი ბეისაგან ჩაიწერა. ფავზი ბეის ცნობით, კონსტანტინოპოლში (იგულისხმება სტამბული. ვ.გ.) ლაზებს უწოდებენ შავი ზღვის სანაპიროს ყველა მცხოვრებს თურქეთის ტერიტორიაზე, თვით სამსუნელებსა და სინოპელებსაც კი, სინოპელები ლაზებს უწოდებენ სამსუნელებს, სამსუნელები – ტრაპიზონელებს, ტრაპიზონელები რიზელებს, ხოლო რიზელები ჩვენს მხარეს და მხოლოდ ეს უკანასკნელნი ამბობენ მართალს. ჩვენ ახლა რიზელებს აღარ ვუწოდებთ ლაზებს (197:608). ფავზი ბეისავე თანახმად, გიუმიშხანელები<sup>10</sup> ლაზებს ეძახიან ერზერუმელებს, ხოლო

<sup>9</sup> ფლავიუს არიანემ (იგი კაპადოკიას განაგებდა 131-137 წლებში) ტრაპიზონში ნახა ბერძნული წარწერა შეცდომებით შესრულებული (114:551).

<sup>10</sup> XVIII ს. შუაწლებში ტიმოთე გაბაშვილმა გიუმიშხანეში დაადასტურა არა მარტო ქართული ეკლესიების არსებობა, არამედ მოსახლეობაში ხსოვნა, რომ ეს მხარე ადრე საქართველოდ ითვლებოდა (17:98). გიუმიშხანეს ძველი ქართული სახელი ჩითაზი იყო.

ერზერუმელები ლაზებს უწოდებენ როგორც გიუმშიშხანელებს, ისე ზღვისპირა ყველა მცხოვრებს (197:608).

როგორც ვხედავთ, თვით ლაზეთში შემონახული ტრადიციით სინოპიდან (პონტოს სამეფოს ყოფილი დედაქალაქიდან) ერზერუმამდე (ქართული წყაროების კარნუ ქალაქი, ახლანდ. ქ.ერზერუმი თურქეთში) ქართველური მოსახლეობა იყო.

რომის პროვინციად გადაქცეულმა კაპადოკიამ, როგორც ზემოთ ითქვა, ზედაპირული რომანიზაცია განიცადა. ამიტომ, გვიან ხანამდე, ხალხი თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა (174:63). ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ახ.წ. IV-V საუკუნეებში კაპადოკიის ძირძველ მოსახლეობას მშობლიური ენა რომ უნდა სცოდნოდა.

ასე რომ, ბიბლიურ მუშქებს (რომელთა ნაწილის გამოჩენა მდ. ეფრატის მარცხენა მხარეზე ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის — 1115-1070, დროინდელ დოკუმენტებშია დაფიქსირებული) მდ. ჰალისიდან აღმოსავლეთით ვრცელი ტერიტორია ეკავათ. ძვ.წ. VI ს-დან კაპადოკიელებად წოდებულნი, დიდხანს ინარჩუნებდნენ ეროვნულ თვითშეგნებასა და ენას (კაპადოკიელთა შესახებ იხ. აგრეთვე, ქვემოთ თავი VII).

ეს, რაც შეეხება ძველადმოსავლური ხანის მცირე აზიის ძველქართველურ სამყაროს. ახლა ვნახოთ, ჩრდილოეთი შუამდინარეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიების შესახებ რა მასალები გვაქვს ძველ წყაროებში.

### § 3. ჩრდილოეთი შუამდინარეთის ქართველური სამყარო

იმ ვრცელი ტერიტორიების შესახებ, რომელნიც, თითქოს მირიანმა მემკვიდრეობით მიიღო ირანის შაჰისაგან, ჯუანშერთან არაფერია ნათქვამი. მისი სიტყვით, ქართლის მეფისა და მისი წინაპრებისათვის მხოლოდ “ჯაზირისა ნახევარი” (ე.ი. შუამდინარეთის ნახევარი. ცხადია, აქ ჩრდ. შუამდინარეთი იგულისხმება) იყო “განწესებული”.

ლეონტისა და ჯუანშერის ცნობათა სახით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აშკარაა ორ, სრულიად განსხვავებულ მითითებასთან გვაქვს საქმე. ვფიქრობ, თუ ლეონტის ცნობათა ჩემეული ინტერპრეტაცია მისაღებია და ჯაზირეთი, შამის ნახევარი, აღარბადაგანი, მართლაც, ქართლში მოსამსახურე ირანელმა უფლისწულმა — პაპაკ პიტიახშმა 293 წელს ირანის ტახტზე ასული შაჰინ-შაჰ ნარსესაგან მიიღო, მისთვის ირანის ტახტზე ასვლისას გაწეული დახმარების სანაცვლოდ

(29: 119-122), მაშინ ჯუანშერის ცნობა შუამდინარეთის ნახევარი რომ ქართველებს ეკუთვნოდა, დამოუკიდებელი შინაარსისაა და იგი ცალკე ახსნას მოითხოვს.

ჯუანშერს, როგორც ვახტანგ გორგასლის თანამედროვე მოღვაწეს (ამ საკითხზე იხ. 30), რა თქმა უნდა, კარგად ეცოდინებოდა, მის თანადროულ ჩრდილოეთ შუამდინარეთში არსებული ეთნიკური ვითარება. ქართლის სამეფოში არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლების არეალი ჩრდ. შუამდინარეთის გარკვეულ რაიონებს რომ მოიცავდა. სხვა მხრივ, გამორიცხულია, ჯუანშერს ქ.ურჰაში (ქ.ედესა) ვახტანგის დედის – საგდუხტ დედოფლისა და ვახტანგის დის – ხუარანძეს რეაწლიანი ყოფნის ფაქტი შეეთხზა. ამის არავითარი საჭიროება არ იყო. მის თხზულებაში ასეთი ცნობის არსებობა გვიბიძგებს შუამდინარეთის (ჯიზირეთის) ნახევარზე ქართლის მეფეებს რომ პრეტენზიები ჰქონდათ, ისტორიული რეალობის ანარეკლი დავინახოთ.

ცნობას, ჩემი ვარაუდით, უძველესი დროიდან მომავალი და V ს-ში ჯუანშერის თანადროულ ქართლში, ჯერ კიდევ არსებული, ის საისტორიო ტრადიცია უნდა დადებოდა საფუძვლად, რომელიც ჩრდ. შუამდინარეთსა და მის მიმდებარე რაიონებში ქართველთა და მათი მონათესავე ტომების განსახლების ფაქტს ემყარებოდა.

რა საფუძველი ჰქონდა ჯუანშერს, როცა შუამდინარეთის ნახევარს ქართველთა საკუთრებად, უფრო სწორად, ქართველთა, ან მათი მონათესავე ხალხების საცხოვრებელ ადგილად აცხადებდა?

ჩვენს მეცნიერებაში მიღებული დასკვნებით, უძველეს დროში ქართველთა, ან მათთან ნათესაურ დამოკიდებულებაში მყოფი მოსახლეობა იყო არა მარტო მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში – მდ.ჰალასის (ახლანდ. ყიზილ-ირმაქი, თურქეთში) აღმოსავლეთით, არამედ ვრცელ ტერიტორიებზე მდ.ევფრატისა და ტიგროსის სათავეების ჩათვლით. ქართველი ტომები, – წერს აკად. გ.მელიქიშვილი, – ეთნიკურად (ენით, კულტურით, ანთროპოლოგიური ტიპით) მჭიდროდ უკავშირდებიან უძველესი ხანების მესოპოტამიას, მცირე აზიისა და ირანის მოსახლეობას – ზაგროსის მთიანეთში<sup>11</sup> (87:9; 89:11).

ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულების ძველ-აღმოსავლურ წერილობით წყაროებში, ჩრდ. შუამდინარეთის

<sup>11</sup> ზაგროსის მთიანეთი მდებარეობს ირანის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთით და შუამდინარეთის ჩრდ.-აღმოსავლეთით. იგი იწყება ურმიის ტბის სამხრეთი მდ. მცირე ზაბის სათავეებთან და მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით (151:374).

ტერიტორია (მდინარეების ბალიხის, ხაბურისა და ტიგროსის ზემო დინება) “სუბართუს” სახელით აღინიშნებოდა. ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნიკური ერთეულის – ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომების ძირითად საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში აქ ჩამოყალიბდა ხურის ტომების მძლავრი გაერთიანება – მითანის სამეფო (24:183). ამ ტერიტორიაზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალა, ძალზე ახლოს დგას ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული “მტკვარ-არაქსის” კულტურასთან<sup>12</sup> (24: 184-185).

ასე რომ, ვანის ტბის ირგვლივ მდებარე ტერიტორია, სადაც, მეცნიერთა მტკიცებით ხურის ენაზე მოლაპარაკე ხალხი სახლობდა (გავიხსენოთ ვანის ტბის დასავლეთით მდებარე მუშქთა ქვეშევრდომობაში მოხვედრილი ალზი), გარდა იმისა, რომ უშუალოდ ემეზობლებოდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ პროვინციებს, მტკვარ-არაქსის კულტურის მსგავსება ხურის ტომების ძირითადი განახლების რაიონებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ კულტურასთან, ხურის ენის სიახლოვე იბერიულ-კავკასიური ოჯახის ენებთან, გარკვეულ საფუძველს იძლევა, ხურიული და იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს შორის არსებულ კავშირებზე ვიფიქროთ. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, უძველეს ხანაში ქართველების მონათესავე ხალხების ასე ვრცელ ტერიტორიაზე განსახლების

---

<sup>12</sup> რ.გორდენიანის თანახმად, “წინაბერძნულში, წინაიტალიურში და ბასკურში აშკარად შეიძლება გამოიყოს საკუთრივ ქართველური შრე, რომლის გაჩენა სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის ქართველური მიგრაციებით უნდა იყოს გამოწვეული” (41:10). ქართველ ტომთა ასეთი მოძრაობა თუ მართლაც მოხდა, მაშინ, როგორც გ.მელიქიშვილი წერს, (იხ. ქვემოთ) ქართველი ტომები შეიძლება ჩრდ. შუამდინარეთშიც შესულიყვნენ.

გ.მელიქიშვილის სიტყვით ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მაინც, ამიერკავკასიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძირითადად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც შემდეგში (85:103). აკად. ბ.კუფტინი ქართველთა ავტოქტონობასთან ერთად, მართალია, ქართული კულტურის ავტოქტონობასაც ამტკიცებდა (194:408) მაგრამ, არ უარყოფდა, სამხრეთ კავკასიის ტერიტორია ძველთაგანვე რომ წარმოადგენდა წინააზიური კულტურული სამყაროს ნაწილს. კულტურულ-ისტორიული და ენობრივ-ეთნიკური სუბსტრატები აქაც და იქაც ერთი და იგივე რომ იყო (194:400).

პარალელურად, დღევანდელი საქართველო ის რეგიონია, სადაც მოხდა ანთროპოგენეზი, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველთა უშუალო წინაპრები უხსოვარი დროიდან მოსახლეობდნენ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, თავისი საკუთარი ინდივიდუალური “ქართველური” ენით (87:10). ხოლო ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ერთნაირი არქეოლოგიური კულტურის მატარებელი ხალხის (გამორიცხული არაა ისინი მონათესავე ეთნიკური ერთეულების წარმომადგენლები ყოფილიყვნენ) შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ ახ.წ. IV-VI ს-ებში ჩრდ. შუამდინარეთში არსებული ქართული, ან ქართველური მოსახლეობა. რის ჩვენებასაც ქვემოთ შევეცდები.

\* \* \*

აკად. ივ ჯავახიშვილს, როგორც ითქვა, “ყველა ქართველი ტომების სამშობლოდ ქალდეა (ურარტუს ტერიტორია) მიაჩნდა. მისი თვალსაზრისით, კავკასიაში ქართველები იქიდან უნდა მოსულიყვნენ. “ქართლი” და ქართველთა სამეფო მაშინ, – წერდა იგი “ქართველი ერის ისტორიის” 1908 და 1913 წლების გამოცემებში, – მემატთანეს აზრით კავკასიაში კი არ იყო, არამედ სამხრეთით” (გვ. 79 და გვ. 68).

აკად. ს.ჯანაშიას კონცეფციით, “ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდნენ. უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ” იბერიული გვარტომობის მონათესავე ხალხებს ვრცელი მიწა-წყალი სჭერიათ წინა აზიასა და სამხრეთ ევროპაში” (16:19. შდრ. 41). შემდეგში, ამ ხალხების განსახლების არეალი თანდათან იზღუდებოდა. ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიაში ქართველთა მონათესავე ხალხებიდან ცნობილნი იყვნენ იბერ-სუბარები. რომელნიც სახლობდნენ ჩრდ. შუამდინარეთიდან მოყოლებული კავკასიამდე (16:20). მას შემდეგ, რაც ძვ. წ. XIII ს. დამლევს, – წერს ს.ჯანაშია, – აღმოსავლეთში დიდი ცვლილებები მოხდა, სუბარების მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროებად დაიქსაქსა (16:22).

ს.ჯანაშიას მიერ ქართველთა წინაპრად მიჩნეული იბერ-სუბარების განსახლების არეალი რადგან მოიცავდა ტერიტორიას ჩრდ. შუამდინარეთიდან კავკასიის მთებამდე, იგულისხმებოდა, რომ დასახელებულ რეგიონში ქართველთა მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ. ამიტომ ქართველთა წინაპრების სამხრეთიდან მოსვლას აზრი დაეკარგა. რითაც ფაქტობრივად მოიხსნა თვალსაზრისი სამხრეთიდან ქართველთა გადმოსახლების შესახებ.

უფრო გვიან, ს.ჯანაშიას მიერ ქართველთა მონათესავე და წინაპრად მიჩნეული სუბარების საცხოვრისი – ბაბილონის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელი მხარე – “სუბართუ” “გეოგრაფიულ ცნებად” გამოცხადდა. მითითებული იქნა იმაზეც, რომ ლურსმულ წარწერებში “სუბართუ” “ჩრდილოეთის” აღმნიშვნელადაც იხმარება და ძველ-აღმოსავლური წყაროების მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულში სუბართუ ძირითადად ხურიტებით დასახლებული ტერიტორია იყო (177<sup>6</sup>:113; შდრ. 87, 213<sup>4</sup>). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩრდ. შუამდინარეთში მცხოვრები, ქართველთა წინაპრებად მიჩნეული სუბარები (მ.შ. კარდუხები) ხურიტები გამოდიან. მიუხედავად ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიას ინტერესი ჩრდ. შუამდინარეთისადმი არ დაუკარგია. გ.მელიქიშვილის თანახმად, ძველ-აღმოსავლურ ხანაში ქართველ ტომთა ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო სამხრეთ ამიერკავკასია და ვრცელი ტერიტორია, რომელიც მას სამხრეთიდან ეკვრის, ე.წ. ნაირი-ურარტუ. აგრეთვე მისი მეზობელი რაიონები. სადაც ანტიკურ ხანაში ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით თავს იჩენს კარდუხ-გორდიების ტომები, შესაძლებელია აგრეთვე ქართველი ტომები (87: 50-51).ძველ-აღმოსავლურ ხანაში ამიერკავკასიის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით, როცა ქართველთა მონათესავე ტომების განსახლების შესახებაა საუბარი, ჩვენს წინაშე უპირველეს ყოვლისა მუშქებისა და თაბალების საკითხი დგება. მათი საცხოვრისი ძველებრავლთა თვალთახედვის არეალში რომ არ ყოფილიყო და იმხანად, მათ როგორც ივ.ჯავახიშვილი წერს, “ძლიერი ტომების” სახელი არ ჰქონებოდათ, “ბიბლიაში” არ აისახებოდნენ. ჩრდ. შუამდინარეთში ქართველი ტომების არსებობა გ.მელიქიშვილმა, მართალია, ნაწილობრივ მათი ჩრდილოეთიდან გადასახლების შედეგად მიიჩნია (87: 50-51), მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. სუბართუს ტერიტორიაზე – ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, როგორც ითქვა, მართლაც ჩანან კარდუხები და სხვა ქართველური მოდემის ტომები. ამიტომ ისმება კითხვა. ვინ იყვნენ მათი წინაპრები – ხურიტები, ამიერკავკასიიდან სამხრეთში გაჭრილი ქართველური მოდემის ტომები, თუ იქ აღრიდანვე მცხოვრები ქართველთა მონათესავე ხალხის (როგორც ს.ჯანაშია წერდა) სუბარების შთამომავლები?

უძველესი დროიდანვე ჩრდ. შუამდინარეთში სხვადასხვა ხალხების შესვლა ხდებოდა. ძვ. წ. XII ს-ში მცირე აზიიდან მდ. ეფრატის გადამა, როგორც ითქვა, ქართველთა ერთ-ერთ წინაპრად მიჩნეული მუშქები შევიდნენ. ისინი იყვნენ “აღმოსავლეთის მუშქები”.

მათი განსახლების ძირითადი ცენტრი მდ. არცანიას (მურად-სუ) სამხრეთით მდებარე ალზის სამეფო იყო.

მუშქებზე ადრე ჩრდ. შუამდინარეთში სემიტური მოდგმის არამელებმა დაიწყეს დასახლება და ითვლება, რომ ძვ. წ. I ათასწლეულიდან მოკიდებული, ამ მხარეში არაბთა გაბატონებამდე, ჩრდ. შუამდინარეთის მოსახლეობა არამული იყო. ასე რომ, იქ მცხოვრებ ქართველთა მონათესავე ხალხებს (კარდუხებსა და სხვათაც) საუკუნეთა მანძილზე ხურიტულ და არამეულ გარემოში უხდებოდათ არსებობა და, ცხადია, ამ ხალხთა გავლენაც განიცადეს. მიუხედავად ამისა, კარდუხები არა მარტო ძვ. წ. V ს. დამლევისას (ამ დროს იხსენიებს მათ ქსენოფონტე), პლუტარქეს (გარდ. ახ.წ. 125\127 წ.) დროისთვისაც (კარდუხთა შთამომავლები უკვე გორდიებად იწოდებოდნენ. 214: 692-693) ეთნიკურად და კულტურულად გამორჩეული ხალხი იყო.

მართალია, სუბართა საცხოვრისი – “სუბართუ” გეოგრაფიულ ცნებად გამოცხადდა, მაგრამ, ამ საკითხზე მეცნიერებაში ერთი აზრი არაა. ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ძველადმოსავლურ ენათა ცნობილი მკვლევრის ი. დიაკონოვის თანახმად, ხურიტები სომხეთის მთიანეთის, ჩრდილოეთი სირიისა და ჩრდილოეთი შუამდინარეთის, ასევე ზაგროსის მთიანეთის ავტოქტონი მოსახლეობა იყო. ზოგის აზრით, ხურიტები ზემოდასახელებულ ადგილებში შევიდნენ ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის დამდეგს ჩრდილოეთიდან – სომხეთის მთიანეთიდან, ამიერკავკასიიდან ან კავკასიიდან. არ არის ერთი აზრი, თუ რომელი მოსახლეობა უსწრებდა წინ ხურიტებს დასახელებულ ტერიტორიებზე. ერთნი თვლიან, რომ უკვე ძვ.წ. V-IV ათასწლეულში სირიასა და ჩრდ. შუამდინარეთში სემიტები ცხოვრობდნენ. ან სემიტები იქ ხურიტებთან ერთად გამოჩნდნენ. ასევე, თუ ზოგი თვლის, რომ ხურიტებს წინ უსწრებდა არასემიტური მოდგმის სუბარების ტომები, სხვანი თვლიან, რომ აქადური subari um, Subaru წარმომდგარია ტოპონიმიკური ტერმინიდან Subartum, Subartu, შუმერული Su-bir, სადაც შეიძლება bir ნიშნავდეს ველს. აღნიშნულთან ერთად, – დასძენს იგი, – ტერმინი “სუბარეი” განიხილება როგორც სიტყვა “ხურიტის” სინონიმი. ტერმინი “სუბარეი” გვხვდება უფრო მეტად აქადურ, ხოლო “ხურიტი” – ხურიტულ, აქადურენოვან, ხეთურ და ძველებრაულ ტექსტებში (177<sup>6</sup>:113).

ამრიგად, გამოდის, რომ ძვ.წ. II ათასწლეულიდან ხურიტები ჩრდ. შუამდინარეთის ძირითადი მოსახლეობა იყო. აღნიშნულთან

ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ურარტუც ხურიტულენოვან ქვეყანას წარმოადგენდა (ურარტული და ხურიტული ენები ძალიან ახლო ნათესაობას ამჟღავნებენ. 177<sup>6</sup> : 113; 87). ი. დიაკონოვი თვლის, რომ ძვ. წ. IX ს-დან სომხეთის მთიანეთში ურარტუს სახელმწიფოს წარმოქმნამ გამოიწვია ერთიანი ხურიტულენოვანი მოსახლეობის გახლეჩა ცალკეულ არეალებად, და ონომასტიკური მასალების საფუძველზე ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგისათვის ხურიტული მოსახლეობა შეიძლება ვივარაუდოთ ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორებიც იყვნენ: გუზანა (თანამედროვე ტელ-ჰალაფი ჩრდ. შუამდინარეთში. ასურეთმა დაიპყრო ძვ.წ. IX ს-ში), ხუბუშქია – ბუფერული ქვეყანა ასირიასა და ურარტუს შორის მდ. ბოხტან-სუს ველზე და შუბრია (შუპრია) სასუნის მთებში. დასახელებული ქვეყნებიდან, – დასძენს ი.დიაკონოვი, – ორ უკანასკნელს ჰყავდათ ხურიტული სახელების მატარებელი დინასტიები (177<sup>6</sup>:116).

ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ხუბუშქიას მოსახლეობას გ.მელიქიშვილიც ხური-ურარტული ტომების ერთ-ერთ მძლავრ გაერთიანებად მიიჩნევს (87:46). როგორც იგი წერს, ხუბუშქია ხშირად იხსენიება ასურეთის მეფის სალმანასარ III (860-825) წარწერებში (87:44). თავისი მეფობის დასაწყისში მას სასტიკი ბრძოლა ჰქონია ხუბუშქიას მეფე კაკიასთან, მეფობის მესამე წელს კი აუღია ერთ-ერთი სიმაგრე შილაია (87:45). სალმანასარ III კაკიას “ნაირის ქვეყნის მეფეს”, ხუბუშქიას სამეფოს ტერიტორიას კი “ნაირის ქვეყანას” უწოდებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, – დასძენს გ.მელიქიშვილი, – ხუბუშქიას სამეფო ნაირის მთელ ტერიტორიას მოიცავდა, “ნაირი” ასურელებისათვის ვანის ტბის ირგვლივ მდებარე ვრცელი ტერიტორიის ზოგად სახელს წარმოადგენდა და სალმანასარ III-ის მიერ ხუბუშქიას მეფისათვის “ნაირის მეფის” სახელწოდების მიკუთვნება, იმას მოწმობს, კაკიას სახით ძლიერ ხელისუფალთან – საკმაოდ მსხვილ ერთეულის მეთაურთან რომ გვაქვს საქმე (87:45).

ძვ.წ. IX საუკუნისათვის, როგორც ჩანს, ხუბუშქიას სამეფო არა მარტო მდ. ბოხტან-სუს აუზს, არამედ ამ მდინარის სამხრეთით ნაირის ქვეყნის საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა (სადაც ძვ.წ. V ს-ში ქსენოფონტეს ცნობით კარლუხები ცხოვრობდნენ). ამიტომ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ჩრდ. შუამდინარეთის მოსახლეობის ერთიანად ხურიტებისადმი მიკუთვნების შესახებ, გადასინჯვას მოითხოვს. ი. დიაკონოვის მიერ ჩრდ. შუამდინარეთში დასახელებული ხურიტულენოვანი ქვეყნებიდან გუზანას არქეოლოგიური კულტურა მსგავსებას იჩენს ამიერკავკასიის ძეგლებთან. რაც შეეხება ხუბუშქიასი და შუბრიას მოსახლეობის



ეთნიკურ კუთვნილებას: ი.ღიაკონოვის თანახმად, რადგან პეროდოტესთან დასახელებული ალაროდოციელები ურარტუს შეესაბამებიან, ხოლო მათიენები ხურიტებს გარდა არ შეიძლება სხვა ვინმე იყოს, ჩანს, სომხეთის მთიანეთის ცალკეულ რაიონებში ხურიტებმა თავი შემოინახეს არა თუ ძვ.წ. VI-V ს-ებში, შეიძლება უფრო გვიანაც (177<sup>6</sup>:117). ცხადია, ძველი მოსახლეობით განაგრძობდა არსებობას ხუბუშქიას სახელმწიფო საკუთარი დინასტიით. მეორე მხრივ, ბოხტან-სუ (ახლანდ. ბატმანი), რადგან ძველი კენტრიტია, რომლის სამხრეთით კარდუხები ცხოვრობდნენ (იხ. ქვემოთ), საეჭვო არაა კარდუხები ხუბუშქიას სამეფოს (ნაირის ქვეყნის) ძველი მოსახლეობა რომ იყო. ქსენოფონტეს ცნობებიდან გამომდინარე, კარდუხების საცხოვრებელი ადგილი საკმაოდ ზუსტად განისაზღვრება. მდ. კენტრიტის სამხრეთით მათი ქვეყანა დაახლ. 210\250 კმ. ვრცელდებოდა (ქსენოფონტეს ცნობით, კარდუხების ქვეყნის გავლას ბერძნებმა 7 დღე მოანდომეს. 190: 107. მდ. კენტრიტის ჩრდილოეთით კარდუხების მიწები უკვე სომხებს ჰქონდათ დაკავებული. რის გამოც კარდუხებსა და სომხებს შორის მტრული დამოკიდებულება იყო. 190:107).

ბ.პროზნის თანახმად, კარდუხების ქვეყანა ძველი მითანის სახელმწიფოს ცენტრს წარმოადგენდა. სელევკიდების დროს მას ახალი სახელი მიგდონია ეწოდა (175<sup>2</sup>:30). ანტიკურ ხანაში მიგდონიის ჩრდილოეთით მდ. კენტრიტამდე არსებული ტერიტორია გორდიენედ იწოდებოდა. სტრაბონის დროს გორდიებად წოდებულ კარდუხთა შთამომავლებს, - წერს მ.მაქსიმოვა, - ჰქონდათ კარგად გამაგრებული ქალაქები და განთქმულნი იყვნენ როგორც კარგი მშენებლები, სააღყო იარაღის დახელოვნებული ოსტატები (190:270, შენ. 3). კარდუხების ქვეყნის ნაწილმა სახელი მიგდონია მაკედონიიდან გადასახლებული მიგდონების სახელისაგან მიიღო (214: 692-693).

ასე რომ, გ. მელიქიშვილის, ი.ღიაკონოვის და სხვათა მიერ ხურიტულენოვან სახელმწიფოდ მიჩნეული ხუბუშქია იგივე კარდუხთა ქვეყანაა. ის ქვეყანა, რომლის მოსახლეობას მკვლევართა დიდი ნაწილი (მ.შ.გ.მელიქიშვილი) ქართველთა მონათესავედ მიიჩნევს (იხ. ქვემოთ).

როგორც ბ. პროზნი წერს, კარდუხების განსახლების არეალი ძველად თუ ქ.ურფას (ურპას) რაიონს (ოსროენა) მოიცავდა (175<sup>2</sup>: 30), მაშინ შემთხვევითი არ ყოფილა, ძველ ქართველთა დაინტერესება ჩრდ. შუამდინარეთით და კერძოდ, მისი მთავარი ქალაქით ურპათი (იხ. ქვემოთ). მაგრამ, სანამ ამ საკითხზე ვისაუბრებ, მინდა შუბრიას მოსახლეობის საკითხსაც შევეხო.

როგორც ითქვა, ხუბუშქიას მსგავსად სომხეთის მთიანეთში (სასუნის მთების მასივში) მდებარე შუბრიას მოსახლეობასაც ხურიტულენოვანად მიიჩნევენ (177<sup>6</sup> : 116, 213<sup>2</sup> : 80). მეორე მხრივ, სასუნის მთები ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ტავრის მთების მასივში მდებარე ალზანენეს (სომხ. ალძნიქ) ოლქის ერთ-ერთი კანტონი იყო (იხ. სტატია Сасун. Советская ист. энциклопедия, т. 12). ი.დიაკონოვის სიტყვითაც მდ. არცანიას ქვემო ველზე მდებარე ალზის სამეფო მოიცავდა: ალზის ყოფილ მიწებს. ასევე ასირიული წყაროების ისუვას (“იშუას”, როგორც ჩანს, მათთვის ეს სახელი ალზის სინონიმი იყო) ტერიტორიას, ზოგჯერ სამხრეთით მოსაზღვრე ენძიტეს-ანძიტენას და მდ. ტიგროსის სათავეებს (177<sup>2</sup> : 138; 185<sup>6</sup> : 199, შენ. 3). დასახელებული ქვეყნები კი ის ტერიტორიებია, სადაც ძვ.წ. XII ს-ში მუშქები დასახლდნენ (1165 წელს მათ ალზისა და ფურულუმზის ქვეყნები დაიკავეს, ხოლო 50 წლის შემდეგ უფრო სამხრეთით ქათმუნის მიწებზე ბრძოლები გაუმართეს ასურეთის მეფეს ტიგლათფილესერ I-ს. 114 : 319; 21:6). ამრიგად გამოდის, რომ ხურიტულენოვანად მიჩნეული შუბრია “ალმოსავლეთის მუშქთა” განსახლების არეალში (მდ. ტიგროსის სათავეებში) მდებარეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ი.დიაკონოვი ალზისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩასახლებულ მუშქებს (საერთოდ მუშქებს) ინდოევროპელებად და სომეხთა წინაპრებად (პროტოარმენებად) მიიჩნევს (183: 46-49; 177<sup>2</sup> : 214-215), 1989 წელს გამოცემულ შუბრიას ისტორიისადმი სპეციალურად მიძღვნილ მონოგრაფიაში სომეხი მეცნიერი დ.სარქისიანი მუშქებს საერთოდ არ ახსენებს. დ.სარქისიანის მიერ ალზისა და მის აღმოსავლეთით — შუბრიას მხარეში მუშქთა ცხოვრების იგნორირება შეიძლება იმით აგვეხსნა, იგი ი.დიაკონოვის მოსაზრებას რომ არ იზიარებს. მაგრამ, როგორც დ.სარქისიანი წერს, სომხეთის მთიანეთში — კერძოდ სასუნის მთების მასივში მდებარე შუბრიას ეთნიკური ისტორიის შესწავლა, თუ მართლაც დიდად აქტუალურია სომეხი ხალხის ეთნოგენეზის საკითხისათვის. მაშინ უნდა თქმულიყო, ამ მხარეში სომეხთა წინაპრების შესვლამდე (მათ ჩასახლებას იგი ძვ.წ. 673 წლით ათარიღებს. 213<sup>2</sup> : 79), მდ. არცანია-მურად-სუს სამხრეთით, როგორც ი. დიაკონოვი წერს, გამელიქიშვილის, ე.კავენიაკისა და სხვათა მიერ ქართველთა წინაპრებად (ქართველებად) მიჩნეული (177<sup>2</sup> : 195, 218-221) მუშქ-მესხები რომ ცხოვრობდნენ. მითუმეტეს ალზი — შუბრიას ტერიტორიაზე მუშქთა ცხოვრების ფაქტს სომხური ისტორიოგრაფია არ უარყოფს. როგორც გრ. ლაფანციანი წერს, ასურეთის მეფე თუქულთი-ნინურტა II -ის (ძვ.წ. IX ს.) დროს მდ. ტიგროსის

სათავეების სამხრეთით მოხსენიებული “მოსხთა ქვეყანა” საეჭვო არაა ალზი-ფურულუმზის ე.ი. ძველი შუბრიას მიდამოებს რომ მოიცავდა (185<sup>6</sup>:143). მისი აზრით, ეზეკიელის (ძვ. წ. VI ს.) მიერ ყოველთვის ერთად დასახელებული მოსოხი და თობალი ე.ი. მუშქები და ტიბარენები უეჭველად ქართული წარმომავლობისანი იყვნენ და ზოგი მეცნიერის მიერ “მოსხების” ფრიგიელებთან გაიგივება და ინდოევროპელებად მიჩნევა არ შეიძლება (185<sup>6</sup>: 144). რაც შეეხება სომხურ და ქართულ ენებს შორის ლექსიკურ დამთხვევებს. ეს ან ამ ხალხების ხანგრძლივად მეზობლად ცხოვრების ფაქტით უნდა აიხსნას, ანდა იმით, რომ სომხებმა მოახდინეს მუშქების ერთი ნაწილის არმენიზაცია (185<sup>6</sup>: 146).

ახლა რაც შეეხება ქვეყანა შუბრიას ისტორიას. ქვეყნის სახელს – შუბრია (ვარიანტებია: “შუბურ”, “შუბურა”) სუბარულ-ხურიტული წარმომავლობისად მიიჩნევენ და მას აქადური ლურსმული წარწერების სახელიდან – “სუბართუ” მომდინარედ თვლიან (213<sup>2</sup>: 65,78). ასურულ წყაროებში იგი პირველად ძვ.წ. XI ს-ში იხსენიება. ურარტულმა წყაროებმა სახელი “შუბრია” არ იციან. ამ ქვეყანას ორი ცენტრის – კულიმერიისა და სამეფო ქალაქ უპუმუს სახელით იცნობენ (213<sup>2</sup>: 39-40). ძვ. წ. IX ს-დან ჩრდ. შუამდინარეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მოთარეშე ასურელები ურარტელებმა შეცვალეს (87: 67; 213<sup>2</sup>: 78). როგორც ფიქრობენ, ძვ.წ. 714 წ. ასურეთის მეფის სარგონ II (722-705) ურარტუს წინააღმდეგ ლაშქრობის შემდეგ, შუბრია ურარტელთა ბატონობისაგან განთავისუფლდა (213<sup>2</sup>: 78) და საკმაოდ გაძლიერდა. იმ დროს შუბრიაში 21 დიდი ციხე-ქალაქი ყოფილა, განვითარებული მეტალურგია, სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა. იგი წარმოადგენდა თავშესაფარს როგორც ასურეთიდან, ისე ურარტუდან მძიმე ბეგარისაგან გაქცეულთათვის. რაც საბაბად გამოიყენა ასურეთის მეფემ ასარქადონმა და ძვ. წ. 673 წელს შუბრია დალაშქრა. სიკვდილით დასაჯა მეფე ნიკთეშუბი. მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყვედ წაიყვანა. მათ ადგილზე კი “ზემო და ქვემო ზღვებს” შორის მდებარე ტერიტორიიდან აყრილი მოსახლეობა ჩაასახლა (213<sup>2</sup>: 78-79).

“ზემო ზღვაში” რადგან შავი ზღვა იგულისხმება (213<sup>2</sup>:67), უნდა ვიფიქროთ, რომ გადასახლებულთა შორის მის სამხრეთი მცხოვრები ქართველური მოდგმის ტომების წარმომადგენლები იქნებოდნენ და ისინი ძველ მუშქთა რიგებს შეავსებდნენ (დ. სარქისიანის თანახმად, ჩასახლებულთა შორის ძირითადად სომხურენოვანი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო და ამ დროიდან იწყება ამ მხარის არმენიზაცია. 213<sup>2</sup>: 67,

69. შდრ. 177<sup>a</sup> : 206, 208, 227-229). ასურეთის დაცემის შემდეგ შუბრია ბაბილონის ხელში გადავიდა (213<sup>a</sup> : 79), შემდეგ აქემენიანების, სელევკიდების და ა.შ.

ასე რომ. მდ. არცანია-მურად-სუს სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე ძვ. წ. XII ს-დან “აღმოსავლეთის მუშქები” სახლობდნენ (ამ მხარეში ალზის ტერიტორიაზე ძვ. წ. 673 წელს სომხური ელემენტის შესვლა საეჭვოა). ალზის მოსახლეობა ძირითადად ძველი – მუშქური წარმომავლობისა რჩებოდა. და, როგორც ჩანს, საკუთარ ენასა და თავისთავადობას დიდხანს ინარჩუნებდა (შდრ. 183: 42). განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ალზის მოსახლეობა ახ.წ. VI საუკუნეშიც კი განსხვავებული იყო.

VI ს. სირიელი ავტორი იეშუ სტილიტი ოსროენის ჩრდილოეთით ორტას ოლქს ასახელებს (221:143). ნ. პიგულევსკაია ეხება რა ამ ცნობას, ცნობილი გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის თ.ნოელდეკეს ნაშრომზე დაყრდნობით აღნიშნავს, სომხეთის სამხრეთით ანძიტენეს ოლქში ორტას ტომები ცხოვრობდნენო (221: 143; შენ. 2).

ოსროენის ჩრდილოეთით მდებარე ანძიტენე-ალზი (ეს იყო “აღმოსავლეთის მუშქთა” განსახლების არეალი), როგორც სომეხი მეცნიერი ნ.აღონცი წერს, თავისი ეთნიკური შედგენილობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა. VI ს-ში იქ ჯერ კიდევ ცხოვრობდა ხალხი ორტა, რომელთაც სომხებისა და სირიელებისაგან განსხვავებული ენა ჰქონდათ (169:31). ნ. აღონცი იქვე შენიშნავს, იოანე ეფესელთან (VI ს.) ისინი “ურტაერებად” (“urtacorum”, “Anziten Urtaeorum”) იწოდებიან და ვინმე იოანე, წარმოშობით სირიელი, მის თანამედროვეთა თქმით, თურმე ისე კარგად ფლობდა ურტაების ენას (“ Sermonem Urtaerum”), რომ ძნელი იყო მისი სირიელად მიჩნევაო (169:31, შენ.3. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთ-ერთი ასურელი მამა – იოანე, რომელმაც ქართლში შემოსვლისას ქართლის კათალიკოს ევლავიოსს ქართულ ენაზე დაუწყო საუბარი).

კაპადოკიელთა (მუშქთა) მშობლიური ენის შესახებ არანაკლებ საინტერესოა V ს. მოღვაწე ექვთიმე დიდის (გარდ. 473 წ.) “ცხოვრებიდან” ერთი ცნობა. “ცხოვრების თანახმად, “მოღვმით კაპადოკიელთა ქვეყნიდან” და სირიაში აღზრდილმა სამმა ღვიძლმა ძმამ – კოსმამ, ქრიზიპემ და გაბრიელმა თავი გამოიჩინეს იერუსალიმში საეკლესიო ასპარეზზე მოღვაწეობით, შექმნეს ღირსშესანიშნავი თხზულებები. ძმათაგან განსაკუთრებით ისახელა თავი გაბრიელმა. მან თავისთვის აიშენა მცირე მონასტერი (სადაც გარდაიცვალა 80 წლისა) “...ქქმნიდა სასწაულებს, იყო ნიჭიერი,

უყვარდა სწავლა. შეისწავლა სწორად მეტყველება და წერა ლათინურ, ბერძნულ და სირიულ ენებზე” (178<sup>a</sup>:27,63-64).

წარმოშობით კაპადოკიელი და სირიაში აღზრდილ ძმების მშობლიური ენა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მუშქური – ქართული უნდა ყოფილიყო.

ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ალზის მცხოვრებნი რომ “ურტა“-ებად იწოდებოდნენ, შემთხვევითი არ იყო. ეს მხარე, როგორც ითქვა, ურარტუს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ახ.წ. VI ს. სირიელი ავტორები ოსროენის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს, ჩანს, ძველთაგან მომდინარე ტრადიციით, ურარტელთა შთამომავლებად თვლიდნენ. ხალხს, რომელიც ახ. წ. VI საუკუნეშიც საკუთარ – “ურტას” (მუშქების?) ენაზე ლაპარაკობდა, ცხადია, საუკუნეთა განმავლობაში ჰქოდა შემონახული თავისი ეთნიკური ცნობიერება.

რაც შეეხება შუბრიას მოსახლეობას – ი. დიაკონოვი, მართალია, მათ ხურიტულენოვნად თვლის, მაგრამ ამაში მთლად დარწმუნებული არაა. სასუნში ახ.წ. XIII საუკუნემდე შემორჩენილ სომხებისაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს – როცა ეხება, ხურიტებს მათ კითხვის ნიშნით უწოდებს (177<sup>a</sup>: 240. ეყრდნობა გრ. ლაფანციანის ნაშრომს). თვით გრ. ლაფანციანი კი აღნიშნავს: შუბრიას მთიან რაიონში, ტიგროსისა და ბოხტან-სუს სათავეებში, შესაძლოა ხუბუშქაშიც (ბოხტან-სუს სამხრეთით. ზოგი მეცნიერი გვიანდელ შუბრიად თვლის მთელ რაიონს ტიგროსის სათავეებიდან ვანის ტბამდე) მცხოვრები ხალხი, როგორც ფიქრობენ, არა თუ ძვ. წ. VII ს-ში არ გამქრალა, მე დარწმუნებული ვარ, რომ შუბრიელების ნაწილი (ხურიტები) სასუნის მთების მიუდგომლობის გამო შუასაუკუნეებამდე განაგრძობდა არსებობას (185<sup>b</sup>: 198). XIII ს. სომეხი ისტორიკოსის თომა არწრუნის თანახმად, წინაპართაგან შემორჩენილი შერყვნილი ენით ისინი ცხოვრობდნენ გაფანტულნი ცალკეულ ოჯახებად და მათთან ურთიერთობისას საჭირო ხდებოდა თარჯიმანის გამოყენებო (185<sup>b</sup>: 198, შენ.2. უთითებს თომა არწრუნის ისტორიას, პეტერბურგი, 1887, გვ. 120-121).

ახ.წ. XIII ს-ში სასუნის მთებში მცხოვრები ადგილობრივი ხალხის წარმომადგენლებთან სომხებს თუ თარჯიმანი სჭირდებოდათ, გამოდის, რომ ალზის მოსახლეობის მსგავსად შუბრიას მოსახლეობაც დიდხანს ინარჩუნებდა წინაპართა (მუშქების?) ენას.

ჩრდ. შუამდინარეთში მდებარე ორი მხარის ხუბუშქიასი (კარდუხთა ქვეყანა) და შუბრიას (ალზისთან ერთად მუშქთა ქვეყანა) მოსახლეობის ქართველურ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს ამ

ქვეყნების ტოპონიმიკაც. როგორც ცნობილია, კარდუხთა ქვეყნის მდ.კენტრიტისა და საქართველოში მდ.კინტრიშის სახელთა მსგავსებას ჯერ კიდევ ივ.ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება (155:411). რადგან კარდუხთა ქვეყანაში დადასტურდა ციხის სახელი “პარმაზი” (შდრ. მცხეთაში არმაზციხე), იქნებ არმაზი კარდუხთა ქვეყანაშიც ერთ-ერთი მთავარი ღვთაება იყო. არმაზი ხომ ხეთურ-მცირეაზიულ სახელს ატარებდა და ქართლში მისი შემოტანა იმ მესხებს (მუშქებს) უკავშირდება (87: 138-139), რომელთა ერთი ნაწილი ძვ.წ. XII საუკუნეში მდ.ეფრატის მარცხენა მხარის ტერიტორიებს დაეპატრონა.

რაც შეეხება ალზის (ანძიტენე-მუშქთა ქვეყანა) ტოპონიმიკას, ნადონცის სიტყვით, ბერძენი გეოგრაფი პტოლემეაიოსი (ახ.წ. II ს.) იქ ასახელებს ქალაქებს: მაზარა (მაძარა.შდრ., კაპადოკიის დედაქალაქის სახელი – მაზაკა.ვ.გ.), ანზიტა (ანძიტა), ბელქანია (პტოლემეაიოსმა იცის ამავე სახელის მთა. შდრ. გვარი ბელქანია. ვ.გ.) .ხოლო წარმოშობით შუამდინარელმა იოანე ეფესელმა, რომელიც ამ მხარეს კარგად იცნობდა, იცის სოფელი – ულა, ველი – ალელუ. ეს ველი ტაბულა პოიტენგერიანაზე ქმელიტენიდან (ახლანდ.მალატია) აღმოსავლეთით მეოთხე სადგურადაა დასახელებული (169: 32-33).

მართალია, საქართველოსა და ჩრდ. შუამდინარეთის ორი კუთხის – კარდუხთა და მუშქთა ქვეყნების ადგილისა და მდინარეთა სახელების მსგავსების შესახებ ჯერჯერობით მასალა ცოტაა, მაგრამ რაც არის, ისიც გარკვეული საბუთია, რათა ამ კუთხეთა მოსახლეობის ქართველებთან ნათესაობა ვამტკიცოდ. როგორც ალ.სვანიძე წერს, “გეოგრაფიული სახელი თავისთავად არ ჩნდება”. “თუ ორ სხვადასხვა ქვეყანაში ვხვდებით გრამატიკული სტრუქტურით აშკარა ერთმანეთთან გაიგივებულ სახელებს, ეს იმის მაჩვენებელია, ამ ქვეყნებში ოდესღაც ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობდა (115:131).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დასმულ კითხვაზე თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ წარმოშობით ხუბუშქიასი და მუშქთა ქვეყნების (ალზი, შუბრიას) ძველი მოსახლეობა, უნდა ვუპასუხო: ჩრდ. შუამდინარეთში მცხოვრები ქართველური წარმომავლობის ხალხები. რომელთა შთამომავლები ახ.წ. V-VI ს-შიც განაგრძობდნენ არსებობას, რაც ასახულია ჯუანშერთან (V ს.).

კარდუხები (იგივე გორდიები. შდრ. 123: 190) მდ. კენტრიტის სამხრეთით ძველთაგანვე მცხოვრები “კარდუ“-ს, “ქართუ“-ს (როგორც ჩანს, აღმოსავლურ-ქართული წარმოშობის. 87:8,137) ხალხთან ძვ.წ. XII ს-ში ჯერ კიდევ ლაზურენოვანი მუშქების შერევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. რასაც მოწმობს მათ ქვეყანაში არსებული

სახელები; ტოპონიმები: იბერია, არმაზი. მდინარის სახელი კენტრიტი. მეფეების სახელები: კაკია, ზარბიენი და სხვა.

რაც შეეხება ალზისა და შუბრიას მოსახლეობას, მათ ტერიტორიებზე ძვ.წ. XII ს-ში მუშქთა ჩასახლების შემდეგ, ერთ ხანს ამ მხარეთა მოსახლეობის ლაზურენოვნებაა სავარაუდებელი (ამას მოწმობს ქალაქისა და მთის სახელი ბელქანია. ძვ.წ. VII ს-ში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოსულმა მესხებმა ზომ არაერთი ლაზურ-ჭანური ტოპონიმი შექმნეს. იხ. 103<sup>ა</sup>), შემდეგში მდ. არცანიას შუა დინების ჩრდილოეთით მდებარე მიწებიდან (ყოფილი დიაოხის ტერიტორიიდან <sup>13</sup>. 184<sup>ა</sup> : 27-28) ქართის ტომთა გავლენით (შდრ. 87: 129), ძვ.წ. V ს-დან მაინც უნდა დაწყებულიყო მათი მოსახლეობის ქართიზაცია. რის დასტურად უნდა მივიჩნიოთ გვიან, უკვე არმენიზირებულ გარემოში – სასუნის მთებში (ალზი-შუბრიას მხარეში) შექმნილ სომხურ ეპოსში (“დავით სასუნელი”) არსებული ქართულ-ზანური სიტყვები: დედის აღმნიშვნელად ლაზური “ნენე”-ს, ხოლო, უკანონო შვილის აღსანიშნავად – “პიჩ”-ის ხმარება (შდრ. ქართული “ბიჭი” – ბუში სულხან-საბას მიხედვით), მხარის გამგებლის სახელი – ამირანი (176: 17, 211, 381, 383), ქალაქის სახელი კაკაბა. მეფის სახელი ნიკთეშუბი (სადაც “ნიკ”-ს ი.დიაკონოვი ხსნის, როგორც niqa-(le). 213<sup>ა</sup>:65). აქვე თუ გავიხსენებთ გრ. ლაფანციანის მიერ სომხურ ენაში მიკვლეულ ლაზიზმებს (იხ. 185<sup>ა</sup>), ყოველივე იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ, გვიან, ვანის ტბის დასავლეთით ჩასახლებულმა სომხებმა იქ მცხოვრები არაერთი ქართველური ტომის (მუშქების, ზალიბების. ივ.ჯავახიშვილისა და გრ.ლაფანციანის თანახმად) არმენიზაცია რომ მოახდინეს.

#### § 4. მოსაზრებანი ჩრდილოეთ შუამდინარეთში მცხოვრები კარდუხების საქართველოში მიგრაციის შესახებ

ჩრდილოეთ შუამდინარეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ქართული ან ქართველთა მონათესავე მოსახლეობის არსებობის საკითხის კვლევისას, ქართულმა ისტორიოგრაფიამ ყურადღება იმთავითვე ჩრდ. შუამდინარეთში მცხოვრებ კარდუხებს მიაქცია. ზოგმა მკვლევარმა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მათი ნაწილის

<sup>13</sup> ასირიელებმა მუშქთა ქვეყანა ალზისა და სხვა ოლქების გავლით დალაშქრეს ძვ.წ. 856 წელს ტაოხთა ქვეყანა (183:54). ზუბუშქიას ზანურენოვნად მიიჩნევს პროფ. მ. ქურდიანი. მისივე ვარაუდით, ზუბუშქია და მუშქთა ქვეყანა სამხრეთისაკენ გაჭრილი ქართველური ტომების მიერ შექმნილი გაერთიანებები იყვნენ (123ა:130-131).

გადმოსახლება, “მოქცევაი ქართლისაი”-ს მატთანეში არიან-ქართლის მეფის ძედ დასახელებული აზოს ქართლში შემოსვლას დაუკავშირა.

1905 წელს ს.გორგაძე წერდა: ქართული თემი კარდუქი <sup>14</sup>, რომლის მიწა-წყალიც ტიგროსამდე აღწევდა, აღ.მაკედონელმა დაიპყრო. შემდეგ, მისი სარდალი სელევკ ნიკატორი როცა საქართველოს დასაპყრობად გამოემართა თან იახლა კარდუქების (“ქართუ”-ების, ანუ “ქორთუ”-ების) მეფე-მამასახლისის არანის შვილი აზო. აზო გახდა ქართლის მეფე, იგია “ჩვენი პირველი ნაციონალური მონარქი მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოვიდა” <sup>15</sup> (39, IX: 48). ს.გორგაძის მტკიცებით, “ჩვენი მეფეები აზო და ფარნავაზი” ჩამომავლობით სწორედ “კარდუქების” (“ქართუ-ები” ანუ ძველი “ქართლი”) ტომებს ეკუთვნოდნენ (39, X : 23).

ჩრდილოეთ შუამდინარეთში მცხოვრები “კარდუ”-ხების (ამ სიტყვაში “ხი” ხურიტული სუფიქსია) ქართველთა ერთ-ერთ წინაპარ ხალხად მიჩნევის შესახებ მოსაზრება აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1908 წელს გამოცემულ “ქართველი ერის ისტორიის” პირველ წიგნში გამოთქვა. ივ.ჯავახიშვილის თანახმად, ქართველური მოდგმის “ტაბალები და მუსკები” ძვ.წ. XI-VII საუკუნეებში გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ (გვ. 28).

“ყველა ქართველი ტომების სამშობლოდ” ივ.ჯავახიშვილს ქალდეა (ურარტუს ტერიტორია) მიაჩნდა და თვლიდა, რომ კავკასიაში ქართველები იქიდან უნდა მოსულიყვნენ. “როცა ქართველი ტომები კავკასიაში შეხიზნულან, – წერდა იგი, – უმთავრესი პოლიტიკური მნიშვნელობა მესხების ტომს უნდა ჰქონოდა, იმიტომ, რომ საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქის სახელი მცხეთა, მესხეთს ანუ მესხების ბინას ნიშნავს” (გვ. 79. შდრ., “Moschorum tractus” – “მესხთა ადგილი” პლინიუსთან. 201: 157).

---

<sup>14</sup> ს.გორგაძის შენიშვნით, სახელ “კარდუქ”-ის (“კარდუ” იგივე მეგრული “ქორთუ” და ქართული “ქართუ”) ეტიმოლოგია საბუთს გვაძლევს, ისინი ქართველთა თანამოსახლედ ჩავთვალოთ (39, IX : 37, შენ.8).

<sup>15</sup> ს.გორგაძე კარდუხების საკითხს 1909 წელს ხელახლა შეეხო. კარდუხების ქართლში გადმოსახლება აზოს მიერ ქართლში მოყვანილი “თერამეტი სახლის” სახით, შუამდინარეთზე აღ.მაკედონელის მფლობელობის დამყარებას დაუკავშირა (40: 44-45). რაც შეეხება არიან-ქართლის მდებარეობის საკითხს, 1984 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში (იხ. 38 გვ. 156, 161) არიან-ქართლად პონტო მივიჩნიე. ჩემი ასეთი თვალსაზრისის დასტურად აკად. გრ. გიორგაძის ხეთურ-არმაზული ტრიადების შესახებ გამოკვლევას ვთვლიდი (იხ. 23; 37: 29).



“ქართველი ერის ისტორიის” პირველი წიგნის 1913 წლის გამოცემაში ივ.ჯავახიშვილი ქართველთა მოსვლის საკითხს უფრო ვრცლად შეეხო. ისე როგორც 1908 წლის გამოცემაში, ამჯერადაც ქართველი ტომების სამშობლოდ ჩრდ. შუამდინარეთის ოლქი – “კარდუ” (კარდუხების განსახლების ადგილი) მიიჩნია <sup>16</sup> (გვ. 35-36, შდრ. გვ. 61). ქართველთა წინაპრები საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთიდან რომ მოვიდნენ ისე როგორც ს.გორგაძემ ივ.ჯავახიშვილმაც ამის ასახვად მიიჩნია “მოქცევაი ქართლისაი”-ს ცნობა არიან-ქართლიდან აზოს შემოსვლის შესახებ. ჩვენმა მატთანებ, – წერს იგი, – კარგად იცის ქართველები კავკასიის თავდაპირველი მცხოვრებნი რომ არ იყვნენ. იგი მოგვითხრობს როგორ და როდის მოვიდნენ ქართველები კავკასიაში და დასახლდნენ. “ქართლი” და ქართველთა სამეფო მაშინ მემატთანეს აზრით კავკასიაში კი არ იყო, არამედ სამხრეთით (გვ. 68). ამ მატთანეს მტკიცებით, – განაგრძობს იგი, – ქართველები ალექსანდრე მაკედონელს უნდა შემოპყლოდნენ. მაგრამ ალექსანდრე მაკედონელი ამიერკავკასიაში რადგან არას დროს არ ყოფილა, მემატთანეს ცნობაში ძვ.წ. VI-V ს-ებში ამიერკავკასიაში ქართების შემოსვლისა და მათ მიერ თანდათან აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის ამბავი უნდა იყოს ასახული (გვ. 68).

“ქართველი ერის ისტორიის” პირველი წიგნის 1928 წლის მესამე გაფართოებულ გამოცემაში ივ.ჯავახიშვილმა ის ნაწილი, რომელშიც ქართველთა მოსვლის საკითხი ჰქონდა განხილული, აღარ შეიტანა (1913 წ. გამოცემაში ესაა “ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა”. გვ. 20-73). თუმცა, აზოს მიერ არიან-ქართლიდან (როგორც ივ.ჯავახიშვილი წერს, ამ დროს იგი პირველად შეეხო არიან-ქართლის პრობლემას) როცა კერპების შემოტანის საკითხი გაანალიზა, აღნიშნა: “მატთანისა და ცხოვრების ცნობების აზრი სრულებით ნათელია: ქართველებს თავიანთი პირვანდელ სამშობლოთგან თან ორი უძველესი მამაპაპეული სალოცავი ღვთაება და კერპები მოუტანიათ” (გვ. 91-92). 1928 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ივ.ჯავახიშვილი წერს, რომ მას განზრახული ჰქონდა ისეთი მონოგრაფია შეექმნა, რომელიც “ქართველი ერის ისტორიის” შესავალი წიგნი იქნებოდა და

---

<sup>16</sup> ამჯერად, ივ.ჯავახიშვილმა შესაძლებლად ჩათვალა ქართველთა მოსვლისას ისტორიული საქართველოს ტერიტორია დაუსახლებელი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, ქართველები საქართველოს თავდაპირველ მცხოვრებლებად შეიძლება მიგვეჩნია. თუმცა, იგი არ გამორიცხავდა აქ მოსულ ქართველურ ტომებს თავდაპირველი მცხოვრებნი კავკასიის იქით განედევნათ (გვ.21).

რომელშიც საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის გარდა, მცირე აზის, კავკასიისა და საქართველოს ძირითადი ეთნოლოგიურ-ლინგვისტური პრობლემები იქნებოდა განხილული (იხ. იქვე წინასიტყვაობა). ასე რომ, ივ.ჯავახიშვილი აპირებდა შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა წინაპრების მოსვლის საკითხზე უფრო დასაბუთებული მსჯელობა წარმოედგინა. ამ მხრივ მას მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაუტარებია<sup>17</sup>.

რა შეიძლება ითქვას ივ.ჯავახიშვილის თვალსაზრისისა და მის მიერ მოტანილი მასალის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო: “მოქცევაი ქართლისაი”-ს ცნობაში არიან-ქართლიდან აზოს შემოსვლის შესახებ, ალ. მაკედონელის თანადროული ისტორიული ფაქტია ასახული და მისი გადატანა ძვ.წ. VI-V ს-ში გაუმართლებელია.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ მცირე აზიიდან მუშქემესხების, ხოლო ჩრდ. შუამდინარეთიდან კარდუხების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლების შესახებ მიუთითა ცნობილმა ასირიოლოგმა და ურარტოლოგმა კ.ფ. ლემან-ჰაუპტმა (1861-1938). 1936 წლის 3 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ მოხსენებაში “შესავალი ლექცია ქალღთა ისტორიისა და კულტურის შესახებ” მან აღნიშნა, რომ მცირე აზიაში არსებულ ფრიგიის სამეფოში თვით ფრიგიელები მცირერიცხოვანი ინდოევროპული ფენა იყო, ძირითადი მასა კი მუშქემესხები. ძვ.წ. VII ს-ში, როცა კიმერიელებმა ფრიგიის სახელმწიფო გაანადგურეს, მაშინ დაიწყეს მოძრაობა

---

<sup>17</sup> “ქართველი ერის ისტორიის” მეოთხე 1951 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ს.ყაუხჩიშვილი წერს, რომ ივ.ჯავახიშვილს განზრახული მონოგრაფია საბოლოოდ არ დაუმუშავებია. იგი მეტწილად მხოლოდ მასალების სახით, ისიც ფრაგმენტულად დარჩა განსვენებული აკადემიკოსის არქივში და დაიბეჭდა კიდევ” (157:IX)

“ქართველი ერის ისტორიის” I ტომის 1960 წლის გამოცემას ს.ყაუხჩიშვილმა დამატების სახით დაურთო “ქართველი ერის ისტორიის” 1913 წლის გამოცემიდან “ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა” (გვ. 401-441). აღნიშნულ გამოკვლევაში კარდუხების შესახებ ივ.ჯავახიშვილი წერს: როგორც სიტყვა “ქართველის” პირველი ნაწილი – “ქართუ” ქვეყნის სახელი უნდა იყოს, კარდუხების სახელშიც (რომელთა ქვეყანაშიაც მდ. კინტრიტი, კინტრიშის მოსახლეა) სიტყვა “კარდუხი” ჩვეულებრივ ეროვნების აღმნიშვნელი საკვეც “ხი”-თ ბოლოვდება, ისევე როგორც ტაოხი, კოლხი (155:411).

მოსხებმა აღმოსავლეთისაკენ და შავი ზღვის სამხრეთ კუთხეს მოადგნენ.

კლემან-ჰაუპტს თვით იბერებიც სამხრეთიდან მოსულებად მიაჩნდა. სტრაბონის ცნობით, — წერს იგი, — ქალაქი ტიგრანოკერტი, იგივე მარტიროპოლი (ეს ქალაქი ჩვენმა ექსპედიციამ მდ.ტიგროსთან ბათმან-სუს შესართავთან ახლოს აღმოაჩინა) თანამედროვე მაიფერკინი, ფარკინი იბერიის მახლობლად მდებარეობდა. იბერები, — განაგრძობს ლემან-ჰაუპტი, — ახლანდელ საქართველოში, თვით ქართველთა გადმოცემით, სამხრეთიდან არიან გადმოსახლებულნი. ეს მოხდა ჰეროდოტეს შემდეგ, რადგან ჰეროდოტემ მათ შესახებ არაფერი იცის, სტრაბონამდე. ე.ი. V-I საუკუნეებს შორის (196:261). ქ. ტიგრანოკერტის მომიჯნავე ტერიტორიაზე, — განაგრძობს ლემან-ჰაუპტი, — მდ.დასავლეთ ტიგროსთან, აღმოსავლეთის ტიგროსის შესართავთან ძვ.წ. V ს. ბოლოსათვის კარდუხები, იგივე ქართველები — ქართველები მოსახლეობდნენ (196:262).

კარდუხები და ქართველები რომ ერთი და იგივე ხალხი იყო, ამის დამადასტურებელ ერთ საბუთად ლემან-ჰაუპტს მიაჩნია კარდუხების ტერიტორიაზე მრავლად არსებული საცხოვრებელი გამოქვაბულები, რომლებიც ძალიან წააგავს უფლისციხისა და ვარძიის ნაგებობებს (196:262).

როგორც ლემან-ჰაუპტი წერს, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აზიის დაპყრობის (ძვ.წ. 333 წ.) შემდეგ კარდუხების ტერიტორიის ნაწილზე დასახლდნენ მაკედონიიდან გადმოსახლებული მიგდონები და ამ გადმოსახლებით გამოწვეული ძვრები უშუალოდ შეეხო კარდუხებსაც და მათი ერთი ნაწილი აიბულებს გადასახლებულიყო ჩრდილოეთში, სწორედ ძვ. წ. V-I სს. შორის. კარდუხთა ნაწილი კი დარჩა ძველ სამშობლოში — გორდიენეში (კორდუენეში). საქართველოს ტერიტორიაზე მოსული კარდუხები მცირე აზიიდან გადმოსახლებულ მესხებს შეხვდნენ (196:262-263).

იმ ქართულ გადმოცემაში, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა გადმოსახლებაზეა საუბარი, ლემან-ჰაუპტს თუ ტრადიციული “მოქცევაი ქართლისაი”-ს ცნობა აქვს მხედველობაში, მაშინ, როგორც აღვნიშნე, ეს ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ხანას ეკუთვნის და მასში არიან-ქართლიდან აზოს მიერ მხოლოდ რამდენიმე სახლის შემოყვანაზეა საუბარი. რაც შეეხება სამხრეთიდან კარდუხების გადმოსახლებას, რადგან მათ ტერიტორიაზე მიგდონიიდან გადმოსული ბერძენ-მაკედონელი კოლონისტები ისე მრავლად დასახლდნენ, რომ კარდუხების ქვეყანა (გორდიენე) მიგდონიად იწოდა, გამორიცხული არაა, კარდუხები

როგორც ქართველური მოღვმის (ან მონათესავე) ხალხი იძულებით (მათთვის მიწების ჩამორთმევის შემდეგ) გადმოსახლებულიყვნენ ჩრდილოეთში — ქართების ტერიტორიაზე. სადაც მართლაც შეხვედებოდნენ მცირე აზიიდან მოსულ მესხებს. გორდიენეში დარჩენილმა კარდუხებმა კი ძველ სამშობლოში გააგრძელეს ცხოვრება (ქართლსა და ჩრდილოეთ შუამდინარეთის ხალხებს შორის ამის შემდეგაც ურთიერთობა გრძელდებოდა).

როგორ ღვას კარდუხების პრობლემა თანამედროვე მეცნიერებაში?

1955 წელს გ-მელიქიშვილი როცა ივ.ჯავახიშვილის ზემომოტანილ თვალსაზრისს შეეხო, მართალია აღნიშნა, რომ ქართველი ტომების ძირითადი მასა თანამედროვე საქართველოს ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენს (86:49), მაგრამ არ გამოიციხა ტომთა ადგილგადანაცვლებაც.

ქართველური ენების ისტორიის გათვალისწინებას, წერს იგი, — ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ უკვე ძველადმოსავლურ ხანაში, ამ 3-4 ათასი წლის წინათ, სავარაუდებელია ქართველი ტომების ფართო ტერიტორიაზე გაფანტვა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება იმის შესახებ არ ლაპარაკობს, რომ მათ ეს ფართო ტერიტორია მაინცდამაინც კომპაქტური მასის სახით ეკავათ. სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი ურთიერთისაგან გათიშული იყვნენ უცხო წარმოშობის ტომებით (86:50).

ფიქრობ, კარდუხთა და მუშქთა ქვეყნების შესახებ ზემომოტანილი მასალით გარკვეულწილად დადასტურდა ჩრდ. შუამდინარეთში ქართველთა მონათესავე ხალხების ცხოვრების კვალი. ქვემოთ კარდუხებზე და მათ ქვეყანაზე მექნება საუბარი. ვნახოთ ვინ იყვნენ ისინი და რას წარმოადგენდა მათი ქვეყანა.

## § 5. კარდუხები და მათი ქვეყანა

ჩრდილოეთ შუამდინარეთში — მდინარეების ხაზურისა და დიაგდიგის მხარეში, ისტორიული კორდუ-ს (გორდიენეს) მიწა-წყალზე მცხოვრები კარდუხების<sup>18</sup> (ამ სახელწოდებაში “ხი”, როგორც ითქვა,

<sup>18</sup> მ.მაქსიმოვას თანახმად, ქსენოფონტეს ცნობებიდან გამომდინარე, კარდუხების საცხოვრებელი ადგილი საკმაოდ ზუსტად განისაზღვრება. სამხრეთი საზღვარი გადიოდა ქურთისტანის მთებზე, იმ ადგილას, სადაც ეს მთები მდ.ტიგროსს ებჯინება. ჩრდილოეთით კარდუხების ოლქი სომხეთს ესაზღვრებოდა მდ. ტიგროსთან კენტრიტის (ახლანდ. ბოხტანი) დინებით. ასე

ხურიტული სუფიქსია), ე.ი. “კარდუ“-ს, “ქართუ“-ს შესახებ ცნობილი ხეთოლოგი ბ.პროზნი წერს: ეს მხარე იყო მითანის სახელმწიფოს ცენტრი და დასახლებული იყო ხურიტებით. შემდეგ, სელევკიდების დროს მას ახალი სახელი მიგდონია ეწოდა. ხურის ქვეყანამ, – განაგრძობს ბ.პროზნი, – თავისი სახელწოდება მიიღო ალბათ ხური, ხურა ქალაქისაგან, რომელიც ხურიტების დედაქალაქი იყო<sup>19</sup>. ესაა ახლანდელი ურფა, ბერძნული ორპოი და სირიული ურპოი, რომლის მიხედვითაც მთელს მიდამოს შეერქვა ოსროენე. გამორიცხული არაა, – დასძენს იგი, – სახელწოდება “ხური” ნიშნავდეს გამოქვაბულს და ქ.ურფას მიდამოებში არსებულ მრავალრიცხოვან გამოქვაბულებთან იყოს დაკავშირებული (176:30).

რამდენად მისაღებია ბ.პროზნის მოსაზრება თითქოს ხურიტებმა თავიანთი სახელი ჩრდ. შუამდინარეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ცენტრიდან – ურპადან მიიღეს, ან ურპა თუ იყო ხურიტების დედაქალაქი, ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ როგორც ოსროენის დედაქალაქი – ურპა (ედესა), ისე მიგდონიის ცენტრი – ნისიბისი, ძველ ქართველთა ყურადღებას იქცევდა (იხ. ქვემოთ).

ახლა ვნახოთ რა ცნობებია ძველ წყაროებში კარდუხების შესახებ.

კარდუხებისა და კარდუხთა ქვეყნის შესახებ საინტერესო ცნობებია ძველი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს (ძვ.წ. V ს.) “ანაბასისში”. 401 წლის 3 სექტემბერს კუნაქსთან (ბაბილონის ჩრდილოეთით) გამართული ბრძოლის შემდეგ, შავი ზღვისაკენ მომავალმა ბერძენთა ლაშქარმა კარდუხების მიწა-წყალზე გადაიარა.

ქსენოფონტეს თანახმად, ჩრდილოეთისაკენ მომავალმა ბერძენებმა გაიგეს, რომ კარდუხების ქვეყანაზე გავლით მივიდოდნენ სომხეთში, რომელსაც მართავდა სატრაპი ორონტი. ამიტომ დაადგნენ კარდუხების ქვეყნისაკენ მიმავალ მთიან გზას. ქსენოფონტეს დახასიათებით, კარდუხები იყვნენ მეომარი ხალხი, სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ. მათ წინააღმდეგ გაგზავნილი 120 000-იანი სამეფო ლაშქარიც ისე დაამარცხეს, არცერთი ჯარისკაცი უკან არ დაბრუნებულა. მაგრამ, როცა კარდუხებთან სატრაპები თანასწორ

---

რომ, – დასძენს იგი, კარდუხებს ეკავათ დასავლეთი ქურთისტანის მთიანი ოლქი. ცხოვრობდნენ მდიდარ სოფლებში, მისდევდნენ მესაქონლეობას, მკვენახეობას, ჰქონდათ განვითარებული ხელოსნობა (190:269).

<sup>19</sup> მითანის სახელმწიფოს დედაქალაქის ვაშუქანის მდებარეობა ზუსტად არაა ცნობილი. ისტორიული ენციკლოპედია ვაშუქანის ნაქალაქარს თანამედროვე ტელ-ფეჰარის (სირიის არაბთა რესპუბლიკა) ადგილს ასახელებს (იხ. სტ. Вашихуканни, ტ. 3).

შეთანხმებას დებენ, მაშინ ისინი შეფხვსთან ამყარებენ ურთიერთობას (190:93).

კარდუხების ქვეყანაში ბერძენთა შესვლისას (მათი სოფლები ხეობებსა და მთების კალთებზე იყო განლაგებული) ხალხმა დატოვა სახლები და მთებს შეაფარა თავი. ბერძნებმა კარდუხების სახლებში აუარებელი სურსათი ნახეს. ძალიან ბევრი იყო ბრინჯაოს იარაღები (190:95). დიდი რაოდენობით ჰქონდათ ღვინო მიწაში ჩასმულ, შემოგლეხილ ქვევრებში (190:101).

კარდუხების ქვეყანაზე სიარული ბერძნებს ძალიან გაუჭირდათ. კარდუხები იძენად მკვირცხლები იყვნენ, ბერძნების ჯართან ძალიან ახლოს მისულნიც კი, ახერხებდნენ გაქცევას. მშვილდისა და შურდულის გარდა მათ სხვა იარაღი არ ჰქონდათ. ისინი მშვილდების შესანიშნავი მსროლელები იყვნენ. მათი მშვილდი დაახლოვებით სამი წყრთა იყო, ხოლო ისრების სიგრძე ორ წყრთაზე ცოტა მეტი. სროლისას, როცა ლარი უნდა მოეჭიმათ, მარცხენა ფეხს ადგამდნენ მშვილდის ქვედა ნაწილზე. ნასროლი ისარი ხვრეტდა ფარსა და ჯავშანს. როცა ბერძნებს ხელთ ჩაუვარდებოდათ კარდუხების ისრები, მათ იყენებდნენ როგორც შუბს (190:101-102).

ქსენოფონტეს ცნობით, კარდუხებსა და სომხებს მდ.კენტრიტი ჰყოფდა. ეს მდინარე 6-7 სტადიონით იყო დაშორებული კარდუხების მთებიდან. მდ. კენტრიტთან მისულმა ბერძნებმა მშვილად ამოისუნთქეს, რადგან იმ 7 დღეს, რომელიც მათ კარდუხების ქვეყნის გავლას მოანდომეს, განუწყვეტელი ომი ჰქონდათ კარდუხებთან. კარდუხების ცხენოსანმა რაზმმა არანაკლებ ზიანი მიაყენა მდ.კენტრიტზე გადამაველ ბერძნებს (190:105). ქსენოფონტეს ცნობით, კარდუხები როგორც მთის მცხოვრებნი, კარგად იყვნენ დაუფლებულნი თავდასხმისა და უკანდახვევის ტაქტიკას. მაგრამ, მათი იარაღი არ ვარგოდა ხელჩართული ბრძოლისათვის (190:106). კარდუხები ბრძოლისას მღეროდნენ (190: 105. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ბრძოლის დროს ჭანებიც მღეროდნენ. იხ. ქვემოთ). კარდუხების ქვეყანაზე გავლისას ბერძნებმა ისეთი დანაკლისი განიცადეს, რაც მათთვის არ მიუყენებია სპარსთა მეფესა და მის სატრაპს – ტისაფერნს (190:102).

ქსენოფონტეს ცნობები, ძვ.წ. V ს. დამლევს ეკუთვნის. ამის შემდეგ კარდუხების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. მათი ქვეყანა ალექსანდრე მაკედონელის ხელქვეით მოხდა. ალ. მაკედონელის გარდაცვალების (323 წლის 13 ივნისი) შემდეგ – 312 წლიდან ჩრდ. შუამდინარეთი სელევკ ნიკატორის ხელში გადავიდა – აღმოსავლეთში ელინიზმის ხანა დაიწყო.

რა მდგომარეობა იყო ამ დროს კარდუხების ქვეყანაში?

კარდუხთა ერთი ნაწილის მიერ სამშობლოს დატოვების შესახებ ივ.ჯავახიშვილის, ს.გორგაძისა და კ.ლემან-ჰაუპტის ზემომოტანილ თვალსაზრისს თუ გავიზიარებთ (ფაქტი ისაა, რომ კარდუხების ტერიტორიაზე ისე მრავლად ჩასახლდნენ მაკედონელი მიგდონები, რომ ქვეყანამ მიგდონიის სახელი მიიღო. ალ.მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის შედეგად კარდუხები ყველაზე მეტად დაზარალდნენ), მაშინ მათი ნაწილი ჩრდილოეთში უნდა გადმოსახლებულიყო. ნაწილი სამშობლოში ღარჩა და ისინი ამის შემდეგაც ჩანან ისტორიის ასპარეზზე – რომაულ ხანაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ბრძოლებში. ამ დროისათვის საინტერესოა ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (ძვ.წ. 64\63 – ახ.წ. 20) ცნობები. როგორც იგი წერს, მას შემდეგ, რაც სომხეთის მეფემ ტიგრან II (ძვ.წ. 95-55) დაიმორჩილა სირია და ფინიკია, მან ქალაქი დაარსა იბერიის მახლობლად (214:501). სტრაბონისავე ცნობით, მდ. ეფურატის მეორე მხარეს, კაპადოკიისა და კომაგენის აღმოსავლეთით მდებარე მთები იწოდება ტავრად. იგი ყოფს სოფენესა და დანარჩენ სომხეთს შუამდინარეთისაგან. ზოგიერთნი ამ მთებს გორდიების მთებს უწოდებენ. ამ უკანასკნელთ ეკუთვნის მასის მთა, რომელიც აღმართულია ნისიბისსა და ტიგრანოკერტთან. შემდეგ ტავრის მთები უფრო მაღლდება და ეწოდება ნიფატი. ნიფატიდან მიემართება მთათა ჯაჭვი, რომელიც ქმნის ზაგროსის მთიანეთს (214:492). ერატოსთენეს თანახმად, – განაგრძობს სტრაბონი, – ზევგმიდან (მდ. ეფურატზე ვ.გ.) ფანასკამდე 2000 სტადიონზე ნაკლები არაა. ეს ოლქი საკმაოდ ნაყოფიერია. ამ ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ეფურატის მახლობლადაა უკავიათ მიგდონებს (ასე იწოდებიან ისინი მაკედონელთა მიერ). მათ ქვეყანაშია ნისიბიდა, რომელსაც ასევე მიგდონიის ანტიოქიას უწოდებენ. ქალაქი განლაგებულია მასის მთის ძირას, ისევე როგორც ტიგრანოკერტი (214:693).

სტრაბონი შემდეგ განაგრძობს: მდ. ტიგროსის ახლოს მდებარეობს გორდიების (რომელნიც ძველად კარდუხებად იწოდებოდნენ) ოლქი<sup>20</sup>. მათი ქალაქები იყო: სარისა, სატალკა და პინაკა. ესენია ძალიან ძლიერი ციხეები სამ-სამი აკროპოლით. თითოეული შემოზღუდულია კედლით. ისინი თითქოს სამმაგ ქალაქს ქმნიან (215:692). ეს ქვეყანა იმდენად მდიდარია, მცენარეული

<sup>20</sup> ძველი კარდუხები ანტიკურ ხანაში რომ გორდიებად იწოდებიან შემთხვევითი არაა, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერებაშია მითითებული, “კარდუ”, “ქართუ”-დან (ქართუ>ქარდუ>გარდუ) შეიძლება “გარდუ” “გორდ”-ის მიღება (123:190).

საფართო და საძოვრებით, რომ იქ იზრდება მარადმწვანე ხეები და სურნელოვანი მცენარე ამომი. არიან ლომები. არის ნავთი, ქვა განგიტილი, რომელსაც გაურბიან ქვეწარმავლები (214:693).

კარდუხ-გორდიებზე არანაკლებ საინტერესოა ძველი ბერძენი ავტორის პლუტარქეს (გარდ. ახ.წ. 125სან 127 წ.) ცნობები. იგი აღმოსავლეთში რომაელი სარდლის ლუკულუსის ლაშქრობის (ძვ.წ. 74-66) აღწერისას აღნიშნავს, რომ გორდიენეს მოსახლეობაში ლუკულუსმა დიდი ნდობა მოიპოვა. იმ ხანად გორდიენე ტიგრან II -ეს თავის ხელქვეით ჰყავდა მოქცეული. გორდიენეს მეფე ზარბიენოსი ვერ იტანდა ტიგრანის ტირანიას. ამიტომ ზარბიენოსი რომაელებთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა მოკავშირეობის თაობაზე. მაგრამ იგი გასცეს და მოკლეს ცოლთან და შვილებთან ერთად. ტიგრან II -ის დამარცხების შემდეგ, როცა ლუკულუსი გორდიენეში შევიდა, დიდი პატივით დაკრძალა ზარბიენოსი - მისი ცხედარი დაწვეს (მცვალებულის გვამის დაწვა ძველ კოლხებშიც იყო წესად. 119:329). ლუკულუსმა მცვალებულს მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად ზედაშე დაუქცია და ბრძანა მეფისათვის ძვირფასი ძეგლი დაედგათ. ზარბიენოსის სასახლეში დიდძალი ოქრო-ვერცხლის გარდა სამი მილიონი მედმინი ხორბალი აღმოჩნდა, რამაც ძალიან გაახარა რომაელები (108:85-86).

კარდუხ-გორდიებისა და მათი ქვეყნის შესახებ ზემომოტანილი ცნობები საკმაო წარმოდგენას გვიქმნის, ქართველთა ერთ-ერთ ნათესავად და წინაპრად მიჩნეული ხალხის ყოფის შესახებ. ს.ჯგანაშიამ როცა სტრაბონის ცნობები გაანალიზა, აღნიშნა: გორდიები ითვლებოდნენ საუკეთესო ხუროთმოძღვრებად და ციხის სააღყო იარაღების დახელოვნებულ ოსტატებად. რის გამოც, მათ ამგვარ სამუშაოზე იწვევდა ხოლმე ტიგრანი (16:41).

### § 6. მუშქ-თბაღთა და კარდუხთა შთამომავლები - V და XIII სს. საქართველო

რამდენად დამაჯერებლად ერვენა მკითხველს ზემომოტანილი მასალა, რათა მას კარდუხების ქართული წარმომავლობა ეგრძნო, არ ვიცი. მაგრამ ფაქტი ერთია, ჩრდ. შუამდინარეთსა და სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიებზე, ასევე მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებში მცხოვრები ქართველური მოდგმის ტომების გარდა, იქ მცხოვრები ხურიტების ერთი ნაწილი ურარტუს სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა. რითაც



გარკვეული გავლენა მოახდინა ქართველთა ეთნიკური სახის ჩამოყალიბებაზე, რაც მთავარია, ისეთი გავლენა მოახდინა ქართველი ერის კულტურაზე, კერძოდ სიმღერაზე, რომ მათი სიმღერებიდან (თურელიგიური ჰიმნებიდან) – მისამღერი “ჰარი არალე”, “იერი არალე”, “თარი არალე”, დღესაც ჟღერს ქართულ ოჯახებში.

ამრიგად, ზემომოტანილი მასალებიდან გამომდინარე, აღმოსავლეთი მცირე აზია და ჩრდ. შუამდინარეთის გარკვეული ნაწილი უძველესი დროიდან ქართული და ქართველთა მონათესავე ტომების განსახლების არიალი ჩანს. მაგრამ რა დრომდე განაგრძობდნენ არსებობას დასახელებულ ტერიტორიებზე მათი შთამომავლები? უფრო სწორად ჩრდ. შუამდინარეთსა და მის ჩრდილოეთით განსახლებული ქართველი და ქართველთა მონათესავე ხალხებიდან ახ.წ. V საუკუნისათვის, შემორჩა რაიმე კვალი რამაც ჯუანშერს საფუძველი მისცა, თავის თხზულებაში შეეტანა ის თხრობა, რომელშიც შუამდინარეთის ნახევრის ქართველებისადმი კუთვნილების პრეტენზია არის ასახული?

უძველესი დროიდან აღმოსავლეთ მცირე აზიაში მცხოვრებმა ქართველური მოდგმის ტომებმა დღემდე შემოინახეს თავი. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ჩრდ. შუამდინარეთში?

არაბთა გამოჩენამდე, რომლებმაც საბოლოოდ შეცვალეს ამ კუთხის ეთნიკური სახე, ჩრდ. შუამდინარეთი და ვანის ტბის ირგვლივ მდებარე რაიონი, მართალია, არაერთი დამპყრობლისა და სახელმწიფოს ხელში იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამა თუ იმ ტერიტორიაზე შესული და გაბატონებული უცხო ეთნიკური ელემენტი, ყოველთვის ვერ ახერხებდა დამხვედური მოსახლეობის ასიმილაციას. მათი მოთავეობით შექმნილი სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ძველი მოსახლეობა არსებობდა განაგრძობდა, და არა თუ ეთნიკურ შეგნებას, ზოგჯერ ენასაც მშობლიურს ინარჩუნებდა. როგორც ცნობილია, ასე მოხდა აღმოსავლეთ მცირე აზიაში ძვ.წ. XIII ს. დამლევს ხეთების სახელმწიფოს დაღუპვის შემდეგ მუშქებმა თავისი ეთნიკური სახე და ენა შეინარჩუნეს. ალბათ ასე მოხდა შუამდინარეთშიც (იხ. ზემოთ § 3). ასურეთის იმპერიის დაცემის შემდეგ როგორც “ძველი მსოფლიოს ისტორიაშია” მითითებული, “не произошло сколько-нибудь значительных этнических перемен: погибла лишь верхушка ассирийского общества-знать и частично горожане. Сельское население осталось на своих местах и потомки его населяют Северный Ирак до сих пор (давно утеряв аккадский язык). Культурные, административные и военные традиции Ассирии были во многом усвоены ее преемниками” (183:42).

V საუკუნისათვის აღმოსავლეთ მცირე აზიისა და ჩრდილოეთი შუამდინარეთის ის ტერიტორიები, სადაც ქართველური მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ, ირანისა და ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში იყვნენ მოქცეულნი და დასმულ პრობლემას (თუ ცხოვრობდნენ ამ ადგილებში ქართველთა მონათესავე ხალხები) თითქოს არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასე არ იყო. ჯუანშერი, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, ზემოაღნიშნული ვითარება. ასეთ შემთხვევაში, მის მიერ იმ ფაქტის დაფიქსირება (თუნდაც ირანის შაჰის პირით), შუამდინარეთის ნახევარი რომ ქართველთა წინაპრებისა იყო, V ს-ში ქართული ეროვნული თვითშეგნების მაღალ გამოვლინებად უნდა იქნას მიჩნეული<sup>21</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ იყო, 453-456 წლებში ირანელთა მხარდაჭერით ვახტანგ გორგასალმა ბიზანტიის იმპერიის იმ ტერიტორიებზე რომ ილაშქრა, სადაც ქართველური მოსახლეობა იყო. ამ ლაშქრობის შედეგად ვახტანგმა, მართალია, ქართველური მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიების შემოერთება ვერ შეძლო, მაგრამ, დაიბრუნა ადრე რომაელთაგან მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ნაწილი (30: თავი VII).

ამ ლაშქრობისას პონტო-კაპადოკიის მოსახლეობისადმი ვახტანგის განსაკუთრებული გულთბილი დამოკიდებულება (168:163-164), ლაშქრობისას მის მიერ გაცნობილი პეტრე და სამოელ კაპადოკიელების ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლებად დადგენა, ვფიქრობ, სწორედ იმაზე მიგვითითებს, ჯუანშერი ( ფაქტობრივად ვახტანგ გორგასალი) მათ “ნათესავებად” რომ თვლიდა და V საუკუნისათვის აღმოსავლეთ მცირე აზიაში ქართული თუ ქართველური მოსახლეობა კვლავ რომ ცხოვრობდა.

მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში (პონტო-კაპადოკიაში) არა თუ V ს-ში, XIII ს. დამდეგსაც რომ ქართველური მოსახლეობა არსებობდა, ამის დასტურია 1204 წელს შავი ზღვის სამხრეთ

---

<sup>21</sup> არა თუ V ს-ში, XIX ს. შუახანებშიც კი საქართველოს სამეფო სახლის შთამომავალი თეიმურაზ ბაგრატიონი “სამეხსეთე ადგილებად” გაცილებით ვრცელ ტერიტორიას ასახელებს, ვიდრე ეს ჩვენ დღეს ვიცით. მისი სიტყვით, “ზემო ქართლი სამცხისა, ესე იგი სამეხსეთისა ადგილნი არიან, შიდა ქართლი ვიდრე ტრაპიზონადმდე და ვიდრე არზუმისა და ერევნისა საზღვრებამდე (51:10-11). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრება თითქოს სამხრეთში ქართველთა ლაშქრობები “ძირითადად მიზნად ისახავდა ხარკისა და ალაფის აღებას”, შემოერთებული ქვეყნების შემომტკიცებას და სავაჭრო-საქარაუვნო მაგისტრალზე გაბატონებას ( 114:ტ. III . გვ. 334), გადასინჯვას მოითხოვს.

სანაპიროსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საქართველოს სამეფო კარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის შექმნა. ვახტანგ გორგასლის მიერ წამოწყებული დიდი საქმე შემდეგში თამარმა დაავიროვინა — ტრაპიზონის იმპერია არსებითად ზომ ქართული სახელმწიფო იყო.

ვფიქრობ, ასევე თამარის დროს შეესხა აწილობრივ ხორცი ჯუანშერის დროინდელ ქართველთა პრეტენზიას ჩრდილოეთ შუამდინარეთისადმი. 1206-10 წლებში ქართველები ჩრდ. შუამდინარეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე ქ.ხლათს დაეუფლნენ. როცა აღნიშნულ ტერიტორიას იკავებდნენ თამარ მეფე და მისი დროის ქართველი პოლიტიკოსები ამ საკითხს იქნებ იგივე კუთხით უდგებოდნენ, როგორც ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ტრაპიზონის იმპერიის შექმნას. ამიტომ სამხრეთის მიმართულებით “ქართველთა გამუდმებული ლაშქრობების” ახსნა მხოლოდ ეკონომიკური დაინტერესებით, ცოტა ნაკლები მეჩვენება.

დიდებულთა შუამდგომლობით გიორგი III-ემ (1156-1184), როგორც ცნობილია, საქართველოს ლაშქარს ნება დართო დამარბეველი ლაშქრობები მოეწყოთ. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ლაშქარს სხვადასხვა ტერიტორია შეხვდა დასარბევად. ლიხთ-იმერეთ და ქართლის ლაშქარს დაევალა განძიდან მოკიდებული მტკვრის ორივე ნაპირის მორბევა ხლათამდე (57:15-16). მ.ლორთქიფანიძე ამ ფაქტის ახსნისას წერს: ქართველები არბევენ საქართველოს ან მის უშუალო მეზობლების მიწა-წყალზე ჩამომსხდარ თურქებს. ეს ის მხარეები იყო, რომელთა საქართველოსათვის შემოერთება ან რომელზედაც საქართველოს პოლიტიკური გავლენის გავრცელება აუცილებელი იყო მისი სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული უზრუნველყოფისათვის (76:279).

საქართველოს საზღვრებიდან შორს — ვანის ტბის აღმოსავლეთით მდებარე ყოფილ “მუშქთა ქვეყნისაკენ” ქართველთა ლაშქრობა, ცხადია, ამ მხარის თურქთაგან განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ქართულმა — აღორძინებულმა ეროვნულმა შეგნებამ XIII ს. დამდეგს, როგორც ჩანს, “ყოველთა ქართველთა” მფარველობის დიდი საქმე წამოიწყო.

§ 7. ძველი ავტორები სამხრეთიდან ჩრდილოეთში ქართველთა გადმოსახლების შესახებ. გადმოსახლების კვალი არქეოლოგიურ მასალაში

ახლა ისევ ჩრდ. შუამდინარეთში ქართველთა განსახლებისა და იქიდან მათი ერთი ნაწილის ქართლში გადმოსახლების საკითხს დავუბრუნდები და შევეცდები მის მხარდასაჭერად დამატებითი მასალა მოვიტანო.

ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა დავასახელო V ს. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა. როგორც ხორენაცი წერს,

მეფე ვალარშაკმა “კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალს გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ [ი]ვერიელთა მოდგმას” (98: 106-107). ზორენაცი იქვე დასძენს: “ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: “ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლესზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე [ი]ვერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი, მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა”, “[ი]ვერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს” (98:107).

ზორენაცის “სომხეთის ისტორიის” ქართულად მთარგმნელი ალ.აბდალაძე ამ ტექსტის კომენტარებისას შენიშნავს, რომ “ივერიელთა” ქვეყანაში ესპანეთი იგულისხმება (98: 264, შენ. 49). შემდეგ “გეორგიის” I ტომში (გვ.30) არსებულ ევსევი კესარიელის “ქრონიკების” ფრაგმენტულ ცნობაზე დაყრდნობით წერს: “მოვსეს ეს ცნობა ამოუღია ევსევი კესარიელის “ქრონიკის” ძველი სომხური თარგმანიდან. ევსევი კესარიელს, თავის მხრივ, შემოუნახავს მეგასთენეს ცნობა. ანტიკურ სამყაროში ფართოდ ყოფილა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერები დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლდნენ” (98: 264, შენ. 50).

რომაელი საეკლესიო ისტორიკოსის ევსევი კესარიელის (გარდ. 340 წ.) “ქრონიკიდან” ზემომოტანილ ცნობას (ნაბუქოდონოსორის მიერ ივერთა დამარცხებისა და მათი “პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე” დასახლების შესახებ. 46:30), მხარს უჭერს მისივე მეორე ნაწყვეტი, რომელშიც ნათქვამია: “აგრეთვე მეგასთენე ამბობს თავის “ინდოეთის” მეოთხე წიგნში, რომელშიც მოგვითხრობს ამის წინ მოხსენებული ბაბილონელთა მეფის შესახებ, რომ ის სიმამაცით და საგმირო საქმეებით ჰერაკლეს აღემატებოდა, იმდენად აღემატებოდა, რომ ლიბიის და იბერიის მეტი ნაწილი, ამბობს იგი, დაიპყრო” (46:30).

რა შეიძლება ითქვას ზემომოტანილი ცნობათა შესახებ? ისინი პირინეის იბერიას შეხებიან თუ კავკასიისას?

I.ზორენაცი თავის წყაროდ რადგან II ს. ისტორიკოსს აბიდენოსს ასახელებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ევსევი კესარიელის “ქრონიკიდან” “გეორგიის” I ტომში მოტანილი პირველი ცნობა აბიდენოსს ეკუთვნის.

II. მსგავსი შინაარსის ცნობა ევსევის აუღია ძვ.წ. III ს-ში მოღვაწე მეგასთენეს “ინდიკიდან” (“აგრეთვე მეგასთენე ამბობს”). გამოდის, რომ აბიღენოსის ცნობა, თავის მხრივ, მეგასთენედან მომდინარეობს.

წარმოშობით მცირე აზიელი (იონელი) ბერძენი ეთნოგრაფი და გეოგრაფი მეგასთენე სელევკ I ნიკატორის დროს 302-291 წლებს შორის ინდოეთის მეფის ჩანდრაგუპტას კარზე იყო. ამიტომ მისი თხზულების – “ინდიკას” ფრაგმენტები, რომლებიც ჩვენამდეა მოღწეული, მნიშვნელოვანი წყაროა. “ინდიკის” მეოთხე წიგნში, როცა ნაბუქოდონოსორის მიერ ივერიელთა (იბერთა) ქვეყნის დამორჩილებასა და მათი ერთი ნაწილის “პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე” დასახლების შესახებ წერდა, მეგასთენემ, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა რომელ იბერთა გადასახლებაზე საუბრობდა. ასევე, ევსევი კესარიელის ცნობის შინაარსიდან ესპანეთის იბერიიდან იბერთა გადმოსახლება არაფრით არ იგულისხმება. რაც შეეხება ხორენაციის ცნობას, როგორც იგი წერს, მისი წყარო ან აბიღენოსია, ან ევსევი კესარიელის “ქრონიკები” (ეს უკანასკნელი მთლიანადაა მოღწეული ორი სომხური თარგმანით – კონსტანტინოპოლისა და ეჩმიაძინის ხელნაწერები. 46: 30 შენ.3). ასევე, ხორენაცი როცა ევსევი კესარიელის “ქრონიკებიდან” ზემომოტანილ ცნობებს იღებდა, მანაც კარგად იცოდა რომელ იბერიაზე იყო ტექსტში საუბარი. ხოლო ხორენაციის ცნობის დასასრულს არსებული მითითება “[ი]ვერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს”-ო (98:107), მართლაც ესპანეთს აღნიშნავს და იგი ცნობის წინა შინაარსთან შეუსაბამოა. კიდევ ვიმეორებ, საეჭვოა არაა, აბიღენოსის ცნობაზე დაყრდნობით ხორენაცი სამხრეთიდან ჩრდილოეთში იბერთა გადმოსახლების ამბავს რომ გადმოგვცემს, რადგან იგი შემდეგში კიდევ განმარტავს: სომეხთა მეფემ არტაშესმა “თავისი ასული არტაშამა<sup>22</sup> მიათხოვა ვინმე მიპრდატს, ქართველთა ღიდ პიტიახშს; იგი ნაშიერი იყო დარეპის ნახარარის მიპრდატისა, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ალექსანდრემ [ი] ვერიელთა ქვეყნიდან [მოყვანილი] ტყვეების ხელისუფლად დაადგინა. [სომხეთის მეფემ] მიპრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებლობა” (98:111).

<sup>22</sup> ა. აბდლაძის განმარტებით, არტაშამა არის არტაშეს პირველი, ბერძნული წყაროების არტაქსია (98:266, შენ. 66), სომხეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი შემქმნელი, რომელმაც ქართლის სამეფოს სხვა ტერიტორიებთან ერთად გოგარენეც (ქვემო ქართლი) წავლიჯა.

ხორენაცი, როგორც ვხედავთ, გარკვევით წერს, ქართველთა დიდი პიტიახში მიპრდატი, იმ მიპრდატის შთამომავალი რომ იყო, რომელიც ალექსანდრემ იბერიელთა ქვეყნიდან მოყვანილი ტყვეების ხელისუფლად დაადგინა.

ხორენაცის მიერ სომხეთის მეფე არტაშეს I-ის თანამედროვედ დასახელებულ “ქართველთა დიდ პიტიახს” მიპრდატში, როგორც ა.აბდალაძე შენიშნავს, ქვემო ქართლის (გუგარქის) პიტიახში იგულისხმება. მეფე არტაშესი კი ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. სწორედ არტაშეს I-ს იხსენიებს ძველი ქართული წყარო, როდესაც მოგვითხრობს “ბაბილონში ანტიოქოსის მეფობის” დასრულებასთან დაკავშირებით სომხეთში არშაკის მეფობის შესახებ (ვარაუდობენ, რომ “ანტიოქოსის” მსგავსად ქართული წყარო “არშაკს” საღინასტიო სახელის სახით უნდა ხმარობდეს 90:146-147). სტრაბონის თანახმად, სწორედ არტაშეს I-ის დროს მიიტაცეს სომხებმა ქართული ტერიტორიები – მათ შორის გოგარენე, რომლის მმართველის შესახებაც ხორენაცი საუბრობს<sup>23</sup>. ასე რომ, ხორენაცის

---

<sup>23</sup> სხვათა შორის, ძვ. წ. II ს. 80-იან წლებში ქართლის მეზობლად ისტორიული ვითარების ცვლილება “მეფეთა ცხოვრებაშიცაა” ასახული. მას შემდეგ რაც ძვ.წ. 190 წელს მაგნესიასთან ბრძოლაში რომაელებმა ანტიოქოს III დაამარცხეს, მის მიერ სომხეთის მმართველად დადგენილმა არტაქსიამ (სომხ.წყაროს არტაშეს I .ძვ.წ. 189-161) და ზარიადმა (სომხ.ზარენ) თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს. ხორენაცი სწორედ არტაშეს I-ს მიაწერს გადმოსახლებული იბერიების მმართველად მირდატის დადგენას. აქ თუ სტრაბონის ცნობასაც გაკვირვალისწინებთ, სომეხთა მიერ გოგარენეს დაპყრობის შესახებ, არტაშესი ამ მხარეში მართლაც დასვა მდა თავის მოხელეს.

გ.მელიქიშვილის თანახმად, ქართლის მეზობლად მომხდარი ამ პოლიტიკური ცვლილებების შესახებ “მეფეთა ცხოვრებაში” მირვანის მეფობის აღწერისას ნათქვამია, რომ “მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანელთასა. ამის-ზე მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს. და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხითს რომელსაც ერქუა არშაკ. ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისსა, არშაკს. და მოკუდა მირვან, და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ” (69:28).

ქართული ტრადიციის მიხედვით, – წერს გ. მელიქიშვილი, – ფარნაჯოზიანთა ღინასტიის პირველი სამი მეფე (ფარნაჯოზი, საურმაგი, მირვანი) მორჩილებდნენ “ასურასტანის მეფეებს”. ამის შემდეგ “ასურასტანი” საერთოდ ქრება ასპარეზიდან და “ანტიოქის მეფობის” დასასრულს წყარო უშუალოდ აყოლებს სომხეთის მეფის გამოჩენის ამბავს. მომდევნო მეფეების დროს უკვე ქართლის ისტორიასთან დაკავშირებით უაღრესად აქტიურ ძალად ჩანს სომხეთის სამეფო. სომხეთის მეფე შემოესევა ქართლს, ბრძოლაში კლავს მეფე ფარნაჯომს და ქართლის ტახტზე თავის ძეს სვამს. ამავე ხანებში

ცნობიდან გამომდინარე, გოგარენეში რადგან სამხრეთიდან (იბერიიდან) გადმოსახლებული ხალხი სახლობდა, გამოდის, რომ იბერია სამხრეთში, კერძოდ სომხეთის სამხრეთით მდებარე ქვეყანა იყო.

ზემომოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: I ნაბუქოდონოსორის დროს სამხრეთიდან (იბერიიდან) ჩრდილოეთში იბერთა გადმოსახლების შესახებ ცნობა ძვ.წ. III ს-ში მოღვაწე მეგასტენეს “ინდიკის” მეოთხე წიგნიდან მომდინარეობს. II. მეგასტენეს ცნობას იმეორებენ: II ს. ავტორი აბიდენოსი, IV ს. რომაელი ისტორიკოსი ევსევი კესარიელი და V ს. სომეხი ავტორი მოვსეს ხორენაცი.

ძველ სამყაროში ფართოდ რომ იყო გავრცელებული აზრი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იბერიის დაპყრობისა და მათი ნაწილის სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ, ამის ერთ-ერთ გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ, VII ს. სომეხი ისტორიკოსის სებეოსის ცნობა. სებეოსს მოჰყავს რა სომეხ მეფეთა გენეალოგიური შტო ფარნავაზზე წერს: “ეს ფარნავაზი<sup>24</sup> დაემორჩილა ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს” (184:15). გ.მელიქიშვილი, როცა აღნიშნულ ცნობას შეეხო, აღნიშნა: ფარნავაზი სებეოსთან ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (604-562) თანამედროვედ არის გამოყვანილი (88:51), ნახევრადლეგენდარული ფარნავაზი შესაძლოა სამხრეთქართული გაერთიანების ხელისუფლად მივიჩნიოთ, რომელმაც ჩრდილოეთით განავრცო თავისი ხელისუფლება (88:60).

სებეოსთან დასახელებული ფარნავაზის ქართულ სამყაროსთან კავშირი ვერ უარყო ამერიკელმა მეცნიერმა პროფ. კ.თუმანოვმაც კი. მისი სიტყვით, სებეოსთან დასახელებული ფარნავაზი “სხვა არავინ არის, თუ არა იბერიის სამეფო სახლის ფარნავაზიანთა ეპონიმი” (80:187).

ძვ.წ. VI საუკუნეში არსებული “სამხრეთქართული გაერთიანება”, ცხადია, ჩრდ. შუამდინარეთსა და მის მიმდებარე

---

აქტიური როლის თამაშს იწყებს “სპარსნი” (პართიის სამეფო), რომელთაც ფარნავაზომი იშველიებს სომხებთან ბრძოლაში (90:146).

<sup>24</sup> სებეოსთან არის “ფარაზიან” და იმარკვარტმა აღადგინა ფარნავაზიანად (88:51). სომხეთის მეფეთა რიგში ფარნავაზს მოვსეს ხორენაციც იხსენიებს (98:87). აღ. აბდლაამის თანახმად, ეს ფარნავაზი სინამდვილეში ქართლის მეფე უნდა იყოს, რომელსაც არაერთი სომხური ოლქიც ექვემდებარებოდა და ამიტომაც გამოცხადებული სომეხთა მეფედ (98: 255, შენ. 85).

ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო და ფარნავაზი მის მეფედ უნდა იქნეს მიჩნეული.

საინტერესოა შემდეგიც. სებეოსს აქვს ცნობა “ბაგრატ ფარნავაზიანზე” და მას ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებლად თვლის (184:15). პ.ინგოროყვას თანახმად, სებეოსის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობები ეკუთვნის ადრეულ საშუალო საუკუნეებს და ჩართულია სებეოსის მატიანეში. ცნობაში აღნიშნულია ბაგრატიონთა გვარის შთამომავლობა ფარნავაზისაგან (55:79). “ბაგრატიონთა წინაპარს – ეპონიმს ბაგრატს (ბაგარატს) პირდაპირ ეწოდება ფარნავაზიანი”. “ირკვევა, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა არის შტო ძველქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა” (55:79-80) დასძენს პ.ინგოროყვა. ისევე როგორც ზემოაღნიშნული ისტორიკოსები, პ.ინგოროყვაც იმ აზრისაა, რომ “მოქცევაი ქართლისაი”-ს მატიანეში “დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი საისტორიო გადმოცემა ქართველი ხალხის გადმოსახლების შესახებ სამხრეთიდან – “არიან-ქართლიდან”. როგორც პ.ინგოროყვა წერს, ეს გადმოსახლება მოხდა “აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით”<sup>25</sup> (55: 80-81).

სამხრეთიდან ქართველთა გადმოსახლება რომ მოხდა ამის დამატებით საბუთად პ.ინგოროყვას მოაქვს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა. როგორც კონსტანტინე წერსო, იბერიელები შთამომავალნი არიან ჰურის [ხეთელის] მეუღლისა, რომელიც ცოლად შეირთო დავით წინასწარმეტყველმა. ამიტომ იბერიელები თავიანთ თავს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ნათესავსაც უწოდებენ. მოგვითხრობენ, რომ ისინი [იბერიელები], – განაგრძობს კონსტანტინე, – წამოვიდნენ იერუსალიმიდან... და დასახლდნენ... ქვეყანაში, სადაც ამჟამად მკვიდრობენ (55:81; 65:256). პ.ინგოროყვას თანახმად, ეს მეორე თქმულება ქართველი ხალხის სამხრეთიდან (იერუსალიმიდან) გადმოსახლების შესახებ ბაგრატიონთა გვარეულობის მეთაურობით არის ვარიაცია, ძველი საისტორიო გადმოცემისა ქართველი ხალხის სამხრეთიდან – “არიან-ქართლიდან” გადმოსახლების შესახებ ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით (55: 81-82).

ახლა ვნახოთ არქეოლოგიურ მასალებში თუა რაიმე კვალი სამხრეთიდან ხალხთა გადმოსახლების შესახებ?

---

<sup>25</sup> პ.ინგოროყვა ფიქრობს, რომ “არიან-ქართლში” იგულისხმება ხეთა-ურარტუს მსოფლიო. და “არიან-ქართლი” არის ბიბლიაში დასახლებული “ურ-ქაშდ [იშ], რომლის მეორე ნაწილს “ქაშდ [იშ]”, ნ.მარი და ივ.ჯგავაზიშვილი აკავშირებდნენ ქართველების სატომო სახელთან “ქართ-ი” (55:82).



ამ მხრივ საინტერესოა სოფ. ხოვლეს (კასპის რ-ნი) გათხრებისას მიკვლეული მასალა. აკად. დ.მუსხელიშვილის დასკვნით, ხოვლეს უძველეს ნამოსახლარზე ( VIII-IV პერიოდები, რომლებიც ძვ.წ. XV-VII სს. განეკუთვნება) თუ კულტურულად და ეთნიკურად ერთი მოღგმის მოსახლეობა ცხოვრობდა, რომლის შემოქმედებას წარმოადგენს ხოვლური შავლეგა და წაბლისფერი კერამიკა, VII ს. ბოლოდან (III პერიოდი) ჩნდება სრულიად ახალი, ხოვლესათვის მანამდე უცნობი წითლადგამომწვარი კერამიკა და იგი თანაბარი რაოდენობით გვხვდება შავ და ლეგაკერამიკულ ნაწარმთან ერთად (102:89). როგორც დ.მუსხელიშვილი წერს, ხოვლეს ნამოსახლარზე ახალი, წითლადგამომწვარი და წითლადშეღებილი ჭურჭლის გაჩენის ფაქტი მიგვითითებს ხოვლეში ახალი ეთნიკური ელემენტის შემოჭრაზე, რომელმაც თან ახალი კულტურული ნაკადი შემოიტანა (102:90). მისივე დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილება საკმაოდ უეცარი, სწრაფი და მძლავრი ჩანს, ლაპარაკი რაიმე კატასტროფაზე ან ძალდატანებაზე არ იქნებოდა მართალი... უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ახალი ეთნიკურ ელემენტის არა ძალდატანებით შემოჭრასთან, არამედ ინფილტრაციასთან... რასაც სრული სიცხადით მოწმობს, როგორც ძველი ადგილობრივი კერამიკის თანაარსებობა შემოტანილთან, აგრეთვე ძველი ყოფაცხოვრებითი ტრადიციების არსებობაც (102:90).

შემდეგ დ. მუსხელიშვილი კითხვას სვამს. “საიდან უნდა ვივარაუდოთ ამ ახალი ელემენტის შემოჭრა”? და პასუხობს – “სამხრეთიდან”. “საკმარისია ხოვლური წითელი კერამიკა შევეუდაროთ ურარტული ცენტრებიდან ცნობილ სათანადო მასალას, რომ მათ შორის აშკარა მსგავსება და იდენტურობა დავინახოთ” (102:91). უნდა ვიგულისხმოთ ხოვლე III –ის პერიოდში იმ ეთნიკური ელემენტების ინფილტრაცია აბორიგენულ მოსახლეობაში, რომელიც თავის დროზე ურარტული კულტურის ორბიტაში იყო მოქცეული (102:92). საინტერესოა ისიც, რომ თუ III პერიოდში (ძვ.წ. VI ს.) ურარტული სამყაროდან წამოსული ტომები მშვიდობიანად შემოდიან, ხოვლე II პერიოდში (ძვ.წ. V-IV სს. მიჯნა) ახალი ელემენტის შემოსვლა ხოვლეს კატასტროფით მთავრდება (102:96).

დ.მუსხელიშვილის თანახმად, ვინ იყო ამ კატასტროფის შემოქმედი, ძნელი სათქმელია. იქ ნაპოვნ “სკვითურ” ისრისპირებს დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ, რადგან მათი უმეტესობა ტიპოლოგიურად უცნობია საკუთრივ “სკვითური” სამყაროსათვის, თუმცა, მეტად მკრთალად, მაინც შეიძლება დავინახოთ “სკვითური” ელემენტი (102: 96-97).

მოტანილი მასალა თუ ისტორიულ რეალობას ასახავს, მაშინ უნდა გვქონდეს სათანადო ცნობები სამხრეთში იბერიის არსებობის შესახებ.

### § 8. სამხრეთის იბერი

ისტორიული საქართველოს ფარგლებს გარეთ განსახლებული, ქართველთა წინაპრებად მიჩნეული ტომებიდან, როგორც ივ.ჯავახიშვილი წერს, ტაბალი (თაბალი) და მუსკი ასურულ წყაროებსა და “დაბადებაში” (ბიბლია) ტყუპად არიან დასახელებულნი. ამ ორი ქართველური ტომიდან, თუბალი (თობალი) ყველაზე სამხრეთით ცხოვრობდა (155:436). ძვ.წ. XII-XI საუკუნეებში თუბალი (თაბალი) გაცილებით უფრო სამხრეთით რომ ცხოვრობდა, ივ.ჯავახიშვილს ამის საბუთად მიაჩნია, ის ცნობა, რომლის თანახმად, თაბალის ქვეყანაში მიმავალმა ასურეთის მეფე სალმანასარ II-ემ (ძვ.წ. XI ს.) მღ. ევფრატი გადალახა. მეორე მხრივ, სარგონ II-ემ (722-705) როცა თაბალის მეფეს ასული მიათხოვა, რადგან მზითვად კილიკია მისცა, შესაძლებელი ყოფილა კილიკია თაბალისათვის მიემატებინათ. კილიკია და თაბალის ქვეყანა მოსაზღვრე ქვეყნები ყოფილანო, ასკენის ივ.ჯავახიშვილი (155:412).

როგორ დგას თაბალის ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში?

პროფ. ნ. ხაზარაძის დასკვნით, თაბალის ქვეყნის სამხრეთი საზღვარი კილიკიის კართან იწყებოდა (147:52; 150:103), აღმოსავლეთი საზღვარი კი მღ. ევფრატთან ახლოსაა საძიებელი (147:40).

ე.ი. თაბალთა განსახლების არეალი მღ. ევფრატამდე აღწევდა. სამხრეთით, მღ. ევფრატს გადაღმა მდებარეობდა ოსროენა. ოსროენას აღმოსავლეთით კარდუხთა, ხოლო ოსროენის ჩრდილოეთით (ევფრატის აღმოსავლეთით) იყო მუშქთა ქვეყანა. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ახ.წ. I ს. ებრაელი ავტორი იოსებ ფლავიუსი თაბალს იბერთა წინაპრად რომ მიიჩნევს და აქვე გავიხსენებთ აკად. ს. ჯანაშიას მტკიცებას ჩრდ. შუამდინარეთიდან კავკასიის მთებამდე ქართველთა მონათესავე ხალხის (იბერ-სუბარების) ცხოვრების შესახებ (16:20), გამოდის, რომ ზემოდასახელებული ტერიტორიები, ქართველური მოდგმის ხალხის განსახლების არეალი იყო.

ახლა ვნახოთ, რას გადმოგვცემს იოსებ ფლავიუსი ქართველთა წინაპრების შესახებ?

როგორც ივ.ჯავახიშვილი წერს, ყურადღების ღირსია ის, რომ უკვე ებრაელი მეცნიერი იოსებ ფლავიუსი ამბობდა: “იბერები” თუბალისაგან არის წარმომდგარიო. ამავე აზრს იმეორებდა ევსტათი ანტიოქიელი (IV ს. I ნახევარი) და თეოდორიტე კვირელი ეპისკოპოსი (V ს. I ნახევარი), რომელნიც ამტკიცებენ “თუბალი” ეხლა იბერად იწოდებაო (155:404).

იოსებ ფლავიუსის “იუდეველთა სიძველეთა” ცნობების გაანალიზებისას პროფ. თ.ყაუხჩიშვილმა დაასკვნა: ბიბლიურ თეობალებს (ამ სახელის სხვადასხვა ვარიანტია) მერე, იოსების დროს იბერები ჰქვიათ, ხოლო მესხებს – კაპადოკიელები. ან თეობელები ცნოვრობდნენ იქ, სადაც მერმინდელი იბერები, ისევე, როგორც კაპადოკიელები იქ არიან, სადაც ოდინდელი მოსოხის ჩამომავალი მესხები იყვნენ, ან სხვაგვარად – იბერები თეობალთა შთამომავლები არიან, ხოლო კაპადოკიელები მესხებისა (124:49-50).

იოსებ ფლავიუსიდან მომდინარე ზემომოტანილი მტკიცება (იბერები რომ ბიბლიური თობალის ჩამომავლები არიან) ივ.ჯავახიშვილის შემდეგ ზოგი მეცნიერისათვის საეჭვო შეიქმნა. თ.ყაუხჩიშვილის თანახმად, ენობრივ საფუძველზე “იბერისა” და “თეობელის” დაკავშირება არ შეიძლება. იოსებ ფლავიუსმა, დასძენს იგი, – კარგად იცოდა ჩვენი იბერების არსებობა და ის ცდილობდა მათთვის წინაპრები დაეძებნა. შესაძლოა, არც ის იყოს გამორიცხული, რომ რაღაც ტრადიცია არსებობდა “იბერების” “თუბალებთან” დამაკავშირებელი (124:53). როცა ივ.ჯავახიშვილი და ს.ჯანაშია, – განაგრძობს თ.ყაუხჩიშვილი, – ქართველ იბერსა და ტიბარენს უკავშირებდნენ მცირე აზიის თაბალს (და ქართველ მესხს მცირე აზიელ მოსოხსა და მუშქს), ისინი გამოდიან იმ კონცეფციიდან, რომ ქართველები მცირე აზიელი ხალხია, მცირე აზიიდან არიან მოსულნი. დღეს, როდესაც ჩვენ ვიცავთ ქართველ ტომთა ავტონომიურობას, უფრო სხვა კრიტერიუმები გვაქვს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ და მცირე აზიის მოსახლე ტომთა შორის ურთიერთობის დასადგენად (124:53), ასკვნის თ.ყაუხჩიშვილი.

აღნიშნულის გარდა, ზოგი ევროპელი მეცნიერის კვალდაკვალ ჩვენშიც უარყოფილი იქნა ბიბლიური თაბალის ქართული წარმომავლობა. ასე მაგ., ბიბლიური თაბალების შესახებ არსებული მასალის გაანალიზების შემდეგ ნ.ხაზარაძემ დაასკვნა: “ჩვენს ხელთ არსებული... მასალა არ გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ საკუთრივ თაბალის ტერიტორიაზე ქართველური ტომების არსებობა ვივარაუდოთ. მაგრამ, ამასთანავე რიგი მონაცემები აშკარად

ლაპარაკობს თაბალურ სამყაროსთან ქართველური ტომების უახლოეს კონტაქტებზე...“ (147:83).

თ.ყაუხჩიშვილი როცა იოსებ ფლავიუსის ცნობას უარყოფს, ძირითად არგუმენტად ის მოაქვს დღეისათვის ივ.ჯავახიშვილის თვალსაზრისი საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა მოსვლის შესახებ უარყოფილი რომაა და ქართველები ავტოქთონ მოსახლეობადაა მიჩნეული. მაგრამ, ივ.ჯავახიშვილის, ს.გორგაძის, კლემან-პაუპტისა და სხვათა მტკიცება ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა სამხრეთიდან მოსვლის შესახებ როცა უარყოფილი იქნა, იმავდროულად ს.ჯანაშიამ, ვფიქრობ, სრულიად სამართლიანად წამოაყენა მოსაზრება (და სცადა იგი სათანადო მასალით დაესაბუთებინა) ჩრდილოეთი შუამდინარეთიდან მოკიდებული კავკასიის მთებამდე იბერ-სუბარების განსახლების შესახებ (16:20). რაც მთავარია, ქართველები რომ ავტოქთონი მოსახლეობაა, ეს არ გამორიცხავს ქართველთა მონათესავე ხალხები ძვ.წ. II-I ათასწლეულში და შემდეგაც უფრო ვრცელ ტერიტორიაზე რომ ყოფილიყვნენ განსახლებულნი. უფრო მეტიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია არ უარყოფს მცირე აზიიდან საქართველოს ტერიტორიაზე არა თუ მუშქა-მესხთა ნაწილის შემოსვლას, მიუთითებენ ინდოევროპული მოდგმის ტომების შემოჭრისა და დასახლების შესახებაც (მათი კვალი დღემდეა შემორჩენილი. 114:393, 346-352; 87:138).

რაც შეეხება ბიბლიური “თობელ და მოსოქ”-ის შთამომავლად იბერის მიჩნევას, იოსებ ფლავიუსმა თავისი თანადროული იბერი “დაბადების” წიგნის ავტორის მიერ “კუერიით ხუროი”-ს, “რვალისა და რკინის მჭედლად” დასახელებული “თობალ”-ის (დაბადება 4,22) შთამომავლად რომ მიიჩნია, რა თქმა უნდა, პალესტინაში ძველთაგან არსებულ ტრადიციას ემყარებოდა. თავის მხრივ, “დაბადების” ავტორი თობალს “კუერიით ხუროს”, “რვალისა და რკინის მჭედელს” რომ უწოდებს, ცხადია, მას თავისი თანადროული ვითარება აქვს ასახული. ქართველთა მცირე აზიელი ნათესავები და წინაპრები ამ მხრივ, მართლაც, რომ გამოირჩეოდნენ, ეს, ვგონებ, არავისთვის საკამათო არაა. ძვ.წ. IX-VII ს-ებში, როცა “დაბადების” წიგნი იქმნებოდა, ქართველ და ქართველთა მონათესავე ტომებში რკინის მეტალურგია ისეთ მაღალ დონეზე იყო, რომ ამის შესახებ არა თუ ძველმა პალესტინამ, საერთოდ მაშინდელმა აღმოსავლურმა სამყარომ იცოდა.

ქართველური მოდგმის მოსახლეობა ძველად საქართველოს ფარგლებს გარეთ, აღმოსავლეთ მცირე აზიასა, ჩრდ. შუამდინარეთსა და მის ჩრდილოეთ ოლქებში რომ ცხოვრობდა, ამის შესახებ უკვე

ვისაუბრე, მაგრამ კიდევ გავიხსენოთ: გ. მელიქიშვილის თანახმად, ქართველ და ქართველურ მოსახლეობას ეჭირა “სამხრეთი ამიერკავკასია და ვრცელი ტერიტორია, რომელიც მას სამხრეთიდან ეკვრის, ე.წ. ნაირი-ურარტუ... აგრეთვე მისი მეზობელი რაიონები”, სადაც ანტიკურ ხანაში ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით თავს იჩენს კარდუხ-გორდიების ტომები, შესაძლებელია აგრეთვე ქართული ტომები<sup>26</sup> (86:50-51).

აკად. გრ. გიორგაძის დასკვნით, სწორედ ჩრდ. შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე მდებარეობდა მუშქთა ქვეყანა. ამ პოლიტიკური გაერთიანების სიძლიერეს ადასტურებს ის, რომ მას 20000 –იანი ლაშქრის გამოყვანა შეეძლო ასურეთის ჩრდილოეთი სამფლობელოების დასაპყრობად. ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, – დასძენს იგი, – სახელმწიფოებრივი განვითარების დასაწყისი ძვ.წ. XII საუკუნიდან უნდა ვეძიოთ (21:6).

ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ქართველური მოდემის ტომებს ჯერ კიდევ ვრცელი ტერიტორიები რომ ეკავათ, ამას მოწმობს ჰეროდოტეს (ძვ.წ. V ს.) მიერ სასპერების და კოლხების ოთხ დიდ ხალხთა (სახელმწიფოთა) შორის დასახელება. როგორც ჰეროდოტე წერს, “სამხრეთის ზღვასთან” (იგულისხმება სპარსეთის ყურე. ვ.გ.) მცხოვრები სპარსელების ჩრდილეთით სახლობენ მიდიელები. მიდიელთა ზემოთ სასპიერები, სასპიერების ზემოთ – კოლხები, რომლებიც უკვე ჩრდილოეთის ზღვას (სადაც ფასისი მიედინება) ესაზღვრებიან. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე (172:191).

მიდიელებისა და სპარსელების (რომელთაც იმ დროისათვის სახელმწიფოები ჰქონდათ შექმნილი) გვერდით ჰეროდოტეს მიერ სასპერებისა და კოლხების დასახელება იმაზე მიგვითითებს კოლხების სამხრეთ-აღმოსავლეთით სასპერების განსახლების არეალი ვრცელ ტერიტორიას რომ მოიცავდა. კოლხთა, სასპერთა, კაპადოკიელთა და სხვა ქართველური წარმომავლობის ტომები კარდუხთა ქვეყნისა და “მუშქთა ქვეყნის” მცხოვრებლებთან ერთად, ერთ, მთლიან ქართულენოვან სამყაროს ქმნიდნენ.

---

<sup>26</sup> გავიხსენოთ გ.მელიქიშვილის სხვა თვალსაზრისიც. როცა კარდუხების ჩრდილოეთიდან გაჭრას იგი ურარტუს დანგრევის შემდეგ ვარაუდობს (86:51). ასევე, თ.მიქელაძე მესხური ნაკადის შეჭრას მდ. პალისისა და ეფურატის აუზში ხეთების სამეფოს დანგრევის ხანას უკავშირებდა (96:50).

სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას, ხსოვნა ძველად ქართველთა ვრცელ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ, გვიანობამდე რომ შემორჩა როგორც ქართულ ისე უცხოურ საისტორიო ტრადიციას. თქმულის დასტურად, მაკარიოს ანტიოქიელისა (იხ. ქვემოთ, შენიშვნა № 28) და თეიმურაზ ბაგრატიონის ზემომოტანილ ცნობასთან ერთად, იქნებ უნდა მივიჩნიოთ ეჩმიაძინის ერთ ხელნაწერში (ესაა “ლეგენდა ჯვარზე”) ნ. მარის მიერ მიკვლეული ცნობა. მასში ნათქვამია: ირანელთა მიერ 614 წელს იერუსალიმიდან გატაცებული მაცხოვრის ჯვარი იმპერატორმა ჰერაკლემ (610-641) როცა უკან წამოიღო “საქართველოს მთავარ გზაზე გამოიტანაო”<sup>27</sup> (169 :58).

ახ.წ. VII ს. ოციანი წლების ბოლოს ჩრდილოეთ შუამდინარეთში “საქართველოს მთავარი გზის” დასახელება, იქნებ წინა აზიასთან და ჩრდ. შუამდინარეთთან ძველი ქართული სამყაროს კულტურული და საეკონომიკური ურთიერთობის ანარეკლს წარმოადგენს, და იმ დროის ტრადიციას ასახავს, როცა აღნიშნულ გზას ქართველი ტომები წინა აზიაში თავიანთი რკინის ნაწარმის გასატანად იყენებდნენ. ძვ.წ. XI-IX საუკუნეებში რკინის ძირითადი მწარმოებლები ხომ სწორედ ჩრდ.-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მოსახლე ქართველური ტომები იყვნენ (183:50). მათ თავიანთი ნაწარმი ედესა-მელიტენაზე (ძველი მელიდი) გავლით გაჰქონდათ. ეს იყო ე.წ. “რკინის გზა”, რომლის დასაუფლებლად ასირიელები მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ. ასირიელთა შემდეგ “რკინის გზა” ურარტელთა ხელში მოექცა (183: 55-56).

მასალა, რომელიც ქართველთა მონათესავე ხალხის განსახლების საკითხის შესახებ მოვიტანე (იხ. აგრეთვე ქვემოთ თავი VII ) საფუძველს არ გვაძლევს იოსებ ფლავიუსის ცნობები, რეალურად მივიჩნიოთ? განა ფლავიუსი სომხებს არ იცნობდა? რატომ სომხების წინაპრებად არ დასახელა თობალები და მუშქები?

ასე რომ. ახ.წ. I საუკუნეში იბერებად წოდებული თობალები ძვ.წ. IX-VIII ს-ებში გაცილებით სამხრეთით ცხოვრობდნენ. მათთან ერთად ჩრდ. შუამდინარეთში ქართველურ სამყაროს ქმნიდნენ კარდუხ-გორდიები, მუშქთა ქვეყნის ძველი მოსახლეობა, ხოლო მცირე აზიის

---

<sup>27</sup> ჰერაკლე ჯვრის მომტანი ქ. ამიდასთან (ახლანდ. დიარბექირი) ელოდა (28:91). იქიდან უნდა წაეღოთ იერუსალიმში. ამიტომ ნ.მარის მტკიცება, თითქოს “საქართველოს მთავარი გზა” გვიანდელი “გურჯი ბოლახს” (მასზე გადიოდა არზრუმიდან საქართველოში მომავალი გზა) ნიშნავს, მეუჭეება. ქტიზიფონიდან იერუსალიმში წასაღებ ჯვარს ასე ჩრდილოეთით რატომ წამოიღებდნენ, როცა გზა ჩრდ. შუამდინარეთიდან სირია-პალესტინისაკენ ქ-ედესაზე და ზევგმაზე გადიოდა.

აღმ. ნაწილში — ბიბლიური მოსოხის შთამომავლები — კაპადოკიელები და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრები სხვა ქართველური წარმომავლობის ხალხები<sup>28</sup>.

ჩრდ. შუამდინარეთში მცხოვრები კარდუხ-გორდიები ზოგმა მეცნიერმა ამ ბოლო ხანს ქურთების წინაპრებად მიიჩნია (125:48). ამიტომ ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი კარდუხთა შესახებ ზემომოტანილ მასალას. მიუხედავად იმისა, რომ კარდუხები მართლაც ქურთების მეზობლად სახლობდნენ (იხ. ზემოთ, § 8) და საუკუნეთა განმავლობაში უცხო ეთნოსთა (სემიტურ-მაკედონურ გარემოცვაში) შორის მოუხდათ ცხოვრება, კარდუხთა ქვეყანაში მაინც შემორჩა საქართველოსთან დამაკავშირებელი კვალი.

სტრაბონი ქ.ტიგრანოკერტის სამხრეთით რომ “იბერიას” ასახელებს, ამ “იბერიასა” და საქართველოში მდინარეებსა (კენტრიტი, კინტრიში) და ციხეებს (არმაზი მცხეთაში და ჰარმაზი ქ.ნისიბისის ახლოს, 109:231) ერთნაირი სახელები რომ ჰქონდათ, განა ამ ორი მხარის მოსახლეობის ერთობაზე თუ არა ნათესაობაზე მაინც არ მიუთითებს? ისევ გავიხსენოთ ალ. სვანიძის სიტყვები: “გეოგრაფიული სახელი თავისთავად არ ჩნდება” და “თუ ორ სხვადასხვა ქვეყანაში ვხვდებით გრამატიკული სტრუქტურით აშკარა ერთმანეთთან გაიგივებულ სახელებს, ეს იმის მაჩვენებელია, ამ ქვეყნებში ოდესღაც ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობდა (115:131). ალ. სვანიძისავე თანახმად, სატრაპია სამხედრო ოლქად ითვლებოდა და ამიტომ აქემენიანები მასში ხალხებს ნათესაური ნიშნის მიხედვით აერთიანებდნენ (115:118). ეს თუ ასე იყო, მაშინ შემთხვევითი არ ყოფილა, ქსენოფონტეს “ანაბასისის” გვიანდელ ჩანართში ჩრდ. შუამდინარეთში მცხოვრები კარდუხები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრები აქემენიანთა XIX სატრაპიაში შემავალ ქართველურ ტომებთან ერთად რომ არიან დასახელებულნი (190:224). ჩანს, ასეთივე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ რომაელები ირანთან დადებული 363 წლის ზავის შემდეგ ჩრდ. შუამდინარეთისა და კაპადოკიის ცენტრად ქედესა რომ გამოაცხადეს და იქ გადაიტანეს სატაპრო მატრიანეები სინოპიდან (იხ. ზემოთ).

---

<sup>28</sup> როგორც ჩანს, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, ვრცელ ტერიტორიაზე, ქართველთა და მათი მონათესავე ხალხების განსახლების შესახებ ცოდნა ისე მყარი იყო სირიულ სამყაროში, რომ XVII საუკუნეშიც კი ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი ქ.მალატიის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებს ძველი დროის ქართველთა მეფეების საკუთრებად თვლიდა (179:12; 73:257). ეს ტერიტორიები კი “აღმოსავლეთის მუშქთა” განსახლების არეალი იყო.

ყოველივე აღნიშნული იმაზე ზომ არ მიგვითითებს, ჩრდ. შუამდინარეთი ძველად კაპადოკიად რომ ითვლებოდა. კაპადოკიის სემიტური (არამული) სახელი “კადუკ” (199:352; შდრ. 185 :14) და “კარდუ”-ს იქნებ ერთნაირი წარმომავლობისაა და რომელიღაც სემიტური ხალხისათვის “კარდუ”-სი იგივე კაპადოკიელს ნიშნავდა?

აღნიშნულის გარდა, განა კარდუხების ქართველურ სამყაროსადმი კუთვნილების შესახებ არ მიუთითებს მათი ქვეყნის მდინარისა და ადგილთა ქართული სახელები, კარდუხთა შრომისმოყვარეობა და მდიდარი სოფლები, შემოგვლესილ ქვეყრებში ღვინის შენახვა, ომის დროს სიმღერა, ზოლო მიცვალებულის დაკრძალვისას ზედაშეს დაქცევა. ერდოიანი (ბანიანი) სახლები<sup>29</sup> (131: 233), სახლებში მრავლად ბრინჯაოს ჭურჭელი (თობალი ზომ “რვალის მჭედელიც” იყო), კლდეში ნაკვეთი ქალაქები და საცხოვრებელი სახლები, ეკლესია-მონასტრები.

აი ასეთად წარმოგვიდგება სამხრეთის იბერთა ერთი ნაწილი. ვფიქრობ, გარკვეული საფუძველი გვაქვს, კარდუხებთან ერთად, “აღმოსავლეთის მუშთქთა” შთამომავალნიც სამხრეთის იბერებად მივიჩნიოთ. მათთან ერთად, სამხრეთის იბერნი იყვნენ ძველი დიაოხის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური მოსახლეობაც და როგორც გ.მელიქიშვილი წერს, ძველ სომეხ ავტორთან – სებეოსთან მოხსენიებული “ნახევრადღვინდარული ფარნავაზი” თუ მართლაც “სამხრეთქართული გაერთიანების” ის ხელისუფალი იყო, რომელმაც “ჩრდილოეთით განაევრცო თავისი ხელისუფლება”, მაშინ ეს გაერთიანება, რა თქმა უნდა, ისტორიული საქართველოს სამხრეთითაა საძიებელი. ზოლო სებეოსთან ნახსენები მეფე ფარნავაზი – ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის, ახალი ქართლის სამეფოს შემქმნელის ფარნავაზის წინაპარი უნდა ყოფილიყო.

### § 9 საქართველო – ჩრდილოეთის მხარე – იბერია

ჩრდილოეთ შუამდინარეთში კარდუხების ქვეყნისა (ანტიკური ხანის გორდიენე) და ვანის ტბის დასავლეთით მცხოვრები

---

<sup>29</sup> სოკლევორის კომპლექსში, გორის გარშემო განლაგებულ ნასოფლარში დადასტურებულია ერთთანხიანი ბანურგადახურვიანი სახლები. ეს დასახლება ძვ.წ. XII-X ს-ებიდან ძვ.წ. IV ს-მდე არსებობდა (იხ. 130; შდრ., 120). ჩრდ. შუამდინარეთში მდებარე იმ ტოპონიმებიდან, რომელთაც საქართველოში დაეძებნება პარალელი, ასევე შეიძლება დავასახელოთ ახლანდ. ქ.მარდინის დასავლეთით მდებარე სოფელი ფიტარი (phtr) (169:31). შეადარეთ ქვემო ქართლში სოფელ ფიტარეთის სახელი. ასევე საინტერესოა სოფლის სახელი ედისა – ჯავის რაიონში.



ქართველური მოღვმის ხალხის განსახლების სახით თუ არსებობდა სამხრეთის იბერია, მაშინ ამ სამხრეთელთათვის ჩრდილოეთში გადმოსახლებული მათი თანამოძმეები, საერთოდ, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები ჩრდილოელები იქნებოდნენ (ე.ი. უნდა არსებულიყო “ჩრდილოეთის იბერნი”).

ამ მხრივ საინტერესოა ბიზანტიელი მწერლის ნიკიტა პაფლაგონიელის (გარდ. 890 წ.) ის ცნობა, რომელიც ანდრია პირველწოდებულის მისიონერულ მოღვაწეობას ეხება<sup>30</sup>. ცნობაში აღნიშნულია: “ხოლო შენ, ჩემო უპატივცემულესო ანდრიავ, წილად გზედა რა ჩრდილოეთის იბერნი და სარმატნი... და ყოველი ქვეყანა და ქალაქი, რომელი პონტ ეუქსინიის ჩრდილოდ და... სამხრეთით მდებარეობენ (153:40-41).

ბერძნულ წყაროში ანდრიას სამისიონერო ქვეყნის – ქართლის მცხოვრებთა “ჩრდილოეთის იბერებად” დასახელება, უთუოდ ანგარიშგასაწევია. ასეთი გამოთქმა, თავისთავად ცხადია, გვიბიძგებს ვიგულისხმობთ, რომ ამ ტერმინის ავტორისათვის არსებობდა სამხრეთის იბერნიც. ნიკიტა პაფლაგონიელთან შემონახული ეს გამოთქმა, უეჭველია, რაღაც ძველ წყაროს (გამორიცხული არაა თვით ანდრია პირველწოდებულის შესახებ) ეყრდნობა. ის გარემოება, ანდრიას ქართლში შემოსვლასთან დაკავშირებით რომ შემონახა მოგონება, “ჩრდილოეთის იბერნის” შესახებ, ანდრია ჩრდილოეთისაკენ ქედის გავლით (თუ ედესიდან) გამოემართა, იქნებ შემთხვევითი არ იყო და იგი რაღაცით დაკავშირებული იყო შუამდინარულ (ქართულ-კაპადოკიურ) სამყაროსთან? ისე როგორც, გვიან, ნინო კაპადოკიელსა და მის ბიძას იერუსალიმის ეპისკოპოსს იობენალს, ანდრიასაც ქართველთა მიმართ იქნებ “ნათესაური” შეგნებაც ამოძრავებდა?

ამ მხრივ, ვფიქრობ, ბევრის მეტყველია ისიც, მაინცდამაინც ანდრიას რომ თვლიან თავიანთ განმანათლებლად ქართველთა მონათესავე ხალხად მიჩნეული ბასკებიც.

ბასკეთში არსებული გადმოცემით, მისიონერული მოღვაწეობის მიზნით, ანდრიას ბასკეთშიც უმოგზაურია და ბასკეთის უძველეს დედაქალაქ გერნიკაში მუხა დაურგია. ეს ადგილი ბასკებისათვის

---

<sup>30</sup> ამ ბოლო ხანებში საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის საკითხი ვრცლად განიხილა მთავარეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ (166<sup>1</sup>:20-51). აწყურში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის გაანალიზების საფუძველზე ასკენიან, რომ “ქართლის ცხოვრების” ჩანართის ცნობა ანდრია მოციქულის სამცხეში და კერძოდ აწყურში მოსვლის შესახებ რეალურია. ის ვინც ქრონიკას წერდა, ზედმიწევნით კარგად იყო ინფორმირებული აწყურის შესახებ (70:109).

უწმინდესი გამხდარა, ხოლო მუხა თაყვანისცემის ობიექტი. საინტერესოა ისიც, რომ ბასკეთის ეროვნულ დროშაზე წმინდა გიორგის თეთრი ჯვარის გვერდით, XIX ს-ში მიუმატეს (სიმბოლიკა) წითელი ფერი – სისხლისა და მწვანე ფერი ჯვარის სიმბოლიკით, რომლითაც აღინიშნა ანდრია პირველწოდებულის მოხსენიების დღე 6 დეკემბერი. როგორც ბასკოლოგი გ.ჩანტლაძე წერს, 1853 წელს ხოსე მარია იპარაგირემ (1820-1881) მუხის შესახებ დაწერა ლექსი – “გერნიკის ხე”, რომელიც შემდეგ ბასკეთის ჰიმნად ქცეულა. 1936 წელს ფაშისტებს პირველი ყუმბარა სწორედ მუხისათვის დაურტყამთ. დამწვარი მუხა დღეს სანტა მარია დე ანტიგას ეკლესიის ეზოში მარმარილოს გარესაცაგვი არის ჩასმული და ეს ადგილი დღესაც ბასკთა თაყვანისცემის ადგილია. იქვე შრილებს ახალგაზრდა მუხა, რომელიც ბებერი მუხის ყლორტიდან გაახარეს. გერნიკის მუხა ბასკთა ერთიანობისა და შეუვალობის სიმბოლოდაა მიჩნეული (იხ. ქართველური მემკვიდრეობა, V, 2001, გვ. 294-296).

რა თქმა უნდა, ძნელია იმის თქმა, საიდან და როდის შევიდა ბასკეთში ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა გიორგის კულტი, მაგრამ ბასკთა მიერ ანდრია პირველწოდებულთან ერთად მაინცდამაინც წმინდა გიორგი კაპადოკიელის სიმბოლიკისადმი პატივისცემა, მათ აზიურ-კაპადოკიურ ან კავკასიურ უძველეს სამშობლოზე ხომ არ მიგვივითებს?

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა ისევ გავიხსენო აკად. ს.ჯანაშიას ის თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ძველად “ჩრდილოეთი შუამდინარეთიდან მოკიდებული კავკასიამდე” იბერ-სუბარები სახლობდნენ (16:20). ძვ. და ახ. წ. პირველ საუკუნეებში ჩრდ. შუამდინარეთში რადგან კვლავ არსებობდა ქართული წარმომავლობისად მიჩნეული კარდუხთა ქვეყანა, ასევე მცირე აზიის აღმ. რაიონებში ისევ ცხოვრობდნენ ძველ მუშქთა შთამომავლები – კაპადოკიელები, მაშინ იქნებ შემთხვევითი არ იყო ქრისტეს მცნების საქადაგებლად ანდრია პირველად “მეგრელთა სოფლის” (ქვეყნის) ქალაქს ტრაპიზონს (პონტოს კაპადოკია) რომ ეწვია (კიდევ გავიხსენოთ: ჩრდ. შუამდინარეთი და კაპადოკია თავისი მოსახლეობითა და წარსულთ ახლო მყოფი მხარეები იყო. ამიტომ ახ.წ. 166 წელს რომაელებმა ოსროენა კაპადოკიის ნაწილად გამოაცხადეს). ტრაპიზონიდან ანდრია მესხეთში შემოვიდა. აწყურისაკენ მომავალმა გზად ზადენგორა (სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტოპონიმის არსებობა მოწმობს ძვ.წ. 676 წლის შემდგომ ახლო ხანაში მცირეაზიელი მუშქების ნაწილი შიდა ქართლში ამ გზით რომ შემოვიდა) გამოიარა (13:673). ანდრიას “ცხოვრებაში”

ასეთი მითითების არსებობა შემთხვევითი არაა. "ხადენი" მუშტა მიერ მცირე აზიიდან შემოტანილი, წარმართობის დროინდელი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მთავარი კერპი იყო (13: 672-673).

ნიკიტა პაფლაგონიელთან შემონახული გამოთქმა "ჩრდილოეთის იბერნი" (ჩრდილოეთის იბერია) თუ მართლაც ქრისტეს მოციქულის — ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის თანადროული საისტორიო წყაროდან მომდინარეობს და იგი საქართველოში ანდრიას შემოსვლასთან დაკავშირებითაა დაფიქსირებული, მაშინ აღნიშნული იმაზე უნდა მიგვითითებდეს ანდრიას თანადროულად სამხრეთის იბერიც (იბერია) რომ არსებობდნენ. ამ მხრივ ჩატარებულმა კვლევამ, როგორც ვნახეთ, მართლაც ხელმოსაკიდი მასალა მოგვცა. გარკვეულწილად დადასტურდა სტრაბონის ცნობა ჩრდ. შუამდინარეთში ქ. ტიგრანოკერტის მახლობლად "იბერიის" არსებობის შესახებ.

კიდევ ერთხელ გადავხედოთ სტრაბონის მონაცემებს. "მას შემგედ რაც, სომხეთის მეფე ტიგრანმა შუამდინარეთი, სირია და ფინიკია დაიმორჩილა, — წერს იგი, — და დიდ სიძლიერეს მიაღწია, იბერიის მახლობლად დაარსა ქალაქი <sup>31</sup> ... ჩაასახლა იქ ხალხი 12

---

<sup>31</sup> სტრაბონის "გეოგრაფიის" რუსულ ენაზე მთარგმნელსა და გამომცემელს გ. სტრატანოვსკის იმდენად უჩვეულოდ მოჩვენებია ქ. ტიგრანოკერტთან "იბერიის" დასახლება, რომ შენიშენაში უთითებს: როგორც ჩანს, ეს სიტყვა დამახინჯებულია, ამ ადგილებში იბერიის ქალაქები არ არსებობდნენ (214:824). პლუტარქეს ცნობით, ტიგრანოკერტში ცხოვრობდნენ: კილიკიიდან გადასახლებული ბერძნები, ძალით გადასახლებული ბარბაროსები: ადიაბენელები, ასირიელები, გორდინელები და კაპადოკიელები (108:82).

ქართველური მოსახლეობა ჩრდ. შუამდინარეთში შეიძლება ამიერკავკასიაში ურარტელთა ლაშქრობების შედეგადაც მოხვედრილიყო. როგორც ი. დიაკონოვი წერს, ყოველი ლაშქრობიდან ურარტელები უამრავ საქონელთან ერთად ასეული ათასობით დატყვევებულ მოსახლეობას მიერეკებოდნენ. რომელთა ნაწილს თავისუფალ მიწებზე ასახლებდნენ. მისი სიტყვით, ურარტუს მეფე სარდური II-ემ (ძვ.წ. VIII ს.) ერთ წელში ამიერკავკასიაში სამჯერ ლაშქრობიდან 12 735 მამაკაცი და 46 600 ქალი წაიყვანა (183:58-59). შეიძლება გვეფიქრა, ქ. ტიგრანოკერტის მახლობლად "იბერიის" არსებობა ამ მხარეში მაზაკელთა (კაპადოკიელთა) ჩასახლებამ განაპირობა.

მაზაკა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ზომ იოსებ ფლავიუსის მიერ "იბერთა წინაპრად" მიჩნეული თაბალების (56:271) ქვეყანა იყო (147:38). მაგრამ, შე უფრო მისაღებად მეჩვენება კარდუხთა ქვეყანაში "იბერიის"

განადგურებული ქალაქიდან და უწოდა მას ტიგრანოკერტი (214:501). სტრაბონისავე ცნობით, სომხეთის მეფემ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა კაპადოკია. მეფემ ყველა მაზაკელი გადაასახლა შუამდინარეთში და მათგან შეადგინა ტიგრანოკერტის მოსახლეობა. ტიგრანოკერტის აღების (იგულისხმება ძვ.წ. 69 წელს რომაელთა მიერ ამ ქალაქის აღება. ვ.გ.) შემდეგ ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა დაბრუნდა სამშობლოში (214:507).

როგორც ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ტიგრან II-ემ ტიგრანოკერტი ჩრდ. შუამდინარეთში არსებული “იბერიის” მახლობლად (გორდიენეს ჩრდილოეთით) დაარსა, ამ ქალაქის მოსახლეობა ძირითადად კაპადოკიელებმა (ქართველური მოდგმის მუშქემესხებმა) და ძველ კარდუხთა შთამომავლებმა – გორდიენელებმა შეადგინა. ძვ.წ. 69 წელს, კაპადოკიელებმა, მართალია, მაზაკაში (კაპადოკიის დედაქალაქი, ახლანდელი კაისერი, თურქეთში) დაბრუნების უფლება მიიღეს, მაგრამ ვინც ჩრდ. შუამდინარეთში დარჩა, ცხადია, გორდიენე-კარდუხების სამყაროს შეუერთდა.

უძველესი დროიდან ცალკეულ ტომთა თუ ხალხთა ნებით ან ძალდატანებითი გადასახლება სხვა ტერიტორიაზე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ მხრივ, იქნებ არც ძველი ავტორები ცდებიან, ნაბუქოდონოსორ II დროს, სამხრეთიდან ჩრდილოეთში – ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე – იბერთა ძალდატანებითი გადმოსახლების შესახებ რომ მიუთითებენ. ასევე, იქნებ მისაღებია კ.ლემან-ჰაუბტის მოსაზრება ელინისტურ ხანაში კარდუხების ნაწილის ჩრდილოეთით გადმოსახლების შესახებ? კორდუენეში (გორდიენეში) ბალკანეთიდან მიგრანების ტომების ჩასახლების შემდეგ, უმიწოდ და უსახლკაროდ დარჩენილი კარდუხების ნაწილმა იქნებ მართლაც დატოვა სამშობლო და ჩრდილოეთით გადმონაცვლა?

ამ მხრივ საყურადღებოა ძველი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს “ანაბასიდიდან” ზემოდასახელებული მითითება. ამ ცნობაში, ჩრდილოეთ შუამდინარეთში მცხოვრები კარდუხები, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით განსახლებული ქართველური მოდგმის – ხალიბების, ხალდების, მაკრონების, კოლხების, მოსინიკების, კოიტებისა და ტიბარენების გვერდით არიან დასახელებულნი და ნათქვამია, რომ ისინი სპარსეთს არ ემორჩილებოდნენ (190:224).

---

არსებობა იმაზე მიგვითითებდეს, ამ მხარისა და თაბალის მოსახლეობა ეთნიკურად ერთი და იგივე რომ იყო.

მოტანილ ცნობაში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველური მოდგმის ხალხებთან ერთად, ჩრდ. შუამდინარეთში მცხოვრები კარდუხების დასახელება, ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყურება. როგორც ვნახეთ, ქსენოფონტეს დროისათვის (ძვ.წ. V ს. დამლევით) კარდუხების ქვეყანა ჩრდ. შუამდინარეთში – მდ. კენტრიტის (კინტრიშის) სამხრეთით მდებარეობდა (ეს იყო აქემენიანთა იმპერიის თითქმის ცენტრი). ამიტომ, ცნობაში მათი განსახლების არეალად მითითებული ტერიტორია ძვ.წ. V ს. დასასრულის ისტორიულ ვითარებას არ შეესაბამება (იმ დროს შავი ზღვის სამხრეთით მცხოვრები ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და სხვანი სპარსეთის XIX სატრაპიაში შედიოდნენ. 114:400). ასე რომ, ზემომოტანილ ცნობაში ძვ.წ. V ს. დასასრულის ვითარება არაა ასახული. და მართლაც, დასახელებული ცნობა ქსენოფონტეს “ანაბასისში” გვიანდელ ჩანართად ითვლება. იქვე მითითებულია, რომ ინტერპოლაციის ავტორი განათლებული და იმ დროის ამბებში კარგად გაცნობიერებული პირი უნდა ყოფილიყო (190:286. შენ. 33).

ჩანართად მიჩნეულ ცნობაში, ვფიქრობ, ალ.მაკედონელის ლაშქრობის დროს მცირე აზიაში შექმნილი მდგომარეობაა ასახული. მას შემდეგ რაც, სპარსეთის მეფემ დარიოს III-ემ მაკედონელთაგან რამდენიმე მარცხი განიცადა, შუა აზიაში გაიქცა (მას დაედევნა ალექსანდრეც). აქემენიანთა იმპერია დაიწვია. როგორც ძველმა, ისე ახალმა ხელისუფლებამ მცირე აზიაზე კონტროლი დაკარგა. მცირე აზიაში მცხოვრები ქართველური მოდგმის ტომები აქემენიანთა დიქტატისაგან განთავისუფლდნენ და ასე დარჩნენ ძვ.წ. 301 წელს პონტოს სამეფოს წარმოქმნამდე. ამ დროისთვის ჩანართის ავტორის მიერ შავი ზღვის სამხრეთით განსახლებული ქართველური მოდგმის ტომების გვერდით ჩრდ. შუამდინარელი კარდუხების დასახელება, როგორც მე ვფიქრობ, მათმა ეთნიკურმა სიახლოვემ თუ არ განაპირობა? (იხ. ქვემოთ თ. VII), მაშინ ცნობის სხვა ნიუანსები რადგან ისტორიულ რეალობას ასახავს, იქნებ ძვ.წ. 327-301 წლებს შორის კარდუხების ნაწილმა მართლაც დატოვა თავისი ისტორიული სამშობლო და ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლა? კარდუხების ჩრდილოეთით გადმოსახლებას, მათ ტერიტორიაზე მიგდონების ჩასახლების გარდა, გარკვეულწილად იქნებ მათ მიმართ სომხების მტრულმა დამოკიდებულებამაც შეუწყო ხელი (კარდუხებსა და სომხებს შორის ადრიდანვე მტრული დამოკიდებულება იყო. 190:107).

კიდევ ვიმეორებ კარდუხების ქვეყნის მდ.კენტრიტის სახელის დამთხვევა დას. საქართველოს მდ. კინტრიშთან (155:411, 414, შენ. 7) იქნებ ამ ორი მხარის ეთნიკურ ერთობაზე მიგვიითხებ?

აღნიშნულთან ერთად, პონტოში – შავი ზღვის ნაპირას მდებარეობდა ქ.იბირა, იბორა (იგი ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის ევაგრეს სამშობლო იყო. 223: 450-451), ასევე, როგორც სტრაბონი წერს, იბერია-კოლხეთის საზღვარზე მდებარეობდა კარგად გამაგრებული ქ.იდესა (იგივე ედესა? ვ.გ.), რომელსაც ადრე “ფრიქსეს ქალაქი” ეწოდებოდა (214:473. მ. ინაძემ ეს ქალაქი მდ.ყვირილას ხეობაში მდებარე საირხესთან გააიგივა, ზოლო სახელი “იდესა” ტროა მახლობლად მდებარე იდეს მთას დაუკავშირა. 54 :110-118).

თუ მართლაც მოხდა სამხრეთიდან ჩრდილოეთით კარდუხთა გადმოსახლება, მაშინ ცხადია, ისინი ქალაქების სახელებთან ერთად თავიანთ პანთეონსაც გადმოიტანდნენ. ამ მხრივ საინტერესოა გრ. ლაფანციანის ერთი დაკვირვება. მისი დასკვნით, "...Некие племена, пришедшие с юга (хурри-субари, урарты) и почитавшие бога Халда, могли принести знамя (чано-мегрелам) на берегу Черного моря разные свои легенды, из которых двое – об Аншара-жини и Арам-Хуту – сохранились до сих пор, хотя разумеется, с большими изменениями" (185:249).

როგორც ზემოთ ითქვა, მეცნიერები მიუთითებენ ურარტუს სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ურარტელთა (ე.ი. ხურიტების) ერთი ნაწილის ქართულ მოსახლეობაში შერწყმისა და მათგან შეთვისებული საგალობელთა მისამღერის დღემდე შემონახვის შესახებ. ჩრდილოეთში გადმოსახლებული კარდუხები (კ.ლემან-ჰაუპტის თანახმად იბერები) რადგან ხურიტული კულტურული სამყაროდან იყვნენ გამოსულნი, როგორც გრ. ლაფანციანი წერს, მათ შავიზღვისპირეთში, ასევე სხვა მხარეებში მართლაც შეიძლებოდა შემოეტანათ ლეგენდა-გადმოცემები, რელიგიური რიტუალები <sup>32</sup>.

არამ-ხუტუსთან დაკავშირებით პროფ. გ. ჟორდანიამ ყურადღება მიაქცია, X ს. ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქელ მოდრეკილის გამოთქმას, რომ მან ჰპოვა საგალობელნი “ენითა ქართველთათა მებურნი, ბერძნულნი და ქართულნი”. მეორე მხრივ, ექვთიმე მთაწმინდელის (963-1028) მიერ ნათარგმნ ერთ თხზულებაში ჩამოთვლილ ხალხთა შორის იხსენიებიან “მეხურელნი” (110:22). სადაც, გ. ჟორდანიას თანახმად, “მე” თავსართია, “ელ” ბოლოსართი, ზოლო “ხურ” ხურიტს უნდა აღნიშნავდეს (110:29). აქედან გამომდინარე, იგი თვლის, რომ მიქელ მოდრეკილის მიერ

---

<sup>32</sup> სამეგრელოში დღემდე შემონახული “უინი ანთარის” რიტუალების შესახებ იხ. 54:40-41.

დამოწმებული “მეხური” საგალობელი შეიძლება ჩვენში ხურიტულ მუსიკალურ გაგენაზე მიუთითებს (110:76).

გ.ჟორდანიას მიერ მიქელ მორეკილის “მეხური” საგალობლის ხურიტებთან დაკავშირება, მართალია, აკად. კ.კეკელიძემ უარყო (63:605-606. იქვე, კ.კეკელიძეს მოაქვს “მეხურის” ახსნის სხვადასხვა მოსაზრებანი. 63: 604-605). მაგრამ, მისი განმარტებით, რადგან “მეხური” აღნიშნავს საღვთისმსახურო წიგნს (იგივე იადაგარს), კრებულს ჰიმნებისას ან წმინდანთა საგალობლებისას (63:605), რომ მეხურად წოდებული ჰიმნები გალობით უნდა ყოფილიყო შესრულებული (63:606), მაშინ, მიქელ მორეკილის გამოთქმა — მეხური, “მეხური საგალობელი” როგორც გ.ჟორდანიას წერს, შეიძლება მართლაც “ხურის” ხალხს (ხურიტებს) უკავშირდებოდეს. აქ თუ იმასაც გავეთვალისწინებთ (როგორც ცნობილი ჩეხი ხეთოლოგის ბ.პროხნის მასალებზე დაყრდნობით ს.ჯანაშია წერს), მცირე აზიაში ჯერ კიდევ ხეთების დროს რომ გამოიყენებოდა ხურიტული ლიტანიები, ლოცვები, ხურები ცნობილია რომ იფენენ როგორც მგალობლები (164:69. კარდუხებიც ხომ გამოირჩეოდნენ ამ მხრივ და ისინი ბრძოლის დროსაც კი მღეროდნენ), ხურიტულ საგალობელთა მისამღერები (“არი არალე” და სხვა) დღემდე შემორჩა ქართულ ყოფას, რატომ არ შეიძლებოდა X ს. საქართველოში ეარსება ხურიტულ სამყაროდან შავი ზღვისპირეთში შემოტანილ საგალობელთა კილოს?

აღნიშნულთან ერთად, როგორც ი.ჯავახიშვილი წერს, კარდუხი თუ “ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური ტომის სახელია” (155:411), “ჭანების ტომები ომს კი თურმე საომარი სიმღერა-ცეკვით იწყებდნენ” (158:223), მაშინ კარდუხებსა, ჭანებსა (ლაზ-მეგრელებს) და ხურიტებს შორის ბევრი საერთო უნდა ყოფილიყო.

სამხრეთიდან ჩრდილოეთში კარდუ (ქართუ)-ხიების ნაწილის გადმოსახლების შესახებ ზემომოტანილ მასალას თუ ისტორიულ ფაქტად მივიჩნევთ, მაშინ ძვ.წ. IV ს. დამდეგს ჩრდ. შუამდინარეთში დარჩენილ ქართველთა მონათესავე ხალხში აშკარად გამოიკვეთებოდა შეხედულება ჩრდილოეთში მათი მონათესავე ხალხის არსებობის შესახებ. შეგნება იმისა, რომ მათი “ნათესავეები” ჩრდილოელები იყვნენ. ვფიქრობ, სწორედ ასეთ საფუძველზე — ჩრდილო შუამდინარულ-არამეულ გარემოში უნდა წარმოშობილიყო ტერმინი “იბერია” — ჩრდილოეთის აღსანიშნავად.

გ.მელიქიშვილის თანახმად, ტერმინ “იბერის” წარმომავლობა ნათელი არ არის. იგი გაჩნდა უცხოენოვან (ბერძნულ) გარემოში — ელინისტურ ხანაში. ზოგი მას ქართულ “იმერს”(იქითა მხარე) უკავშირებს და მიიჩნევს დასავლეთ საქართველოში ლიხსიქითა ან

მესხეთის მთებსიქითა ქვეყნის აღსანიშნავად შექმნილ ტერმინად. ზოგი კი უკავშირებს ძვ.წ. V საუკუნის ბერძენ ავტორებთან დამოწმებულ სასპერების სახელს (მათი სახელი შემორჩა ისტორიული სპერის ოლქს). ბერძნებთან იბერიად ცნობილი ქვეყანა აღგილობრივ “ქართლად” იწოდებოდა<sup>33</sup> (იხ. 84).

როგორც ვხედავთ, ზოგ მეცნიერს ტერმინი “იბერია” ელნისტურ ხანაში შექმნილად მიაჩნია. თვლიან, რომ შინაარსით ეს ტერმინი ამა-თუ იმ ხალხის ან ქვეყნის – ამ შემთხვევაში მესხეთის, “მთებს იქითა” ქვეყნის (როგორც პლინიუსი წერს) აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (85:84). ე.ი. “იბერია” მხარის მაჩვენებელია – საკუთრივ ქართულმა საისტორიო წყაროებმა “ქართლის” სამეფოს აღსანიშნავად ეს ტერმინი არ იციან.

გ.მელიქიშვილის შენიშვნით, ტერმინ “იბერიის” წარმოქმნას ზოგი მკვლევარი სასპერების სახელს უკავშირებს. ამიტომ, ვნახოთ რას წერს ამის შესახებ აკად. ს.ჯანაშია.

როცა ძველი წელთაღრიცხვის საქართველოზე ვსაუბრობთ, – წერს იგი, – ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პეროლოტე, რომელსაც კავკასიის შესახებ სანდო და კარგი ცნობები აქვს, იბერებს ამიერკავკასიაში არ იხსენიებს. ეს იმით კი არაა გამოწვეული – დასძენს ს.ჯანაშია, – აღმოსავლეთ საქართველოს ტომებმა პეროლოტეს ისტორიაში ადგილი (ასახვა) რომ ვერ ჰპოვეს, არამედ ალბათ იმით, რომ “მერმინდელი იბერ-ქართველი” პეროლოტესთან “სასპერების” სახელით გვხვდებიან (164:51). ეს სასპერები, რომლებიც ალაროდიელებთან (ურარტუს ხალხს უდრის) ერთად აქემენიანთა იმპერიის მე-18 სატრაპიას ქმნიდა (164:52), მერმინდელი ბერძენი მწერლების იბერები არიან (164:57). ს.ჯანაშიას დასკვნით, სწორედ სასპერები იწოდებოდნენ იბერებად. ამიტომ ადვილად შეიძლება აიხსნას, სად გაქრნენ ასე უკვალოდ სასპერები და საიდან გაჩნდნენ ასე მოულოდნელად იბერები (164:57). სახელწოდება “იბერი”, “იბერია”, – დასძენს ს.ჯანაშია, – ძვ.წ. IV საუკუნიდანაა დადასტურებული. უფრო ადრე მათ ნაცვლად ვხვდებით ხალხის

---

<sup>33</sup> ჩეჩენმა მკვლევარმა ს.ჯამირზაეემა არ გაიზიარა ტერმინ “იბერიის” ის ახსნა, რომელიც ქართველ მეცნიერებს აქვთ მოცემული. მისი ვარაუდით, ტერმინი “იბერია” იდენტური უნდა იყოს ჩეჩნური სიტყვისა “ბერ” რაც “მხედარს”, “მეომარს” ნიშნავს (იხ. მისი, Проблемы древней этнической истории Грузии и Кавказа. თბ. 1998. გვ. 109). (დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი ინახება ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტის ბიბლიოთეკაში).



აღმნიშვნელად “სასპიერ”, ხოლო “სისპირიტიდა” ამავე ხალხის ტერიტორიას აღნიშნავს (163:244).

ამრიგად, ს.ჯანაშიას მსჯელობიდან გამომდინარე, სასპერების სახელიდან გაჩნდა ტერმინი “იბერი” ხალხის, ხოლო “იბერია” ქვეყნის აღმნიშვნელად. სასპერების ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემორჩა ერთ-ერთი ოლქის სახელი “სისპირიტიდა” (მცირე აზიაში).

როგორც ზემოთ ვნახეთ, ძველი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი იბერებს ბიბლიური თაბალის (თუბალის) შთამომავლად თვლიდა. იმაზეც მივუთითებ თაბალთა განსახლების არეალი ძველად უფრო სამხრეთით რომ იყო (ახლანდ.კაისერიის ძველი მაზაკას რაიონი. 147:38-39,58). მისი აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ეფრატამდე – დღევ. მალატიამდე აღწევდა ( 147:39). ეფრატის აღმოსავლეთით კი “მუშქთა ქვეყანა” (აღზი), და პეროდოტეს დროინდელი სასპერების განსახლება გარკვეულწილად თაბალთა მიწების ჩრდ. აღმოსავლეთით მდებარეობდა. აქედან გამომდინარე, დასაშვებია სასპერების თაბალთა “ნათესავებად” მიჩნევა (ფლავიუსი იბერებს მაინცდამაინც სამხრეთში მცხოვრები თაბალების შთამომავლად რომ თვლის, ბევრისმეტყველია) და შეიძლება თაბალთა იოსებ ფლავიუსისეული სახელი “იბერი” სასპერებზეც გადაგვეტანა. მაგრამ აქ თუ იმას გავითვალისწინებთ, ს.ჯანაშიას მტკიცება ტერმინ “იბერის” სასპერებიდან მომდინარეობის შესახებ მკვლევართა ნაწილს საეჭვოდ რომ ერვენება და გ. მელიქიშვილის თანახმად, მისი წარმომავლობა ნათელი არ არის, მაშინ უფრო მისაღები ხომ არაა ზემოგამოთქმული თვალსაზრისი “იბერი” “მთებსიქითა” – ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის აღსანიშნავად შექმნილი ტერმინი რომ შეიძლება იყოს? ამ შემთხვევაში ტერმინი “იბერია” ჩრდილოეთის მხარის აღმნიშვნელი გამოდის.

ტერმინი “იბერ” ძვ.წ. IV ს. დამლევს ჩრდ. შუამდინარულ-სემიტურ (ასურულ-არამეულ-ებრაულ) სამყაროში გაჩნდა (ეტიმოლოგიურად *ibri* – “მცხოვრები”, *ebār* მდინარის იქითა მხარეს ნიშნავს. 177<sup>6</sup>:355) მხარის – ამ შემთხვევაში ჩრდილოეთის მხარის აღმნიშვნელად, სამხრეთის იბერებისათვის კი ქართლი – უფრო სწორად ისტორიული საქართველოს ტერიტორია რადგან ჩრდილოეთის ქვეყანა იყო, მაშინ “იბერ” – მხარეს, ჩრდილოეთს უნდა ნიშნავდეს და მართლაც, სემიტურ ენებში – ამ შემთხვევაში ებრაულში, როგორც პროფ. კ. წერეთელი წერს, “იბერი” ნიშნავს “მხარეს”, ხოლო აქედან ნაწარმოები სიტყვა იბრი (*ibri*) სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსით (-ი) “იქითა მხარეს” (143:43). ტერმინი “ებერ”-ი (იბერია) რომ სემიტურ სამყაროში უნდა წარმოშობილიყო,

ამას ჯერ კიდევ პ.იოსელიანმა მიაქცია ყურადღება. როგორც იგი წერს, ებრაულში “*i beri*” ნიშნავს “გადასულს” (“*transivit*”), აქედან “ებორა” – გადასული <sup>34</sup> (182:131). თუ ტერმინ “იბერის” ასეთ ეტიმოლოგიას მივიღებთ, მაშინ გამოდის, რომ სამხრეთელი იბერებისათვის ისტორიული საქართველოს ტერიტორია გადასულთა მხარე – ჩრდილოეთი იყო <sup>35</sup>.

ივ.ჯავახიშვილმა განიხილა რა ის მასალები, რომლებშიც ქართველები “ჩრდილოელებად”, ხოლო საქართველო ჩრდილოეთის ქვეყანადაა დასახელებული, აღნიშნა: V ს. და VI ს. დამდეგს შედგენილ ასურულ ძეგლებში იბერიელნი ანუ ქართველნი “ჩრდილოელებად” იწოდებიანო <sup>36</sup> (154:254). შემდეგ იქვე წერს: “გამოსარკვევია თუ საითგან და როგორ უნდა იყოს ეს საქართველოსათვის უცნაური საგეოგრაფიო სახელი გაჩენილი; რატომ არის, რომ ქართველები თავიანთ თავს და სხვებიც საქართველოს და ქართველებს ჩრდილოელებს უწოდებენ?...ასეთი საგეოგრაფიო და ეთნოლოგიური ტერმინი შეუძლებელია თვით საქართველოში იყოს გაჩენილი, რადგან

---

<sup>34</sup> თუ “იბერის” ასეთი ახსნა სწორია, თანაც ჩრდ. შუამდინარეთიდან კარდუხთა ნაწილი მართლაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზეც გადმოსახლდა და აქ არსებული ქიბორა (ევაგრე პონტოელის სამშობლო) მათ ეკუთვნოდათ, მაშინ, ამ ქალაქის სახელი “გადმოსულთა” დასახელების აღმნიშვნელი გამოდის.

ძვ.წ. I საუკუნისათვის “იბერია”, ჩანს უკვე ქვეყანას, ხოლო “იბერი” ხალხს ნიშნავდა. ამიტომ იხსენიებს სტრაბონი “იბერიად” როგორც ქართლს, ისე ტიგრანოკერტის სამხრეთით მდებარე კარდუხთა ქვეყანის ერთ ნაწილს.

<sup>35</sup> სამხრეთში მცხოვრები მუშქებისათვის ქართლი რადგან ჩრდილოეთის ქვეყანა იყო, საქართველოში (მესხეთში) შემოსულმა მუშქთა შთამომავლებმა – მესხებმა იქნებ გვიანობამდე შემოინახეს ეს ტრადიცია? ამ მხრივ საინტერესოა, ათაბაგ ყვარყვარე IV-ის (XVI ს.) მიერ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბასილის “ყოველთა ჩრდილეთისა” საჭეთმპყრობლად დასახელება (166<sup>3</sup>:177).

<sup>36</sup> საქართველო ჩრდილოეთის ქვეყნად ძირითადად სემიტური კულტურის გავლენის დროს შექმნილ თხზულებებში იხსენიება. ასე მაგ., იესოს სამოსელი “წილით ძხუდა ჩრდილოთა მცხეთელთა”. იერუსალიმიდან წამოსვლისას ნინომ იკითხა: “სადა არს ჩრდილოისა იგი ქუეყანაი”. ხოლო ნინოს გარდაცვალებისას “ყოველი ნათესავი ჩრდილოისაი აღივსო მწუსარებით”. ასევე პეტრე იბერის ასურულ “ცხოვრებაში” ნათქვამია, რომ პეტრე იყო “იმ ჩრდილოთა” ქვეყნიდან, რომელიც მზის აღმოსავალს მდებარეობს” (154:254. ივ. ჯავახიშვილს მიაქვს სხვა მაგალითებიც).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ტერმინი “იბერია” ბერძნულ სამყაროში შექმნილი არაა. ბერძნები ქართველებს “გეორგიენ”-ს უწოდებენ.

ქართველი თავის თავს ჩრდილოელს ვერ უწოდებდა. სამაგიეროდ ბუნებრივია, სამხრეთელებს ქართველებისა და საქართველოს აღსანიშნავად ასეთი სახელი ეხმარათ... რასაკვირველია, აქ შემთხვევითსა და კერძო სახელთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ტერმინთან. ამიტომ ქართველთათვის და საქართველოსათვის არსებული ამ ტერმინის სადაურობისა და წარმოშობის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაწყვეტილად იქმნეს მიჩნეული, თუ მის განმარტებას პოლიტიკურ-გეოგრაფიული საფუძველი მოეძებნება, თუ გამოირკვევა, რომ ასეთი ტერმინი ოდესღაც ოფიციალური გეოგრაფიული ტერმინი იყო” (154: 254-255).

ამ გამოკვლევაში რამდენად მოეძებნა ტერმინ “იბერიის” წარმოშობას “პოლიტიკურ-გეოგრაფიული საფუძველი”, ეს მკითხველმა განსაზღვროს. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ბატონი ივ.ჯავახიშვილი მართალი ბრძანდება: “უცნაური გეოგრაფიული სახელი” “იბერია” მართლაც “შეუძლებელია თვით საქართველოში იყოს გაჩენილი”. ქართველი თავის თავს “ჩრდილოელს” არ უწოდებდა. თუ ივ.ჯავახიშვილის მიერ მოტანილ მასალას გავითვალისწინებთ (იხ. შენ. №36), მაშინ ცხადი გახდება ტერმინი “იბერია” ისტორიული საქართველოს ტერიტორიის სამხრეთით – ასურულ (სემიტურ) სამყაროში უნდა გაჩენილიყო (რა თქმა უნდა, არა სასპერების სახელიდან) როგორც მხარის – ჩრდილეთის აღმნიშვნელი. სემიტურ სამყაროში მხარის აღსანიშნავად გაჩენილმა ამ ტერმინმა შემდეგში შეიძინა ეთნიკური მნიშვნელობა და გახდა ქართლის, აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრების, საერთოდ ქართველის აღმნიშვნელი.

სემიტურ სამყაროში ტერმინი “იბერია” იმთავითვე რომ ქართლისა და ქართველის აღმნიშვნელად გაჩენილიყო და არა ჩრდილოეთის მხარისა, მაშინ სირიელები (ასურელები) ქართლის აღმნიშვნელ ტერმინად “გურზანს” აღარ გამოიყენებდნენ (220<sup>ა</sup>: 165). საინტერესოა ისიც, რომ VII ს. სომხურმა გეოგრაფიამ ირანის ჩრდ. ქუსტაკის აღმნიშვნელად “ჩრდილეთი” არ იცის და მას “ქუსტი კაკოკო” ე.ი. კაკასიის მთების ქვეყანას უწოდებს. სამაგიეროდ არაბი გეოგრაფები “კაკასიის მხარეს” ისევ “ჩრდილოეთს” – “აპახტარ” უწოდებენ (154:255).

ტერმინ “იბერია”-დან ჩანს ნაწარმოები საქართველოს სომხური სახელწოდება “ვირქ” resp. “ber”, “ქ” არის მრავლობითის მაჩვენებელი. ახალსომხურშია “ber-au-ი”). სომხურ საისტორიო ლიტერატურაში “ვირქ”-ით ძირითადად ქართველი ე.ი. იბერია აღინიშნება (198:328). როგორც ჰ.პიუბშმანი წერს “ი ვერ” (i ver )

სომხურად “ზემოს”, “ზემო ქვეყანას”, “ჩრდილოეთს” ნიშნავს (230:495). ე.ი. ხალხი რომელიც სომხების ჩრდილოეთით ცხოვრობდა.

სომხურში ქართლის აღმნიშვნელი სიტყვა რომ “ჩრდილოეთია” შემთხვევითი არაა. როგორც ძველი შუამდინარელებისათვის, სომხებისთვისაც ქართლი ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა იყო.

მოვსეს ხორენაცის ცნობებიდან გამომდინარე, როგორც ვნახეთ, სამხრეთიდან “ტყვე იბერთა”, გადმოსახლება ქვემო ქართლში – გუგარქში, ივარაუდება. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ეს მხარე სამხრეთში დარჩენილი ქართველთა თუ ქართველთა მონათესავე ხალხისათვის ჩრდილოეთი – “იბერია” იყო, მაშინ ბევრის მეტყველია ის, რომ თვით სომხური საისტორიო ტრადიციაც ჩრდილოეთის მხარედ ქვემო ქართლს (აღმ. საქართველოს) რომ თვლის.

ჩრდილოეთის მხარის შესახებ ძველ სომეხ ავტორებთან არსებული ცნობების გაანალიზების შემდეგ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა დაასკვნა: სომხეთში მცხოვრებთა თვალსაზრისით “ჩრდილო მხარენი” ესაა ქვემო ქართლის ტერიტორია (92:13). ეს ტერიტორია, – განაგრძობს იგი, – სომხურ საისტორიო მწერლობაში (უხტანესი, ასოლიკი, ფსევდო შაპუპ ბაგრატუნი) ხან “ტაშირ და ვრაცდაშტ”, ხან “ვრაც დაშტ”-ის სახელითაა ცნობილი (92:19). ე.ი. ეს ავტორები “ლორე-ტაშირის” ველს, ქართველთა ველს” უწოდებენ, სომხები ამ მხარეს ქართველთა კუთვნილებად თვლიდნენ (92:21) ასკენის ლ.მელიქსეთ-ბეგი.

ზემომოტანილი მასალის შემდეგ უნდა დავასკვნათ:

I . ძველ მწერლობაში საკმაოდ ფეხმოკიდებული ტრადიცია – სამხრეთში იბერიის არსებობისა და სამხრეთიდან ჩრდილოეთში იბერთა ნაწილის გადმოსახლების შესახებ, ისტორიულ საფუძველს ემყარება და, როგორც ჩანს, უფრო რეალურად უნდა შევხედოთ მეგასთენედან მომდინარე იმ ცნობას, რომლის თანახმად, ნაბუქოდონოსორ II-ემ (ძვ. წ. 604-562) სამხრეთით მდებარე [ი] ვერიელთა (იბერთა) ქვეყნის დამორჩილების შემდეგ მისი მოსახლეობის ნაწილი “პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა”. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მართლაც, შეიმჩნევა სამხრეთიდან გადმოსახლების კვალი.

II . თუ ხოვლე III-ის პერიოდის არქეოლოგიურ მასალას გავითვალისწინებთ, ნაბუქოდონოსორ II-ის დროსვე სამხრეთიდან ქართველთა მონათესავე ხალხის გადმოსახლება ივარაუდება ქართლშიც. “ტყვე იბერთა” გადმოსახლებაში, ჩანს, ხოვლე III-ის პერიოდში (ძვ.წ. VI ს.) ურარტუს ტერიტორიიდან წითლადგამომწვარი კერამიკის მწარმოებელი მოსახლეობის მშვიდობიანი შემოსვლაა

ასახული. და უფრო ანგარიშგასაწევი ხდება ძველი სომეხი ისტორიკოსის სებეოსის ცნობის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში (გ.მელიქიშვილი) მიღებული დასკვნა – ძვ.წ. VI ს-ში ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის თანადროულად სამხრეთში ქართული გაერთიანების არსებობისა და მისი მეფე ფარნავაზის შესახებ<sup>37</sup>. სებეოსთან “სამხრეთის გაერთიანების მეფე” ფარნავაზის უშუალო შთამომავლად ბაგრატიონების დასახელება, მეორე მხრივ, ხორენაცის ცნობა ქედესაში ბაგრატიონთა ცხოვრების შესახებ (98:127) ნამდვილად ჩასაფიქრებელია.

III. ხორენაცის ცნობიდან გამომდინარე, “ტყვე იბერების” ნაწილის ქვემო ქართლში დასახლება ივარაუდება. როგორც იგი წერს, ალექსანდრემ ღარეჰის (ღარიოს III ძვ.წ. 336-330) ნახარარი (სატრაპი) მიჰრდატი ხომ “ჩრდილოეთის მხარეში” – “გუგარელთა ქვეყანაში” [იქვერიელთა ქვეყნიდან გადმოსახლებული ტყვე იბერების ხელისუფლად დაადგინა. ხორენაცისთან დასახლებული მიჰრდატი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, იგივე მითრენია, რომელიც ალ. მაკედონელმა 331 წელს გავეამელასთან გამარჯვების შემდეგ, სომხეთის სატრაპად დანიშნა (81:105).

მითრენის ქვემო ქართლის (გოგარენეს) გამგებლად დანიშნა ხომ არ შეიძლება კავშირში იყოს იმ არქეოლოგიურ მასალასთან, რომელიც ხოვლეს არსებობის შეწყვეტაზე მიუთითებს. არაა გამორიცხული ხოვლეს არსებობის შეწყვეტა იმავე ეპოქაში არიან-ქართლიდან აზოს შემოსვლასა და მის მიერ ქართლის დაპყრობასთან იყოს დაკავშირებული<sup>38</sup>.

IV. ისტორიულად არსებული პიროვნებებია: ნაბუქოდონოსორ II და 331 წლიდან ალ.მაკედონელის სამსახურში მყოფი, სომხეთის სატრაპი – მიჰრდატი (მითრენი). რაც მთავარია, ისტორიული რეალობის ამსახველი ჩანს მეგასთენედან მომდინარე ცნობა სამხრეთში მდებარე “იბერთა ქვეყნის” შესახებ. რაც შეეხება აბილენოსიდან

<sup>37</sup> ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1846) “საქართველოს ისტორიაში” არსებული გადმოცემა: “სამი ძმა იბერები არიან სემირამიდას ქვეშევრდომნი და ღებულობენ დიდ თანამდებობებს” (51:67).

<sup>38</sup> არიან-ქართლი თუ იგივე პონტოა, მაშინ პონტო, განსაკუთრებით კი კაპადოკიის ჩრდ.-აღმ. ნაწილი აზიაში შემოჭრილი სკვითებისა და კიმერიელების განსახლების ერთ-ერთი არეალი იყო. რის გამოც ამ მხარეში მიიღო სახელი “გამრიკ” – კიმერიელთა ქვეყანა. “სკვითური ელემენტების” მატარებელი ისრისპირები შეიძლება ქართლში შემოსულ არიან-ქართლის ლაშქარს ჰქონოდა.

მომდინარე ცნობას სამხრეთიდან ჩრდილოეთში იბერთა გადასახლების შესახებ, ეს ამბავი ისე მყარად ყოფილა დამკვიდრებული ძველ სამყაროში, რომ შეცვლილი ნიუანსით, მასზე X ს-ში კონსტანტინე პორფიროგენეტიც მიუთითებს – როგორც იგი წერს, იბერები მოსული არიან სამხრეთიდან, ამას თვით იბერები ამტკიცებენო (65:256).

V. ქართლმა (აღმოსავლეთმა საქართველომ) “ჩრდილოეთის ქვეყნის” აღმნიშვნელი სახელი “იბერია” სემიტურ სამყაროში მიიღო. ასევე სემიტურ სამყაროში უნდა გაჩენილიყო ქვემო ქართლის უცხოური (სირიული?) სახელი – “გოგარენე” (ეგვიპტეში ტელამარნას არქივის მასალებში “გოგ” ჩრდილოეთის ბარბაროსი ხალხების აღსანიშნავადაა ნახმარი).

VI. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ქართველთა მონათესავე რამდენიმე ნაკადის შემოსვლა ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძვ.წ. II ათასწლეულში ქართველთა მონათესავე ტომები ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი, ამ ყოფილ ერთიან ეთნიკურ სამყაროში ძვ.წ. VI-I საუკუნეებისათვის ზოგან კომპაქტური დასახლებები კიდევ იყო შემორჩენილი, ზოგი ქართველური ტომი ისევ ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრობდა უფრო გვიან ახ.წ. VII საუკუნემდე მაინც, მათი ნაწილის ადგილგადანაცვლება ჩვეულებრივი მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

#### თავი IV. ჩრდილოეთი შუამდინარეთის კულტურული ცენტრები და საქართველო

ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობათა შემდგომ, ელინისტურ ხანაში, აღმოსავლეთში არაერთი ახალი ქალაქი წარმოიშვა. ძველ ბერძნულ და აღმოსავლურ საქალაქო ცენტრებს ალექსანდრეს მემკვიდრეებმა მრავალი ქალაქი მიუმატეს. სელევკ პირველს (312-280) 33 ქალაქის დაარსება მიეწერება. რა თქმა უნდა, ახლადდაარსებული ქალაქებიდან უმრავლესობა ცარიელ ადგილზე არ აუგიათ. ჩვეულებრივ ქალაქების დამაარსებელნი აირჩევდნენ ხოლმე სამხედრო და სავაჭრო თვალსაზრსით მოხერხებულ ადგილზე მდებარე დასახლებას. მას გააფართოვებდნენ და გააშენიანებდნენ, გამოაცხადებდნენ ქალაქად (პოლისად) და მეფე დამაარსებელის ან მისი ნათესავის სახელის მიხედვით ახალ სახელს შეარქმევდნენ. ასე გაჩნდა სელევკიები, ანტიოქიები, აპამეა, სტრატონიკეა (ამ ორმა უკანასკნელმა

დედოფლებისაგან მიიღეს სახელწოდება) და სხვა. ახლადდაარსებულ ქალაქებში სახლდებოდნენ მაკედონელი ვეტიერანები და ბერძენი კოლონისტები. ასევე ამ ქალაქთა მოქალაქეები ზდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. ისინი, ვინც ადრევე ცხოვრობდა ამ დასახლებაში და მეზობლად (183:343-344).

სელევკ პირველი ნიკატორის ძემ ანტიოქოს I სოტერმა (280-261) თავის სახელზე II ქალაქი დაარსა. რომელთაგან აღსანიშნავია ანტიოქია მდინარე ორონტზე (სირიაში), ანტიოქია (ნისიბისი) ჩრდ. შუამდინარეთში. ამ მხარეში ანტიოქე IV-ს (175-163) მიეწერება ანტიოქია-ედესის დაარსება. ასე, რომ ანტიოქიის სახელით ჩრდ. შუამდინარეთში ორი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ცნობილი, ანტიოქია მდ.მიდგონზე (იგივე ნისიბისი, ახლანდ. ნუსაიბინი თურქეთ-სირიის საზღვარზე, თურქეთში) და ანტიოქია-ედესა ოსროენის პროვინციის ცენტრი (ასევე სამხრ.-აღმოსავლეთ თურქეთში). ამ ორი ანტიოქიიდან ანტიოქია-ნისიბისი ირანსა და რომს შორის მუდმივი დავის ობიექტი იყო. 363 წელს, ე.წ. “სამარცხვინო ზავის” პირობებით, მას ირანი დაუფლა და ასე დარჩა ირანელთა ხელში, სანამ VII ს. შუახანებში, როგორც ეს ქალაქი, ისე მთელი ირანი არაბთა ხელში არ მოექცა.

ქართულ სამყაროს ჩრდილოეთი შუამდინარეთის დიდ ცენტრებთან ძველთაგანვე უფრო მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა, ვიდრე ზღვისპირა სირიასთან. ჩრდილოეთი შუამდინარეთი ის უძველესი კულტურის ქვეყანა იყო, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციები განაგრძობდა არსებობას. ამ ტრადიციებზე თავის მხრივ დიდი იყო ელინისტური გავლენა.

ამ ტერიტორიაზე შესულმა სემიტური მოდგმის არამეელებმა (სირიელები, “სურაი” მათ ბერძნებმა შეარქვეს), ფინიკიელთა გავლენით ადრევე შექმნეს ანბანი (რომელიც ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა). უკვე ძვ.წ. VIII ს. დამდეგიდან აქადურის ადგილს იკავენს არამეული და იგი თანდათან გადაიქცა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო ვაჭრობისა და დიპლომატიის ენად. ასირიოლოგთა დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ ძვ.წ. VI-V საუკუნეებისათვის აქადური უკვე მკვდარი ენა იყო (176<sup>ა</sup>: 38-39).

არამეული დამწერლობის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეორე პერიოდი ე.წ. არამეული “ოქროს ხანა”, როდესაც არამეული ენა ახლო აღმოსავლეთის, ზოლო არამეული ანბანი, სპარსეთის იმპერიის ოფიციალური დამწერლობა გახდა. სხვა მრავალ დამწერლობების მსგავსად სწორედ არამეული ანბანი (კერძოდ

მისი ის სახეობა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ შუამდინარეთში იყო გაერცელებული) დაედო საფუძვლად ძველ ქართლის სამეფოში არსებულ ე.წ. არმაზულ დამწერლობას. უფრო მეტიც, არამეული დამწერლობიდან წარმოშობილად მიიჩნევენ ქართულ და სომხურ დამწერლობებსაც, თუმცა მათ ბერძნულის გავლენაც ემჩნევათ (იხ. 9; 140).

სწორედ ჩრდილო (სირიის აღმოსავლეთში) შუამდინარეთში – ქ.ედესას (ურპას) რაიონში ჩამოყალიბდა არამეული – კლასიკური სირიული ენა. შემდეგში, სირიული ეკლესიის გაყოფის შესაბამისად აღმოსავლეთში ე.ი. ჩრდილოეთ შუამდინარეთში არსებული ნესტორიანულისაგან განსხვავებით, შეიქმნა დასავლური სირიული ანუ იაკობიტური დიალექტი (ამ დიალექტებს შორის სხვაობა ძირითადად ფონეტიკური ხასიათისაა).

კლასიკური ქრისტიანული ლიტერატურა ახ.წ. III საუკუნიდან არამეული ენის ედესის დიალექტზე იქმნებოდა. უფრო გვიან, ედესაშივე შეიქმნა ნესტორიანელ მოღვაწეთა ცენტრი, ცნობილი “სპარსული სკოლის” სახელწოდებით (ქართული ენციკლოპედია, ტ. 9, სტატიები: სირიული ენა; სირიული ლიტერატურა. ავტ. კ.წერეთელი).

ჩრდილოეთი შუამდინარეთის კულტურულ და ეკონომიკურ დაწინაურებას დიდად შეუწყო ხელი შუამდინარეთზე გამავალმა სავაჭრო გზებმა. სირიელები სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე – გალიიდან (ძველი საფრანგეთი) ჩინეთის იმპერიამდე (206:21). თავის მხრივ, ჩრდილოეთი შუამდინარეთის ქალაქების: ედესის, ნისიბისისა და ბატნანის ბაზრობები ვაჭრებს იზიდავდა აზიისა და ევროპის შორეული ოლქებიდანაც (ნ.პიგულევსკაიას თანახმად, ედესის ბაზრობებზე ხშირად ნახავდით ქარავნებს, რომლებიც ჩასულნი იყვნენ იბერიიდან და ლაზიკიდან. 206:28). სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული არამეულმა ენამ ახლო და შუა აღმოსავლეთში დიპლომატიური, საკანცელარიო და სავაჭრო ურთიერთობათა ენის მნიშვნელობა რომ შეიძინა (206:25-26). არამეულით შესრულებული წარწერები გვხვდება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროდან მოკიდებული კავკასიის მთებამდე (მცხეთა-არმაზში). საყურადღებოა ერთიც, ზღვისპირა სირიის ქალაქების (დამასკო, ანტიოქია და სხვა) მოსახლეობა თუ ორენოვანი იყო და მათში ბერძნული ენა დომინირებდა, არამეული ენა (ე.ი. სირიულ-ნესტორიანული) ჩრდილოეთი შუამდინარეთის მოსახლეობისათვის ლიტერატურულ და სასაუბრო ენას წარმოადგენდა. სირიული განათლების მნიშვნელოვანი ცენტრები სწორედ შუამდინარეთში მდებარეობდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო პატარა



ელინისტური სამთავროს ოსროენას დედაქალაქი ედესა. საქარაენო გზათა თავშესაყარზე მდებარეობის გამო იგი მთელი შუამდინარეთის აღმინისტრაციული ცენტრი გახდა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (206:24). ედესა იყო ერთ-ერთი ის ქალაქი, სადაც ქრისტიანობამ წარმოშობისთანავე ღრმად მოიკიდა ფეხი (ედესაში ქრისტიანული თემის დაარსება ქრისტეს ერთ-ერთ მოწაფეს თადეოსს მიეწერება. 206:186. თადეოსსავე მიეწერება ედესაში ქრისტეს სუდარის შეტანა, რომელიც 944 წელს კონსტანტინოპოლში გადაუტანიათ. 126 ოქტომბერი, 10. ამჟამად სუდარა იტალიაში, ქიტურინის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარში ინახება).

ბერძნულ ენაზე შექმნილი ქრისტიანული ლიტერატურა შუამდინარეთის ელინისტურ ცენტრებში ადრევე ითარგმნა და მოსახლეობაში მას მშობლიურ სირიულ ენაზე ქადაგებდნენ. ოსროენა და მისი დედაქალაქი ედესა II ს. შუახანებისათვის უკვე ძირითადად ქრისტიანული იყო (206:25,34). ედესაში იყო ჩრდილოეთ შუამდინარეთში ცნობილი უმაღლესი სკოლა – აკადემია. სადაც მოსწავლეები ცოდნას ეუფლებოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო დისციპლინებში. ედესის აკადემიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ სირიელთათვის. ედესაში სასწავლებლად ჩადიოდნენ მეზობელი ქვეყნებიდანაც (უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ საქართველოდანაც მრავალი ახალგაზრდა ჩავიდოდა). იმპერატორ ზენონის (475-491) ბრძანებით 489 წელს, მართალია, ედესის აკადემია დაიხურა, მაგრამ, ამის შემდეგაც, ედესა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად რჩებოდა (206:59).

ქ.ედესას ძველ საქართველოში დიდ პატივს რომ სცემდნენ, ამას ვახტანგ გორგასლის “ცხოვრების” ავტორის – ჯუანშერის ზემომოტანილი ცნობებიც მოწმობს.

აი, ასეთად წარმოგვიდგება ჩრდილოეთი შუამდინარეთი და მისი მთავარი ქალაქი ანტიოქია – ედესა. ეს ქალაქი და მისი მიმდებარე რაიონები (საერთოდ ოსროენის პროვინცია) იყო ალბათ ის უახლოესი პუნქტი, სადაც ადრექრისტიანულ ხანაში ქართველები მრავლად მოღვაწეობდნენ და მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრებიც ჰქონდათ.

ჩრდილოეთი შუამდინარეთი არაბთა დაპყრობამდე მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალკულტურული მხარე რომ იყო, ეს ვფიქრობ, ზემომოტანილი მასალის შემდეგ ცხადია, მაგრამ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ძველ საქართველოში. იყო V ს. საქართველოში სწავლა-განათლების კერები?

მოვეუსმინოთ აკად. კ.კეკელიძეს.

იმ ფაქტორთა შორის, რომელნიც ხელს უწყობდნენ ძველი ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებას, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სკოლას. შევიდოდა თუ არა რომელიმე ერში ქრისტიანობა, მას თან მიჰქონდა ხოლმე საქრისტიანო სკოლებიც. ამ მოვლენას – დასძენს კ.კეკელიძე, – უნდა ვიფიქროთ, ჩვენშიაც ექნებოდა ადგილი. ჩვენმა ქვეყანამ ქრისტიანობა მიიღო და საქრისტიანო მწერლობა გააჩაღა სწორედ იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთის საქრისტიანოში, რომელსაც ქართული ქრისტიანობაც ეკუთვნოდა, გაბატონებული იყო ცნობილი ნიზიბინის სკოლა. მაშასადამე, თუ ჩვენში ამ დროს რაიმე სკოლა იყო, ის, უეჭველია, მოწყობილი იქნებოდა ნიზიბინის სკოლის ყაიდაზე. ხოლო ნიზიბინის სკოლის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა პრაქტიციზმი, რომელიც გამოიხატებოდა სასწავლო მასალის შერჩევაში: განყენებულ სისტემატურ ცოდნას, არც ფილოსოფიურს, არც თეოლოგიურს, იქ არ მისდევდნენ. უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეგეტიკა, ესე იგი ბიბლიური ტექსტის შესწავლა და ახსნა-განმარტება, ჰომილეტიკა ან ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოძღვრების წარმოება, ლიტურგიკა ან ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა. ერთი სიტყვით, ნიზიბინის სკოლაში და იმ სკოლებში, რომლებიც V-VII საუკუნეებში მრავლად იხსნებოდა მონოფიზიტურ-ნესტორიანულ ეკლესიამონასტრებთან, მხედველობაში ჰქონდათ პრაქტიკული მიზნები: ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება<sup>1</sup>. ამით აიხსნება, რომ ამ სკოლებში სწავლობდნენ როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები და ხანში შესულნი. ვიმეორებთ, თუ ქართველთა შორის ამ დროს, V-VII საუკუნეებში, სკოლები არსებობდა, ისინი, უეჭველია, მოწყობილი იქნებოდნენ ნიზიბინის სკოლის პროგრამაზე (63:80-81).

ამის შემდეგ, კ.კეკელიძე კითხვას სვამს. “იყო თუ არა მაშინ ჩვენში სკოლები”? და წერს: სომეხ ისტორიკოსთა სიტყვით, საეკლესიო მწერლობის დაწყებასთან ერთად ჩვენში თითქოს სკოლებიც გაჩენილა. კორიუნი ამბობს: მეფე ბაკურმა “უბრძანა ერთს, ქართული ენის მცოდნე კაცს, ჯადის, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხიდან, სადაც სხვადასხვა კილოკავზე ლაპარაკობდნენ, და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის

---

<sup>1</sup>ქართლში შემოსულმა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ-შიო მღვიმელმა განათლება, რა თქმა უნდა, ასურეთში მიიღო და როგორც მის “ცხოვრებაშია” ნათქვამი, “შემღებულმა” და “ღვთისმსახურმა” მშობლებმა, შიო “აღზარდეს მრავლითა მოღუაწებითა და ასწავეს მას ყოველი წერილი ძუელი და ახალი და თარგმანებაი მათი” (63:122).

დიდება დაიწყეს”. მოსე ხორენელის გადმოცემით, — განაგრძობს კ.კეკელიძე, — მეფე ბაკურისა და ეპისკოპოსის მოსეს ინიციატივით შეუგროვებიათ სწავლების მიზნით ყმაწვილები, რომელნიც ორ ჯგუფად გაუყვიათ. ეჭვს გარეშეა, მაშინდელი ქართული სკოლები იყო ელემენტარული, პირველდაწყებითი, სადაც უპირველესად საღმრთო წერილს ასწავლიდნენ და ეკლესიის მსახურთ ამზადებდნენ, ასკენის კ.კეკელიძე (63:81).

კ.კეკელიძისავე სიტყვით, იმ უძველეს პერიოდში სწავლას ბავშვებს ძალიან ადრე აწყობინებდნენ. პეტრე მაიუმელს, მაგალითად, მისი ბიოგრაფის სიტყვით, რაც, ცოტა არ იყოს, ძლიერ ეჭვს ბადებს, სამი წლისას დაუწყია სწავლა. ამ დროს ჩვეულება ყოფილა, რომ თავიანთ შვილებს, უფრო დიდებულნი და დიდგვარიანნი, გააბარებდნენ ხოლმე გასაზრდელად. რაჟღენ პირველმოწამის ცხოვრებაში სწერია, რომ მას, რაჟღენს, “არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად... რომელსაც მამამძუძედ უხმობდეს და დიდად რაღმე პატივად ანიჭებდეს”. მამამძუძე ჰყოლია აგრეთვე შუშანიკ დედოფალსაც... გაბარებულ ბავშვებს, რომელნიც სხვის სახლში იზრდებოდნენ, ეწოდებოდათ ძუძუს-მტე, ესე იგი ძუძუს მოზიარე სხვა ბავშვებთან. მიაბარებდნენ ბავშვებს აღსაზრდელად სასულიერო პირთაც. მაგალითად, ილარიონ ქართველი მისმა მამამ “მისცა სწავლად კაცსა ღირსსა და ღმრთის მოყუარესა, რომელი იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა თვით იგი” (63:81-82).

განათლების კერების გამო, როგორც კ.კეკელიძე წერს, საქართველოში უძველეს დროიდან არსებობდა ინსტიტუტი მწერლისა და მწიგნობრისა, ხოლო მეათე საუკუნიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა, მწერალთ მთავრისა და მწიგნობართ-უხუცესისა (63:84).

ამრიგად, V საუკუნისა და უფრო ადრინდელი ხანის საქართველოში სკოლები — საერთოდ სწავლა-განათლებისა და აღზრდის სისტემა ჩრდილოეთ შუამდინარეთის საგანმანათლებლო სისტემის მსგავსად უნდა ყოფილიყო მოწყობილი. ქართველთა ასეთი ინტერესი შუამდინარეთისადმი, როგორც ვნახავთ, სხვა ფაქტორებითაც იყო განპირობებული. ასე იყო ჩართული ძველი ქართული საზოგადოება შუამდინარული კულტურისა და განათლების არეალში, მაგრამ შემდეგში, ეს იცვლება — ჩვენში მკვიდრდება ბიზანტინიზმი, ქართული საზოგადოება ბიზანტიურ განათლებისა და სწავლა-აღზრდის ორბიტაში ებმება (ამ პროცესის დაჩქარებას, ალბათ, აღმოსავლეთში VIII ს. შუახანებიდან არაბთა დამკვიდრებამაც შეუწყო ხელი).

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ჩრდილოეთი შუამდინარეთის ქალაქები (ნისიბისი, ედესა) რომ ელინისტური

სახელებით იხსენიებიან, შემთხვევითი არაა. V საუკუნის ქართლში, ჩანს, ჯერ კიდევ ძლიერ იჩენდა თავს ძველადმოსავლური კულტურული ტრადიციები, იმ დროის ქართული ცოდნა და კულტურა, მნიშვნელოვანწილად ისევ ამ ტრადიციით საზრდობდა. ასეთი ტრადიციების დაკარგვას საქართველოში, როგორც კ.კეკელიძე წერს, გარკვეულწილად ბიზანტიანიზმის დამკვიდრებამ შეუწყო ხელი. ამ დროს მოხდა “გადაფასება რელიგიურ-კულტურული წარსულისა”, “პოლემიკური თუ ღოგმატური მიზნით”. მოიშალა “ყოველგვარი კვალი აღმოსავლური იდეოლოგიისა” და ნიადაგი მოუმზადა ორთოდოქსალურ ბიზანტიანიზმს” (62:23). “თუ პირველი პერიოდის პირველ ნახევარში ქართველები აღმოსავლურ ქრისტიან ქვეყნებთან იყვნენ დაკავშირებულნი, მეორე ნახევარში მათ პირი იბრუნეს დასავლეთისაკენ, ესე იგი ბიზანტიისაკენ, და აქაც გაიჩინეს სამონასტრო ცენტრები” (63:90).

ბიზანტიანიზმის გამარჯვებას ჩვენში, ვფიქრობ, სასანიანი შაჰების რელიგიურმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. IV-V საუკუნეებში, ირანის ხელისუფალთა მიერ ქრისტიანული რელიგიის იმ მიმდინარეობების (ნესტორიანობა, მონოფიზიტობა) მფარველობამ, რომელნიც ბიზანტიაში იღვევებოდა, ქართული სამყარო მოწყვეტა ირანის იმპერიაში მოქცეულ, ძველადმოსავლური ტრადიციებით მდიდარ კულტურულ ცენტრებს, რის შედეგადაც თანდათან დაიკარგა, ან დაიწყებას მიეცა ის ცოდნა, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში ქართველ ხალხს ჰქონდა შეთვისებული. აღნიშნულით უნდა აიხსნას, ძველ ქართულ წყაროებში არსებული ზოგი ცნობა ჩვენთვის სპეციალური კვლევის შემდეგ რომ ხდება გასაგები<sup>2</sup>.

დაბოლოს. კ.კეკელიძის მტკიცებით, ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია პალესტინაში მეხუთე საუკუნიდან იწყება. პეტრე მაიუშელის (V ს.) ცხოვრებაში სწერია, რომ პეტრემ იერუსალიმში “ალაშენა სახლი სასტუმროი ქალაქსა შინა და განუსვენებდა მომავალთა მამათა ქართველთა და ბერძენთა”. მას აუშენებია აგრეთვე მონასტერი, რომელსა “პრქვიან ქართველისა მონასტერი”<sup>3</sup> (63:89).

---

<sup>2</sup> როგორც ჩანს, XI-XII ს-ებში ასურელ მამათა “ცხოვრებების” მეტაფორასული რედაქციების შექმნისას ქართულ აზროვნებას უკვე დაიწყებული ჰქონდა ქედესა ანტიოქიდაც რომ იწოდებოდა. ასევე ამ გვიან გაირკვა, რომ ჯუანშერის მიერ დასახელებული ორი ანტიოქიდან, ერთში ქ.ნისიბისი იგულისხმება (იხ. 36).

<sup>3</sup> კ.კეკელიძის თანახმად, შეიძლება ეს მონასტერი იგულისხმება იბერთა იმ მონასტერში, რომელიც VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თქმით, ლაზების მონასტერთან ერთად იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა (527-565) განაახლა (63:89).

V ს-ში პეტრე იბერმა რომ იერუსალიმში ქართველთა მონასტერი ააშენა ეს არ ნიშნავს, რომ იგი იყო პირველი მონასტერი საზღვარგარეთ ქართველების მიერ აშენებული. უძველესი მონასტერი ქართველებისა იერუსალიმს გარდა შეიძლებოდა ედესაში ყოფილიყო (სადაც მოღვაწეობდნენ ქართლში წამოსვლამდე ასურელი მამები). ამიტომ კ-კეკელიძის მითითება, თითქოს “უახლოესი პუნქტი ქრისტიანული აღმოსავლეთისა, სადაც ამ დროს ქართველები სამონასტრო ცხოვრებას ეწეოდნენ, არის შავი ანუ საკვირველი მთა, ანტიოქიის მახლობლად, სირიაში...” (63:88), გადასინჯვას მოითხოვს. უძველესი სამონასტრო კერები ჩრდილოეთ შუამდინარეთში – კერძოდ ქ-ედესაში უნდა შექმნილიყო. იერუსალიმთან და სხვა აღმოსავლურ ქრისტიანულ ცენტრებთან ერთად, ედესაც უნდა იქნას მიჩნეული საზღვარგარეთ ქართველთა მოღვაწეობის ერთ-ერთ უძველეს ადგილად.

## თავი V. ქართული კულტურის ძველადმოსავლური ფესვები

### **§ 1. წინაელჩინისტურ ხანაში ქართველთა მიერ ფინიკური ანბანის შეთვისების საკითხი**

V საუკუნეზე უფრო ადრინდელი წერილობითი ძეგლების უქონლობა ბევრს წინაქრისტიანულ ხანაში ქართული მწიგნობრობის არსებობაში აეჭვებს. ის ფაქტი, რომ ადრეული საუკუნეების ძეგლებმა ჩვენამდე ფიზიკურად ვერ მოაღწია, ან ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინეს, – წერს პროფ. რ. ბარამიძე, – როდი ნიშნავს, რომ ის საერთოდ არ არსებობდა. მართებულად შენიშნავდა აკად. გ. წერეთელი, – დასძენს იგი, – რომ “დამწერლობის ისტორიაში მრავალადაა შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ენის ადრინდელი ეპოქის წერილობითი ძეგლები არაა შემონახული, თუმცა ნამდვილადაა ცნობილი, რომ ამ ენაზე დამწერლობა არსებობდა (14:16).

ჯერ ენახოთ რა აზრისაა წარმართულ ხანაში ქართული მწიგნობრობის არსებობის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი. ქართული ანბანის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე მან დაასკვნა: “ეხლა უკვე საკმაოდ გამორკვეულია, მაგრამ ეს გარემოება უფრო მეტი სიცხადით გამოაშკარავდება, რომ ქართული ანბანის V ს-ის დამდევს შექმნაზე ლაპარაკი გულუბრყვილოდ უნდა ჩაითვალოს” (159:202-203). “ქართული დამწერლობა და ანბანი...ძველი, წარმართობის

დროინდელი ჩანს და მომავალში აწ ცნობილზე გაცილებით უფრო უწინარესი ხანის ძეგლების აღმოჩენაა მოსალოდნელი” (159:272). ივ.ჯავახიშვილი ასო “ბ” (ბანის) მოხაზულობის ისტორიული განვითარების შესწავლამ დაარწმუნა, რომ ძვ.წ. VII ს-ში ამ ასოს თავი შეკრული ჰქონდა ფინიკიურსა და მის უშუალო განვითარება სიღონურსა, პუნურსა, აგრეთვე უძველეს ებრაულსა და სამარიტულ ანბანში. მისივე დასკვნით, არამეულმა დამწერლობამ მხოლოდ უძველეს ხანაში დაიცვა ამ ასოს თავდაპირველი თავშეკრული მოხაზულობა. უკვე ძვ.წ. VII ს-დან არამეულმა დამწერლობამ “ბეთ”-ს თავი გაუხსნა და ამგვარივე თავდია მოხაზულობა შეითვისეს არამეულისაგან ნასესხებ-წარმოშობილმა ანბანებმა (კუთხოვანმა ებრაულმა, პალმირულმა, ასურულმა და ფაქლაურმა).

ივ.ჯავახიშვილის თანახმად, იმ გარემოებას, რომ არამეულ დამწერლობაში “ბ”-ანს უკვე ძვ.წ. VII ს-დან თავი გახსნილი აქვს, “ფრიად დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული ანბანისა და დამწერლობის თავდაპირველი წარმოშობის დროისა და სადაურობის გამოკვლევისათვის”. თუ ქართულ დამწერლობას “ბანი” თავშეკრული მოხაზულობისა ჰქონდა უძველეს დროს, ცხადია, იმგვარი მოყვანილობა მას იმ დამწერლობაში უნდა ეპოვა, რომლისაგანაც იგი წარმოიშვა და ასოთა პირველი მოხაზულობა შეთვისებული აქვს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართულისთვის დედან დამწერლობად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ფინიკიური, სიღონური ან უძველესი ებრაული სამარიტულითურთ ძვ.წ. IV ს-მდე, ან არამეული ძვ.წ. VII ს-მდე (159:233).

თუ რა გზით უნდა შეეთვისებინათ ძველ ქართველებს ანბანი, ივ.ჯავახიშვილი შემდეგ უფრო აკონკრეტებს. “ქართულ თავდაპირველ ანბანს, წერს იგი, — თავშეკრული “ბ”-ის შეთვისება შეეძლო ან ფინიკიელთაგან უშუალოდ, ან არამელთაგან უძველეს ხანაში ძვ.წ. VII საუკუნემდე. ფინიკიელთაგანაც ქართველებს უშუალოდ მხოლოდ იმ ხანაში შეეძლოთ შეთვისება, როდესაც მათთან შედარებით ახლო იყვნენ და საურთიერთო დამოკიდებულება ჰქონდათ, ე.ი. ძვ.წ. VII ს-მდე, სანამ ტუბალები და მოსოხები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ და როდესაც, იეზეკიელის სიტყვით, “თოხალი და მოსოხ ვაჭრობდეს” ფინიკიის ქალაქ ტვიროსში და, სხვათა შორის გასასყიდად რვალის ჭურჭელი მიჰქონდათ ხოლმე. იეზეკიელი, 27,13 (159:234).

სწორედ არამეულ “ოქროს ხანაში” არამეულის (ქალდეურის) საფუძველზე რომ უნდა შექმნილიყო ქართული ანბანი<sup>1</sup>, ამ მხრივ

<sup>1</sup> როგორც პროფ. ზ. სარჯველაძე წერს, ქართული ანბანის არამეულიდან წარმოშობის შესახებ ფრ. მიულერს ჯერ კიდევ 1897 წელს

ივ.ჯავახიშვილის მოსაზრებას ადასტურებს პროფ. გ.შარაძის მიერ მიკვლეული, როგორც რ.პატარიძე წერს, “უამთა სიავისაგან სასწაულებრივ გადარჩენილი ცნობა”. “მატიანე შემეცნებათა”-ში შემონახული ეს ცნობა გვაუწყებს: “არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა უამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა, ესე იგი, ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხევის-ბერთა უხმობენ; იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი. ... წერილნი ხუცესნი პირველსა უამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი” (107:19).

“ამ მართლაც უბადლო ცნობის წყალობით, – წერს რ.პატარიძე, – ჩვენ საბოლოოდ ვიცით, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია... ქართველ ქურუმთა წიადში აღმოცენებული”, რომ “თავდაპირველი ქართული ანბანი, ე.ი. “მრგლოვანი” ასომთავრული ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზეა შექმნილი” (107:19). ამრიგად, ასკენის რ.პატარიძე, “მატიანე შემეცნებათას” მიაჩნია, რომ თავდაპირველი ქართული ანბანი, ე.ი. “მრგლოვანი” ასომთავრული ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზეა შექმნილი” და “მატიანე შემეცნებათა” ამ ცნობას ქართული დამწერლობის მეცნიერული კვლევის შედეგები ადასტურებს” (107:19).

ასე რომ, ივ.ჯავახიშვილს ქართველთა წინაპრების მიერ ფინიკიელთა ანბანის შეთვისების ორი გზა ესახება.

პირველი გზა – ქართველთა წინაპრებად მიჩნეულ, მცირე აზიაში მცხოვრებ მოსოხსა და თუბალს, ფინიკიელთაგან ანბანი უნდა შეეთვისებინათ იმ დროს, როცა მათ ფინიკიის ქ.ტივიროსში “რვალის ჭურჭელი” ჩაქქონდათ გასაყიდად (ბიბლიური ცნობა). ცხადია, ასეთ საეაჭრო ოპერაციებს ისინი ასწლულებების განმავლობაში აწარმოებდნენ და გარდა იმისა, რომ ქართველთა წინაპრებად მიჩნეულ რკინის მწარმოებელ ამ უძველეს ხალხებს<sup>2</sup> ნავაჭრის აღსარიცხავად ჩანაწერი დასჭირდებოდათ, ანბანის შექმნა მათი სამშობლოს მოთხოვნაც იქნებოდა – მუშქებსა და თაბალებს ხეთების იმპერიაში

---

მიუთითებია (113:71). ყველაზე ადრეული არამეული წარწერა, ყაზბეგის განძის ვერცხლის ჯამზე ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება (79:102).

<sup>2</sup> ბ.პროზინის თანახმად, ძველად თვით კავკასია წარმოადგენდა მეტალურგიის უზარმაზარ სახელოსნოს. საიდანაც ცოდნა მეტალისა და მისი დამუშავების შესახებ ვრცელდებოდა მსოფლიოს ყველა ნაწილში – ევროპასა, აზიასა და აფრიკაში (175:18).

ყოფნის გამო ხომ სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები ჰქონდათ. ასეთი გზით შეთვისებული ანბანი, არაა გამორიცხული, ძვ.წ. 676 წლის შემდეგ ახლო ხანაში მცირე აზიიდან ქართლში შემოსულ მუშქემესხებს შემოეტანათ.

მეორე გზა – ფინიკიური ანბანის შეთვისება ძველ ქართველთაგან ივ.ჯავახიშვილს არამეულის შუამავლობით ესახება. ძირითად არგუმენტად მიაჩნია შემდეგი: ძველ ქართულ ანბანში ასო “ბ”-ანს თავი რადგან შეკრული ჰქონდა, მეორე მხრივ, ძვ.წ. VII ს-ში არამეულ ანბანში ასო “ბ”-ანს თავი გაეხსნა, ქართველებს ანბანი მათგან ძვ.წ. VII საუკუნემდე უნდა შეეთვისებინათ.

რომელი გზაა უფრო მისაღები?

ვფიქრობ, არცერთი არაა გამორიცხული. “არამეული ოქროს ხანა” ხომ არამეული კულტურის გავრცელების დიდი ინტენსივობით ხასიათდებოდა. “არამეული დამწერლობა მეზობელ და შორეულ ერთა შორის ფართოდ გავრცელდა ისე, რომ მისგან არაერთი ახალი დამწერლობა გაჩნდა” (159:248). ისიცაა შესაძლებელი, მოსოქსა და თუბალს რვალი გასაყიდად ჩრდილოეთი შუამდინარეთის სავაჭრო ცენტრებშიც ჩაეტანათ და სწორედ არამეულთაგან შეეთვისებინათ ანბანი. მცირე აზიიდან შემოტანილი ანბანი, შემდეგ, როგორც ჩანს, ბერძნულის მიხედვით იქნა გამართული. ამიტომაც, როგორც ივ.ჯავახიშვილი წერს, ქართულ ანბანს თავიდან მოყოლებული 23 ასომდე, ასოთა იგივე თანმიმდევრობა რომ აქვს დაცული, როგორც უძველეს სემურსა და ბერძნულ ანბანთა მწკრივში იყო (159:267) და “ბევრ ასოებს ძველის-ძველი მოხაზულობა საუკუნეთა განმავლობაში საკმაოდ კარგად დაუცავს” (159:271).

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია – “ცხოვრება ფარნავაზისი” ქართული მწიგნობრობის შექმნას რადგან ძვ.წ. III ს. I ნახევარში მოღვაწე მეფე ფარნავაზის სახელთან აკავშირებს, ეს იმაზე მიუთითებს, მისი მოღვაწეობის დროისათვის ქართული ანბანი რომ არსებობდა. ამის შესახებ ს.გორგაძემ ჯერ კიდევ 1905 წელს მიუთითა. მას შემდეგ, – წერს იგი, – რაც ი.ოქრომჭვდილიშვილმა ქართული ანბანის საკითხს ცნობილი წერილი უძღვნა<sup>3</sup>, ბევრისათვის

---

<sup>3</sup> ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მეცნიერმა ილია ოქრომჭვდილიშვილმა (1838-1898) თბილისში 1881 წელს არქეოლოგთა მეზუთე ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში – “ქართული ანბანის გამოგონების შესახებ”, ქართული ანბანი ფარნავაზის ხანაში ზენდური (ავესტის) ანბანის საფუძველზე შექმნილად მიიჩნია. მისი მტკიცებით, ზენდური ანბანის 35 ნიშნიდან 25 უშუალოდ ზენდურიდანაა გადმოტანილი (იხ. 202).



სარწმუნო შეიქმნა, “ქართლის ცხოვრების” ცნობა ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ (39:42). მისივე დასკვნით, ქართული ასომთავრული არც ერთ ანბანს ისე ძლიერ არა ჰგავს, როგორც მეორე საფეხურზე მდგომს არამეულსა და იმის პროტოტიპს ძველ ებრაულ-ფინიკიურ ალფაბეტს (39:53). “ანბანი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის მოწინავე თემს ალაროდიელებს, ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონებოდა... ერთი სიტყვით, ფარნავაზს უნდა ეკუთვნოდეს დაწყება “მწიგნობრობისა” ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და არა ანბანის შემოღება” (39:57).

ფარნავაზმა რომ მხოლოდ “ქართული მწიგნობრობა” შექმნა, ამის ასახვად უნდა იქნას მიჩნეული პროფ. ი.ტაბაღუას მიერ მიკვლეული ის ცნობა, რომელშიც ფარნავაზს მხოლოდ ქართული ანბანის გაუმჯობესება მიეწერება (იხ. 117).

ზემომოტანილი მსჯელობა თუ მისაღები და დამაჯერებელია, მაშინ ფარნავაზისა და მის წინადროინდელ ქართლის სამეფოში იყო ისეთი კულტურული ვითარება, რომ იმ დროის ქართულ საზოგადოებას ანბანი დაჭირებოდა, ფარნავაზს კი მწიგნობრობა?

არიან-ქართლის მეფის ძე აზო ფარნავაზმა, როგორც მის “ცხოვრებაშია” ნათქვამი, ძვ.წ. 301300 წელს ასურასტანის მეფის ანტიოქოსის დახმარებით დაამარცხა და ელინისტური ხანის დამდეგს წინაპართა სამეფო ტახტს დაეუფლა (38:160-161).

“ფარნავაზის ცხოვრებაში” ასურასტანის მეფედ დასახელებული ანტიოქოსი, ალ. მაკედონელის იმპერიის ნანაგრევებზე წარმოქმნილი სელევკიანთა ანუ სირიის სამეფოს შემქმნელის სელევკ I ნიკატორის (ძვ.წ. 312-281\280) ძე იყო და იგი მამის სიცოცხლეშივე 293 წლიდან განაგებდა სირიის ზემო პროვინციებს. ასე რომ, მისი საგამგეო ტერიტორია ჩრდ. შუამდინარეთსაც მოიცავდა და “ფარნავაზის ცხოვრება” მას სამართლიანად უწოდებს “ასურასტანის მეფეს”.

ფარნავაზისადმი დახმარებით, ანტიოქოსმა და სელევკ I —მა გარდა იმისა, რომ ახლადწარმოქმნილი პონტოს სამეფოს სიძლიერე შეასუსტეს, როგორც ჩანს, მათ არანაკლებ აინტერესებდათ ამიერკავკასიის ქვეყნებზე — მ.შ. ქართლის სამეფოზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. აღნიშნულით უნდა აიხსნას, სიცოცხლის ბოლო წლებში სელევკ I ისეთ არხზე რომ ოცნებობდა, რომელიც შავ ზღვას კასპიის ზღვასთან დააკავშირებდა <sup>4</sup> (170:40). ძვ.წ. IV ს.

<sup>4</sup> ფარნავაზის წინარე ქართლის სამეფო გარემომცველ სამყაროსთან რომ ფართო ეკონომიკურ ურთიერთობაში იყო ჩაბმული, ამაზე უნდა მიგვითითებდეს ლეონტი მროველის ცნობა ქართლის მოსახლეობის მრავალენიანობის შესახებ (69:16). აკად. გ. წერეთლის მტკიცებით, ლეონტის

დასასრულისათვის საქართველოზე გამავალ სავაჭრო გზას დიდი ხნის ისტორია რომ ჰქონდა, ამაზე უნდა მიგვითითებდეს სურამში აღმოჩენილი ძვ.წ. VI-V სს. ვერცხლის აქემენიდური სიკლი (77:382).

ფარნავაზმა, მართალია, ქართლი აზოს ბატონობისაგან გაანთავისუფლა, მაგრამ მის მიერ ასევე ქართველური სამყაროდან (პონტო-კაპადოკიიდან) შემოტანილი გას და გაციის კერპები ქართველთა სალოცავად დატოვა. ისინი ასევე მცირე აზიიდან, როგორც ივარაუდება, ძვ.წ. 676 წლის შემდგომ ახლო ხანაში მუშქთა მიერ შემოტანილ არმაზს (ამ დროს უნდა შემოეტანათ მუშქებს ზადენის კერპიც) ამოუყენა მზარში – შექმნა ღვთაებათა ტრიადა. არმაზისა და სხვათა ქართველთა პანთეონის სათავეში ჩადგომა რომ უმტკივნეულოდ მოხდა და “არსებითი ცვლილებების მომასწავებელი არ ყოფილა” (13:668-669), ეს ამ კერპთა ქართული სამყაროდან წარმომავლობით უნდა აიხსნას.

ასე რომ, ქართული წარმართული პანთეონის მთავარი კერპები მცირეაზიული წარმოშობისანი იყვნენ. მათ შემომტან მუშქებს კი იმ დროისათვის, როგორც ითქვა, სახელმწიფოებრიობის დიდი ტრადიციები ჰქონდათ. ისინი ხეტების იმპერიის ძირითად ბირთვის წარმოადგენდნენ (196:261).

მცირეაზიულ-ქართველური სამყარო რომ ქართველებსათვის ახლობელი იყო, ეს კარგად სცოდნია ქართველთა განმანათლებელს – ნინო კაპადოკიელს. მისი სიტყვით, არმაზი, გა და გაცი, ის კერპებია, “რომელნი ღმერთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან-ქართლით” (100:335). ძველი ქართული ტრადიცია პონტო-კაპადოკიას მშობლიურ ქვეყნად მიიჩნევდა, კაპადოკიელ მოღვაწეებს კი ქართველებად. ამიტომაც ნათქვამი ნინოს “ცხოვრების” არსენ ბერისეულ ვარიანტში, რომ ჩვენ ქართველები არიან ქართლიდან გადმოსახლებულთა “შვილნი ვართ და ენაი მათი უწყით” (37:29).

მცირე აზიის ტერიტორიაზე ძვ.წ. XVIII-XIII ს-ებში არსებულ ხეტების იმპერიაში შემავალ ქართველური ტომების მიწებზე – განსაკუთრებით ქალაქებში ძველთაგანვე მრავლად იყო სირიული კოლონიები. რის გამოც, კაპადოკიელებზე დიდი იყო როგორც ხეთური, ისე სირიული გავლენა. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბიბლიის თანახმად, მოსოხი და თუბალი იყო “ვაჭარი რკინისა და რუალისა”, მაშინ არ შეიძლება არ გავიზიაროთ აკად. ივ.ჯავახიშვილის მოსაზრება ქართველთა წინაპრებად მიჩნეული მოსოხებისა და თუბალების (შემდეგი დროის იბერთა და მესხთა – კაპადოკიელთა)

---

მიერ დასახელებული ექვსი ენიდან, ოთხი-ხუთი დოკუმენტალურადაა დასაბუთებული (222:70).

მიერ ძვ.წ. VII ს. წინა ხანაში უშუალოდ ფინიკიელთაგან (არამეული გზით) სემური ანბანის შეთვისების შესახებ. ამის შემდეგ, ძვ.წ. 676 წლის შემდგომ ახლო ხანაში მუშქების ქართლში შემოსვლის გამო მათ მიერ შეთვისებული ანბანი, თავისუფლად შეიძლებოდა ქართლში მოხვედრილიყო.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, რეალურ საფუძველს იძენს აკად.ივანე ჯავახიშვილის შეგონება: “ქართული დამწერლობის დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში უნდა ვეძიოთ”-ო (159:236), ქართული ანბანის შექმნის ერთ-ერთ გზად მცირეაზიულ-კაპადოკიური ცივილიზაცია უნდა მივიჩნიოთ. ქართლში შემოსულ მუშქემესხებს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიაოხისა და კოლხას ძველი ქართული გაერთიანებებიდან მომდინარე კულტურული ტრადიციები დახვდა, რომელსაც შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში ჩრდ. შუამდინარულ სამყაროსთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობანი ასაზრდოებდა<sup>5</sup>.

## § 2. ფარნავაზის პიროვნება. მის მიერ “ქართული მწიგნობრობის” შექმნა

ფარნავაზის წინადროინდელ ქართლის სამეფოს, როგორც ითქვა, საკმაოდ მძლავრი კულტურული ტრადიციები ჰქონდა. ძვ.წ. IV ს. დამლევებიდან აღმოსავლეთში ელინიზმის ეპოქა დაიწყო. ელინისტური კულტურა და ტრადიციები ძვ.წ. 300\284 წლებში ფარნავაზის მიერ უკვე ელინიზმის ხანაში აღდგენილ ახალ ქართლის სამეფოსაც (როგორც მას პ.ინგოროვყა უწოდებდა) გადმოწვდა. სელევკ I-ის, ანტიოქოს I-ისა და ელინისტური ხანის სხვა მეფეების მსგავსად, როგორც ჩანს, ფარნავაზიც ქარვისფერ სამოსს ატარებდა. შუბლშეკრულს თავს ანტიოქოს პირველისაგან მიძღვნილი ოქროს

---

<sup>5</sup>გამოკვლევაში “ტაციტუსი ქართული უმაღლესი განათლების შესახებ” პროფ. ლ.სანიკიძე წერს: აშკარაა, რომ ფარნავაზის დროს, ქრისტეს წინარე IV-III სს. მიჯნაზე, რეალურად არსებობს “მწიგნობრობა ქართულისათვის” აუცილებელი საძირკველი – ქართული ანბანი (112:26), ძვ.წ. IV-III საუკუნეების საქართველოში “არსებობდა მეცნიერული სწავლა-განათლება და მწერლური შემოქმედება” (112:37). როგორც ელინიზმის ისტორიის მკვლევარი არანოვიჩი წერს. აღ. მაკედონელის ლაშქრობათა შემდეგ ბერძნულმა კულტურამ და ენამ ხომ იქაც შეაღწია, სადაც ალექსანდრეს ხელისუფლება არ დამყარებულა (212:77). ეს ყოველივე ელინისტური კულტურის გავლენის შედეგი იყო.

გვირგვინი უმშვენებდა, მაგრამ მათ მსგავსად, ფარნავაზმა როცა თავი ღმერთად გამოაცხადა, იგი რომელიმე ბერძნულ ღვთაებას კი არა, არამედ ქართველთა უძველეს და უზენაეს ღვთაებას მცირეაზიულ-მუშქურ არმაზს განასახიერებდა.

“ფარნავაზის ცხოვრების” ავტორის დახასიათებით, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი ფარნავაზ “იყო კაცი გონიერი, მხედარი შემპართებელი და მონადირე ხელოვანი...”<sup>6</sup> “ყოველი ადასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელით, სიმხნითა და სიმდიდრითა”. მან “შექმნა მწიგნობრობა ქართული”, “განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლისა” (როგორც ჩანს, ფარნავაზმა ქართლში საკმაოდ ფეხმოკიდებული არამეული, ებრაული და ბერძნული ენები აკრძალა).

ფარნავაზმა, მის მიერ შექმნილი ახალი ქართლის სამეფოს “ერთობის ქვაკუთხედად ენა რომ დასახა, ეს მისი დიდი სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის უტყუარი ნიშანია”-ო წერს მწერალი ვ.ჭელიძე (145: 117). ამ ბრძენმა მმართველმა “ყოველნი დღენი ...მშვიდობით დაყვნა, აღაშენა და განავრცო ქართლი”. დაიახლოვა ჩრდილოკავკასიელნი (მოიყვანა ცოლი დურძუკეთიდან და თავისი ერთი და იქ გაათხოვა), ეგრისისა და სვანეთის ერისთავად დაამტკიცა ქუჯი და მას თავისი მეორე და შერთო ცოლად. ქართლი და კოლხეთი ერთ კულტურულ არეალში მოაქცია. გარდაცვალების შემდეგ ფარნავაზ “დაფლეს წინაშე არმაზის კერპისა”. ეს ადგილი მისი შთამომავლებისა და ხალხისათვის სალოცავად იქცა<sup>6</sup>.

აი ასეთი პიროვნების – ახალი ქართლის სამეფოს შემქმნელის, ელინისტური ხანის დიდი ქართველი მოღვაწის ფარნავაზის შესახებ შეიქმნა პირველი ქართული საისტორიო ნაწარმოები – “ცხოვრება ფარნავაზისი”. მაგრამ როდის? ფარნავაზის თანადროულად, თუ XI ს-ში დაწერა იგი ლეონტი მროველმა?

ეფიქრობ, დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთის გამო XI ს-ში “ფარნავაზის ცხოვრების” შექმნა გამორიცხულია. პროფ. რ. ბარამიძის თანახმად, “ცხოვრება ფარნავაზისი” რომ დამოუკიდებელი, ადრეული საუკუნეების ძეგლია, ამაზე მიგვითითებს არა მარტო ამ ძეგლის მხატვრული ანალიზი და ის ფაქტი, რომ ის მატრიანეში ცალკე სათაურითაა შეტანილი, არამედ ამ დასკვნამდე მივყავართ მრავალ ცალკეულ სხვა ფაქტსაც (14: 25). მისივე დაკვირვებით, ქართულ წერილობით ძეგლებში წინაქრისტიანული, წარმართული სარწმუნოება

<sup>6</sup> პროფესორმა გრანი ქავთარიამ ფარნავაზის ეპოქას და ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხს ამ ბოლო ხანს რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა (იხ. 121; 122).

თუ მუდამ უარყოფით ფერებშია წარმოდგენილი, ქრისტიანი ავტორი ავლენს თავის სარწმუნოებრივ პოზიციას და წარმართულ რწმენას აშკარად ებრძვის, რაც ქრისტიანული სარწმუნოებრივი პოზიციებიდან სრულიად ლოგიკურია. ამ თვალსაზრისით თუ “ფარნავაზის ცხოვრებას” შევხედავთ, მაშინვე თვალნათლივი გახდება, რომ აქ არმაზის კულტის მიმართ პოლემიკა კი არ წარმოებს, კი არაა შეურაცხყოფილი ეს კერპი (როგორც ამას ვხედავთ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ შექმნილ ძეგლებში), არამედ არმაზის აღმართვა დიდ დადებით და სასიხარულო მოვლენადაა გააზრებული და ერთგვარი სიმპათიებიც კია მისადმი გამოვლენილი” (14:26). აღნიშნული რ. ბარამიძეს საფუძველს აძლევს ამტკიცოს, რომ “არმაზის აღმართვა აღწერილი და გააზრებულია წინაქრისტიანული ეპოქის მწერლის მიერ”. “ფარნავაზის ცხოვრების” ადრეული რედაქციის ამ დეტალმა გაჟონა ლეონტის მიერ გადამუშავებულ რედაქციაშიც და მატიანეშიც შევიდა პირვანდელი სახით “ (14:26).

ზემოთქმულის, ასევე მთელი რიგი სხვა რეალიების გათვალისწინებით, რ. ბარამიძე “ფარნავაზის ცხოვრებას” დაახლ. ძე. წ. II ს-ში დაწერილ თხზულებად თვლის’ (14:34).

სწორედ “წარმართული ხანის ეს უძველესი ქართული მატიანე – “ცხოვრება ფარნავაზისი” გვაუწყებს ძე.წ. III ს. დამდეგს ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნის ამბავს.

ქართული მწიგნობრობა რომ წარმართული ხანისაა, ამის შესახებ თანამედროვე ქართველ მეცნიერთა შორის თანდათან ერთი აზრი ყალიბდება. ივ. ჯავახიშვილის შემდეგ, 1942 წელს აკად. გ. წერეთელმაც მიუთითა წარმართულ ხანაში ქართული მწიგნობრობის შესაძლო არსებობის შესახებ. მისი აზრით, ზოგი ქართული ასო უფრო არქაულია, ვიდრე არმაზის არამეული: “ამიტომ სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ ქართული დამწერლობა არმაზის ასოების მერმინდელ განვითარებას წარმოადგენს. უფრო საფიქრებელია, რომ ერთიცა და

---

<sup>7</sup> ჯერ კიდევ 1924 წელს პროფ. ს. კაკაბაძემ მონოგრაფიაში “ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები” მიუთითა, რომ ახ.წ. I ს-ში ქართველებს უკვე ჰქონდათ საისტორიო ნაწარმოებები (58:28). ქართული მწიგნობრობის არსებობას წარმართულ ხანაში შესაძლებლად მიიჩნევს აკად. თ. გამყრელიძეც. მისი სიტყვით, ქრისტიანობამდე საქართველოში საეარაულო არსებულყო კიდევ უფრო ძველი წერილობითი ტრადიციები (18:197-198). მისი მტკიცებით წარმართულ იბერიაში ტექსტები საკუთარ, ადგილობრივ ენაზე ალბათ არამეული ალოგლოტოგრაფიის წესით იწერებოდა. “ჩაიწერებოდა არამეულად და ამოიკითხებოდა ქართულად” (18:200).

მეორეც ერთი საერთო წყაროსაგან, ფინიკიურისა და ძველი არამეულისაგან წარმოდგება, როგორც ამას აკად. ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა (141:13-14; 113: 71). უფრო გვიან, 1960 წელს პალესტინაში აღმოჩენილი ქართული წარწერების გაანალიზების შემდეგ, გ. წერეთელმა აღნიშნა: “ ვარაუდი ქართული დამწერლობის არსებობისა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში ამჟამად ბევრად უფრო დამაჯერებელი ჩაანს”-ო (142:50,58).

ასეთმა აზრმა ბევრი სკეპტიკოსი ჩააფიქრა. წინაქრისტიანულ ხანაში ქართული ანბანის შექმნის საკითხს სპეციალური, საკმაოდ დასაბუთებული მონოგრაფია მიუძღვნა რ. პატარიძემ (იხ.106). იმ სპეციალისტებისათვის, რომელნიც ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანაში შექმნილად მიიჩნევენ, – წერს მ.ჩხარტიშვილი, – “ფარნავაზის ცხოვრების” ცნობა “აქილევსის ქუსლს წარმოადგენს”. “ისინი მის უარსაყოფად, მართალია, სხვადასხვა მოსაზრებას იშველიებენ, მაგრამ აშკარაა, რომ ისტორიული წყაროს ცნობის მარტოოდენ უარყოფა არაა საკმარისი. წყაროთმცოდნეობითი კრიტიკა მოითხოვს, რომ უარყოფასთან ერთად მითითებული იქნას არასწორი ინფორმაციის გაჩენის კონკრეტული მიზეზები. ამგვარ მიზეზებს... აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით არ იცნობს სპეციალური ქართველოლოგიური ლიტერატურა. ამის გარეშე კი ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანაში შექმნის თვალსაზრისი, თუ მას მეცნიერული კრიტერიუმებით მივუდგებით, ვარაუდის სფეროს ვერ სცილდება”. “ ქართული ანბანის შექმნის შესახებ ზემომოტანილი ცნობის სანდოობაში დასაეჭვებლად საფუძველი არ არსებობს” (129:148).

პროფ. ე.ხინთიბიძის სამართლიანი მითითებით, ქართული ანბანი ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ რომ შეექმნათ, ეს ქართულ ქრისტიანულ ტრადიციას არ დაავიწყდებოდა, მაგრამ ამ მხრივ ძველი ქართული მწერლობა დუმს.

ასე რომ ქართულმა მეცნიერებამ საბოლოოდ აღიარა ქართული ანბანი წინაქრისტიანული ხანის ქმნილება რომაა. “ქართული კულტურის ისტორიის” ავტორებს მოაქვთ რა ივ.ჯავახიშვილის მსჯელობა ქართული ანბანის ფინიკიურის საფუძველზე წარმოქმნის შესახებ, დასძენენ: გ.წერეთლის ვარაუდით, ქართული დამწერლობა არამეულის საფუძველზე შეიქმნა ელზინისტურ ხანაში, შემდგომ კი ბერძნულის გავლენით გადაკეთდა და რამდენიმე ასო-ნიშანი ჩაემატა (79:104). მათივე თქმით, პავლე ინგოროვყამ 1944 წელს არმაზის წარწერების ქართულად წაკითხვა სცადა და საინტერესო დასკვნებიც გააკეთა, მაგრამ მას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს (79:104).

აკად. შ.ნუცუბიძის თანახმად, ქართული მწიგნობრობა რომ წარმართული ხანიდან მოდის, ამის დასტურია ქართველი უფლისწულის პეტრე იბერიის მიერ იორდანეს უდაბნოში V ს. 30-იან წლებში “ქართული ეპიგრაფიკის შესანიშნავი ძეგლების შექმნა”. მისივე სიტყვით, “... შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ქართულ მწიგნობრულ კულტურას და კერძოდ ფილოსოფიურს, რომელიც V ს. შუახანებში ისეთი ძეგლითაა წარმოდგენილი, როგორც პეტრე იბერიის შრომაა მიზეზთა შესახებ, საკმარისად ხანგრძლივი წინაისტორია არ ჰქონდა. მწიგნობრობა, როგორც აზროვნების გამოხატვის საშუალება, შეუძლებელია ფეხდაფეხ არ მიჰყვებოდეს ამ უკანასკნელს თავის განვითარებაში” (104:548-549).

წინაქრისტიანული ხანის ქართული ანბანის აღმოჩენის მხრივ პირველი წარმატება უკვე მოპოვებულია. ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემით დაინტერესებული საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა პროფ. ლ.ჭილაშვილის წერილს “წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან”, როგორც იგი წერს, ნეკრესში აღმოჩენილი წარწერები ახ.წ. I-III საუკუნეებით თარიღდება (იხ. 145 ა).

ქვაზე შესრულებული წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერების ნიმუშები იმთავითვე იშვიათი უნდა ყოფილიყო. როგორც ხეთები საკუთარ იეროგლიფებს მხოლოდ ღმერთებისა და მეფეების ამბების ჩასაწერად იყენებდნენ (64:87), ისე ხეთიზირებული სამყაროდან გამოსული მუშქების შთამომავლები გვიანელინისტურ ხანაში, როგორც ჩანს, მხოლოდ “მეფეთა ამბებს” იწერდნენ. ასეთი მოსაზრების ნათელი დადასტურებაა “მეფეთა ცხოვრება” – ძე.წ. III-ახ.წ. IV სს. ქართლის სამეფოს ისტორიის ამსახველი ორიგინალური თხრობა “ქართლის ცხოვრებაში”.

### § 3. ადრექრისტიანული ქართული კულტურის ფესვები

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით ქართლის სამეფოს იდეოლოგიურ და კულტურულ ცხოვრებაში არსებითი გარდატეხა მოხდა. IV-V საუკუნეებში პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-იდეოლოგიური განვითარების მხრივ ქართლის სამეფომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ვახტანგ გორგასლის მიერ ადრე რომაელთა მიერ მიტაცებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწების დაბრუნება და იქ არტანუჯის საერისთავოს შექმნა, დიდი საერო (არტანუჯი, უჯარმა, თბილისი და სხვა) და საეკლესიო

(სვეტიცხოველი, ნინოწმინდა, ნეკრესი და სხვა) აღმშენებლობით საქმიანობა თუ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის მაჩვენებელი იყო, ქართლისა და ეგრისის გაერთიანებით (თუნდაც მცირე ხნით) ფარნავაზის დროინდელი ერთობა აღდგა. ქართველთა შეგნებაში კვლავ აღორძინდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობის იდეა. და ბოლოს: საეკლესიო რეფორმით (ახალი საეპისკოპოსოების დაარსება), რომლის გვირგვინს ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მოპოვება წარმოადგენდა, რომის იმპერიიდან შემოსული ქრისტიანული რელიგია ეროვნული – ქართული გახდა. ვახტანგის მეფობის ბოლო წლებში ქრისტიანობის დაცვა უკვე სამშობლოს დაცვას რომ ნიშნავდა, ეს 491 წელს “იორსა ზედა” ბრძოლისას ქართლის კათალიკოს პეტრესადმი ვახტანგის მიმართვიდან ჩანს: “უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათვის გუბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათვის. აწ მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვრებასა ჩემსა სიკუდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრისტესსა” (168:201).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პროგრესი, რასაც ქართლის სამეფომ სამწერლობო-მთარგმნელობით საქმეში მიაღწია. ელინისტურ და ანტიკურ ხანაში “ჟამითი-ჟამად” ნაწერი საისტორიო თხზულებათა<sup>5</sup> შემდეგ, როცა ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, დაიწყო “ქართული მწერლობის ინტენსიური განვითარება” (ს.კაკაბაძე). ქრისტიანობის გამარჯვებასთან ერთად შეიქმნა ამ დიდი მოვლენის ამსახველი თხზულება – “ნინოს ცხოვრება” (მ.ჩხარტიშვილის მტკიცებით, ნინოს მონათხრობი მისმა თანამედროვეებმა ჩაწერეს. შდრ. ქართ. ენციკლოპედიაში ივ.ლოლაშვილის წერილი “ნინოს ცხოვრების” რედაქციები). V ს-ში კი საერო ლიტერატურაში “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების”, ხოლო აგიოგრაფიაში იაკობ ცურტაველის “შუშანიკის მარტვილობის”, რაც მთავარია, ბიბლიის წიგნთა მაღალი ღირსების თარგმანების შექმნით ქართლის სამეფო იმ დროის მოწინავე ქრისტიანულ ქვეყანათა რიგში ჩადგა. V საუკუნისათვის ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურის ასეთი დაწინაურება, იმის მაჩვენებელი იყო, IV-V ს-ებში ქართულ მწერლობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია რომ ჰქონდა.

ბიბლიის წიგნთა ქართულად თარგმნა უდიდესი ინტელექტუალური სამუშაოს შესრულებას მოითხოვდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ეს შეძლო. ავტოკეფალიის მოპოვების

<sup>5</sup> პროფ. რ.ბარამიძე “ფარნავაზის ცხოვრებას”, როგორც ვნახეთ, დაახლ. ძვ.წ. II ს-ში შექმნილ ნაწარმოებად თიელის (14:34).



დროისათვის (487\8 წ.) ქართველებს, როგორც ჩანს, უკვე საკუთარი ქრისტიანული ლიტერატურა ჰქონდათ. ავტოკეფალიისათვის მეზრძოლ ქართლის მეფეს, ვახტანგ გორგასალს მხოლოდ ამ არგუმენტით შეიძლებოდა დაერწმუნებინა იმპერატორი და, რაც მთავარია, ანტიოქიის საპატრიარქოს მესვეურები საქართველოს ეკლესიას ანტიოქიის საპატრიარქოს მეურვეობა რომ აღარ სჭირდებოდა, ქართველებს შეეძლოთ თვითონვე ემართათ თავისი ეკლესია. საქართველოში გაზრდიდნენ და სათანადო განათლებას მისცემდნენ საეკლესიო პირებს, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელსაც ამავე ეკლესიის წიაღიდან დააწინაურებდნენ. და მართლაც: ავტოკეფალიის მოპოვებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ფარსმან მეფემ ქართლის ეკლესიის მეთაურად “მკვიდრი მცხეთელი” დასაბია (საბა) დასვა.

ეხება რა აღნიშნულ ფაქტს, ძველი ქართველი ავტორი სიამაყით აცხადებს: “აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი” (168:207).

IV-V სს. რადგან ქართლის სამეფოში დიდი მთარგმნელობითი სამუშაო ჩატარდა, ქართველი სასულიერო პირი კათალიკოსად დასვეს, გამოდის, რომ იმ ხანად ქართლის სამეფოში არსებობდა სათანადო დონის სასულიერო სასწავლებლები (IV ს. ვერისში ზომ იყო განთქმული რიტორიკული სკოლა), ყოფილა რეალური საფუძვლები ბიბლიის წიგნთა ქართულად სათარგმნელად. ყოფილა ისეთი ინტელექტუალური ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა, ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა გადაეწყვიტა და იმ დროის ქართული საზოგადოებისათვის საშუალება მიეცა, მშობლიურ ენაზე გასცნობოდა წმინდა წიგნებს, ხოლო სასულიერო პირებს იგი ღვთისმსახურებაში გამოეყენებინათ.

IV-V სს. ქართლის სამეფოში მიღწეულ კულტურულ პროგრესს შორეული ფესვები ჰქონდა. ძვ.წ. 676 წლის შემდეგ ახლო ხანაში ქართლში მცირეაზიულ-ხეთური კულტურის მატარებელი მუშქაშქესების ნაკადი შემოვიდა.

მუშქებს ქართლში ძლიერი ადგილობრივი კულტურა დახვდა. ეს კულტურა ძვ.წ. XII ს-ში შექმნილი დიაოხისა და კოლხას გაერთიანებებიდან<sup>9</sup> მოდიოდა და გენეტიკურად ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურებთან იყო დაკავშირებული.

---

<sup>9</sup>ამ ბოლო ხანს, ისტორიის ასპარეზზე დიაუხისა და კოლხას გაერთიანებების გამოსვლის დროდ აკად. გრ. გიორგაძემ ძვ.წ. IX და VIII ს. I ნახევარი მიიჩნია. მისი მტკიცებით, დიაუხის მეფედ მიჩნეული სიენი (114 :361), დაიაენის მეფე იყო. დაიაენი იხსენიება მხოლოდ ასურულ წყაროებში და

ძვ.წ. 586 წელს ქართლის მოსახლეობას ახალი კულტურული ნაკადი შეემატა. ქალდეური ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ I I მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ, ბაბილონში გასახლებას გადარჩენილმა ებრაელთა ნაწილმა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შეაფარა თავი, მათ შორის – საქართველოს. ამის შემდეგ ჩქარა სახელმწიფოებრიობის დიდი ტრადიციების მქონე მუშქებმა ქართველთან ერთად სახელმწიფო შექმნეს. ააგეს უფლისციხე, მცხეთა...

გავიდა ხანი ძვ.წ. III ს. დამდეგს, უკვე ელინისტურ ხანაში ფარნავაზმა შექმნა ახალი ქართლის სამეფო, “ქართული მწიგნობრობა”. ე.წ. არამეული “ოქროს ხანის” დროს, როცა არამეული ენა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში საერთაშორისო ენად იქცა, ხოლო არამეული ანბანი არაერთი ქვეყნის ოფიციალური დამწერლობა გახდა, ასურულ-არამეულმა კულტურამ ქართლშიც მოიკიდა ფეხი. ქართლის სამეფო არამეული კულტურის ორბიტაში მოექცა. შემთხვევითი არ იყო არამეული დამწერლობის ის სახეობა, რომელიც ჩრდ. შუამდინარეთში იყო გავრცელებული, საფუძვლად რომ დაედო ძველ ქართლის სამეფოში არსებულ არმაზულ დამწერლობას (იხ. ზემოთ). არამეულმა კულტურამ გარკვეულწილად შეავიწროვა ქართული კულტურა. თუმცა ფარნავაზის მიერ შექმნილი “ქართული მწიგნობრობა” ანტიკურ ხანაშიც განაგრძობდა არსებობას. ახ.წ. I-II ს-ში ქართლის სამეფოს პოლიტიკურმა სიძლიერემ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება გაზარდა. ეროვნული აღმავლობა და ქართული ენისა და მწიგნობრობის აღორძინება კი მირიანის მეფობაში დაიწყო (107:29). მირიანმა გამეფებისთანავე “დაივიწყა ენა სპარსული (იგულისხმება არამეული. შდრ., 103:28) და ისწავა ენა ქართული... შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა” (69:65).

ახ. წ. I ს. 30 –იანი წლებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულთა მოღვაწეობის გამო, მოსახლეობაში ქრისტიანობამ მოიკიდა ფეხი – შეიქმნა ქართული ქრისტიანული მწერლობის პირველი ნიმუშები (შდრ., 107:28).

წარმართობის ხანის ქართლის სამეფოში ქართული მწიგნობრობა რომ არსებობდა, ამ მხრივ საინტერესოა ერთი დეტალი “მეფეთა ცხოვრებიდან”. როცა წმინდა ნინოს ქადაგებათა და სასწაულთა აღსრულების შემდეგ “მირიან მეფე განკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა, და მრავალგზის ჰკითხავნ ჰურია-ყოფილსა მას

---

მათში არსად ჩანს დიაუხი. ეს უკანასკნელი იხსენიება ურარტულ წყაროებში, რომელშიც დაიანნი საერთოდ არ იხსენიება (21:7-8).

აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყოველსა. და წიგნიცა რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი, და მასცა წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთ: ... “უკუანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა, ... მან გიხილოს ჳირსა შინა და გიხსნეს შენ” (69:105).

აბიათარს რომ “ძველი და ახალი” წიგნები ჰქონდა, შემთხვევითი არ იყო. გარდა იმისა, რომ ქართლში არსებული ებრაული თემების წევრები დაინტერესებულნი იყვნენ ქრისტეს პიროვნებითა და ქრისტიანობით (ებრაელთა მიერ მცხეთაში ქრისტეს კვართის მოტანა და სხვა), ბიბლიის – “ძველი აღთქმის” წიგნები, როგორც ცნობილია, შეიცავს ებრაელი ხალხის მითებს, გადმოცემა-თქმულებებს, მათი სოციალურ-პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების ისტორიას (63:427-428). ამიტომ ცხადია, მისით მცხეთელი ებრაელებიც იქნებოდნენ დაინტერესებულნი. მცხეთაში არსებული იმ ებრაული თემების წევრებისათვის, რომლებმაც მშობლიური ენა აღარ იცოდნენ, გამორიცხული არაა, ბიბლიის ცალკეული წიგნები (აღექსანდრიელ ებრაელთა მსგავსად) ქართულად ეთარგმნათ.

“ძველი აღთქმის” წიგნების ბერძნული თარგმანი (ბერძნული სექტანტა), როგორც ცნობილია, ეგვიპტის ქალექსანდრიაში ძვ.წ. II ს-ში 70-მა მთარგმნელმა შეასრულა იქაური ბერძნულად მოლაპარაკე ებრაელთათვის. “მეფეთა ცხოვრების” ცნობაში თუ ბიბლიის წიგნთა ქართული თარგმანი იგულისხმება, მაშინ ამ წყაროში ბიბლიის წიგნთა ერთ-ერთი უძველეს თარგმანზე გვაქვს მინიშნება.

რომელი ენიდან უნდა ეთარგმნათ ქართველ ებრაელებს წმინდა წიგნები? ალბათ. ებრაულიდან, მაგრამ უფრო მოსალოდნელია სირიულიდან. მოუესმინოთ აკად. ივ.ჯავახიშვილს: ბაბილონში ტყვეობაში ყოფნამ, – წერს იგი, – ებრაელებს მშობლიური ენა დაავიწყა და არამეული ასურული იმდენად შეათვისებინა, რომ მათ ერთადერთ სასაუბრო ენად იქცა (159:259). ძვ.წ. IV ს. შემდგომ, ებრაელებმა ასურებისაგან არამეული დამწერლობა შეითვისეს. ძვ.წ. II ს-ში ებრაელთა სამღრთო წერილის წიგნებიც კი უკვე ებრაულად კი არა, ასურულად იწერებოდა (159:259). უფრო მეტიც, არუდაკოვის თანახმად, თვით პალესტინაშიც დიდი ხანი იყო, რაც დავიწყებული ჰქონდათ ებრაული და სირიულად საუბრობდნენ (213:47. ამიტომ იყო პეტრე იბერი იერუსალიმში რომ ჩავიდა,” ისწავა მუნ ენაი და სწავლაი ასურებრივი”). აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ებრაელთა ქართლში შემოსვლა ძვ.წ. VI ს-ში რომ ივარაუდება, ახ.წ. IV ს. დამდეგს მცხეთელ ებრაელებს შეიძლება, მართლაც, დავიწყებული ჰქონოდათ მშობლიური ენა, ასე რომ აბიათარის თანადროულ ქართლში არსებული “ძველი და ახალი” წიგნები არაა გამორიცხული, სირიულიდან

ნათარგმნი ყოფილიყო. ასევე “წიგნი ნებროთისა”, რადგან ვახტანგ გორგასალმაც იცის (მისი სიტყვით, ეს წიგნი “მამათა ჩუნთა დაფარულად ეპყრათ”. 168:163), ცხადია, სამეფო ოჯახში მისი ქართული თარგმანი იქნებოდა.

ეს წარმართობის ხანის ქართლში. მას შემდეგ კი რაც 318 წელს ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქართულმა ლიტერატურამ (რ.ბარამიძე, რ.პატარიძე,ლ.სანიკიძე, მ.ჩხარტიშვილი) ადვილად შეძლო ბიბლიის წიგნთა ისეთი თარგმანების შექმნა, როგორიც დღეს უძველეს პალიმფსესტებსა და სხვადასხვა ხელნაწერებში (ძირითადად X ს.) გვაქვს ფრაგმენტების სახით შემონახული. მაგრამ რომელი ენიდან ითარგმნა ისინი?

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ევსტათი ანტიოქიელის (324/5-330) მიერ ქართლში გამოგზავნილმა ბრანჯმა მთავარდიაკონმა ქართლის ეკლესია ორგანიზაციულად ჩამოაყალიბა, ქართლის ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად იოანე (ალბათ, სირიელი) აკურთხა<sup>10</sup>. ამ აქტით ქართლის ეკლესიაზე სირიის (ანტიოქიის) ეკლესიის ზემდგომობა დამყარდა (იხ. 37).

სირიის დედაქალაქი ანტიოქია მდ.ორონტზე, ელინისტური კულტურის დიდი კერა, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშიც რომის იმპერიის აღმ. ნაწილის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრად დარჩა (193: 155-156). ქ.ანტიოქიის ასეთმა დაწინაურებამ, მისი მრევლის სიდიდემ და სიმდიერემ, იმ გარემოებამ, რომ თვით “ქრისტიანობის აკვანი” იერუსალიმიც კი ანტიოქიის (“ღვთის ქალაქის” – “თეოპოლისის”) ეპისკოპოსის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რაც მთავარია, ანტიოქიის ეკლესიის წიაღიდან გამოსულ პირთა მრავლმხრივმა მისიონერულმა მოღვაწეობამ, ანტიოქიის ეკლესიას დიდი ავტორიტეტი შეუქმნა. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიოქიის ეკლესია პირველობდა (37:8-12), საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი სირიული კულტურა დომინირებდა (213:47-48). ქართლის ეკლესიის მესვეურნიც იძულებული იყვნენ, ანტიოქიის ეკლესიის მოთხოვნებს დამორჩილებოდნენ. ანტიოქიის ეკლესია კი

---

<sup>10</sup> აღნიშნული ფაქტის შესახებ მ.თარხნიშვილი წერს, ბერი ნიკონის (იგულისხმება ნიკონ შავთელი XI ს. ვ.გ.) თანახმად, ანტიოქიის პატრიარქმა ევსტათიმ კონსტანტინეს დავალებით თავის ქვეყანაში მოძებნა ქართველები, მონათლა ისინი და დაუნიშნა მათ კათალიკოსი, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა (50:159).

უკეთესად მიიჩნევდა, ქართლის ეკლესიაში ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი წიგნები სიროული ეკლესიის წიაღიდან გამოსულიყო, რაც მართლაც ასე მოხდა (იხ. ქვემოთ).

ქართლში ასურულ-სირიულ კულტურას ისედაც დიდი ტრადიციები ჰქონდა და ქართულ საზოგადოებას არ გასჭირვებია წმინდა წიგნების სიროულიდან თარგმნა.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, არა თუ ქართლი, რომის იმპერიის მთელი აზიური ნაწილი ანტიოქიის ეკლესიის გავლენაში იყო. “პეტრე მოციქულის დროიდან, – წერდა XVII ს-ში ანტიოქიელი მღვდელი მიქაელ ბრეკი, – ანტიოქიის პატრიარქი განაგებდა ყველა ოლქს მცირე და დიდ აზიაში... ანტიოქიელი ეპისკოპოსის სამწყსო იყო სკუტრიდან (კონსტანტინოპოლის გარეუბანი იყო. ვ.გ.) მოკიდებული ანატოლია თეთრ ზღვამდე (კასპიის ზღვა), ქვეყნები შავ ზღვამდე და მის გარშემო, თვით იერუსალიმი და მისი შემოგარენი” (199:361).

ანტიოქიის ეკლესიის სიძლიერე ჯერ 325 წელს ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ შეზღუდა. შემდეგ 381 წელს კონსტანტინოპოლში გამართულმა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ იმპერიის აღმოსავლეთში მდებარე ეკლესიათა შორის კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს პირველი ადგილი მიაკუთვნა. ბოლოს, 451 წელს ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანატოლომ (449-458) ანტიოქიის პატრიარქ მაქსიმედან (451-455) მიიღო აზიის ყველა ოლქი სკუტრიდან მალატიამდე (199:362). ამავე კრებაზე მაქსიმე ანტიოქიელმა იერუსალიმის ეპისკოპოსს იუბენალს (422-458) პალესტინა დაუთმო (37:14-15; 174: 306-307 შენ. 113).

ქალკედონის კრების დადგენილებით, ანტიოქიის სამოციქულო ეკლესიის მრევლი, მართალია, საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ იმ დროისათვის ანტიოქიის ეკლესიას უკვე დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული. სხვა მრავალ ეკლესიათა შორის მის გავლენაში იყო ჩრდ. შუამდინარეთისა (ასურეთის, ცენტრი ქ.ედესაში) და ქართლის ეკლესია. ქართლის ეკლესიის ასეთი მდგომარეობა კარგადაა ასახული ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის “ცხოვრებაში”. ჯუანშერის ცნობით, 468 წელს ირანიდან მომავალი ვახტანგი როცა მივიდა, “განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა”, კონსტანტინოპოლში იმპერატორთან, “... წარავლინა მოციქული... პეტრესთვის კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა”. ჯუანშერისავე ცნობით, იმპერატორმა, თავის მხრივ, პეტრე და სამოელი ანტიოქიის პატრიარქთან გააგზავნა საკურთხებლად. პატრიარქს მისწერა: “ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი

არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა”. წერილში “ყოველი საქმე ღიღისა ვახტანგ მეფისაც” იყო აღწერილი (168:197-198).

ვახტანგ გორგასლის დიდმა სახელმა და იმპერატორის შუამდგომლობამ (იმ ხანად ვახტანგი უკვე საიმპერატორო ოჯახთან იყო დანათესავებული) შედეგი გამოიღო. 487/8 წელს ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე ფულონმა პეტრე კაპადოკიელი ქართლის პირველ კათალიკოსად აკურთხა. ამ დროისათვის უეჭველია, ქართლის ეკლესიას საკუთარი ქრისტიანული ლიტურატურა ჰქონდა. სხვა მხრივ, გამორიცხულია, იმპერიის გარეთ უცხო ენაზე აღმსარებელ ეკლესიას ავტოკეფალია მოეპოვებინა.

ქართლში ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ, წმინდა წიგნების ინტენსიური თარგმნა რომ დაიწყო, შემთხვევითი არ იყო. აკად. კ.კეკელიძის სიტყვით, ყოველ ქრისტიან ერს, რომელსაც თავის ენაზე სასულიერო მწერლობა ჰქონია, ეს მწერლობა დაუწყია “საღმრთო წერილის” (ბიბლიის, ქართულად დაბადების) თარგმნით. ეს გამოწვეული იყო უფრო პრაქტიკული მოსაზრებითა და საჭიროებით: საღმრთო წერილი შეადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს ლიტურგიკული პრაქტიკისას და უიმიოდ, განსაკუთრებით ძველად, როდესაც ღვთისმსახურებაში ჰომოგრაფიული ელემენტი ჯერ განვითარებული არ იყო, არავითარი წესის შესრულება არ შეიძლებოდა. ასე უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც, საქართველოში. დასძენს კ.კეკელიძე (63:411).

საღმრთო წერილი ადრევე რომ ითარგმნა ქართულად, კ.კეკელიძეს ამის დასტურად მიაჩნია პეტრე იბერის “ცხოვრების” ის ცნობა, რომლის თანახმად, კონსტანტინოპოლში გამგზავრებამდე (423 წ.) პეტრემ რომ “დაისწავა ყოველივე სწავლა და გულის-ხმის ყოფით აღმოიკითხავნ წმიდათა წერილთა და იწურთინ მათ ღღე და ღამე” (63:411). ეს ცნობაც რომ უბრალო აგიოგრაფიულ შაბლონად და რიტორიკად ჩავთვალოთ, განაგრძობს კ.კეკელიძე, მატიანეს ცნობაც რომ უყურადღებოდ დავტოვოთ, ვითომც ვახტანგ გორგასალმა შეამკო მდიდრულად სახარება, რომელიც მეექვსე საუკუნეში ფარსმან მეფემ შიომღვიმის მონასტერს შესწირაო, იაკობ ცურტაველის თხზულება “მარტვილობა შუშანიკისი”, ნათლად გვიმტკიცებს, რომ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულად უკვე არსებობდა ევანგელე (სახარება), პავლე მოციქულის ეპისტოლენი, საიდანაც იაკობს ციტატები მოჰყავს, და ასერგასი ფსალმუნისაგან შემდგარი დავითნი. მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ გვაქვს საბა განწმედილის ცნობა, რომ ქართველებს მის მონასტერში ნება ჰქონდათ თავის ენაზე

სახარება-სამოციქულოს და ჟამთა შედეგის, ანუ დავითნის კითხვისა. ამნაირად, — ასკვნის კ.კეკელიძე, — ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ უპირველესი და უძველესი ნაშთი ჩვენი მწერლობისა არის “სადმრთო წერილი”<sup>11</sup>, რასაც ურყევლად ადასტურებს ახლახან ნაპოვნი პალიმფსესტები. რომელნიც ბიბლიურ ტექსტებს შეიცავენ (63:411-412).

IV-V სს. ქართლის სამეფოში ისეთი ძალების აღზრდასა და მომზადებაში რომელთაც ხელეწიფებოდათ იმ დიდი ეროვნული საქმის გადაჭრა, რასაც სირიულიდან ქართულ ენაზე წმინდა წიგნთა თარგმნა მოითხოვდა, ჩრდილოეთ შუამდინარეთთან საქართველოს კულტურულ კავშირებს უნდა შეეწყო ხელი.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ჩრდილო-შუამდინარული კულტურის დიდმა აღმავლობამ ძირითადად განაპირობა ქედესის (რომელიც II ს. შუახანისათვის ქრისტიანული იყო) რაიონში არამეული — კლასიკური სირიული ენის ჩამოყალიბება. ედესაშივე შეიქმნა კლასიკური ქრისტიანული ლიტერატურა. ასურელთა (სირიელთა) მიერ შექმნილი წმინდა წიგნთა პირველი თარგმანები (საერთოდ, ქრისტიანული ლიტერატურა) კი ყველაზე ხელმისაწვდომი იყო IV-V ს-ების ქართველი საეკლესიო მოღვაწეებისათვის და აი, რატომ.

ასურულ ენაზე არსებულ ქრისტიანულ ლიტერატურას ქართველი საზოგადოებისათვის პირველ რიგში ხელმისაწვდომს შემდეგი გარემოება ხდიდა. როგორც კ.კეკელიძე წერს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ სწავლა-აღზრდა ჩვენში ჩრდ. შუამდინარეთის (ქნისიბისის), სკოლის ყაიდაზე იყო აგებული (63:80).

ჩრდ. შუამდინარეთის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ცენტრი ქნისიბისი ქართველთა მონათესავე ხალხად მიჩნეული (იე-ჯავახიშვილი, კ.ლემან-ჰაუპტი და სხვა) კარდუხების მიწა-წყალზე მდებარეობდა. 363 წელს ნისიბისს სასანიანთა ირანი დაეპატრონა და ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობა, მათ შორის, ადრე ქრისტიანული ეკლესიის ცნობილი მოღვაწე ეფრემ ასური (გარდ. 373 წ.), მეტად პოპულარული ძველ საქართველოში (კ. წერეთელი), ქედესაში გადასახლდა და იქ შექმნა ახალი სკოლა. ნისიბისის სკოლის ტრადიციებზე დაფუძნებულ სკოლებში უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეგეტიკა — “ბიბლიური ტექსტების შესწავლა და ახსნა-განმარტება” და ჰომილეტიკა — “ეკლესიაში საჯაროდ

<sup>11</sup> კ.კეკელიძის ამ თვალსაზრისს საისტორიო მწერლობაზე ვერ გავაერცვლებთ.

სწავლა-მოდერების წარმოება” (63:80; 159:258. ქრისტიანულ აღმოსავლეთში ფართოდ იყო გავრცელებული “სახარების” ტექსტის ეფრემ ასურისეული კომენტარები. იხ. ქართ. ენციკლოპედია, ტ. 4, ეფრემ ასური. ავტ. კ.წერეთელი).

ჩრდ. შუამდინარეთისადმი ქართველთა ინტერესს ამ მხარის ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული ქალაქები განაპირობებდა. ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის ნ.პიგულევსკაიას თანახმად, “ედესის ბაზრობებზე ხშირად ნახავდით ქართველებს იბერიიდან და ლაზიკიდან” (206:28). ალბათ, საქართველოდან ედესაში სავაჭროდ, სასწავლებლად თუ მუდმივ საცხოვრებლად ჩასულმა ფენამ შექმნა ის ქართული კოლონია, რომლის შესახებაც ქვემოთ მექნება საუბარი (იხ. თავი VII).

ქ.ედესაში რომ ქართველთა კოლონია, ქართველთა კუთვნილი სალოცაეები და წმინდა ადგილები არ ყოფილიყო, და მათ ქართველებისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა, ვახტანგ გორგასლის დედა-დედოფალი საგდუხტი რვა წელი იქ არ დარჩებოდა (168:196;30:162-163).

აღნიშნულის გარდა: ანდრია პირველწოდებულის “ედესე ქალაქზე” გამოვლით “ქვეყანასა ქართლისასა” მოსვლა, ადრექრისტიანული არქიტექტურის ცნობილ ძეგლში – ბოლნისის სიონში ძველი სირიული არქიტექტურის კვალი, 431 წლის ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მასალებში ნახსენები იერემია იბერიელის “დიდაქეს” მთაგმნელ იერემია ურჰაელად (ედესელად) მიჩნევა (63:560), ასევე, პეტრე იბერის ურჰაელად, ხოლო იერუსალიმში მის მიერ დაარსებული მონასტრის “ურჰაელთა მონასტრად” დასახელება (220: 68-69), VI ს. 30-იან წლებში ედესიდან ასურელ მამათა მოსვლა (იხ. ქვემოთ). და ბოლოს, ჯუანშერის მიერ შუამდინარეთის ნახევრის (ე.ი. ჩრდ. შუამდინარეთის) ქართლის მეფეთა კუთვნილებად მიჩნევა (168:182), ამ მხრივ ბევრის მეტყველია. ნისიბისი ჯუანშერთან რომ ელინისტური სახელით – “ანტიოქიად” იხსენიება იმაზე მიგვითითებს, V ს. ქართლში ჯერ კიდევ რომ ცოცხლობდა ელინისტური ხანის კულტურული ტრადიციები.

ედესის ქართველური კოლონიის წევრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვაჭრობითა და განათლების მიღებით არ იქნებოდნენ დაკავებულნი. იერემია ურჰაელის მიერ “დიდაქეს” თარგმნა იმის მაჩვენებელია, ედესის ქართული კოლონიის წევრები მთარგმნელობით საქმიანობასაც რომ ეწეოდნენ. მთარგმნელობითი საქმიანობა V ს. ქართლშიც მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო. ქართულად ნათარგმნი წმინდა წიგნები რადგან საჭირო იყო იმ დროის განათლების სისტემაში,



საეკლესიო ღვთისმსახურებაში, საერთოდ, ქართლის სამეფოს მოსახლეობისათვის, ცხადია, ამ საქმეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

IV-V სს. ქართლში სწავლა-აღზრდა რომ ნისიბისის სკოლის ყაიდაზე უნდა ყოფილიყო აგებული, სკოლებში ასურულ-სირიული კულტურული სული ტრიალებდა, ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნა სირიულიდან ხდებოდა, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ უცხოენოვანი ტექსტიდან გადმოღებული მასალის აღმნიშვნელად ქართულ ლექსიკაში აქადურიდან მომდინარე ასირიულ-სირიული სიტყვის “თარგმანის” დამკვიდრება. ეს ფაქტი იქნებ იმაზე მიგვითითებს როგორც საქართველოში, ისე ედესაში, მთარგმნელობითი სკოლები რომ არსებობდა? (იმ დროის ქართლში გარდა იმისა, რომ არამეული კულტურის ტრადიციები იყო შემონახული, ასურელებიც საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ)<sup>12</sup>.

დასმული საკითხის შესახებ მეტად საინტერესოა პროფ. კ.დანელიას მოსაზრება. 1978 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანების ისტორიიდან”, ქართული ბიბლიის უცხოენოვანი წყაროების დაძებნასთან დაკავშირებით იგი წერდა: “ჩვენთვის დღემდე დაფარულია და საიდუმლო, თუ ვინ იყვნენ ბიბლიის ქართულ ენაზე პირველად მთარგმნელნი, რომელი უცხოენოვანი რედაქციით სარგებლობდნენ ისინი, ან როდის უნდა შესრულებულიყო ასეთი უზარმაზარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაო”. შემდეგ კ.დანელია იქვე დასძენს: “ქართულ ენაზე ბიბლიის პირველ მთარგმნელთა სახელების მოუხსენებლობას ქრისტიანულ მოკრძალებასთან ერთად, შესაძლოა, ისიც განსაზღვრავდა, რომ ამ საქმის შემსრულებელი ერთი ან ორი კაცი კი არა, მთელი კომისია უნდა ყოფილიყო” (44:111).

კ.დანელია, სარწმუნოდ თვლიდა აკად. ა.შანიძის მიერ არაერთგზის გამოთქმულ ვარაუდს, რომ ბიბლიური წიგნების შემცველ X ს. ხელნაწერებში არსებითად V ს. ქართული თარგმანებია მოღწეული და თუ მთელი ბიბლიისა არა, ზოგიერთი მისი წიგნის (სახარებები, სამოციქულო, ფსალმუნი) ქართულ ენაზე თარგმანი IV ს.

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილის თანახმად, სიტყვა “ქალაქი” ქართულ ენაში სირიულიდანაა დამკვიდრებული (177:35). სირიულიდან შემოსულად მიიჩნევენ ებრაელის აღმნიშვნელ ქართულ სიტყვას “ურიას” (კ. წერეთელი). სირიულია ქართულ ქრისტიანული საკუთარ სახელთა გარკვეული ნაწილიც. რაც შეეხება სიტყვა “თარგმანს” იგი აქადურიდან მომდინარეობს (“targumannu”) და თარჯიმანს, მოენეს ნიშნავდა (176 : 12).

40-იანი წლებიდან V ს. 60-იან წლებამდე უნდა შესრულებულიყო (44:115).

ფართო მუშაობა, რომელიც უკანასკნელ დროს ვაიშალა ჩვენში ცალკეული ბიბლიური წიგნების წარმომავლობის გარკვევის მიზნით, ქართული ბიბლიის უძველესი თარგმანების წარმომავლობის საკითხი მყარ ნიადაგზე დააყენა. როგორც ჩანს, მართალი იყო ინგლისელი ქართველოლოგი ფ.კონიბერი, ქართული ბიბლიის უძველესი თარგმანები სირიულიდან მომდინარედ რომ მიაჩნდა (103:13). “იერემიას წინასწარმეტყველების” ძველ ქართულ ვერსიათა ბერძნულ სექტანტასთან შედარების საფუძველზე კ.დანელიამ დაასკვნა, რომ ქართული თარგმანის პირველი წყარო ბერძნული ტექსტი არ უნდა ყოფილიყო (42:161). ტექსტში თავებისა და მუხლების სათვალავი მასორიტულს მისდევს (42:162). კ.დანელიას ანალოგიური სამუშაო ჩატარებული აქვს პავლეს ეპისტოლეთა ძველ ქართულ რედაქციებზე და მათი თარგმნა IV-V საუკუნეებით ივარაუდა (43:73).

აღმოსავლური წარმომავლობისადაა მიჩნეული ყოველდღიური საეკლესიო ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელი ისეთი ლიტურგიკული ძეგლი, როგორიცაა “უამნი” (ც.კახაბრიშვილი). თ.ცქიტიშვილმა იეზიკელის წიგნის ქართულ ვერსიებში “აღმოსავლური წყაროების კვალი” დაადასტურა (48:228,261). და ბოლოს: ბიბლიის ისეთი ხელნაწერები, როგორებიც არიან: იერუსალიმური, ათონური, მცხეთური, მოსკოვური და ჯანაშვილისეული, აკად. კ.კეკელიძემ “უმეტეს შემთხვევაში აღმოსავლური წყაროებიდან მომდინარედ მიიჩნია” (63:419). ზემომოტანილი მასალის საფუძველზე კი “აღმოსავლურ წყარობად” ძირითადად სირიული (ნაწილობრივ ებრაული) შეიძლება იქნას მიჩნეული.

იმთავითვე თუ რომელი ენიდან ითარგმნა წმინდა წიგნები, ამ მეტად რთული ბიბლიოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად, როგორც კ.დანელია მოითხოვდა, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო IV-V სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა (44:113) და მართლაც, როგორც ვნახეთ, ამ მხრივ წარმოებულმა კვლევამ აშკარად გამოკვეთა ძველი საქართველოს კულტურულ-იდეოლოგიური კავშირები ასურულ-სირიულ სამყაროსთან.

ძვ.წ. IV-III ს-დან ქართლში იმდენად დიდი იყო არამეული (არამეულთა შორის ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დამკვიდრდა ბერძნების მიერ მათთვის შერქმეული სახელწოდება “სურაი” – სირიელები) კულტურის გავლენა, რომ ქართლში შეიქმნა არამეული

ანბანის სახესხვაობა — არმაზული არამეული. ალბათ, იყო საშიშროება ქართული ანბანის ადგილი მას დაეკავებინა (მსგავსი მაგალითი ისტორიამ იცის. ალ.მაკედონელის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ხალხმა ეგვიპტური ენაც და ანბანიც დაივიწყა. როცა ეგვიპტეში ქრისტიანობამ გაიმარჯვა, მღვდელმსახურებაში კვლავ აღდგა კოპტური ენა, მაგრამ კოპტური დამწერლობისათვის ეგვიპტური ანბანი კი არა, ბერძნული იქნა გამოყენებული. 159:250). მაგრამ, ფარნავაზის წინა ხანაში შექმნილმა ქართულმა ანბანმა (107:18), მიუხედავად იმისა, რომ ისიც შესაძლებელია, არამეულიდან იღებდა სათავეს (159:234; შდრ., 140), მეფე მირიანის ღონისძიებითა შედეგად აღორძინება დაიწყო. სავარაუდებელი ერთია, ფარნავაზის წინა ხანაში შექმნილი ქართული ანბანი, ბერძნული მარტივი ანბანის ძლიერი გავლენის გამო, უფრო დახვეწილი და ჩვენი წინაპრებისათვის მისაღები იყო, ვიდრე არმაზული არამეული. ასე რომ არ ცდება “მატიანე შემეცნებათში” “ჟამთა სიავისაგან სასწაულებრივ გადარჩენილი ცნობა” (რ.პატარიძე) — “არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე”-ო (107:19).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ქართლის ეკლესიაზე სირიული ეკლესიის ზემდგომობის დამყარებით, ქართული კულტურა და სასულიერო მწერლობა იძულებული შეიქმნა, ისევე ასურულ-სირიული განათლების სისტემით ეხელმძღვანელა და წმინდა წიგნები ასურულ-სირიულიდან ეთარგმნა.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში საერთოდ სირიული კულტურა დომინირებდა. ზემოდასახელებულმა ეფრემ ასურმა ბერძნული არ იცოდა, ხოლო ბერძნულის მცოდნე ზოგი საეკლესიო მოღვაწე ურთიერთმორის უფრო შეჩვეულ სირიულ ენაზე საუბრობდა (213:47). ასევე შემთხვევითი არ იყო პეტრე იბერის “ცხოვრება” ასურულ ენაზეც რომ შეიქმნა. ხოლო “მოქცევაი ქართლისაის” მატიანეში “მთელი წინადადებები რომ გვხვდება ახალ სპარსულსა და ასურულ ენებზე” (63:526-527. საინტერესოა, ისიც, რომ იოსებ ფლავიუსმა თავისი “იუდეველთა ომი” რომში არამეულ ენაზე დაწერა და შემდეგ ითარგმნა ბერძნულად. ქსე,ტ.5, სტ. იოსებ ფლავიუსი).

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება ასე შევაჯამოთ:

ადრექრისტიანული ქართული კულტურის ფესვები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. მას საფუძვლად უდევს: ერთი მხრივ, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XII ს-ში შექმნილი დიაოხისა და კოლხას გაერთიანებებიდან მომდინარე კულტურული

ტრადიციები, მეორე მხრივ, ძვ.წ. 676 წლის შემდეგ ახლო ხანაში ქართლში სახელმწიფოებრიობის დიდი ტრადიციების მქონე მუშქაშვესხების მიერ შემოტანილი კულტურა.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ორიგინალურ ქართულ კულტურას არანაკლებ ასაზრდოებდა, ჩრდ. შუამდინარეთში (თითქმის ასევე ძველ ქართველურ სამყაროში) შექმნილი, ძვ.წ. VI-I საუკუნეებისათვის საერთაშორისო მნიშვნელობის არამეული კულტურა, რომელიც ელინისტური ხანის ქართლში განსაკუთრებით დაწინაურდა.

ანტიკურ ხანაში, ფარსმან I-ისა და ფარსმან II-ის ზეობისას მოპოვებულმა დიდმა პოლიტიკურმა სიძლიერემ, ქართველთა ეროვნული თვითშეგნება გააღვიძა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, რაც მთავარია, მეფე მირიანის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შედეგად კვლავ აღორძინებულმა ქარულმა კულტურამ სძლია არმეულს – ქართლის სამეფოში კულტურული აღმავლობა დაიწყო.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (318 წ.) შემდეგ, ქართლის ეკლესიაზე ანტიოქიის (სირიის) ეკლესიის ზემდგომობის დამყარებამ ქართული კულტურა კვლავ ასურულ-სირიულ სამყაროს დაუკავშირა. ასე დარჩა ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებამდე.

ახლა რაც შეეხება IV-V საუკუნეებში სირიულ-ასურულიდან ქართულად თარგმნილი ბიბლიის წიგნების შემდგომ საუკუნეებში ბერძნული სექტანტის მიხედვით გამართვას. ეს შემდეგით უნდა აიხსნას. სანამ ქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, სირიულიდან თარგმნილი ქართული ბიბლიის ტექსტებისათვის, ალბათ, პრობლემა არ არსებობდა. მას შემდეგ კი, რაც ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა, იგი თანდათან ჩამოშორდა სირიულ-ასურული კულტურის სამყაროს. ამ პროცესს ზედ დაერთო ბიზანტინიზმის გამარჯვება. ამ დროს, – წერს აკად. კ.კეკელიძე, – მოხდა “გადაფასება რელიგიურ-კულტურული წარსულისა”, მოიშალა “ყოველგვარი კვალი აღმოსავლური იდეოლოგიისა და ნიადაგი მოუმზადა ორთოდოქსალურ ბიზანტინიზმს” (62:23). ამის შემდეგ იმპერიის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ სავანეებში მოღვაწე ქართველთა წინაშე დღის წესრიგში დადგა ქართულ ენაზე ადრე სირიულიდან ნათარგმნი წმინდა წიგნები, ახალი დროის მოთხოვნის შესაბამისად, ბერძნული რედაქციის მიხედვით გაემართათ. რაშიც დიდი გულმოდგინებით იღვაწეს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეებმა.

სირიულ დამწერლობას რადგან ხმოვნები არ ჰქონდა, საღმრთო წერილის წიგნების წანაკითხის სისწორის შემოწმების აზრი VI-VII ს-ში თვით ასურებსაც დაებადათ (159:258), ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ესეც იყო, სირიულიდან ქართულად ნათარგმნი ლიტერატურის ბერძნულის მიხედვით შესწორებისა.

\* \* \*

სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, ბიზანტინიზმის გამარჯვებამ არქიტექტურაზეც მოახდინა გავლენა. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ქართულ არქიტექტურაში?

ადრექრისტიანულ ხანაში ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა სავსებით ჩამოყალიბებულ მოძღვრებას. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში გამართულ მსოფლიო საეკლესიო კრებებზე თანდათან დადგინდა ქრისტიანული ეკლესიისათვის მტკიცე საფუძვლები და პრინციპები არა მხოლოდ თეორიულ და დოგმატურ სფეროში, არამედ საეკლესიო მმართველობაშიც. როგორც აკად. შ.ამირანაშვილი წერს, სწორედ აღნიშნულით აიხსნება, ადრექრისტიანულ ხანაში სავსებით ჩამოყალიბებული ფორმების უქონლობა, როგორც ხუროთმოძღვრებისა და მონუმენტური მხატვრობის სფეროში, ისე გამოყენებითს ხელოვნებაში (7:110).

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა VI-VII და VIII ს. დამდეგის სომხეთში მიმდინარე ლიტერატურული ძეგრების არქიტექტურასთან კავშირის შესახებ გამოთქმული მოსაზრება: “იმ ხანებში, როდესაც ბიბლია ასურულიდან ითარგმნებოდა სომხურზე, ამის პარალელურად სომხეთში სჭარბობდა ასურული ტიპის სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობა (ასეთებია ერერუჯის ბაზილიკა, ტეკორი, ოძუნ-უზუნლარი და სხვა). როდესაც ბიბლიას ბერძნულიდან თარგმნიდნენ, მაშინ ამის პარალელურად შენდებოდა ცენტრალურ-გუმბათოვანი ჯვარის ტიპის ეკლესიები (ასეთებია რიფსიმეს ტაძარი, აღიამანი, სისიანის ყარაქილისა, არამუსი და სხვა). ხოლო როდესაც ასურულიდან ნათარგმნი ბიბლიას ამოწმებდნენ და ასწორებდნენ ბერძნულის მიხედვით, მაშინ ხდებოდა ბაზილიკური ეკლესიების გუმბათოვან ტაძრებად გადაკეთება-გადაშენება (ასეთებია ტეკორის ტაძარი, ოძუნ-უზუნლარი და სხვა) (93:57).

როგორი ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? ისევე როგორც სომხეთში საქართველოშიც ზომ დაიწყო ადრე ასურულიდან ნათარგმნი წმინდა წიგნების ბერძნულის მიხედვით გამართვა.

რამდენად იყო საქართველოში დაკავშირებული ბაზილიკის ტიპის ეკლესიათა გადაკეთება ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიებად ასურულიდან ნათარგმნი წმინდა წიგნების ბერძნულის მიხედვით გამართვასთან, ძნელი სათქმელია. მაგრამ, მას შემდეგ რაც, ბიზანტიის საიმპერატორო კარისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქთა მთავარი სამლოცველო, ყველა არქიტექტორისათვის მისაბაძი წმ. სოფიას გუმბათიანი ტაძარი ბაზილიკის ტიპის შენობაზე იქნა დაშენებული (მშენებლობა დამთავრდა 537 წ.) (7:132), როგორც ჩანს, ასეთი გადაკეთება მისაბაძი გახდა და საქართველოშიც, ალბათ, არაერთი ბაზილიკური ეკლესია ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობად გადაკეთდა, მათ შორის შეიძლება დავასახელო IV ს-ში აგებული ციხეგოჯის 40 წამებულთა სახელობის ეკლესია, მცხეთის სვეტიცხოველი, წყაროსთავის VI ს. ეკლესია ჯავახეთში.

### თავი VI. რელიგიური ვითარება V-VI სს. საქართველოსა და ჩრდ. შუამდინარეთში

V ს. ქართლის სამეფოში არსებული რელიგიური ვითარების გაანალიზებისას, ამ ბოლო ხანებამდე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება ძირითადად V ს. II ნახევარს ექცეოდა. V ს. II ნახევარი ქართლის გამორჩენილი მეფის — ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაა და ცხადია, ინტერესსაც მის პიროვნებასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური საკითხები განაპირობებდა.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის აღარ კამათობენ და მიღებულია, რომ ვახტანგის ზეობის თანადროული ქართლი მტკიცედ იდგა დიოფიზიტურ პოზიციაზე (იხ. 6). მართლაც, როგორც გაირკვა, V ს. II ნახევრის ქართლის სამეფოში მომხდარი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც იყო მეფე-მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი კონფესიურ ნიადაგზე არ მომხდარა. როგორც მეფე ისე მთავარეპისკოპოსი მიქაელი დიოფიზიტური აღმსარებლობისანი იყვნენ (იხ. 33; 66).

ასეთივე მდგომარეობა იყო VI ს. ქართლში. ზ.ალექსიძის თანახმად, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) კარის ისტორიკოსი პროკოპიოს კესარიელი 525 წლის ამბებთან დაკავშირებით რომ წერს: “ქართველები არიან ყველაზე უკეთესი ქრისტიანები, იმ ხალხებს შორის, რომლებიც სპარსელთა ხელისუფლების ქვეშ არიან”, იმაზე

მიგვივითითებს, ქალკედონიანი ისტორიკოსი “ყველაზე უკეთეს ქრისტიანებში” დიოფიზიტებს რომ გულისხმობდა (4:215).

რელიგიური თვალსაზრისით უფრო რთული ვითარება იყო V ს. I ნახევრის ქართლში. რაც, რა თქმა უნდა, იმ დროის ქართლში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

V ს. I ნახევარში ქართლი კვლავ ირანსა და ბიზანტიას შორის გაყოფილ სამეფოებად რჩებოდა. უკანასკნელი რევინი მეფე არჩილი (რევიანები იყვნენ მირიანის უფროსი ძის – რევის ჩამომავლები) დაახლ. 439 წელს გარდაიცვალა. მაგრამ, ქართლის სამეფოს მთლიანობა მხოლოდ V ს. შუახანებში აღდგა. 369 წლიდან რომის (შემდეგში ბიზანტიის) გავლენაში მოქცეული ქართლის ნაწილში გამეფებული რევინი მეფეები, რა თქმა უნდა, როგორც პოლიტიკური ისე რელიგიური თვალსაზრისით იმპერიასში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკური პროცესების თანაზიარნი და პრობიზანტიური ორიენტაციისანი უნდა ყოფილიყვნენ. ქართლის იმ ნაწილში კი, რომელიც ირანის გავლენაში იმყოფებოდა და ფარნავაზიანთა სახლის ბაქარიანთა შტო (ბაქარიანები მირიანის უმცროსი ძის – ბაქარის\სბაკურის შთამომავლები იყვნენ) მეფობდა, რელიგიური მდგომარეობა ბევრით იყო დამოკიდებული ირანზე. გარდა იმისა, რომ ქართლის ამ ნაწილის მოსახლეობას სასანიანები ცეცხლთაყვანისმცემლობაზე გადასვლას აძალებდნენ, ქართლის ქრისტიანული ეკლესიის ორიენტაციის განსაზღვრასაც ცდილობდნენ. რის გამოც, თუ V ს. II ნახევარში ქართლის ეკლესია მტკიცედ იდგა დიოფიზიტურ პოზიციაზე, V ს. I ნახევრის ქართლის შესახებ ამას ვერ ვიტყვი.

\* \* \*

სასანიანთა ირანსა და რომის იმპერიას შორის ჩრდ. შუამდინარეთსა და ამიერკავკასიაში გასაბატონებლად ცვალებადი წარმატებით მიმდინარე ომების შემდეგ, რომი იძულებული გახდა ტერიტორიულ დათმობაზე წასულიყო. 363 წლის იენისში ბრძოლაში დაღუპული იმპერატორ იულიანე განდგომილის მაგიერ ტახტზე ასულმა იობიანმა ირანთან დადებული ე.წ. “სამარცხვინო ზავით” ჩრდილოეთი შუამდინარეთის ნაწილი დათმო. საზღვარი სამხრეთით ქნისიბისის დასავლეთით, ჩრდილოეთით კი კარნუ-ქალაქის აღმოსავლეთით დაიდო (ისე რომ, ნისიბისი ირანის, ხოლო კარნუ-ქალაქი იმპერიის ტერიტორიაზე რჩებოდა. 169:4; 131:217). ჩრდ. შუამდინარეთის მნიშვნელოვანი ცენტრი ქნისიბისი რადგან ირანის ხელში გადავიდა, ქრისტიანული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა

დატოვა ქალაქი და ედესაში გადასახლდა. ქრისტიანული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ნისიბისში ღარჩა ირანის შაჰების ქვეშევრდომობაში მოექცნენ. შემდეგში, ბიზანტიის იმპერიაში წარმოშობილმა ისეთმა ერესებმა, რომლებიც იდეენებოდნენ, ერესების მიმდევართა ირანში გადასვლის გამო, ირანის ქრისტიანი მოსახლეობა საგრძნობლად გაზარდა. მათი გავლენით მრავალმა ირანელმა უარყო ცეცხლთაყვანისმცემლობა და გაქრისტიანდა. რამაც საბოლოო ანგარიშით ირანის შაჰებს დიდი საზრუნავი გაუჩინა.

ქრისტიანული მოსახლეობა ძირითადად შუამდინარეთის ირანულ ნაწილში იყო თავმოყრილი. რის გამოც, ირანის ქრისტიანების ძირითად ბირთვის სირიულ-არამეული მოსახლეობა შეადგენდა. ეს დიდი ისტორიული ტრადიციების მქონე, მაღალკულტურული ხალხი ადრიდანვე პრობლემებს უქმნიდა ირანის სახელმწიფოს. ზოგი შაჰი ამ პრობლემის გადაჭრას თუ ქრისტიანთა დევნათ ცდილობდა, იეზდიგერდ I-მა (399-420) სცადა თვით ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში მოქცეული სირიულ-არამეული, ასევე სხვა მოსახლეობა ჩამოეშორებინა იმპერიისაგან. ამ მიზნით მან, პირველ რიგში, მონიღომა თავის ქრისტიან ქვეშევრდომებში ბიზანტიის ოფიციალური ეკლესიის გავლენა აღმოეფხვრა. სცადა თავის საბრძანებელში სირიული ეკლესიის ტრადიციები დაემკვიდრებინა.

შაჰის ბრძანებით 410 წელს ირანის ფარგლებში მოქცეული ქრისტიანთა პირველი კრება იქნა მოწვეული. 420 წელს მეორე კრება შედგა. თუ პირველ ორ კრებაზე ირანის ქრისტიანთა ანტიოქიის ეკლესიისაგან გამოყოფის შესახებ არაფერი თქმულა, 424 წელს კათალიკოს დადიშოს თავჯდომარეობით არაბეთის ერთ-ერთ ქალაქში ირანის ეკლესიის მესამე კრებაზე ანტიოქიის ეკლესიისაგან სელეუკია-ქტესიფონის (ე.ი. ირანის) ეკლესიის გამოყოფა გამოცხადდა.

საქმე ის იყო, რომ V ს. 20-იანი წლებიდან ბიზანტიის იმპერია ნესტორიანულმა ერესმა შეძრა. ახალ ერესს სათავეში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ნესტორიუსი (428-431) ედგა. ნესტორიუსის ქრისტოლოგიური დოქტრინა ანტიოქიის თეოლოგიური სკოლის მოძღვრებას ემყარებოდა. 431 წელს ქეფესოში გამართულმა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ნესტორიანობა დაგმო. მაგრამ ნესტორიანებს იარაღი არ დაუყრიათ, ისინი იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს მოედნენ – შევიდნენ ირანის კუთვნილ შუამდინარეთშიც. თავიანთ ქვეყანაში ნესტორიანები თუ ერეტიკოსები იყვნენ, იმ ქვეყნებსა და მხარეებს, სადაც ღოგმატიკური კამათი არ აღწევდა, ქრისტიანობის გამაპვრცელებლად მოეველინენ. ირანში



შესვლის შემდეგ იქაური ქრისტიანები ნესტორიანებს მიეკედლნენ (8:198).

იმ ხანად, როცა იმპერიის ეკლესიაში ზემომოთხრობილი პროცესები მიმდინარეობდა, ქართლი ირანისა და ბიზანტიის გავლენაში მყოფ სამეფოებად იყო გაყოფილი. ამიტომ საინტერესოა გაირკვას რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა მოვლენებმა ქართლის ეკლესიაზე.

V ს. I ნახევრის ქართლის ეკლესიაში არსებული ვითარების გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანია ირანში გამართული ნესტორიანთა საეკლესიო კრების ის დადგენილება, რომელშიც ქართლის ეკლესია იხსენიება. ამ ცნობას V ს. I ნახევრის ქართლში არსებული რელიგიური ვითარების გასარკვევად პირველად ყურადღება საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველოლოგმა მ.თარხნიშვილმა (1897-1958) მიაქცია.

420 წელს შემდგარი ირანის ეკლესიის მეორე კრების დადგენილების შესავალში აღნიშნულია: “კრება მარ-იაჰბალაჰასი, კათალიკოსისა ბეთ-ლაპატისა, ნიზიბისისა, ფარსისა, არმენისა, ფერატ დე მაიშანისა, ჰედაიაბისა, ბეთ-გარმაისა, გურზანისა, ბეთ-მადაიესი, არანისა” (82: 5. რადგან ტექსტის ასეთი წაკითხვიდან არა ჩანს, მარ იაჰბალაჰი რომელი ეკლესიის კათალიკოსი იყო, გამოძეგმელმა ჟ. შაბომ ტექსტი ასე გამართა: “კრება მარ-იაჰბალაჰასი, [კათალიკოსისა სელევკია-ქტესიფონისა და ეპისკოპოსებისა]”. შემდეგ როგორც ტექსტშია. 82:5).

420 წელს გამართულ ნესტორიანთა საეკლესიო კრებაზე დამსწრეთა შორის რადგან “გურზანის” (ქართლის) ეპისკოპოსიც არის დასახელებული, ცხადია, კრებას ქართლის ეკლესიის წარმომადგენელიც ესწრებოდა. მაგრამ, იყო იგი მთელი ქართლის ეკლესიის მეთაური, თუ ერთ-ერთი ეპარქიის მმართველი?

მ.თარხნიშვილის თანახმად, მარ-იაჰბალაჰას თავჯდომარეობით გამართულ კრებაზე ქართლის ეპისკოპოსის მონაწილეობა იმაზე მიგვითითებს, იმ დროისათვის ქართლის ეკლესია სელევკია-ქტესიფონის საკათალიკოსოს გავლენაში რომ იყო მოქცეული. იაჰბალაჰა ყველა იქ შეკრებილ ეპისკოპოსთა კათალიკოსია. “იუზდიგერდის მთელ სამეფოში”, იგი “აღმოსავლეთის ეპისკოპოსთა მეთაურად” იწოდება. ერთი სიტყვით, კრებაზე დამსწრე ყველა ეპისკოპოსი მარ-იაჰბალაჰას ქვეშევრდომებად ითვლებიან. ეს ფაქტი, დასძენს მ.თარხნიშვილი, – საშუალებას არ გვაძლევს სხვა დასკვნის გასაკეთებლად. გარდა იმისა, რომ V ს. დასაწყისისათვის ქართლის ეკლესია ფაქტობრივად სირიულ-სპარსული საკათალიკოსოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, შესაძლოა კანონიკურადაც მასზე

იყო დამოკიდებული. რადგან, ქართლიც მაშინ პოლიტიკურად სპარსეთის სამეფოს ეკუთვნოდა” (50:159).

მ.თარხნიშვილის დასკვნასთან დაკავშირებით გიორგი მამულაძე აღნიშნა: იმისდა მიუხედავად, რომ მ.თარხნიშვილის დაკვირვებიდან ყველაფერი არ უნდა იყოს მისაღები, მან, ჩვენი აზრით, V ს. I ნახევრის ქართლის ეკლესიის მდგომარეობა სწორად განსაზღვრა. გ.მამულაძის მტკიცებით, ქართლის ეკლესია სირიულ-სპარსული საკათალიკოსოს გავლენაში მოქცეული ჩანს, არა V ს. დასაწყისში, როგორც ამას თარხნიშვილი ვარაუდობდა, არამედ უფრო მოგვიანებით, V ს. 20-იან წლებში (82:8). V ს. 20-იანი წლების დამდევისათვის, – წერს იგი, – ბიზანტია-ირანის შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა და ირანის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოსაგან თავის კანონიკურ დამოკიდებულებას არ უარყოფდა. სულ სხვა ვითარება შეიქმნა რამდენიმე წლის შემდეგ, როცა პოლიტიკური მიზეზების გამო, კათალიკოსი დადიშო იბულებული შეიქმნა 424 წლის საეკლესიო კრებაზე ირანის ეკლესიის სრული ავტოკეფალია გამოეცხადებინა. ამიტომ სელევკია-ქტესიფონის კათალიკოსს ქართლის ეკლესიის იერარქიული დამორჩილების შესაძლებლობა მხოლოდ 424 წლის შემდეგ მიეცა (82:8).

გ.მამულაძის სიტყვით, მისი მტკიცება რომ სწორია, ეს “ქართლის ცხოვრების” ცნობებითაც დასტურდება. როგორც ცნობილია, – წერს იგი, – 422 წლის შემდეგ ქართლში მეფედ არჩილი იჯდა. ეს ის არჩილია, რომლის თანამედროვე მთავარეპისკოპოსებს გრიგოლს, ბასილს და მობიდანს არ ასახელებს “მოქცევაი ქართლისაი”. რის საფუძველზეც ივ.ჯავახიშვილი მათ “წესის შემშლელ” მთავარეპისკოპოსთა რიგში ათავსებდა (158:347). ამ შემთხვევაში ქართლის ეკლესიაში დამკვიდრებული კანონიკური წყობილების (ე.ი. იერარქიული დამოკიდებულების) წესების დარღვევაზე უნდა იყოს ლაპარაკი. მთავარეპისკოპოსი იონა, რომელსაც ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობლის საყდარი არჩილის გამეფების ახლო ხანებში ეპყრა, მოხსენიებულია როგორც ჯუანშერთან, ისე “მოქცევაი ქართლისაიში”. თუ შევიწყნარებთ იმ აზრს, რომ არჩილი 422 წლის ახლო ხანებში გამეფებულა, ხოლო ქართლის ეკლესია, ირანის კათალიკოსს 424 წლის შემდეგ დაექვემდებარა, აშკარაა, რომ არჩილის მეფობის პირველ ხანებში ქართლის ეკლესია ჯერ კიდევ კანონიკურად ბიზანტიის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული. ამით კი საუცხოოდ მტკიცდება ქართული წყაროების ავთენტურობა, რომლებიც იოანეს ორთოდოქს მთავარეპისკოპოსთა შორის ასახელებენ. ამრიგად, იოანეს შემდგომი მთავარეპისკოპოსების დროს, ქართლის ეკლესია უკვე აშკარად

სელეგკია-ქტესიფონის საკათალიკოსოს ემორჩილება (82:8-9), ასკენის გ.მამულია.

გ.მამულიას თანახმად, ჩვენ არ ვიცით თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა პრობიზანტიურ და პროირანულ ორიენტაციის მომხრეთა დაჯგუფებებს შორის ქართლში, მაგრამ ამ ბრძოლის არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. კერძოდ, ამაზე ის მიუთითებს, რომ 431 წლის ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად ქართლის ეპისკოპოსი იერემიაც გამგზავრებულია. რომელმაც, მართალია, ეფესომდე ვერ მიაღწია, მაგრამ სამაგიეროდ კონსტანტინოპოლში თავის თანამზრახველებთან ერთად, ფრიად ცხოველ ანტინესტორიანულ მოღვაწეობას ეწეოდა (82:9-10). კონსტანტინოპოლში იერემიას ანტინესტორიანული მოღვაწეობა – დასძენს გ.მამულია, – იმავდროულად, ქართლში მომძლავრებული ირანის ეკლესიის კულტურულ-პოლიტიკური ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა (82:10).

როგორც ვხედავთ, 420 წელს გამართულ ირანის ეკლესიის მეორე კრებაზე ქართლის ეკლესიის წარმომადგენლის მონაწილეობა მ.თარხნიშვილმა და გ.მამულიამ იმის დამამტკიცებლად მიიჩნიეს ქართლის ეკლესია სელეგკია-ქტესიფონის ნესტორიან კათალიკოსს რომ ემორჩილებოდა (ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს კერძოდ რომელი წლიდან).

როცა ქართლის ეკლესიის სელეგკია-ქტესიფონის ეკლესიისადმი დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს როგორი მრწამსი იყო V ს. I ნახევრის ქართლის სამეფოში. რაც მთავარია, იმ ხანად ქართლის ეკლესია ჯერ კიდევ ანტიოქიის ეკლესიას ემორჩილებოდა, და თუნდაც სელეგკია-ქტესიფონის ეკლესიას ქართლი თავის სამწყსოდ გამოეცხადებინა, ეს ანტიოქიის ეკლესიისათვის იურიდიული ნორმა არ იყო. ნესტორიანთა კრებაზე ქართლის ეკლესიის წარმომადგენლის დასწრება, სულაც არ ნიშნავდა ქართლის მოსახლეობის ნესტორიანულ მრწამსს და ქართლის ეკლესიის სელეგკია-ქტესიფონის ეკლესიისადმი დაქვემდებარებას.

იმ დროისათვის, როცა სელეგკია-ქტესიფონში ნესტორიანული კრებები იმართებოდა (410, 420 და 424 წ.), ქართლი, როგორც ითქვა, ირანისა და ბიზანტიის გავლენაში მოქცეულ სამეფოებად იყო გაყოფილი და როგორც გ.მამულია წერს, ქართლში პრობიზანტიური და პროირანული ორიენტაციის სამღვდელთა შიგნით ყოფილიყო, მაგრამ, თუნდაც ირანის შაჰების ზეწოლით ქართლის ეკლესიის ირანული ნაწილის (ე.ი. პროირანული ორიენტაციის) ეპისკოპოსს

ნესტორიანთა კრებაზე მონაწილეობა მიეღო, ეს ირანის კუთვნილი ქართლის მოსახლეობის ნესტორიანულ მრწამსზე არ მიუთითებს.

ასე რომ V ს. 20-იან წლებში ქართლში ორი – ირანისა და ბიზანტიის გავლენაში არსებული სამეფოების არსებობას თუ გავითვალისწინებთ, ქართლის ეკლესიის სელევიკია-ქტესიფონის ეკლესიისადმი დაქვემდებარების სამტკიცებლად ნაკლები საფუძველი გვექნება. თუნდაც, ირანის შაჰის ზეწოლით კრებას ბაქარიანთა ქართლის წარმომადგენელი დასწრებოდა, რევიანთა ქართლიდან ასეთ კრებაში მონაწილეობა გამორიცხული იყო.

431 წელს ქ.ფეფსოში გამართულ მსოფლიო საეკლესიო კრებას, სადაც ნესტორიანობა იქნა დაგმობილი (იქნებ მასში ბიზანტიის გავლენაში მყოფი ქართლის წარმომადგენელიც მონაწილეობდა, ხოლო იერემია იბერიელი, როგორც ირანის ქვეშევრდომი ქვეყნის წარმომადგენელი კრებაზე არ დაუშვეს?), იერემია იბერიელი აქტიურად უჭერდა მხარს. ეს იერემია, როგორც მისი ტიტულიდან ჩანს (“*Yeremia Yberos partium Persidis*”) ირანის გავლენაში მოქცეული ქართლის წარმომადგენელი იყო, და იგი, როგორც კ.კეკელიძე ამტკიცებს (მას გ.ამპულიაც იზიარებს. 82:10 შენ.,4), მართლაც, ისეთი ანტინესტორიანული შეხედულებისა იყო, რომ კონსტანტინოპოლში თავის თანამოაზრეებთან ერთად ანტინესტორიანულ მოღვაწეობას ეწეოდა (იერემიას ანტინესტორიანობაზე უნდა მიგვივითებდეს “დიდაქეს” მთარგმნელის იერემია ურჰაელის, რომელიც იერემია იბერიელის იდენტურ პირადაა მიჩნეული, “მართლმადიდებლად” მოხსენიება) , გამოდის რომ ირანის გავლენაში მყოფ ქართლში იყვნენ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები.

ასევე მართლმადიდებლები უნდა ყოფილიყვნენ ბიზანტიის კუთვნილი ჩრდ. შუამდინარეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი. სხვა მხრივ, წარმოდგენილია, როგორც ეს ჯუანშერის თხზულებიდან ვიცით, ქალკედონიანობის აღმსარებელი ქართლის დედოფალი საგლუხტი, თავის ქალიშვილთან ხუარანძესთან ერთად 8 წელი (460-468) ედესაში (ურჰაში) დარჩენილიყო (168:187,196). როგორც, ანტონ მარტყოფელის “ცხოვრებიდან” ჩანს, VI ს. შუახანების ქ.ედესაში, მართალია, ნესტორიანებიც იყვნენ, მაგრამ ისინი ამ ქალაქის მცხოვრებთა გარკვეულ ნაწილს შეადგენდნენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 420\424 წლისათვის, ნესტორიანობა, როგორც ქრისტოლოგიაში გაჩენილი მოძღვრება მხოლოდ ფეხს იკიდებდა, რის გამოც სელევიკია-ქტესიფონის საეკლესიო კრებაზე დამსწრე ქართლის ეკლესიის წარმომადგენელი შეიძლებოდა მაინცდამაინც ნესტორიანი არ ყოფილიყო. ქართლიდან

კრებაზე დელეგაციის ჩასვლა, ერთი მხრივ შეიძლებოდა განეპირობებინა შაჰის მოთხოვნას. მეორე მხრივ, როგორც ქართლის, ისე თვით სელეუკია-ქტესიფონის (საერთოდ შუამდინარეთის) ეკლესია ხომ ანტიოქიის (მდ.ორონტზე) კათედრის სამწყსოს შეადგენდა (37:თ. I), კრებაზე ქართლის ეკლესიის მონაწილეობა 420 წელს, ამითაც გამართლებული იყო. და ბოლოს, როგორც გაირკვა, V ს. I ნახევრის ქართლში ორი არჩილი მეფობდა. ბაქარიანთა ქართლში არჩილ მირდატის ძეს 402-426 წლებში ეჭირა ტახტი (35:101-103). რევიანთა ქართლში პეტრე იბერის ბიძა არჩილი 428-439 წლებში მეფობდა (35:119), გამაჟულია, მეფე არჩილში ნამდვილად ამ უკანასკნელს გულისხმობს, მაგრამ მის თანადროულ ეპისკოპოსებს (გრიგოლს, ბასილსა და მობიდანს) “მოქცევაი ქართლისაი” რომ არ იხსენიებს (ივ.ჯავახიშვილი მათ “წესის შემშლელში” თვლიდა), ეს სულაც არ ნიშნავს ისინი რომ ნესტორიანები იყვნენ. როგორც აღვნიშნე, ნესტორიუსმა 428 წელს დაიკავა კონსტანტინოპოლის კათედრა, 431 წელს კი გადაყენებული იქნა და ნესტორიანობა დაგმობილი. ამიტომ, ძნელი წარმოსადგენია, 431-439 წლებში ქართლში ისე მოეკიდებინა ფეხი ნესტორიანობას, რომ “წესის შემშლელი” ეპისკოპოსები გაჩენილიყვნენ. გრიგოლი, ბასილი და მობიდანი თუ მართლაც “წესის შემშლელები” იყვნენ, მაშინ მათი “წესის შემლა” სხვა გარემოებით უნდა აიხსნას. სხვათა შორის, “მოქცევაი ქართლისაის” მატრიანეში გრიგოლის, ბასილისა და მობიდანის მოუხსენებლობას სხვა საფუძველიც შეიძლება ჰქონდეს.

ნესტორიანული ერესი დაძლეული არ იყო, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში მონოფიზიტობის (“მონო” – ერთი და ბერძნ. “პისის” – ბუნება, ერთბუნებიანობა) სახით ახალი ერესი წარმოიქმნა. მონოფიზიტობა ყველაზე ძნელი დასაძლევია აღმოჩნდა მართლმადიდებლობისათვის. მონოფიზიტთა ქრისტოლოგიური დოქტრინა ნესტორიანელობასთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა და საბოლოოდ 449 წელს ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გაფორმდა. ეფესოს კრებაზე მიღებული განსაზღვრებები 451 წელს ქალკედონში გამართულმა IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო და მისი ერესიარქი კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტი ევტიქი და დიოსკორე (ალექსანდრიის პატრიარქი 444-451) ეკლესიიდან განკვეთა. ამის შემდეგ მონოფიზიტთა ერესმა, ისევე როგორც ნესტორიანულმა იმპერიის პროვინციებში გადაინაცვლა და ეროვნული ეკლესიების (სომხური, კოპტური, ნაწილობრივ სირიული) იდეოლოგია გახდა (იხ. ნესტორიანელობა. ქსე, ტ. 7).

ბიზანტიის საიმპერატორო კარს არ სურდა დაეკარგა აღმოსავლეთის პროვინციები. ამიტომ შეეცადა დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შერიგებას. ამ მიზნით იქნა გამოქვეყნებული იმპერატორ ზენონის დროს 482 წელს “ჰენოტიკონი” – “ერთობის ფორმულა”.

თავისთავად ცხადია, იმპერიაში მიმდინარე რელიგიური პროცესები გავლენას ახდენდა ქართლის ეკლესიის მრწამსზეც. მიუხედავად იმისა, რომ 1057 წელს ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსი III-ის (1057-1059) შეკითხვაზე “ჩვენ არ ვიცით რაი არს სარწმუნოებაი თქენი”? გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ გიორგი მთაწმიდელმა უპასუხა: საქართველოში “... ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს არაღარა უარ-გვიყოფიეს, და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიღრეკილ არს ნათესავი ჩუენი”-ო (25:375). მაგრამ, როგორც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, VI ს. საქართველოში ყოფილან ნესტორიანები – ცნობები ამის შესახებ დაცულია ქართლის კათალიკოს კირონის ( VII ს. დამდეგი) მიმოწერაში რომის პაპ გრიგოლ I –თან და სომეხთა კათალიკოს მოსესთან (574-604 წწ.). რაც შეეხება მონოფიზიტობას, ზ. ალექსიძის თანახმად, ქართულ ეკლესიას მონოფიზიტობა თავის ოფიციალურ რელიგიად არასოდეს უცვნია, თუმცა იგი VI ს. განმავლობაში შემრიგებლურ პოზიციაზე იდგა და თავის სამწყსოში ჰყავდა მონოფიზიტი ეპისკოპოსები და მრევლიც (ამ საკითხზე იხ. 49).

ამრიგად 420 წელს სელეუკია-ქტესიფონის კრებაზე ქართლის (გურზანის) ეპისკოპოსის მონაწილეობა იმას არ ნიშნავს, ამ წლიდან ქართლის ეკლესია სელეუკია-ქტესიფონის ნესტორიან კათალიკოსს რომ ემორჩილებოდა. შაპის მოთხოვნით, კრებას ირანის გავლენაში მყოფი ქართლის წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა. V-VI სს. ქართლის მოსახლეობის მრწამსი ძირითადად მართლმადიდებლური უნდა ყოფილიყო. თუმცა, მათ გვერდით იყვნენ ცეცხლ-თაყვანიშნეულები, ასევე ქრისტიანული ერესების მიმდევარნიც. მსგავსი ვითარებაა საგულეებელი ჩრდ.მუჰამდინარეთშიც (იმპერიაში არსებული რელიგიური ვითარების შესახებ იხ. აგრეთვე, ქვემოთ თავი VIII).

თავი VII. ქალაქი ედესა. 502-505\6 წწ. ბიზანტია-ირანის ომი – ფარსმან კოლხი

ქ.ედესა, იგივე ანტიოქია, ურპა (ახლანდ. ქ. ურფა სამხრ.-აღმ. თურქეთში) ჯერ რომის, შემდეგ ბიზანტიის იმპერიის

შემადგენლობაში იმყოფებოდა. ეს ქალაქი ბერძნებისათვის ცნობილი იყო როგორც “ედესა”, არაბებისათვის “ელ როჰა”, სირიელებისათვის “ორჰაი”, იაკობიტი სირიელებისათვის “ურჰოი”, სომხებისათვის “ურჰა”<sup>1</sup>. ქართულ წყაროებში იგი “ურაჰად”, “ედესია ქალაქად” და ანტიოქიად იწოდება.

ერთი ვერსიით, სახელი ურჰა ქალაქს მრავალრიცხოვანი წყაროების გამო შეერქვა. მეორე სახელი ედესა კი ქალაქს აზიაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა დროს ეწოდა, რადგან მდებარეობით მაკედონელთა ძველ დედაქალაქს – ეგის გარეუბან ედესას მიაგავდა. შემდეგში, ქალაქი სელეუკიდთა სახელმწიფოს მეფე ანტიოქოს IV –ემ (ძვ.წ. 175-164) შეამკო და გააფართოვა. რის გამოც, მის პატივსაცემად ქალაქს ანტიოქია ეწოდა. ძვ.წ. 70 წლიდან იგი რომის იმპერიაში შედიოდა.

V საუკუნისათვის ქ.ედესა დიდ კულტურულ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა (ქალაქში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 300-მდე ეკლესია და მონასტერი იყო). ედესაში თავს იყრიდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები. ეს ქალაქი ჩრდ. შუამდინარეთის ეკონომიკურად დაწინაურებული სავაჭრო ქალაქების ერთგვარი ცენტრი იყო (ამ გზამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ქ.ზევგმასთან მდ. ეფურატზე ხიდის აგების შემდეგ. 212:109). ედესის დასავლეთით, მდ. ეფურატის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა ქ.ზევგმა (ამ ქალაქზე გადიოდა გზა სირიიდან შუამდინარეთისაკენ), უფრო დასავლეთით ქ. აპამეა. ედესის ჩრდილოეთით, ასევე ეფურატზე მდებარეობდა ქ.სამოსატა (შიმშატი), ედესიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით – ქ.ხარანი (ქრისტეს წინაპართა სამშობლო), აღმოსავლეთით კი ქ.ნისიბისი (კარდუხთა ქვეყანაში), ნისიბისსა და ედესას შორის ქ.ტელა, ტელას ჩრდილოეთით მდ.ტიგროსზე ქ.ამიდა (ახლანდ. დიარბექირი თურქეთში).

ედესა იყო კარგად გამაგრებული, რომაულ-ბიზანტიური ტიპის დიდი ქალაქი მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, თეატრით, ცირკით, აბანოებითა და წყალსადენებით. ქალაქში იყო იარაღის დამამზადებელი მსხვილი სახელმწიფო სახელოსნოები. მდ. დაისანი (ახლანდ. ყარა-ყაიუმი, ეფურემ ასურის ცხოვრებაში იგი “დესამანისად” იწოდება) ქალაქს შუაზე ჰყოფდა. იგი შემოდგომაზე და გაზაფხულზე

<sup>1</sup> ა. რანოვიჩის თანახმად ედესის მცხოვრებლებს უწოდებდნენ “მიქსელენეს” (212:103), “ნახევრადელინებს” (ნახევრადბერძნებს), რაც ამ ქალაქის მცხოვრებთა დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს.

ისე აღიღებოდა ხოლმე, რომ ქალაქის დაბალ ნაწილს ტბორავდა, რასაც ხშირად აღამიანის მსხვერპლი მოსდევდა. ამიტომ იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527-565) ამ “მოჭენავე” (ასე უწოდებდა ადგილობრივი მოსახლეობა დაისანს) მდინარის წყალი ჩრდილოეთით ქალაქის კედელს გარეთ საგანგებოდ კლდეში გაჭრილ კალაპოტში გაიყვანეს (502-6 წლისათვის იეშუ სტილიტი ქალაქში ორ აკვედუკს ასახელებს. 207:33).

ქალაქს ორი გალავანი ერტყა. ციტადელი, რომელსაც გარშემო ღრმა თხრილი ჰქონდა, დაახლ. 100 მეტრის სიმაღლიდან დაჰყურებდა ქალაქს. ედესის მთავარი ქუჩა თეატრის კარიდან მდ.დაისანის გასწვრივ მღვიმეთა კარიბჭისაკენ მიემართებოდა. ქუჩაზე განლაგებული იყო სახელოსნოები და სავაჭრო ფარდულები. ქალაქის ცენტრს წარმოადგენდა ფორუმი, იქვე იყო მარცვლეულის დიდი საწყობები, საზამთრო და საზაფხულო აბანოები (497 წელს ახალი საზოგადოებრივი აბანოების მშენებლობა დაიწყო). ქალაქის გალავნის გარეთ, სადაც მრავალი მონასტერი იყო, ბეთ-შემეშის კართან მდებარეობდა ქსენადოქიონი – საავადმყოფო და თავშესაფარი მწირთათვის. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში იყო თეატრი (მაისის დამდეგს თეატრში იმართებოდა დიდი სახალხო ზეიმი. 497\98 წელს გამართული ზეიმის აღწერა იხ. 207: 35, 137-138), ხოლო ჩრდ. ნაწილში იპოდრომი (მასში იმართებოდა ასპარეზობანი და მხეცებთან ბრძოლა, სანამ ასეთი ბრძოლები იმპერატორმა ანასტასიოსმა არ აკრძალა. 207:34-35).

ქალაქის შემადლებულ ადგილზე მდებარეობდა “მდიდართა სახლები” – მდიდრული ვილები (საერთოდ, შუამდინარეთის სავაჭრო ქალაქთა ზედაფენა ძალიან მდიდარი იყო), ქალაქში იყო ღარიბთა კვარტლებიც.

ქ. ედესის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ასირიელები წარმოადგენდნენ და მათი ენა ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას. იმ ხანად სწორედ ამ ენაზე უკავშირდებოდა ერთმანეთს ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა დიდი ცენტრის მოსახლეობა. ასირიელთა ხელში იყო ვაჭრობის სადავეები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ბევრ ხელოსნურ ნაწარმში მათ კონკურენტებიც კი არ ჰყავდათ. ასირიელებს გარდა ქალაქში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები: ბერძნები, რომაელები, სპარსელები, არაბები. ედესაში კოლონიები ჰქონდათ სომხებს, ქართველებსა და სხვათ.

ოსროენასა და ედესაზე გამავალ ათასწლოვანი სავაჭრო გზებით სხვა ხალხებთან ერთად ქარავნებით მიდიოდნენ და მოდიოდნენ იბერები



და ლაზები, კოპტები, ეთიოპები, ინდუსები. შესაბამისად სხვადასხვა იყო მათი ტანსაცმელი, ზნე-ჩვეულებები, ჭრელი იყო მათი სალაპარაკო ენა, განსხვავებული იყო მათი რწმენანი: იქ იყვნენ სხვადასხვა რელიგიების მიმდევრები – წარმართები, ზოროსასტრელები, იუდაისტები, ქრისტიანები ყველა მიმართულებისა.

ქალაქის სამრეწველო ნაწარმი, მოსახლეობის სიმდიდრე ედესისაკენ იზიდავდა მტერსა თუ მოყვარეს. ირანის შაჰებსაც კი ედესისაკენ ეჭირათ თვალი, მაგრამ VI ს-ში ბიზანტია-ირანის ორი დიდი ომის დროს სასანიანებმა „შუამდინარეთის მარგალიტად“ წოდებული ქალაქის ალება რომ ვერ შეძლეს, ამაში გარკვეული წვლილი ქართველ უფლისწულებსაც მიუძღვით. თვით ედესის მოსახლეობისა და იმ დროის ქრისტიანთა რწმენით, ქალაქს თვით იესო ქრისტე მფარველობდა.

ქრისტეს მფარველობის ქვეშ მყოფ ქალაქს, ბიზანტია-ირანის 540-562 წწ. ომის დროს-კერძოდ 544 წელს, ქართველი უფლისწული პერანი იცავდა ზოსრო I-ის ჯარების შეტევისაგან (იხ. ქვემოთ) და ირანელებმა ქალაქის ალება ვერ შესძლეს.

უფრო ვრცლად შეეჩერდები ბიზანტია-ირანის 502-505\6 წლების ომის მსვლელობაზე. ამ ომის მიმდინარეობისას, ქ. ამიღის ალების შემდეგ ირანის შაჰმა კავად I –მა (გარდ. 531), როცა ქ. ედესას ალყა შემოარტყა, ირანელთა ჯარში მყოფი, ბიზანტიელებზე განაწყენებული არაბი ლაჰმიდების მეფე ნაამანი კავადიდან მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაეწყათ შეტევა ქალაქის ასალებად. ლაშქარში მყოფმა ასევე არაბული ჰირტის ტომის ქრისტიანმა წინამძღოლმა ნაამანს შესძახა: “ტყვილა ნუ გაირჯებით, ქალაქის ალებას ვერ შეძლებთ, მის შესახებ არის ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ურღვევი სიტყვა, რომ ქალაქს ვერასოდეს ვერავინ დაეუფლება” (221:153).

ამის გამგონე ნაამანი ყვიროდა და იფიცებოდა, რომ ედესას ქ.ამიდაზე უარეს დღეს დამართებდა. ქალაქის დაცვის თვითმხილველის (207:81), იეშუ სტილიტის სიტყვით, ქრისტემ ჩქარა აჩვენა ამ არაბს თავისი ძალა. ამ ყვირილის გამო მას თავზე არსებული ჭრილობა გაუსივდა და ორ დღეში გარდაიცვალა.

ამ ამბების შემდეგ, კავადმა ედესას ალყა მოხსნა, მაგრამ ქ. ტელას ალებისა და გაძარცვის შემდეგ 503 წლის სექტემბერში ისევ ედესას შემოადგა. იეშუს სიტყვით, სექტემბრის 17-ში, ოთხშაბათს, მათ იხილეს იესო ქრისტეს მიერ ედესის მეფე აბგარისადმი მიცემული სიტყვის აღსრულება. როცა ქალაქს კავადის უთვალავი ლაშქარი გარს ედგა, იმ დღეს ქალაქის ყველა კარი ღია იყო (ქალაქის გალავნის კარები იერიშისათვის გააღეს. ვ.გ.) მაგრამ ქრისტეს მიერ დალოცვილ

ქალაქში ირანელები ვერ შევიდნენ, ისინი ადგილიდან არ დაძრულან, საღამოს კი ქალაქის დამცველები დაესხნენ თავს მომხდურებს (221:155-156). მეორე ღღეს, ბიზანტიელთა სარდალი არეობინდი გამოვიდა ქალაქის მთავარი კარიდან და ირანელების ჯარს ასე მიმართა კავადისათვის გადასაცემად: “აი თქვენ თვითონ დარწმუნდით, რომ ქალაქი არც კავადისაა და არც ანასტასიოსისა. ეს ქალაქი ქრისტესია, რომელმაც დალოცა და იგი აღდგა თქვენი ჯარის წინააღმდეგ, რათა შენ არ დაუფლებოდი მას” (221:156).

ქრისტეს მიერ ნაკურთხი ქედესის დაცვაში, როგორც ითქვა, ქართველმა უფლისწულებმაც დიდი წვლილი შეიტანეს. ნ.პიგულევსკაიას თანახმად, ირან-ბიზანტიის 502-505\6 წლების ომში მონაწილე ბიზანტიელ სარდალთა შორის, ყველაზე უფრო ნიჭიერი და საუცხოო ორგანიზატორი ფარესმანი – იგივე ფარსმან კოლხი იყო <sup>2</sup>.

როგორც პროკოპიოს კესარიელი წერს, იმპერატორმა ანასტასიოსმა (491-518) გაიგო თუ არა, ირანელების მიერ ქამიდის ალების ამბავი, ბრძოლის ადგილზე სხვა სარდლებთან ერთად გააგზავნა ფარსმანი “წარმოშობით კოლხი, განსაკუთრებით სახელგანთქმული სამხედრო საქმეში” (109: 44-45). როცა ფარსმანი ბრძოლის ველზე ჩავიდა, ირანელები უკვე მათ მიერ ალბულ ქამიდაში იყვნენ გამაგრებულნი. ამიტომ, ბიზანტიელთა სარდალმა არეობინდმა <sup>3</sup> სცადა ნისიბისის ალბა, მაგრამ კავადს ჰუნებისა და არაბების რაზმები შეუერთდნენ, არეობინდს კი ბიზანტიელი სარდლები პატრიკი და იპატი არ დაეხმარნენ. არეობინდი იძულებული იყო გამოქცეულიყო. მისმა ჯარმა ტელასა და ედესას შეაფარა თავი. ზაქარია რიტორის ცნობით, ამ დროს ფარსმანმა ვაჟკაცობის არაერთი მაგალითი აჩვენა. როცა მეფე

---

<sup>2</sup> იეშუ სტილიტის გარდა ფარსმანის შესახებ მოგვითხრობენ VI ს. ბიზანტიელი ავტორები: ზაქარია რიტორი და პროკოპიოს კესარიელი, IX ს. ბიზანტიელი ავტორი თეოფანე ჟამთააღმწერელი. როგორც თეოფანე წერს, ფარსმანი იყო “ზუნას მამა, წარმოშობით ლაზი”. ხოლო პროკოპიოსის ცნობით, ზუნას ძეები რუფინუსი და ლეონტი 539\40 წლებში აფრიკაში ვანდალების წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის სარდლები იყვნენ (109:231; 208:90-91).

<sup>3</sup> არეობინდი რომის იმპერიის დას. ნაწილის ცეზარის ოლიბრიოსის (გარდ. 472 წლის 23 ოქტ.) სიძის დალაიფას ძე იყო. წარმოშობით ფრიგიელ პატრიკს ზაქარია რიტორი “დიდ სტრატეგოსს” უწოდებს. იპატი – იმპერატორ ანასტასიოსის დისწული იყო. როგორც “იპატი” (ვიპატოსი), ისე პატრიკი (პატრიკიოსი) რადგან ბიზანტიის საიმპერატორო კარის ტიტულებია, ამ სარდალთა საკუთარი სახელები სხვა უნდა ყოფილიყო. ასევე ფარსმანის თანამებრძოლი იყო მომავალი იმპერატორი, ანასტასიოსის შემდეგ ტახტზე ასული იუსტინე I (207:107).

კავადი “მოვიდა ჯარით, - წერს იგი, - რომაელების წინააღმდეგ ესენი გაიქცნენ მისგან და დატოვეს თავიანთი კარები და განძეულობა, რომელიც თან ჰქონდათ. არეობინდნენ გაიქცა ჰარმაზის ციხიდან, იპატი, პატრიკი და სხვები ტელ-ქასრადან. მათ ბევრი ცხენი და ცხენოსანი დაჰკარგეს, რომლებიც კლდეებიდან გადმოეშვნენ, დამსხვრნენ, დაიხოცენ. მხოლოდ ერთმა მამაცმა მეომარმა ფარეზმანემ რამდენჯერმე გაიმარჯვა ბრძოლაში, შეიქმნა სახელოვანი და საპრსელებს შიშის ზარი დასცა, მისი სახელი მათ აშინებდა, მისი საქმეები ანადგურებდა მათ და ასუსტებდა მათ რიცხვს, მის წინაშე ისინი მხდლობდნენ და მარცხდებოდნენ” (109:231).

ზაქარია რიტორისავე თანახმად, ფარსმანი 500 ცხენოსნით მივიდა ამიდასთან, დაუდარაჯდა სპარსელებს, რომლებიც სოფლების საძარცვავად იყვნენ გასულნი, ზოგიერთი მათგანი მოკლა და წაართვა მათ საქონელი, რომელიც თან მოჰყვდათ, და ცხენებიც”. ვინმე გადღანას მოხერხებულობის წყალობით, ფარსმანმა გამოიტყუა ქალაქიდან სპარსთა სარდალი გლონი ჯარითურთ და ამოჟლიტა. სარდლის მოკვლის გამო სპარსელებმა დაატყვევეს ამიდას მცხოვრებნი და ქალაქში საშინელი შიმშილი დაიწყო (109:232. შიმშილით შეწუხებულმა ხალხმა ადამინის ჭამა დაიწყო. 207:122-123). ბოლოს “ქალაქში მოვიდა... ფარეზმანე და იქ დარჩენილ სპარსელებთან ხელშეკრულება დადო... ფარეზმანე დარჩა ქალაქში და მართავდა მცხოვრებლებსა და ქვეყანას” (109:232).

ამიდადან სპარსთა გამოტყვევლების ამბავს, ამ ომის თანამედროვე იეშუ სტილიტი სხვაგვარად მოგვითხრობს. მისი ცნობით, ფარსმანმა და თეოდორემ ამიდის გაღავნის კარისაკენ ცხვრის ფარა გარეკეს, თვითონ კი ჯარით ჩასაფრდნენ. ასე გამოიტყვევლეს ქალაქიდან 400 სპარსი და მათი სარდალი აშაბელი. ჯარისკაცები ამოწყვიტეს, ხოლო მათი სარდალი დაატყვევეს (207:166). შემდეგში აშაბელი (ასპაბელი) სიკვდილით დასაჯეს.

505 წლის აგვისტოში ფარსმანი თავისი ჯარით აპამეიდან ედესაში გადავიდა. ამ დროს ფარსმანი იმპერატორმა ანასტასიოსმა იპატის მაგიერ მთავარსარდალად დანიშნა (207:166). იგი მონაწილეობდა 506 წლის ნოემბერში ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის დაწყებულ საზავო მოლაპარაკებაში. შეთანხმებისამებრ, მოლაპარაკებაზე მოპირდაპირე მხარეები უიარალოდ უნდა მისულიყვნენ. მაგრამ ირანელთა მეთაურს, ბიზანტიელმა ჯარისკაცმა იარადი შეამჩნია. ეს შეატყობინა ფარსმანსა და ტიმოსტრატს და მათი ბრძანებით ირანელები დაატყვევეს (221:169).

ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის ზავის დადების შემდეგაც, ფარსმანი შუამდინარეთში რჩებოდა. როცა იმპერატორ ანასტასიოსის ბრძანებით, ირანის საზღვართან მდებარე სოფელ დარასათვის ბიზანტიელებმა გალავნის შემოვლება დაიწყეს, ირანელები გამოდრიდნენ ნისიბისიდან და მშენებლებს ხელს უშლიდნენ. ამიტომ ფარსმანი ედესიდან ამიდაში გადავიდა და იქიდან იცავდა მშენებლებს ირანელთა თავდასხმებისაგან (221:167).

ამიდაში ყოფნისას ფარსმან კოლხმა თავი გამოიჩინა, როგორც მონადირემ. აქ იგი დიდ ნადირობებს აწყობდა. ომის შედეგად გაუკაცრიელებულ ადგილებში განსაკუთრებით ბევრი ყოფილა ღორი. ფარსმანი ყოველდღიურად 40-ზე მეტს კლავდა და ცოცხლივ იჭერდა. ედესელებისათვის თავისი ნადირობის შედეგები რომ ერვენებინა, ნანადირევის ნაწილს იქ აგზავნიდა, როგორც ცოცხლად ისე მოკლულთა სახით<sup>4</sup> (221:167).

აი ასეთი იყო ქართველი მხედართმთავრის როლი 502-505/6 წლების ბიზანტია-ირანის ომში. ახლა ისევ ედესის შესახებ.

ადრექრისტიანული ეკლესიის ცნობილი მოღვაწის ეფრემ ასურის “ცხოვრების” ავტორის სიტყვით, ეფრემი ასე მიმართავდა ქ.ედესას: “ეჰა, ურაჰაო, ქალაქო წმიდაო და სავსეო სიწმიდითა და გონიერებითა და გულისხმისყოფითა და მეცნიერებითა, რომელსა შეგიმტკიცებთან წესნი თვისნი სარწმუნოებითა მართლითა და საჭურველითა სარწმუნოებისაითა, რამეთუ განადიდნა გვირგვინი შენი სიყუარულითა და ძალითა ქრისტეს უფლისა ჩუენისაითა. აკურთხევდენ ყოველნი მკვიდრთა შენთა. ეჰა, ურაჰაო, რომლისა სახელი თვისი სიქადულ მისა და სახელსა იესუ ქრისტესსა ესევდ. ჰოი, ურაჰაო, მთავარო ქალაქათო, რომელი გაკურთხა შენ ღმერთმან, შენ ხარ ქალაქი, რომელსა გფარავს ზეცისა იერუსალიმი” (131:229).

ჯერ კიდევ IV ს-ში ქ.ედესა ეფრემ ასურისაგან (გარდ. 373) ასეთ შესხმას რომ იმსახურებდა, შემთხვევითი არ იყო. ქრისტიანული ტრადიციით, ოსროენის მეფე აბგარი (მანუს დინასტიიდან) ერთადერთი მბრძანებელი იყო რომელსაც იესო ქრისტემ თავისი ხელთუქმნელი ხატი გაუგზავნა (იხ. ქვემოთ).

ედესის ცნობილი საღვთისმეტყველო სკოლის დამაარსებელი ეფრემ ასური ქნისიბისიდან იყო. მას შემდეგ, რაც ნისიბისი ირანის ხელში გადავიდა, როგორც ვთქვი, ქრისტიანული მოსახლეობა

---

<sup>4</sup> ფარსმანის შემდგომი ბედი უცნობია, მაგრამ როგორც ზემოთ შევნიშნე, ბიზანტიელი ავტორები იცნობენ მის ძეს – ზავნას, ზავნას ძეებს რუფინესა და ლეონტის, რომლებიც ასევე ბიზანტიის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ (109:231).

ოსროენასა და მის დედაქალაქ ედესაში გადასახლდა. ამ გადასახლებულთა შორის იყო ეფრემ ასური.

“ვითარცა გამოხდა ზამთარი”, ეფრემი “წარმოვიდა ქალაქად ურჰისა, რომელ არს შოვამდინარეთა” და “ვითარცა იხილა იგი შორით, განიხარა და თქუა გულსა თვისსა... დავემკვიდრო ქალაქსა ამას შინა ვიდრე მიაღსასრულამდე” (131:217).

ქალაქთან ჩამომდინარე დაისანში (ეს მდინარე “გარე-მოიცავდა” ქალაქს) ქალები სარეცხს რეცხდნენ. ერთმა ქალმა თავისი სიტყვა-პასუხით ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ეფრემზე, რომ ეფრემმა გაიფიქრა “უკუეთუ დედანი ამის ქალაქისანი ესრეთ ბრძენ არიან, ვითარც ეს დედაკაცი, მაშა რავდენ უფროის გადამატებულ იყვნენ მამანი დედათა გონიერებითა და მეცნიერებითა”-ო. (131:217).

ეფრემმა რადგან არავითარი ხელობა არ იცოდა, მეაბანოეს “დაემიზდა” (დაექირავა). ეფრემის “ცხოვრების” ავტორის სიტყვით “მას ჟამსა” ქალაქის დასავლეთით – “მახლობლად ქალაქისა” – მთაში “იყვნეს ... მონასტერნი მრავალნი დედათა და მამათანი” (131:228). ეფრემიც იქ მივიდა და “დაემკვიდრა მუნ ქუაბსა შინა მახლობლად მონაზონისა ერთისა” (131:218).

“მთასა ურაჰისასა მარტოღმყოფად” დამკვიდრებულ ეფრემს დაუწყია ბიბლიის თარგმნა (მეზობელმა მონაზონმა ნახა “რამეთუ ჯდა და წერდა თარგმანებსა დაბადებისასა”. 131:218). შემდეგში ეფრემმა მრავალი მოწაფე გაიჩინა. ეფრემის მოღვაწეობამ, მის მიერ შექმნილმა სკოლამ დიდი კვალი დააჩნია ადრექრისტიანულ მწერლობას. ეფრემმა “... დაუტევნა ეკლესიას შინა წმიდასა საკითხავნი მრავალნი, რომელნი გამოთქუნა ფრიად ურიცხვნი და თარგმანნა ბუელნი და ახალნი მოსწრაფებითა დიდითა და ბერძულად და ასურულად, ფრიად სარგებელნი და განმანათლებელნი ყოველთა, რომელთა იკითხონ მათ შინა” (131:232).

ასეთი იყო ქ.ედესა. იმ დროის ჩრდილოეთი შუამდინარეთის ერთ-ერთი დიდი ქრისტიანული ცენტრი. იმ ჩრდ. შუამდინარეთისა, რომელსაც ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართველთა საკუთრებად თვლიდა.

### თავი VIII. ქართველთა კოლონია IV-VI სს. ედესაში. კოლონიის მასაზრდოებელი ქართველური სამყარო

ქართველთა ინტერესს ჩრდილოეთი შუამდინარეთის ისეთი ოლქებისადმი, როგორებიც იყო მიგდონია და ოსროენა, როგორც

ვნახეთ, საკმაო საფუძველი ჰქონდა. ამ მხარეთა ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული, ქრისტიანული ტრადიციებით მდიდარ ისეთ ქალაქებს, როგორებიც იყვნენ: ნისიბისი, ედესა, ბატნანი, ამიდა და სხვანი ქართველები კარგად იცნობდნენ. ქართველთათვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ქ.ედესა, იქ არსებული ქართველური კერის გამო.

ამასთანავე, როგორც კ.კეკელიძე წერს, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის დროიდან თუ გადმოღებული იქნა ნისიბისის სკოლის ტრადიციები და უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეგეტიკა (ბიბლიური ტექსტების შესწავლა და ახსნა-განმარტება) და პომილეტიკა (ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოდერების წარმოება), ცხადია, IV-VI სს. ქართულ საზოგადოებას კარგად ეცოდინებოდა, ჩრდ. შუამდინარეთი ქრისტეს წინაპართა სამშობლო – ბიბლიური სამოთხის ცენტრი რომ იყო, ხოლო ამ მხარის მთავარ ქალაქს – ედესას ქრისტე მფარველობდა.

კ.კეკელიძის თანახმად, ცნობილი საღვთისმეტყველო სკოლის დამაარსებლის ეფრემ სირინის შრომებით განდიდებულ ქალაქ ედესას სახელი გაუთქვა ეპისკოპოსების რაბულას, ივას და სხვათა მოღვაწეობამ. ედესის ეკლესია, რომელმაც თავის თავზე გადაიტანა არიანული და ნესტორიანული გართულებები, VII საუკუნემდე აღმოსავლურ-ქრისტიანული კულტურისა და განათლების უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენდა. მაგრამ, არაბთა მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ ედესაში ქრისტიანობა თითქმის გაქრა და მხოლოდ 1097–1146 წლებში არსებობდა აქ ქრისტიანული საგრაფო, ბაღდუნ ფლანდრიელის მიერ დაარსებული. კ.კეკელიძისავე შენიშვნით, ჩვენს ხელთ არაა სათანადო მასალა ედესის ეკლესიის წარსული ცხოვრების შესასწავლად მისი ყველაზე აყვავების ხანაშიც კი. რაც შეეხება არაბთა დაპყრობების შემდგომ ხანას, – დასძენს შემდეგ კ.კეკელიძე, – ასეთი მასალები საერთოდ არა გვაქვს, თუ არ ჩავთვლით, იმპერატორ მიხეილისა და მისი დედის თეოდორას (842-867) თანამედროვის ედესელი არქიეპისკოპოსის წმინდა თეოდორეს ცხოვრებას (188:102-103). ამიტომ, ყოველ ცნობას, რომელიც კი უმნიშვნელოდ მაინც გაამდიდრებს ამ კუთხისა და ქალაქის ისტორიას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ედესისა და მისი ეკლესიის (საერთოდ ჩრდილოეთი შუამდინარეთის) ისტორიისათვის. ასეთი ცნობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ შუამდინარეთთან საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად.

როგორც ითქვა, ქ.ედესა აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც ქართლში წამოსვლამდე ასურელი მამები მოღვაწეობდნენ (იხ. ქვემოთ), ძველ

წყაროებში ედესელეზად (ურჰაელეზად) იწოდებიან V ს. ორი ისეთი გამოჩენილი ქართველი, როგორებიც იყვნენ: ცნობილი ფილოსოფოსი პეტრე იბერი და საეკლესიო მოღვაწე იერემია იბერიელი. უფრო მეტიც, იერუსალიმში პეტრე იბერის მიერ დაარსებული “იბერთა მონასტერი” იაკობ სპარსის წამების კოპტურ და მისგან მომდინარე არაბულ ვერსიაში “ურჰაელთა მონასტრადაა” სახელდებული. რაც უკვე თითქოს მონასტრის მოღვაწეთა ეთნიკურ კუთვნილებაზე მიგვითითებს. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ჯუანშერის ცნობით, ედესაში რვა წელი რომ გაატარა ქართლის დედოფალმა საგდუხტმა და მისმა ასულმა, მაშინ “ედესის ქრონიკის” ცნობა “იბერთა აბანოსადმი” წყლის შეწყვეტის შესახებ იმაზე მიგვითითებს, ქალაქში ქართველთა კოლონია რომ უნდა არსებულებოდა.

ასე რომ, IV-VI სს. ქედესა ფრიად საინტერესო ქალაქად წარმოგვიდგება და, როგორც აღვნიშნე, ამ ქალაქით ქართველთა დაინტერესებას საკმაო საფუძველი ჰქონდა. უპირველესი საფუძველი კი შემდეგი იყო.

როცა IV-VI სს. ჩრდ. შუამდინარეთთან საქართველოს ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, მკვლევრის წინაშე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ამ მხარეში უძველესი დროიდან მცხოვრები, ქართველთა მონათესავე ხალხად მიჩნეული კარდუხების პრობლემა დგება. და კარდუხთა შესახებ ჩემს მიერ შემომოტანილი მასალა თუ გარკვეულ საფუძველს გვაძლევს კარდუხები ერთ-ერთ ქართველური მოდემის ხალხად იქნას მიჩნეული, მაშინ 363 წლის “სამარცხვინო ზავის” შემდეგ კარდუხთა (ქართუს) ქვეყნისა (შემდგომი, ელინისტური ხანის მიგდონიის) და მისი დედაქალაქის ქრისტიანული მოსახლეობის დიდი ნაწილი რომ ოსროენასა და მის დედაქალაქ ედესაში გადასახლდა, გადასახლებულთა შორის, ცხადია, ძველ კარდუხთა შთამომავლებიც იქნებოდნენ. აი, ქედესის მოსახლეობის ამ ნაწილს ემატებოდა და ავსებდა კაპადოკიიდან, მუშქთა ქვეყნიდან და, რაც მთავარია, საქართველოდან ქედესაში სავაჭროდ, სასწავლებლად თუ რელიგიურ ნიადაგზე ჩასული ქართველობა.

მიგდონიიდან ოსროენაში ქრისტიანული მოსახლეობის გადაყვანასთან ერთად, როგორც მოვსეს ხორენაცი გვამცნობს, რომაელებმა ქინისიბისიდან ედესაში წიგნები, ხოლო პონტოს (ეს იყო კაპადოკიის ნაწილი. ვ.გ.) დედაქალაქ სინოპიდან სატაპრო მატრიანეები გადაიტანეს (98:110). ამ ღონისძიებით, ოსროენის დედაქალაქი იმ ხანად ქართველური მოსახლეობისათვის ერთგვარი ცენტრი გახდა. ამ ცენტრთან, საერთოდ, სირიულ-ასურულ სამყაროსთან ქართველთა ურთიერთობას განსაკუთრებით აადვილებდა შემდეგი გარემოება.

გარდა იმისა, რომ ახ.წ. IV-V საუკუნეებისათვის ქართველთა ურთიერთობას ჩრდ. შუამდინარეთთან უკვე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, საქართველოს ქალაქებში უძველესი დროიდან არსებულ ასურელთა სავაჭრო უბნების მცხოვრებთ, V ს-ში რელიგიურ ნიადაგზე დევნილი ის ასირიელები შეემატნენ, რომელთაც საქართველოში ჰპოვეს თავშესაფარი. კ.კეკელიძის თანახმად, ესენი იყვნენ ნესტორიანები. ისინი ქართლს აწვებოდნენ ასურეთიდან. სპარსეთში ქრისტიანთა დევნისას არა ერთმა და ორმა ნესტორიანმა ჰპოვა ჩვენში თავშესაფარი და, ალბათ, მიმდევარნიც. თუ ასემახს დაუუჯერებთ, — დასძენს კ.კეკელიძე, — ქართლში ნესტორიანთა საეპისკოპოსოც კი დაარსებულა (63:482).

რომაელებმა ოსროენა რომ კაპადოკიასთან გააერთიანეს, შემთხვევითი არ იყო. როგორც ვნახეთ, ამ მხართა მოსახლეობას ბევრი რამ ჰქონდა საერთო (ალბათ, საერთო ენა, რელიგია და კულტურა) და ასეთი გაერთიანების შემდეგ ერთ კულტურულ არეალში მოხვდა ოსროენის ჩრდილოეთით მდებარე “მუშქთა ქვეყანა” — ე.წ. “აღმოსავლეთის მუშქთა” (მესხთა) საცხოვრებელი და “დასავლეთის მუშქები” (150:105), რომელთა შთამომავლები უკვე კაპადოკიელებად იწოდებოდნენ.

ძველ ავტორთათვის (იოსებ ფლავიუსი, ევსტათი ანტიოქიელი, თეოდორიტი კვირელი და სხვანი) კაპადოკია იგივე მესხთა ქვეყანა იყო, ხოლო “ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის კაპადოკია ეთნიკური ტერმინი”, “კაპადოკიელი იყო იგივე მესხი” (152:233). აღნიშნულთან ერთად, რადგან “პონტო-კაპადოკია ეთნიკურად განუყოფელი იყო ქართულ სამყაროსთან”, “კაპადოკია-პონტო-კოლხეთი (ლაზიკა)-იბერია” კი ის “ერთიანი ეთნიკური სამყარო იყო, რომელიც ერთიანი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა” (27:42-43), ცხადია, ქ. ედესის ქართული კოლონიის ცხოვრებას, დასახლებული ქართველური სამყაროს მოსახლეობის წარმომადგენლები ავსებდნენ. მაგრამ, აქვე ისმება კითხვა: იყო IV-VI სს. კაპადოკიაში ქართველური მოსახლეობა და ჰქონდა მას ეროვნული შეგნება. ქართულ-კაპადოკიურმა მოსახლეობამ როგორ შეძლო ეროვნული მეობა შეენარჩუნებინა ( რაში მჟღავნდებოდა იგი) და ბიზანტიურ, თუნდაც ჩრდ. შუამდინარეთის მაღალკულტურულ სირიულ-არამეულ სამყაროში საკუთარი კულტურული კერა შეექმნა?

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, როგორც ცნობილია, რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების რელიგიურად განწყობილი პირები გადატაკების გამო მასიურად ტოვებდნენ მშობლიურ ადგილებს და მეუღლებნობას იწყებდნენ (213:68). მსგავსი პროცესი აღინიშნებოდა



საქართველოშიც, რადგან ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოს მოსახლეობასაც შეეხო.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საწყისები საქართველოში “უკვე პირველ საუკუნეში იყო შესამჩნევი”. IV ს-დან კი საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვებას თან მოჰყვა “ზედნაშენურ მოვლენებში მნიშვნელოვანი გარდატეხა”, ხოლო ქვეყანა ეკონომიკურად გადავიდა განვითარების ადრეფეოდალურ საფეხურზე (გ.მელიქიშვილი, შ.მესხია). აღნიშნულმა პროცესმა საქართველოს მოსახლეობის ზოგი წარმომადგენელი წმინდა ადგილებისაკენ გაუყენა გზას (მაგ., სირიული ღიასპორის შესახებ IV-VI სს. აგიოგრაფიული ლიტერატურა მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. 213: 51-52).

კაპადოკიიდან და ასურეთიდან გამოსული სასულიერო მოღვაწეები და წმინდანები (რომელთა შორის ქართულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლებიც იყვნენ) მთელ იმპერიაში იყვნენ ცნობილი. ზოგიერთი მათგანის საქართველოში და მათთან ჩასული ქართველებით დაინტერესება, საქართველოდან წმინდა ადგილებში ჩასული ქართველებისათვის თავშესაფრის მიცემა, ვფიქრობ, ასურ და კაპადოკიელად მიჩნეული მოღვაწეების ქართველურ წარმომავლობაზე მიგვითითებს. განა შემთხვევითი იყო ქართველთა მოზღვაება საბა განწმენდილის ლავრაში?

საბა კაპადოკიის დედაქალაქის – კესარიის ( ახლანდ. კაისერი თურქეთში) მახლობლად სოფელ მუთალაში დაიბადა 439 წელს. მშობლები იოანე და სოფია კაპადოკიელი ქრისტიანები იყვნენ. საბას მშობლები საცხოვრებლად როცა ქალექსანდრიაში გადავიდნენ, საბა აღსაზრდელად ბიძას – იერემიას დაუტოვეს. მაგრამ, საბამ მასთან ვერ გაძლო და მეორე ბიძასთან გიორგისთან გადავიდა საცხოვრებლად (180:84). შემდეგში, საბა ცნობილი რელიგიური მოღვაწე გახდა, პალესტინაში მის მიერ დაარსებული ლავრა ქართველთა ერთ-ერთი დიდი თავმოყრის ადგილი შეიქმნა. წმ. ხარიტონის სახელობის ლავრამ ლაზების მონასტრის სახელი მიიღო (180:84). V ს-დან საბას ლავრაში ისე გამრავლდნენ ქართველები, რომ VI ს. II ნახევარში მონასტრის უმეტესობას შეადგენდნენ. ქართველებმა დაიკავეს ეკლესია, საბას მიერ სომხებისადმი მიკუთვნიებული მღვიმე და თვით დიდი ლავრაც კი თითქმის ქართველთა მონასტერი გახდა (180:109).

საბას მშობლიურ სოფელში V ს-ში კიდევ იყო თუ არა ქართულ ენაზე მოლაპარაკე კაპადოკიურ-ქართული მოსახლეობა, ძნელი სათქმელია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საბას მიერ ქართველთა მფარველობას, ასევე კესარიის მახლობლად რომ არსებობდა ტოპონიმი თიანა (რომელიც ქართული წარმომავლობისადაა მიჩნეული. 128: №

14). ხოლო იქვე არსებული სოფლის სახელი “ტოპადა” (1926 წლამდე ასე იწოდებოდა სოფ. აჯი-გიოლი) როგორც ა.შანიძე წერს ლაზურად “მწარე ტბას” ნიშნავს (225:79,86. ა.შანიძის მითითებით, მსგავს ტოპონიმს ძველი ბერძენი გეოგრაფი პტოლემეაიოსი ასახელებს პაფლაგონიაში), ვფიქრობ, ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, კესარიის რაიონში ქართველური მოდგმის მოსახლეობა რომ ცხოვრობდა<sup>1</sup>. რაც მთავარია, ეს მოსახლეობა დიდი ეროვნული შეგნებით გამოირჩეოდა. 370 წელს როცა ას წელს მიღწეული ქ.ნაზიანზის ეპისკოპოსი გრიგოლი გარდაიცვალა, ბასილ დიდი კესარიელის მხარდაჭერით მოსახლეობამ, როგორც ადგილობრივი წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელი ეპისკოპოსად გარდაცვლილის ძე გრიგოლი მოითხოვა (213:80-81). გრიგოლ ნაზიანზელი – ბასილ დიდის მეგობარი, შემდეგში აღრექრისტიანული ეკლესიის ცნობილი მოღვაწე გახდა (379-81 წლებში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი იყო).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული კაპადოკიამ ელინიზაცია ნაკლებად განიცადა. IV-V ს-ებში მოსახლეობამ სუსტად იცოდა ბერძნული ენა (213:50). რის გამოც წარმოშობით კაპადოკიელ სტუდენტებს ხშირად საყვედურობდნენ (200:282).

სანამ ბასილ დიდზე დავიწყებდე საუბარს, უნდა აღვნიშნო, პონტო-კაპადოკიიდან გამოსული სასულიერო მოღვაწეები იმთავითვე მთელს რომის იმპერიაში იყვნენ ცნობილნი. მათ თვით იმპერატორი კონსტანტინე დიდი (306-337) უწევდა ანგარიშს. ამის გამო იყო, რომ 330 წელს, ანტიოქიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე არაინელებმა როცა ევსტათი ანტიოქიელი გადააყენეს, კონსტანტინე დიდის

---

<sup>1</sup> ქ.კესარიასთან ასეთი ტოპონიმის არსებობა ადასტურებს ძვ.წ. VI ს. ბერძენი ავტორის ჰეკათეოს მილეტელის მითითებას, მოსხები “კოლხური ტომია”-ო (195:301). ამ მხრივ, არანაკლებ საინტერესოა ისიც, სამხრეთ საქართველოში (მესხეთში) მრავალი ტოპონიმი ლაზურ-ჭანურად რომ იხსნება (იხ. 53).

ოსებ ფლავიუსის მიერ იბერთა წინაპრად დასახელებული თაბალების (56:271) განსახლების არეალად-თაბალის ქვეყნად სწორედ კესარიის რაიონს მიიჩნევენ (147:8, 38-39, 57-58. შდრ., იხ. ზემოთ ), ასევე თაბალებთან შავი ზღვის სამხრ. სანაპიროზე მცხოვრები ქართველური მოდგმის ტიბარენების იგივეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს თუ გავითვალისწინებთ (147:28-37), ნ.ხაზარაძის დასკვნა, თითქოს “საკუთრივ თაბალის ტერიტორიაზე ქართველი ტომები” არ არსებობდნენ და თაბალურ სამყაროსთან ქართველურ ტომებს მხოლოდ “უახლესი კონტაქტები” ჰქონდათ (147:83) გადასინჯვას მოითხოვს. როგორც ვნახეთ, საბა განწმენდილის სოფელი მუთალა სწორედ თაბალის ქვეყანაში მდებარეობდა- ე.ი. საბა თაბალი (იბერი, კაპადოკიელი) იყო.

რეკომენდაციით მისი ადგილი “კაპადოკიის კესარიის მცხოვრებმა პრესვიტერმა სოფრონიუსმა დაიკავა” (173:179).

ხელისუფლების მხრიდან დიდი პატივისცემის მიუხედავად, წარმოშობით კაპადოკიელი მოღვაწეები მწარედ განიცდიდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვას (კაპადოკია ახ.წ. 17 წლიდან რომის პროვინცია გახდა). ამიტომ იყო, რომ ბასილ დიდი კესარიელი ერთ წერილში წერდა: “მე მომიწოდებს ჩემი ტანჯული სამშობლო” (27:56). როგორც პროფ. ე. ხინთიბიძემ აჩვენა, გამორიცხულია ბასილი ქართველის გარდა სხვა ეროვნებისა ყოფილიყო. უცხო ეთნიკური ელემენტის წარმომადგენლისათვის კაპადოკია, რა თქმა უნდა, “ტანჯული სამშობლო” არ იქნებოდა.

კაპადოკიელთა ეროვნული შეგნება რომ დიდი იყო, ეს ბასილ დიდის მოღვაწეობით მტკიცდება. ბასილი იყო რა კესარიის მიტროპოლიტი და პონტოს ეგზარქოსი (კესარიის ეროვნულმა ეკლესიამ განსაკუთრებულ სიძლიერეს მის დროს მიაღწია), ცდილობდა თავისუფალ საეპისკოპოსო კათედრებზე წარმოშობით კაპადოკიელი პირები დაენიშნა. 370 წელს მან დაიკავა თუ არა კესარიის კათედრა, თავისი მეგობარი გრიგოლი, როგორც ვთქვი, ნაზიანზის (ზოგი ცნობით ქ.სასამის) ეპისკოპოსად დანიშნა. ხოლო თავისი უმცროსი ძმა გრიგოლი (იგივე გრიგოლ ნოსელი) 371 წელს ქ.ნისის ეპისკოპოსად. ბასილის მეორე ძმა პეტრე ქ.სებასტიის ეპისკოპოსი იყო (გარდ. 392 წ.). ამის შემდეგ ბასილმა ქ.იკონიის ეპისკოპოსად დანიშნა გრიგოლ ნაზიანზელის (ღვთისმეტყველის) ნათესავი, წარმოშობით კაპადოკიელი ამფილოქე (173:400). ბასილ დიდის წრეს ეკუთვნოდა ცნობილი ქართველი მოღვაწე ევაგრე პონტოელი (379 წლიდან მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში. 382 წ. იერუსალიმში მონაზვნად აღიკვეცა. გარდ. 399 წ. იხ. 61:7).

ბასილის თანადროულ პონტოს ეკლესიაში მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენდნენ: ბასილის ბიძა გრიგოლ პონტოელი და ბასილის ახალგაზრდა ნათესავი ატრევეუს ნეოკესარიელი (32:27,32). ბასილმა სცადა ეპისკოპოსად ეკურთხებინა ეფრემ ასური (131:227. უფრო ადრე ეფრემი სპეციალურად ჩავიდა კესარიაში ბასილის გასაცნობად. 131:224).

სამი დიდი კაპადოკიელი: ბასილ დიდი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ნაზიანზელი “მსოფლიოს ჩინებულ ადამიანთა რიცხვს ავსებენ” წერდა პატრისტიკის ცნობილი ინგლისელი მკვლევარი ფ.ფარარი. მისივე სიტყვით, “თუკი კაპადოკიაში მრავლად იყო ისეთი სახელები, როგორცაა ბასილ დიდი და გრიგოლ ღვთისმეტყველი; თუკი იქ მრავლად იყო ისეთი ოჯახები, რომლებსაც

შეემლოთ ეამაყათ ისეთი დედებით, როგორებიც იყვნენ ემილია (ბასილის დედა. ვ.გ.) და ნონა (გრიგოლის დედა. ვ.გ.); ისეთი ასულები, როგორებიც იყვნენ მაკრინა (ბასილის და. ვ.გ.) და გორგონია (გრიგოლის და. ვ.გ.); ისეთი ძმები, როგორებიც იყვნენ ბასილ დიდი და გრიგოლ ნოსელი, კესაროსი (მან ქალექსანდრიაში მიიღო სამედიცინო განათლება და საიმპერატორო კარის ექიმი იყო) და გრიგოლ ღვთისმეტყველი, რასაკვირველია, ეს ის ქვეყანა იქნებოდა, რომელსაც შეემლო ადვილად აღეძრა პატრიოტიზმი” (217:471-472). ეს პატრიოტიზმი, რა თქმა უნდა, მთელ ქართულენოვან სამყაროზე ვრცელდებოდა.

ზემოდასახელებული მოღვაწეები გრიგოლ სასწაულთ-მოქმედიდან<sup>2</sup> მოკიდებული ბერძენ სასულიერო პირებად იყვნენ მიჩნეულნი, ამიტომ იყო კ-კეკელიძე ევაგრე პონტოელის ქართველური წარმომავლობის დამტკიცების<sup>3</sup> შემდეგ რომ წერდა: “რამდენი გამოჩენილი მოღვაწე მიუცია პატარა საქართველოს დიდი ბიზანტიისათვის, განსაკუთრებით კულტურის დარგში, რომელთა ქართველობა ყოველთვის არც თანამედროვეთათვის იყო აშკარა და არც დღევანდელი დიდეროვნული შოვინისტური მეცნიერისათვის არის ადვილად დასაჯერებელი” (61:15).

ბასილ კესარიელის მშობლიური სოფელი ანი პონტოში მდ.ირისის (ახლანდ. ეშილ ირმაქი) ნაპირას მდებარეობდა (217:490). იმავე მხარეში, კერძოდ, ქ.ამასიის მახლობლად მრავალრიცხოვანი ქართველების ცხოვრების შესახებ ცნობა გვაქვს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ევტეხის (VI ს.) “ცხოვრებაში” (213:55). აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ახალგაზრდობაში თვით ევტეხი ქ.ამასიის მახლობლად მდებარე ლაზიხის ეპისკოპოსი რომ იყო (213:206), ტოპონიმი “ლაზიხე” კი ლაზურად “ლაზის ქალიშვილს” ნიშნავს (146:120), ასევე სხვა მრავალ ფაქტს კაპადოკიის ქართული მოსახლეობის შესახებ (ამ საკითხზე იხ. 128), ვფიქრობ, გარკვეული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ქედესის ქართულ კოლონიას კაპადოკიის სახით ქართულენოვანი სამყარო ესაზღვრებოდა. უფრო მეტიც, ოსროენა, გორდინენასთან ერთად, როგორც ჩანს, კაპადოკიის

---

<sup>2</sup> გრიგოლი (მონათვლამდე თეოდორე) 213 წ. დაიბადა წარჩინებული პონტოელი წარმართის ოჯახში (გარდ. 270 წ.). იგი ავტორია საეკლესიო ხასიათის თხზულებებისა, რომლებიც ადრევე ითარგმნა ქართულად (იხ. ქსე, ტ. 3, სტ. გრიგოლ სასწაულთმოქმედი).

<sup>3</sup> ევაგრეს ქართული წარმომავლობის დასამტკიცებლად მნიშვნელოვანი მასალები ჯერ კიდევ მ.თამარაშვილმა შეაგროვა (72:97-99).

ნაწილად მიიჩნეოდა, რის გამოც მას ხშირად კაპადოკიასთან აერთიანებდნენ (114:505; 98:110).

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ჩრდ. შუამდინარეთში.

ქართველები ჩრდ. შუამდინარეთიდან გამოსულ მოღვაწეებს რომ აზლობლებად თვლიდნენ, ამის მაგალითად, ვფიქრობ, დანიელ მესვეტესთან ეგრისის მეფის გუბაზის მისვლა უნდა მივიჩნიოთ.

დანიელი ჩრდ. შუამდინარეთში დაიბადა და 12 წლისა მის სოფელთან ახლო – მდებარე მონასტერში წავიდა. სიცოცხლის ბოლო 30 წელზე მეტი კი კონსტანტინოპოლის ახლოს სვეტზე გაატარა (გარდ. 489 ან 490 წ.). სწორედ კონსტანტინოპოლში ესტუმრა დანიელს გუბაზი.

ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ, 465 წელს როცა გუბაზი იმპერიის დედაქალაქში ჩავიდა, იმპერატორმა ლევ I-მა (457-474) გუბაზი დანიელს შეახვედრა და სწორედ დანიელი “იქმნა შუამდგომელ” იმპერატორსა და გუბაზს შორის. მათ “დადგეს საზღვრად ციხე ხუფათი და აღუთქვეს ურთიერთას მშვიდობაი და სიყვარული”. ეგრისში დაბრუნების შემდეგ გუბაზი “უთხრობდა ყოველთა მადლსა მას წმიდისასა” და როცა მისი მოციქულნი კონსტანტინოპოლში ჩავიდოდნენ “წიგნი მიუწერის ნეტარსა მასცა” და ლოცვას ითხოვდა მისგან (187:5-6).

დანიელის დაინტერესება ეგრისითა და გუბაზ მეფით კ.კეკელიძემ ქრისტიანობის წიაღში ეგრისის შესვლის პერსპექტივით ახსნა (187:7). მაგრამ, 465 წლისათვის ქრისტიანობას ეგრისში რადგან საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია ჰქონდა, ასეთი ახსნა საეჭვო ჩანს. გუბაზი, როგორც ცნობილია, აჯანყების შემდეგ დიდხანს უარს ამბობდა იმპერიის დედაქალაქში ჩასვლაზე. კონსტანტინოპოლში ჩასვლისას გუბაზის შეხვედრა დანიელთან იქნებ წინასწარ იყო დაგეგმილი და დანიელის სიმპათიები ეგრისის მეფისადმი, მისი ქართველური წარმოშობით იყო განპირობებული?

ჩრდ. შუამდინარეთიდან გამოსული სასულიერო მოღვაწეებიდან<sup>4</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან სვიმეონ მესვეტე და მისი დედა მართა.

---

<sup>4</sup> შუამდინარული სამყაროდან იყო გამოსული ადრექრისტიანული ეკლესიის ცნობილი მოღვაწე, კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი (გარდ. 407 წ.). “ესე ნამღვილეუ ჭეშმარიტად კაცი ღმრთისაი... ანტიოქელი იყო ნათესავით, ანტიოქისაი მის, რომელი იგი შენ არს ღელესა ასურეთისასა” (133:221).

მართას “ცხოვრებაში” ქართველთა შესახებ არსებული ცნობების გამო ბელგიელმა ქართველოლოგმა პ.პეეტერსმა შესაძლებლად ჩათვალა, ეს “ცხოვრება” ქართველის მიერ ყოფილიყო დაწერილი (63:181, შენ. 2).

მართას მეუღლე იუველირი იყო ქ. ედესიდან (213:66). მართას ვაჟი – სვიმეონი რადგან ახლოს იყო ქართველებთან, გამორიცხული არაა მათი ოჯახი წარმოშობით ქართული ყოფილიყო. სვიმეონთან, – წერს კ.კეკელიძე, – ხშირი, მასობრივი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ ქართველებს, რომელთაგან ბევრი იქვე, მის მონასტერში, რჩებოდა საბერძნეთის მონასტრებისათვის. სვიმეონის დედის, მართას “ცხოვრებიდანაც” ჩანს, რომ ქართველები ამ მონასტერში დიდ როლს თამაშობდნენ<sup>5</sup> (63:88-89). კ.კეკელიძისავე მითითებით, სვიმეონის მონასტერში ქართველებს ჰქონიათ თავისი ეკლესიაც, რომელსაც ისინი თორნედ უწოდებდნენ (63:101-102) და სწორედ ამ სვიმეონის მოწაფეებად არიან მიჩნეულნი ქართლში მოსული ასურელი მამები (იხ. 62).

ასურელი მამები ჩვენს მეცნიერებაში (დ.ბაქრაძე, კ.კეკელიძე, შ.ნუცუბიძე, ს.კაკაბაძე და სხვანი) ძირითადად ქართველებად არიან მიჩნეულნი. სხვა მხრივ როგორ უნდა აიხსნას ქართლში შემოსვლისთანავე იოანემ – შემდეგში ზედაზნელად წოდებულმა, ქართლის კათალიკოს ევლავიოსს ქართულ ენაზე რომ დაუწყო საუბარი (12:81-82; 62:44). ვფიქრობ, სწორედ, მათი ქართველური წარმომავლობით იყო განპირობებული, მათ ახლო ნაცნობობა რომ ჰქონდათ მართას ოჯახთან და ქართლში წამოსვლამდე ისინი სვიმეონმა დალოცა.

სვიმეონთან სხვა ქართველებსაც ჰქონდათ ურთიერთობა: “ხუცესი ვინმე ქართული მოვიდა წმიდისა მის სარწმუნოებითა დიდითა და ევედრა მას რათა მისცეს თმისაგან მისისა და აქუნდეს მას ევლოგიად და საფარველად” (187:9).

სვიმეონის თმა ამ ქართველმა წაიღო “ქუეყნად თვისა” და “შექმნა მახლობლად დაბისა თვისისა ტალავარი ადგილი უდაბნოსა და შექმნა ჯუარი და შთადგა თმაი იგი მას შინა” და დაიწყო ხალხის განკურნება (187:9).

სვიმეონისავე “ცხოვრებაში” არსებული ცნობით, მას ხშირად აკითხავდნენ უბრალო ქართველებიც. “კაცმან ვინმე ქართულმან

---

<sup>5</sup>დავით მტბევეარს ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია მართას “ცხოვრება”, აგრეთვე წმინდა ბარლამ სიროკაკეკასიელის “ცხოვრება” და ათონელი ქართველებისათვის მიუძღვნია. ვინაიდან გაეგო, რომ აღნიშნული “ცხოვრებანი” მთაწმიდას არ იყო” (63:215, შენ. 1).

ჟამსა მკისასა სუა ღვინოი ფრიად და მიერულა მას ძილითა ზმირითა და იღვა კალოსა თვისსა ზელა” (187:11). მთვრალს პირში გველი ჩასძრომოდა და იგი სვიმეონმა გადაარჩინა.

ქართველი, რომელიც სვიმეონმა სიკვდილს გადაარჩინა, საეჭვოა მასთან საქართველოდან ჩასულიყო. უფრო სავარაუდოა, რომ ეს ქართველი სვიმეონის მოღვაწეობის ადგილიდან სადღაც ახლოს ცხოვრობდა. სვიმეონთან განსაკურნებლად მიდიოდნენ კაპადოკიელი ქართველებიც (122 ˚:238).

საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებასა და მის მონასტერში ქართველთა მიღებას სვიმეონს თითქოს თვით ღმერთი ავალებდა. სიზმარში სვიმეონს ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: “ქადაგებანი სახელსა შენსა ქუეყანასა მათსა და განამტკიცებდენ ყოველთა სარწმუნოებითა და კვალად დაემკვიდრნენ მათგანი მონასტერსა შენსა” (122 ˚:260).

ზემომოტანილი მასალები, ვფიქრობ, გარკვეულ საფუძველს გვაძლევს IV-VI სს. კაპადოკიასა და ჩრდ. შუამდინარეთში ქართველური მოსახლეობის არსებობა ვამტკიცოთ. საქართველოდან ჩრდ. შუამდინარეთში ჩასულებთან ერთად სწორედ ოსროენა-კაპადოკიის ქართველური მოსახლეობიდან გამოსულნი ავსებდნენ ქედესის ქართული კოლონიის ცხოვრებას.

ედესის ქართველური კოლონიის წევრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვაჭრობითა და განათლების მიღებით არ იყვნენ დაკავებულნი. იქ განათლებამიღებული პირები, ჩანს, მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდნენ. მთარგმნელები იყვნენ, ალბათ საქართველოშიც – მის საეკლესიო ცენტრებში (ასევე იყო სომხეთში). სირიულიდან (ასევე ბერძნულიდან) ქართულად, უპირველეს ყოვლისა, წმინდა წიგნები და სხვადასხვა ქრისტიანული ლიტერატურა ითარგმნებოდა. ამ მხრივ საინტერესოა კ.კეკელიძის მიერ მოტანილი ერთი მაგალითი. როგორც იგი წერს, გრ. ფერაპის ცნობით, კონსტანტინოპოლში ყოფილა ქართული თარგმანი ე-წ. “დიდაქესი” ანუ “ათორმეტთა მოციქულთა მოძღვრებისა”, რომელიც კანონიკური მწერლობის ერთ-ერთ ადრინდელ (IV ს.) ძეგლად ითვლება (ამ თარგმანის შესახებ ის „ლაპარაკობს ვინმე ფეიქრიშვილის მიერ 1923 წელს გადმოღებული ნუსხის მიხედვით). ავტორის დასკვნით, წერს კ.კეკელიძე, – ის არის ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ძეგლი ქართულ ენაზე, რომელიც გადმოთარგმნილია ბერძნულიდან, თითქოს მესუთე საუკუნის მოღვაწის იერემია იბერიელის მიერ. ეს იერემია, თავისთავს ასე უწოდებს: “იერემია ურპაელი, ქართველი მართლმადიდებელი, ყარიობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული” (63:560).

კ.კეკელიძის თანახმად, იერემია ურპაელად (ე.ი. ედესელად ვ.გ.) მაჩნიათ ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების (431 წ.) მასალების ლათინურ ვერსიაში ნახსენები იერემია იბერიელი (*“Yeremia Yberos partium Persidis”*), რომელიც ეფესოში მიმდინარე ანტინესტორიანულ კრებაზე მიმავალი სხვებთან ერთად უგზობის გამო (ყველა გზა ზღვაზეც და ხმელეთზეც შეკრული იყო) ეფესოში ვერ ჩავიდნენ და ეფესოს კრებას კონსტანტინოპოლიდან 431 წლის 13 აგვისტოს მიწერეს წერილი (60:53-57).

დასახელებული ლათინური ცნობის გაანალიზებისას კ.კეკელიძე წერს: “არ არსებობს საბუთი ვიფიქროთ, რომ იერემია იბერიელი იყო უცხოეთის რომელიმე ქალაქის ეპისკოპოსი და არა იბერიის იერარქი” (60:58). “სიტყვები: *“Yeremia Yberos partium Persidis”* მაჩვენებელია იმისა, რომ იბერია 431 წელს სპარსეთის ნაწილი ყოფილა. ეს ისტორიულ სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება” (60:60). “იერემია, როგორც მოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, – დასძენს კ.კეკელიძე, – ყოფილა ეპისკოპოზი არა რომელიმე კუთხისა იბერიაში, არამედ მთელი იბერიის ეკლესიისა” (60:60).

კ.კეკელიძე იერემიას რომ მთელი ქართლის იერარქად თვლის, მე საეჭვოდ მეჩვენება. გამოთქმა *“Yeremia Yberos partium Persidis”*, ვფიქრობ, იმაზე მიგვიბრუნებს, 431 წლისათვის ქართლის ნაწილი ირანისადმი დაქვემდებარებული რომ იყო. ცნობაში სწორედ ამაზეა ხაზგასმით მითითება. 431 წლისათვის ქართლი ზომ მართლაც ირანისა და ბიზანტიის გავლენაში მოქცეულ სამეფოებს წარმოადგენდა (35: თ. VI). დაახლ. 439 წლიდან კი ქართლის სამეფო მთლიანად ირანს დაემორჩილა. ამ დროიდან რა მოუვიდა იერემიას? იგი თუ ქართლის ირანული ნაწილის ეპისკოპოსი იყო, მას როგორც გამოჩენილ ანტინესტორიანელსა და მართლმადიდებელს კათედრა უნდა შეენარჩუნებინა. მაგრამ, რადგან ძველი ქართული წყაროები (ჯუანშერი, “მოქცევაი ქართლისაი”) ქართლის ეკლესიის მეთაურთა შორის იერემიას სახელის ეპისკოპოსს არ იცნობენ, იერემია შეიძლება ირანის გავლენაში მყოფი ქართლის ერთ-ერთი ეპარქიის ეპისკოპოსი იყო, ამიტომ არ აისახა მისი ეპისკოპოსობა ზემოდასახელებულ წყაროებში. ძველი ქართული წყაროები, როგორც ცნობილია, მხოლოდ ქართლის ეკლესიის მეთაურთა სიებს გვაწვდიან.

ეფესოს კრების მასალებში ქართლის ირანული ნაწილის ეპისკოპოსად დასახელებული იერემია იბერიელი და “დიდაქეს” მთარგმნელი იერემია ურპაელი იდენტურ პირებად არიან მიჩნეულნი. როგორც ეფესოს საეკლესიო კრების მასალებიდან ჩანს, იერემია იბერიელი ანტინესტორიანელი მოღვაწე იყო, “დიდაქეს” მთარგმნელი



იერემია ურპაელი თავის თავს “ქართველ მართლმადიდებელს” უწოდებს, რაც ალბათ მათ იდენტურობაზე მიგვივლითებს. მაგრამ, რატომ უწოდებს იერემია ურპაელი თავს “ყარობობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებულს”, რამ განაპირობა ქართლიდან ურპაში (ედესაში) მისი გადასახლება გაუგებარია (ქართლი მან იქნებ დაახლ. 439 წელს ქართლის გაერთიანების შემდეგ დატოვა?). ედესის ქართულ კოლონიაში მყოფი იერემია ჩივის “თავისიანებისაგან და სამშობლოსაგან” დაშორებას.

ქ.ედესაში ქართული კოლონიის არსებობას თვით სირიული წყაროს ცნობა ადასტურებს. როგორც “ედესის ქრონიკის” (“Chronicum Edessiarum”) ცნობაზე დაყრდნობით მ.ბროსე წერს, სელევკიანთა ერის 810 წელს (ე.ი. 499 წელს) “იბერიელთა აბანოს წყალი შეუწყდა სამი დღის განმავლობაში” (227:184, შენ. 1). იეშუ სტილიტის ქრონიკა ამ ფაქტის მიზეზად მიწისძვრას ასახელებს. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიწისძვრის თარიღად 499 წლის სექტემბერია მითითებული (228:478).

კიდევ ვიმეორებ, ედესაში რომ ქართველთა კოლონია და ქართველთა კუთვნილი სალოცავები და წმინდა ადგილები არ ყოფილიყო და ამ წმინდა ადგილებს ქართველთათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა, რა თქმა უნდა, დედოფალი საგდუხტი და მისი ქალიშვილი ხუარანძე მცხეთაში წამოსვლას ედესაში დარჩენას არ არჩევდნენ.

460 წელს ქართლში შემოჭრილ ირანის შაჰსა (იგულისხმება პეროზი. 459-484) და ვახტანგ გორგასალს შორის როცა ზავი დაიდო, ჯჯანშერის ცნობით, შაჰმა ვახტანგს უმცროსი დაი მირანდუხტი სთხოვა ცოლად, ასევე სთხოვა წაჰყოლოდა ირანის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად (ჯჯანშერი სწორედ ამ დროს ასახელებს შუამდინარეთის ნახევარს ქართველთა კუთვნილებად). მეფე დათანხმდა.

ირანის შაჰთან ერთად ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალ ვახტანგს “ვეედრნეს დედა და დაი მისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს”. მეფემ ისინი წაიყვანა და როცა “მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი, და... წარმოვიდეს ანტიოქიას” (ამ ანტიოქიაში ქნისიბისი იგულისხმება. 30: თ. X), შაჰმა უთხრა ვახტანგს: რადგან დედა და დაი შენი აქ არიან, მოვიდნენ, ჩემს ქორწილს დაესწრნონ,”მერმე თუ ინებონ წასვლა ქართლს, წარვიდენ იგინი...ხოლო თუ ინებონ ლოდინება შენი, გელოდიან ურაჰასა ქალაქსა შინა” (168:187).

როგორც უხედავთ, ირანის შაჰი ადრე თუ ჯაზირეთის ნახევარს (ჩრდ. შუამდინარეთს) თვლიდა ქართველთა საკუთრებად, ამჯერად მისი მთავარი ქალაქი ურაჰა (ედესა), ქართველთათვის ახლობელ და შინაურ ადგილად მიაჩნია. ჩანს, ედესა იმდენად ახლობელი იყო ქართველთათვის, რომ ქართლის დედოფალმა მცხეთაში დაბრუნებას ურაჰაში ყოფნა ამჯობინა.

ჰუნთა წინააღმდეგ ბრძოლა პეროზმა მეფე ვახტანგთან ერთად 468 წელს ძლევამოსილად დაამთავრა. და “წარმოვიდა ვახტანგ წელსა მერვესა შესვლით მისითგან სპარსეთად ვიდრე ანტიოქიამდე (ე.ი. ნისიბისამდე. ვ.გ.), და მოვიდა ურაჰად... მშვიდობით პოვნა დედა და დაი მისი, და წარმოვიდეს” ქართლად (168:196).

ამრიგად, ზემომოტანილი მასალებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ IV-VI სს. პონტო-კაპადოკიაში ჯერ კიდევ მრავლად იყო ქართველური მოსახლეობა, რაც ჯუანშერმა კარგად იცოდა<sup>6</sup>, იგი მაინც მხოლოდ ჩრდ. შუამდინარეთს თვლის ქართველთა კუთვნილებად. ჯუანშერის ასეთი ცნობა გარკვეულწილად თვით სირიული წყაროს (“ედესის ქრონიკა”) და აგიოგრაფიული ძეგლების (სვიმეონისა და მართას “ცხოვრებები”) მონაცემებით დასტურდება.

ქედის ქართული კოლონიის სისხლსავსე ცხოვრებას, როგორც ითქვა, საქართველოდან და კაპადოკიიდან გამოსული ქართველობა ავსებდა. მაგრამ, ვფიქრობ, კოლონიის ბირთვი ძირითადად მაინც ოსროენაში 363 წლიდან ჩასახლებული ქართველური (კარლუხთა) მოსახლეობის მიერ იყო შექმნილი. ეს მოსახლეობა იყო საუკუნეთა განმავლობაში ზურიტულ და ასურულ გარემოცვაში მცხოვრები ქართველობა (მამა ანტონი რომ ქართლიდან ჩასული ყოფილიყო ედესაში, ქართლის გზას არ იკითხავდა), რის გამოც ზოგ მათგანს შეიძლება მშობლიური ენა დავიწყებულიც კი ჰქონდა, მაგრამ შეგნებით ქართველი იყო. აღნიშნულით უნდა აიხსნას ქართლში შემოსული ასურელი მამები ქართული ეროვნული საქმის შემოქმედნი რომ გახდნენ – მათ მიერ დაარსებული სავანეები ქართული მწიგნობრობისა და განათლების კერებად იქცნენ.

ქართლის კათალიკოს ევლაგიოსთან ქართულად მოლაპარაკე იოანე რომ იყო “ქუეყანით შუამდინარით კერძოთაგან ანტიოქიისათ”,

---

<sup>6</sup> ბიზანტიის წინააღმდეგ 453-456 წლების ლაშქრობისას როცა ვახტანგ გორგასალმა ტყვეები გაათავისუფლა; “უძღურთ” სახედრები რომ მისცა, ხოლო ჭაბუკთა სამ-სამი დრაკკანი (168:164), ვფიქრობ, იმაზე მიგვითითებს, მეფე ტყვეებს “ნათესავად ქართველებად” რომ თვლიდა (მღრ., 61:14).

განა იმაზე არ მიგვითითებს, იოანე ჩრდ. შუამდინარეთის ქართული სამყაროდან რომ იყო გამოსული.

ის ქრისტიანული ლიტერატურა (ძირითადად წმინდა წიგნთა ქართული თარგმანები<sup>1</sup>), რომელიც ავტოკეფალიის მოპოვების დროისათვის (487/8 წ.) ქართლის ეკლესიას ჰქონდა (ასეთი ლიტერატურის გარეშე წარმოუდგენელია ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია მიეღო), სწორედ ედესისა და მცხეთის მთარგმნელობით ცენტრებში უნდა შესრულებულიყო.

თავი IX. *ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი.  
მათი ქართლში მოსვლის დრო*

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია საეკლესიო პირთა იმ ჯგუფის მოღვაწეობამ, რომელნიც ჩვენს ისტორიაში ასურელ მამათა სახელით არიან ცნობილნი. ასურელმა მამებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცების საქმეში. კავკასიის მთიანეთის წარმართ მოსახლეობაში გაავრცელეს ქრისტიანობა. ააშენეს მრავალი მონასტერი. მათ მიერ დაარსებული საეკლესიო ქართული მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებად იქცნენ. ასურელმა მამებმა დაუდეს საფუძველი საქართველოში მონაზვნურ ცხოვრებასა და სამონასტრო საქმის ორგანიზაციას. ასურელ მამათა მოსვლამდე, – წერდა კ.კეკელიძე, – საქართველოში მონასტრები არ არსებობდა. “უახლოესი პუნქტი ქრისტიანული აღმოსავლეთისა, სადაც ამ დროს ქართველები სამონასტრო ცხოვრებას ეწეოდნენ, არის შავი ანუ საკვირველი მთა, ანტიოქიის მახლობლად სირიაში” (63:88)<sup>1</sup>.

როგორც ვახტანგ გორგასლის “ცხოვრების” გაგრძელების ავტორი გვამცნობს, ასურელ მამათა ქართლში მოსვლისთანავე დაუწერიათ “ცხოვრებანი” და “სასწაულნი მათნი” და დაუდვიათ “ეკლესიათა შინა ქართლისათა” (168:207), მაგრამ, ისინი დღეს გვიანდელი, გადამუშავებული სახით არიან შემონახულნი (იხ. ასურელ მამათა ცხოვრებანი, ქსე, ტ. I). თუმცა, აღნიშნული იმას არ ნიშნავს, ასურელ მამათა “ცხოვრებები” ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულნი არიან: “ტენდენციურად გარდაქმნილმა” თხზულებებმა მაინც შემოინახა ისტორიული სინამდვილე. მათი ამოკრება და

<sup>1</sup> კ.კეკელიძე ასურელი მამების თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად რადგან სირიას თვლიდა, მათ სირიელ მამებს უწოდებდა.

გაანალიზება დიდად დაგვეხმარება, როგორც ასურელ მოღვაწეებთან დაკავშირებული პრობლემების, ისე VI ს. ქართლის პოლიტიკური ისტორიის მეცნიერულად გამართვაში (შდრ., 62:23).

ასურელ მამათა მოღვაწეობის შესახებ, მართალია, საქართველოში ინტერესი ყოველთვის დიდი იყო (საკითხი სხვადასხვა კუთხით განხილული აქვთ: მ.ბროსეს, პლ. იოსელიანს, დ.ბაქრაძეს, თ.ჟორდანიას, მ.ჯანაშვილს, ნ.მარს, ვ.ბოლოტოვს, ს.კაკაბაძეს და სხვებს), მაგრამ “ჩვენი წარსული ცხოვრების” ეს “საკმაოდ მნიშვნელოვანი” საკითხი ქართულ მეცნიერებაში ამ ბოლო ხანამდე<sup>2</sup> XX ს. 20-იან წლებში შესრულებული კ.კეკელიძის, ივ.ჯავახიშვილისა და გრ. ფერაძის გამოკვლევებით რომ არის წარმოდგენილი<sup>3</sup>, ეს მხოლოდ ივ.ჯავახიშვილისა და კ.კეკელიძის დიდი ავტორიტეტის გადაულახავობით კი არ უნდა აიხსნას, არამედ იმითაც, VI ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორია შედარებით ნაკლებად რომ იყო შესწავლილი.

ამათვისვე უნდა ითქვას, ასურელ მამათა შესახებ არსებულ გამოკვლევებში სწორად არ იყო განსაზღვრული მათი თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, წყაროებში მათი თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად შუამდინარეთია დასახელებული. ასეთი მონაცემების მიუხედავად, ასურელი მამები სირიიდან მოსულებად ითვლებიან (11:30-31. ზოგი მკვლევარი მათ პალესტინიდან

---

<sup>2</sup> ჩემი გამოკვლევა ასურელ მამათა შესახებ 1992 წელს გამოქვეყნდა (იხ. 34).

<sup>3</sup> 1926 წელს უნივერსიტეტის “მოამბის” VI ტომში გამოქვეყნდა კ.კეკელიძის გამოკვლევა “საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ” (1955 წ. გადაიბეჭდა “ეტიუდების” I ტომში). 1927 წელს გერმანიაში გამოიცა გრ. ფერაძის მონოგრაფია “მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში”. 1928 წელს კი “ქართველი ერის ისტორიის” I წიგნში ივ.ჯავახიშვილმა ვრცლად გაანალიზა ასურელ მამათა პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები (იქვე მოცემული აქვს ისტორიოგრაფიული მიმოხილვა. 156:390-398). 1984 წელს გამოცემულ ლექსიკონ-ცნობარში “ქართული მწერლობა” (წ. I), წერილი “ასურელი მამები” ძირითადად ჩვენს მეცნიერებაში ასურელ მამათა შესახებ არსებულ შეხედულებებზე დაყრდნობითაა დაწერილი (იხ. იქვე ბიბლიოგრაფია. გვ. 216 და შემდეგი).

1992 წ. ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ, 1996 წელს გამოიცა დ.მერკვილაძის ბროშურა “ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო”. არსებობს პროფ. ლ.მენაბდის ხელნაწერი ნაშრომი “ასურელ მამათა” ცხოვრებათათვის, თბ., 1949 (ესაა მისი საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი).

მოსულებად თვლის. 139:164). ამიტომ საინტერესოა გაირკვეს სად იყო მათი თავდაპირველი მოღვაწეობის ასპარეზი ზღვისპირა სირია თუ ჩრდ. შუამდინარეთი, რომლის შესახებაც ზემოთ არაერთხელ ვისაუბრე (მხედველობაში მაქვს იქ არსებული ქართველური დასახლებები და ქართული კოლონია) და რომლის კულტურულ ცენტრებთან ქართველებს ურთიერთობის დიდი ტრადიციები აკავშირებდა?

საკითხის ასე დასმის აუცილებლობა 1992 წელს ჩემს წინაშე თვით ასურელ მამათა “ცხოვრებებში” არსებულმა მითითებებმა განაპირობა. ასევე გადასასინჯი იყო კეკელიძის მოსაზრებანი ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროისა და მრწამსის შესახებ (ივ.ჯავახიშვილი მათ დიოფიზიტებად თვლიდა. 158:415. კეკელიძე კი მონოფიზიტებად. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. 11:32-33).

კეკელიძისა და ივ.ჯავახიშვილის დასახელებულ ნაშრომებში, ასევე ქართულ ენციკლოპედიაში ასურელი მამებისადმი მიძღვნილ წერილებში (ავტორი ბ.ლომინაძე) მათი (ანტონ მარტყოფელის გარდა) თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად ქანტიოქიაა დასახელებული. ამ ქალაქში კი შუასაუკუნეებიდან მოკიდებული ზღვისპირა სირიაში, მდ. ორონტზე მდებარე ქანტიოქია იგულისხმება. მაშინ როცა, თვით ასურელ მამათა “ცხოვრებებში” და სხვა ძველ წყაროებში (“მოქცევაი ქართლისაი”, ვახტანგ გორგასლის “ცხოვრების” გაგრძელება და სხვა) ხაზგასმითაა მითითებული, რომ ასურელი მამები შუამდინარეთიდან იყვნენ<sup>4</sup>. ზემოთქმული რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს, გადავხედოთ წყაროთა ცნობებს.

---

<sup>4</sup> წყაროს ასეთი ცნობა, მკვლევართ ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად შუამდინარეთს აუარაულებინებდა. რაზეც ჯერ კიდევ 1863 წელს მიუთითებია დ.ჩუბინაშვილს (94:3). ასევე, მართალია, ახალ “ლექსიკონ-ცნობარში” ნათქვამია: “შუა საუკუნეთა წერილობითი და ზეპირი ტრადიციის თანახმად... იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე”, სირიიდან (“შუამდინარიდან”), მოსულანო. მაგრამ, იქვე იოანეს მოღვაწეობის ადგილად რადგან ანტიოქია (იგულისხმება ქ.მდ. ორონტზე), ხოლო ანტონისა ქ. ედესაა მითითებული (11:30) და არაფერია ნათქვამი ქ.ედესა ანტიოქიადაც რომ იწოდებოდა, ამჟამად ისევე როგორც კეკელიძე (იხ. 62), ამ წერილის ავტორიც ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად ზღვისპირა სირიას თვლის.

1986 წელს ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული ანტიოქიების ლოკალიზაციისადმი მიძღვნილი ნაშრომით ჩემთვის ცნობილი გახდა ქ.ედესა (ურპა) ელინისტური ხანიდან ანტიოქიადაც რომ იწოდებოდა (იხ. 36). ამის შემდეგ ნათელი იყო, იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფე ანტონი ერთი ქალაქიდან რომ იყვნენ, ხოლო მათი თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი ასურეთი იყო (იხ.34).

I. იოანე ზედაზნელის “ცხოვრების” სათაურშივეა ნათქვამი, რომ იგი “... მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა” (12:2). შემდეგ ტექსტში კვლავ მითითებულია, რომ “ესე ნეტარი მამაი ჩუენი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით კერძოთაგან ანტიოქისათა” (12:12; 45:82-83).

II. მსგავსი მითითებაა შიოსა და ევაგრეს “ცხოვრების”, სათაურში – “ცხოვრებაი და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოსნი, რომელი იყო ანტიოქიით შუამდინარისაით” (12:69). ამავე “ცხოვრების” ტექსტიც გვაუწყებს: “ესე წმიდაი და ღმერთ-შემოსილი მამაი შიო იყო ქუეყანით ასურეთისაით, ღიღით მით ღმრთის ქალაქით ანტიოქიით” (12:70-71).

III. ასევე დავით გარეჯელის “ცხოვრებაში” შუამდინარეთია დასახელებული დავითის სამშობლოდ. “გამომღებელი ვიდრემე მამული ამის ღირსისა და საკვირველთ მოქმედისა მამისა შუამდინარე ღელისა ასურეთისასა იყოფების” (12:146).

IV. იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად შუამდინარეთია მითითებული sin-50 ხელნაწერში (მასში საერთო სათაურია: “საქმენი წმიდისა იოვანე ზედა ზაღნელისანი, რომელი მოვიდა შოვა მდინარითა ასურეთისაითა), “მოქცევაი ქართლისაის” მატინესა (100:326), ვახტანგ გორგასლის “ცხოვრების” გაგრძელებასა (168:207) და ამავე თხზულებაში შეტანილ ჩანართებში (168:208-212). და ბოლოს:

V. ილარიონ ქართველის “ცხოვრებაში” ნათქვამია, რომ 16 წლის ილარიონი “წარვიდა ველურსა უდაბნოსა გარესჯისასა, რომელი დაეფუძნა წმიდასა დავითსა, ერთსა ათცამეტთაგანსა, ასურეთით მოსრულთა მამათა” (136:214).

როგორც ვხედავთ, ზემომოტანილ მასალებში ასურელი მამების თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად (სამშობლოდ) ასურეთი – ჩრდ. შუამდინარეთია დასახელებული. უფრო მეტიც, იოანესი და შიოს თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად შუამდინარეთის ქ. ანტიოქია და ანტიოქიის მხარეა მითითებული. გამოდის, რომ იოანე “ათორმეტთა მოწაფეთა მისთა თანა” ქართლს შუამდინარეთის ქ. ანტიოქიიდან მოეკვლინა.

იოანე და მისი მოწაფეები შუამდინარეთის ქ. ანტიოქიიდან კი ჩანან ქართლში მოსულნი, მაგრამ, აქ ერთი წინააღმდეგობაცაა. თუ იოანე ზედაზნელის, შიოსი და ევაგრეს “ცხოვრებებში” (12:2,80), ასევე ვახტანგ გორგასლის “ცხოვრების” გაგრძელებაში შეტანილ ჩანართში – “ცხოვრება ანტონისა” (168:212), ანტონი იოანეს მოწაფეთა შორის იხსენიება, ამავე ჩანართში ანტონის თავდაპირველი

მოღვაწეობის ადგილად ქედესა დასახელებული (168:213) და მისი ედესიდან წამოსვლა შედარებით გვიან ივარაუდება. ანტონის “ცხოვრებაში” არსებული ცნობით, როცა ედესის დამცველებმა ირანელთა შეტევა მოიგერიეს (ეს 544 წელს მოხდა. ამ დროს ქალაქის დაცვას ქართველი უფლისწული პერანი იბერიელი ხელმძღვანელობდა. იხ. ქვემოთ), ანტონმა “იძია მოძღურისა თვისისა გზა, და ისწავა ჭეშმარიტი, და ცნა; რამეთუ წარვიდა სომხითს, ჩრდილოეთით-კერძო” (168:213) ადგა თვითონაც წამოვიდა და მოვიდა ქართლში (თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროის შესახებ იხ.11:31).

ამრიგად, შიოსი და ევაგრეს “ცხოვრება” გვარწმუნებს, იოანე თავისი მოწაფეებით (მათში ანტონიცაა დასახელებული) შუამდინარეთის ქ.ანტიოქიიდან მოვიდა ქართლშიო. მეორე მხრივ, ანტონის “ცხოვრებაში” შუამდინარეთის იმ ქალაქად, საიდანაც იგი წამოვიდა, ქედესა მითითებული. თან იქვე ნათქვამია: იოანე ანტონის მოძღვარი იყოო.

ზემომოტანილ ცნობებს თუ დაუჯერებთ, იმ ქალაქად, სადაც ქართლში წამოსვლამდე ასურელი მამები მოღვაწეობდნენ, ვერაფრით ვერ მივიჩნევთ ზღვისპირა სირიაში, მდ.ორონტზე მდებარე ანტიოქიას. ერთი ცხადია, ასურელი მამები ქართლში მოსვლამდე, რადგან შუამდინარეთის ქ.ანტიოქიაში მოღვაწეობდნენ, ეს ქალაქი შუამდინარეთში უნდა ვეძიოთ.

ანტიოქიის სახელით, როგორც ითქვა, ჩრდილოეთ შუამდინარეთში ორი ქალაქი იყო ცნობილი: ანტიოქია მდ.მიგდონზე (იგივე ნისიბისი, ახლანდ. ნუსაიბინი თურქეთ-სირიის საზღვარზე, თურქეთში) და ურჰა-იგივე ედესა. ჩრდ. შუამდინარეთში მდებარე ორი ანტიოქიიდან, VI ს. დამღვევისათვის ანტიოქია-ნისიბისი ირანის მფლობელობაში იყო, ანტიოქია-ედესა კი ბიზანტიას ეკუთვნოდა (ჯერ კიდევ V საუკუნის შუახანებისათვის ანტიოქია-ედესა დიდ კულტურულ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქში 300-მდე მონასტერი იყო). აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, სწორედ ედესიდან რომ მოვიდა ქართლში იოანეს ერთ-ერთი მოწაფე ანტონი, შუამდინარეთის იმ ქალაქ ანტიოქიად, სადაც ქართლში წამოსვლამდე იოანე და მისი მოწაფეები მოღვაწეობდნენ, ქედესა უნდა მივიჩნიოთ.

დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად მიჩნეული ანტიოქია მდ. ორონტზე რომ “ქრისტიანობის მეორე აკვნად” ითვლებოდა და ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდანვე რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის ადმინისტრაციულ, კულტურულ და

რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა, ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამ ქალაქიდან იმ ადამიანთა მოსვლა, რომელთაც “განანათლეს ქვეყანა ესე ჩრდილოეთისაი” და “განაკვირვნეს ქართველნი” არც არავის ეეჭვებოდა. მაგრამ, რა ტრადიციები ჰქონდა და რას წარმოადგენდა VI ს. I ნახევრისათვის ჩრდ. შუამდინარეთის ქ. ანტიოქია-ედესა?

მართალია ქ. ედესაზე ზემოთ ბევრი ვისაუბრე, მაგრამ მინდა ორიოდ სიტყვით მკითხველს კიდევ გაეახსენო ამ ქალაქის მნიშვნელობა.

ქართულ სამყაროს ჩრდ. შუამდინარეთთან, მის დიდ სავაჭრო და კულტურულ ცენტრებთან, ძველთაგანვე, არა მარტო მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა (ვიდრე ზღვისპირა სირიასთან), არამედ ჩრდილოეთი შუამდინარეთი თავისი ხურიტულ-არამეული და ქართველური მოსახლეობით ის უძველესი კულტურული ქვეყანა იყო, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციები განაგრძობდა არსებობას. ამ ტრადიციებზე თავის მხრივ დიდი იყო ელინისტური გავლენა.

სირიული განათლების მნიშვნელოვანი ცენტრები სწორედ შუამდინარეთში მდებარეობდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო პატარა ელინისტური სამთავროს ოსროენას დედაქალაქი ედესა. ედესაში იყო ჩრდ. შუამდინარეთში ცნობილი უმაღლესი სკოლა-აკადემია (მასში ცოდნას ეუფლებოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო დისციპლინებში). ედესის აკადემიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ სირიელთათვის. ედესაში სასწავლებლად ჩადიოდნენ მეზობელი ქვეყნებიდანაც (იხ. ზემოთ).

ყოველივე თქმულთან ერთად ედესაში ქართული კოლონიის არსებობის დამადასტურებელ ზემომოტანილ მასალასაც თუ გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად ძველ წყაროებში რატომაა დასახელებული ჩრდ. შუამდინარეთის ქ. ანტიოქია-ედესა (ურჰა). რა თქმა უნდა, ეს ქალაქი და მის მახლობლად არსებული მონასტრები უნდა იქნას მიჩნეული იმ “უახლოეს პუნქტად” სადაც ასურელ მამათა ქართლში მოსვლამდე ქართველები მოღვაწეობდნენ (კ. კეკელიძე ასეთ ადგილად შავ ანუ საკვირველ მთაზე არსებულ მონასტერს თვლიდა).

ქ. ედესიდან ქართლში წამოსული ასურელი მამები, ცხადია, ვერც ზღვისპირა სირიის ანტიოქიის მახლობლად თორენში მჯდომ სვიმეონ საკვირველმოქმედს მონახულებდნენ. შიოსი და ევაგრეს “ცხოვრება” ამ მხრივ, მართლაც უნდა ცდებოდეს (შდრ., 62:40-41).



რაც შეეხება ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროს, ამ საკითს ვრცლად კ.კეკელიძე შეეხო და დღეისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად მისი შეხედულებებია გაზიარებული (შდრ. 158: 409-410). ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობები, — წერს იგი, — თითქოს იონანე ქართლში 12 მოწაფით მოვიდა, “სიმართლეს არ შეეფერება. აღნიშნული მამები არ ეკუთვნოდნენ ერთსა და იმავე მონასტერს და არც ერთად, ერთსა და იმავე დროს მოსულან ჩვენში” (62:23). სირიელ მამათა ერთი ჯგუფი თუ ანტიოქიიდან მოვიდა, ანტონ მარტყოფელი “ედესია ქალაქიდან იყო”. კ.კეკელიძის მტკიცებით, ქართლში სირიელ მამათა ოთხი ჯგუფი მოვიდა. პირველად ქართლში დავით გარეჯელი უნდა მოსულიყო 520 წლის მომდევნო ხანაში. ლუკიანე და დოდო, რომელნიც მასთან ერთად იყვნენ გარეჯში, შეიძლება მისი თანამგზავრები და მოწაფეები იყვნენ” (62:37).

დავითის მოსვლის თარიღი კ.კეკელიძეს დამყარებული აქვს დავითის “ცხოვრების” იმ ცნობაზე, რომელშიც იერუსალიმში ელიას პატრიარქობის დროს გარეჯიდან იერუსალიმში დავითის წასვლის შესახებაა მოთხრობილი. კ.კეკელიძის თანახმად, რადგან ელია იერუსალიმის პატრიარქად 494-516 (გარდ. 518 წ.) წლებში იყო, “ცხოვრების” ცნობა იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს, როცა დავითი ჯერ კიდევ სირიაში იმყოფებოდა. იგი 518 წელს დაწყებულ მონოფიზიტების დევნას უნდა გასცლოდა და იერუსალიმში წასულიყო. იერუსალიმში დავითის ჩასვლისას, — დასძენს კ.კეკელიძე, — მართალია “დევნის შებაირახტრე” ელია ერთი წლის მკედარი იყო, მაგრამ დიოფიზიტები მაინც მისი ავტორიტეტით მოქმედებდნენ, რის გამოც დავითი იერუსალიმში არ შეუშვეს. უკან გამობრუნებული სხვა თავშესაფრის ძებნაში ჩვენსკენ გამოიქცა (62:36-37).

სირიელ მამათა მეორე ჯგუფი (სულ 8 კაცი) კ.კეკელიძის მტკიცებით, იონანეს მეთაურობით მოვიდა. შიოსი და ევაგრეს “ცხოვრების” ცნობით, სირიიდან წამოსვლისას მათ რადგან ანტიოქიის მახლობლად, საკვირველ მთაზე უკვე თორნეში მჯდომი სვიმეონ საკვირველმოქმედი მოინახულეს და მისგან “ლოცვა მიიღეს” (სვიმეონი თორნეში 541 წელს ჩაჯდა), მეორე მხრივ, 544 წელს ანტონმა ქართლის გზა იკითხა, იონანე თავისი მოწაფეებით დაახლოებით 543 წელს უნდა ჩამოსულიყო ქართლში (62:37-38).

იონანესი და მისი მოწაფეთა შემდეგ ქართლში ქედესიდან 544 წელს ანტონი რომ მოვიდა, ამის საბუთად კ.კეკელიძეს თვით ანტონის “ცხოვრების” ის ცნობა მიაჩნია, რომლის თანახმად, ანტონმა ქედესა მას შემდეგ დატოვა, როცა იგი ხოსრო I-მა (531-579) ვერ აიღო. ეს

ამბავი, - წერს კ.კეკელიძე, - VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, რადგან 544 წლის გაზაფხულზე მოხდა, ანტონი ედესიდან დაახლოებით 544 წელს უნდა წამოსულიყო (კ.კეკელიძე ანტონის წამოსვლასაც მონოფიზიტების ღვეწას უკავშირებს. ვ.გ.) ანტონი მარტო მოვიდა ქართლში თუ სხვებთან ერთად არაფრის თქმა არ შეიძლიაო (62:38), ასკენის კ.კეკელიძე.

დაბოლოს. როგორც კ.კეკელიძე წერს, ყველაზე გვიან ქართლში აბიბოს ნეკრესელი უნდა მოსულიყო. ასეთ მოსაზრებას იგი აბიბოსის "წამებაში" არსებულ ცნობაზე ამყარებს: აბიბოსმა ერთ ქალს უწინასწარმეტყველა - "შემდგომად... მისსა მოსლვაი ბერძენთაი და დაპყრობაი ქვეყნისა ამის ჩვენისაი". როგორც "წამების" ავტორი გვამცნობს, ეს წინასწარმეტყველება "მსწრაფლ" ახდა. "მისსავე დედაკაცის ზე" მოვიდნენ "ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაი ესე ჩუენი. მიერითგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელად ქართლისა (12:194).

ზემომოტანილ ცნობაში კ.კეკელიძემ სამართლიანად დაინახა ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის (გუარამის "განჩენა") ფაქტი, რომელსაც მკვლევართა ნაწილი 591 წლით ათარიღებდა. ჩვენ გვგონია, - წერდა კ.კეკელიძე, - "აბიბოსის წინასწარმეტყველება ბერძენების მოსვლისა და სპარსთა ქართლიდან განსხმის შესახებ ჰგულისხმობს სწორედ 591 წლის ამბებს. თუ ეს ასეა, აბიბოსი უწამებიათ 590 წელს". ვინაიდან, აბიბოსმა იწინასწარმეტყველა თუ არა ბერძენების მოსვლა, ეს წინასწარმეტყველება "მსწრაფლ" შესრულდა. "წამების" მიხედვით სიკვდილის ჟამს აბიბოსი რადგან ძალღონით აღსავეს კაცი იყო, იგი ვერ იქნებოდა იმათ რიცხვში, რომელნიც ქართლში 542-545 წლებში მოვიდნენ. აბიბოსი, - ასკენის კ.კეკელიძე, - ქართლში უნდა შემოსულიყო 571 წლის ღვეწის დროს. იგი მარტო მოვიდა თუ არა ვერაფერს ვიტყვიო (62:39-40).

აბიბოსი იოანესთან ერთად რომ არ მოსულა ქართლში, ამის დამატებით საბუთად კ.კეკელიძე თვლის შემდეგს: შეპყრობილი აბიბოსი ნეკრესიდან როცა სოფელ რენაში მარზპანთან მიჰყავდათ, მცხეთას მიახლოებულმა აბიბოსმა ითხოვა ნება დაერთოთ, რათა შიო ენახა "რამეთუ იცოდა იგი წინაითვე და სურვიელ იყო იგი ხილვად მისა" (12:191). კ.კეკელიძეს სწორედ ეს უკანასკნელი ცნობა მიაჩნია იმის მაჩვენებლად, აბიბოსი შიოს რომ ვერ იცნობდა. შიო და აბიბოსი თუ ერთი მონასტრის წევრები და ერთი და იგივე მოძღვრის მოწაფენი იყვნენ, ერთად მოსულნი ჩვენში, რაღა საჭირო იყო თქმა, "იცოდა იგი", ე.ი. იცნობდა მასსო (62:23).

საერთოდ, ასურელი მამები რომ სხვადასხვა დროს მოვიდნენ ქართლში, ამას კ.კეკელიძის თანახმად, მათი სახელების განსხვავებული დასახელებაც მოწმობს. შიო მღვიმელის “ცხოვრებაში” არსებული სია (შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათაი, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე) განსხვავდება იოანე ზედაზნელის “ცხოვრებაში” არსებული სიისაგან (დავით გარეჯელი, სტეფანე ქიზიყელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტომყოფელი, ისე წილქნელი, თათა სტეფანწმიდელი, ელია დიაკონი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, აბიბოს ნეკრესელი). ამ ორ ნუსხაში, – დასძენს იგი, – მხოლოდ 8 სახელია საერთო: შიო, დავით, ანტონ, იოსები, თათა, პიროს, ელია, აბიბოს. ამას გარდა, პირველ ნუსხაში არის ოთხი ისეთი სახელი, რომლებიც მეორე ნუსხაში არაა (თეოდოსიოს, პიმენი, ნათან, იოანე) და, პირიქით, მეორე ნუსხაში არის ხუთი ისეთი სახელი (სტეფანე, ზენონ, ისე, ისიდორე, მიქაელ) რომლებიც პირველში არაა. ამის შემდეგ კ.კეკელიძე ასკვნის: “ამნაირად, თუ ყველა ამათ იოანეს მოწაფეებად ჩავთვლით, გამოდის, რომ მას მოჰყოლია ჩვენში არა 12, არამედ 17 მოწაფე, მაგრამ, ცხადია, ყველა ამათ იოანეს მოწაფეებად ვერ ვიგულისხმებთ, არამც თუ 17, საეჭვოა, რომ ის რვა სახელიც კი, რომლებიც საერთოა ორსავე ნუსხაში, მისი მოწაფეების აღმნიშვნელი იყოს”. როგორც ვნახეთ, – დასძენს იგი, – ანტონი იოანესთან ერთად არ მოსულა და არც ანტიოქიის სანახებიდან ყოფილა. “ამიტომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ სირიიდან ქართლში მოსულა არა ერთი პარტია მოღვაწეებისა, არამედ რამდენიმე და არა ერთს, არამედ სხვადასხვა დროს” (62:25).

რამდენად მისაღებია კ.კეკელიძის მიერ მიღებული დასკვნები?

ასურელი მამები რომ ერთდროულად არ მოსულან ქართლში, ამის პირველ საბუთად, როგორც ვნახეთ, კეკელიძეს ის მიაჩნია, ასურელ მამათაგან ერთი-ანტონი ქ.ანტიოქიიდან კი არა, ქ.ედესიდან რომ მოვიდა. მაგრამ, ზემომოტანილი მასალის შემდეგ, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის “ცხოვრებებში” ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად შუამდინარეთის ქ.ანტიოქია იგივე ედესა (ურჰა) რომ არის დასახელებული. ასურელ მამათა მოღვაწეობის დროისათვის ქ.ედესა, როგორც ითქვა, ელინისტური სახელით – ანტიოქიადაც იწოდებოდა, ამიტომ ასურელ მამათა “ცხოვრებებში” იგი ორივე სახელით აისახა. სხვათა შორის, შუამდინარეთის ქალაქების ელინისტური სახელწოდებანი კარგად რომ იყო ცნობილი ძველ საქართველოში, ამას

ვახტანგ გორგასლის “ცხოვრების” ავტორის – ჯუანშერის მიერ ქ.ნისიბისის ანტიოქიად მოხსენიებაც მოწმობს (30: თავი X).

რადგან ანტიოქია იგივე ედესაა, მეორე მხრივ კი ანტონი იოანეს თავის მოძღვრად ასახელებს (ასურელ მამათა ორივე ნუსხაში ანტონი იოანეს მოწაფედ და მასთან ერთად მოსულთა შორის იხსენიება), გამოდის, რომ ანტონი (ისევე როგორც სხვა ასურელი მამები) იოანეს მონასტრის ძმობას განეკუთვნებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კ.კეკელიძის დასკვნა: “ანტონი არ ყოფილა იოანეს მოწაფე, და, თუ ავტორი ამ ამბებისა მას მაინც იოანეს მოწაფედ სთვლის, იმიტომ, რომ მას თავი ვერ დაუდწევია გაბატონებული ტრადიციისაგან”-ო (62:24) არაა სწორი. ანტონის “ცხოვრების” ცნობებიდან გამომდინარე, ანტონის ედესიდან ქართლში წამოსვლა, მართალია, იოანესი და მისი სხვა მოწაფეთა წამოსვლის შემდეგ (კ.კეკელიძის მტკიცებით 544 წ.) ივარაუდება, მაგრამ, ეს საფუძველს არ გვაძლევს ანტონის განცხადება, იოანე რომ მისი მოძღვარი იყო, უარვეთ. ანტონი, როგორც ჩანს, მონასტრის იმ ძმობას განეკუთვნებოდა, რომელნიც იოანესთან ერთად წამოსულთა შორის ვერ მოხვდნენ. ანტონის “ცხოვრებაში” ირანელთა მიერ ედესის ასაღებად ჩატარებული სამხედრო ოპერაციის ეპიზოდი რადგან ემთხვევა, ამ ამბების თანამედროვის, ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის ცნობებს (იხ. ქვემოთ), ჩანს, ანტონი მართლაც ედესის გარემოცვის თვითმხილველი იყო და ქალაქი მან, როგორც კ. კეკელიძე ფიქრობს, შეიძლება საშიშროების გავლის შემდეგ – 544 წელს დატოვა და ქართლში წამოვიდა.

ახლა ვნახოთ რას ემყარება კ.კეკელიძე, როცა იოანესაგან განცალკევებულად – ყველაზე ადრე, დაახლ. 520 წლის შემდეგ დავითის, ხოლო ყველაზე გვიან – 571 წელს აბიბოსის მოსვლას ამტკიცებს.

გარეჯიდან იერუსალიმში დავითის ჩასვლისას, დავითის “ცხოვრებაში” იერუსალიმის პატრიარქად, რადგან ელიაა დასახელებული, დავითის “ცხოვრების” ის ცნობა, რომლის თანახმად, დავითი გარეჯში დამკვიდრების შემდეგ ჩავიდა იერუსალიმში, შეიძლება მართლაც არ იყოს სწორი. მაგრამ, დავითის (ასევე აბიბოსის) მოსვლის თარიღზე მსჯელობისას, ვფიქრობ, პირველ რიგში ანგარიში უნდა გაეწიოს ასურელ მამათა სახელების ორივე ნუსხის მონაცემებს (მათში დავითი იოანესთან ერთად მოსულთა შორისაა დასახელებული. იხ. ზემოთ). აღნიშნულთან ერთად, დავითის “ცხოვრების” ავტორი გვარწმუნებს, დავითი იერუსალიმში ელიას პატრიარქობის (494-516) დროს ჩავიდაო, კ.კეკელიძე კი ამ ამბავს, ელიას გარდაცვალების (518 წ.) შემდგომ ხანას აკუთვნებს. ელიას მონოფიზიტთა “ღვენის

მებაირახტრეს” უწოდებს და თვლის, რომ გარდაცვალების შემდეგაც, იმდენად დიდი იყო იერუსალიმში ელიას ავტორიტეტი, რომ დიოფიზიტებმა იგი ან ქალაქში არ შეუშვეს, ან თვითონ მიიჩნია იქ შესვლა შეუძლებლად.

სანამ შორეულ გზას დაადგებოდა, დავითი, ალბათ, წინასწარ გაიკითხავდა იერუსალიმში არსებულ რელიგიურ ვითარებას და როგორც კ-კეკელიძე წერს, ანტიოქიიდან (ამ ქალაქში კ-კეკელიძე მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქიას გულისხმობს) მონოფიზიტთა დევნას გარიდებული, ”მონოფიზიტთა დევნის მებაირახტრის” სამწყსოში ჩასვლას არ მოისურვებდა. მაგრამ, დავითმა რადგან სწორედ ელიას პატრიარქობის დროს მოისურვა იერუსალიმის წმინდა ადგილების მოლოცვა, იქნებ დავითს არაფერი ჰქონდა ელიასადმი მოსარიდებელი და იგი, როგორც კ-კეკელიძე ამტკიცებს, მონოფიზიტი კი არა, დიოფიზიტი იყო?

დავითის მრწამსის გასარკვევად, ისევ თვალი გადავაავლოთ იმპერიის აღმოსავლეთში არსებულ რელიგიურ ვითარებას, რაც თავისთავად, ვფიქრობ, დავითის (საერთოდ ასურელი მამების) მრწამსის გარკვევის საკითხში დაგვეხმარება.

მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგების მიზნით იმპერატორ ზენონის მიერ 482 წელს გამოქვეყნებულ “ჰენოტიკონს” (“ერთობის ფორმულა”) მაინცდამაინც დიდი შედეგი არ მოჰყოლია. 482 წლის შემდეგაც, სირიის ქალაქებში, როგორც მონოფიზიტებს, ისე დიოფიზიტებს მრავალი მხარდამჭერნი ჰყავდათ. თანაც, ზენონი თუ შემრიგებლურ პოლიტიკას ატარებდა, მის შემდეგ საიმპერატორო ტახტზე ასული ანასტასიოსი (491-518) აშკარად მონოფიზიტთა მხარეზე დადგა (191:476). 511 წლის ოქტომბერში მან კონსტანტინოპოლის პატრიარქი მაკედონიუსი გადააყენა და მის მაგიერ მონოფიზიტი ტიმოთე დასვა. თან ანტიოქიის პატრიარქს ფლავიანე II-სა (498-512) და იერუსალიმის პატრიარქს ელია I –ს მოსთხოვა ტიმოთესთან ურთიერთობა დაემყარებინათ. მაგრამ, მათ მაკედონიუსის გადაყენება უკანონოდ ცნეს. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ხელისუფალთა დაძალებით, ფლავიანემ ქალკედონის კრება (დიოფიზიტობა) ანათემას გადასცა, მაგრამ, მას ამ აქტისადმი გულგრილობაში დასდეს ბრალი და გადააყენეს. იმპერატორის მხარდაჭერით 512 წლის 18 ნოემბერს კათედრა სევერუსმა დაიკავა. ელიამ ორჯერ არ მიიღო ის ელჩობა, რომელთა პირით სევერუსი ანტიოქიის კათედრის დაკავებას ატყობინებდა. ამით განაწყენებულმა იმპერატორმა ბრძანა ელია გადაეყენებინათ. მაგრამ, დიოფიზიტობის დიდი დამცველის, საბა განწმედილის (439-532), მხარდაჭერით ელიამ

ერთხანს კათედრა შეინარჩუნა (საბა განწმედილის ასეთი მრწამსი იმაზე მიგვანიშნებს, მის მონასტერში საქართველოდან ჩასული მონაზვნები და თვით საქართველოშიც ძირითადი მრწამსი ქალკელნიანობა რომ იყო).

516 წლის 20 ივნისს, სამხედრო ძალის ჩარევის შემდეგ, იგი იძულებული გახდა კათედრა დაეტოვებინა. ქალაქში არეულობა დაიწყო. იმავე წლის I სექტემბერს იერუსალიმის საპატრიარქო კათედრა კვლავ დიოფიზიტური მრწამსის იოანე III-მ დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ მონოფიზიტ პატრიარქებთან სევერუსთან და ტიმოთესთან ურთიერთობა, არც მან მოისურვა, მონაზვნებისა (პირადად საბა განწმედილის) და ხალხის დიდი მხარდაჭერის გამო იმპერატორის მიერ გამოგზავნილმა პალესტინის დუქსმა სამხედრო ძალის გამოყენება ვერ გაბედა (191:481-482), იერუსალიმის საპატრიარქო კათედრა დიოფიზიტთა ხელში დარჩა (იოანეს შემდეგ, 524-552 წლებში კათედრაზე კვლავ დიოფიზიტი პეტრე იჯდა).

518 წლის 10 ივლისს იმპერატორი ანასტასიოსი გარდაიცვალა და იმპერიაში მდგომარეობა დიოფიზიტთა სასარგებლოდ შეიცვალა. იმავე წლის 29 სექტემბერს სევერუსი იძულებული გახდა ანტიოქიის კათედრა დაეტოვებინა. უფრო ადრე, ტიმოთეს გარდაცვალების შემდეგ, 518 წლის 17 აპრილს კონსტანტინოპოლის კათედრაზე იოანე II კაპადოკიელი ავიდა.

როგორც ვხედავთ, 518 წლის სექტემბრიდან იერუსალიმში რელიგიური მდგომარეობა მართლაც, დიოფიზიტთა სასარგებლოდ შეიცვალა. კეკელიძე დავითის იერუსალიმში ჩასვლას, ჩანს, ამიტომ უკავშირებს ელიას გარდაცვალების შემდგომ ხანას და ანტიოქიიდან (იგულისხმება ქალაქი მდ.ორონტზე) დავითის გაქცევის თარიღად 518 წელს თვლის. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ ქალაქთან ასურელ მამებს არაფერი აკავშირებდათ. ისინი ქართლში ანტიოქია-ედესიდან წამოვიდნენ. ამიტომ, ვნახოთ როგორი რელიგიური ვითარება იყო VI ს. დამდეგისათვის ამ ქალაქში. როგორც ნ.პიგულევსკაია წერს (206:59), იმპერატორმა ზენონმა ედესის უმაღლესი სკოლა თუ მართლაც დიოფიზიტთა მოძალების გამო დახურა, მაშინ ეს იმაზე მიგვითითებს, იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე, შუამდინარეთის მთავარ ქალაქში დიოფიზიტები რომ დომინირებდნენ. მეორე მხრივ, იერუსალიმთან ერთად, 518 წლიდან კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქო კათედრები რადგან დიოფიზიტებმა დაიკავეს, თან ანასტასიოსის შემდეგ საიმპერატორო ტახტზე ასული იუსტინე I (518-527) და იუსტინიანე I (527-565) დიოფიზიტური კურსის გამტარებელნი იყვნენ, ეს უკვე იმის გარანტია

იყო, ედესაშიც დიოფიზიტები რომ იმპლავრებდნენ (ქედესა დიოფიზიტური ჩანს უფრო გვიანაც, 607 წელს ხოსრო II-მ როცა ედესა აიღო მოსახლეობას მოსთხოვა მონოფიზიტობა ელიარებინათ. 204:202). აღნიშნულიდან გამომდინარე, იოანესთან ერთად ანტიოქია-ედესიდან მოსული ასურელი მამები, როგორც ივ.ჯავახიშვილი ფიქრობდა, მართლაც, დიოფიზიტური მრწამსისანი უნდა ყოფილიყვნენ.

VI ს. დამდეგიდან სასანიანთა რელიგიური პოლიტიკის გამო ქართლის მოსახლეობაში შერყეული იყო ქალკედონიანობა. ასეთ ვითარებაში ასურელ მამათა მოსვლა, მათ მიერ ქართლის სხვადასხვა რეგიონში მონასტრების აგება, სწორედ დიოფიზიტობის პოზიციების გამყარებას ემსახურებოდა. ამიტომ იქნენ მიჩნეულნი ისინი “განმანათლებლად ქართლისა” და “განწმედელად სჯულისა”.

დავითი თუ მართლაც დიოფიზიტური მრწამსისა იყო, მაშინ იერუსალიმში მისი წასვლის მიზეზად, როგორც ამას კ.კეკელიძე ამტკიცებდა, მონოფიზიტთა დევნას ვერ მივიჩნევთ. ანტიოქია-ედესიდან დავითი სწორედ ელიას პატრიარქობის დროს უნდა წასულიყო იერუსალიმის წმიდა ადგილების მოსალოცად. მაგრამ, იერუსალიმში მისი ჩასვლა, როგორც ჩანს, ელიას გადაყენებას (516 წ. 20 ივნისი) დაემთხვა, დაწყებული არეულობის გამო მან ქალაქში შესვლა ვერ გაბედა და უკან გამობრუნდა, კვლავ ედესაში. შემდეგ იოანესთან ერთად წამოვიდა ქართლში, მაგრამ როდის?

ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დასათარიღებლად, ვფიქრობ, პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ასურელ მამათა “ცხოვრებების”, ისე სხვა ძველ ქართულ წყაროებში არსებულ იმ ცნობებს, რომელთა თანახმად, ისინი ქართლში ფარსმან მეფისა და კათალიკოს ევლავიოსის (ევლალეს, ევლათის) დროს მოვიდნენ.

ძველ ქართულ წყაროთა ეს მეტად საინტერესო მითითებანი ივ.ჯავახიშვილმა გვიანდელ ჩანამატად მიიჩნია (158:389). კ.კეკელიძემ კი აღნიშნა: “ჩვენ რომ უცილობლად და ზედმიწევნით გვჭონდეს გარკვეული ქართლის მეფეებისა და კათალიკოზების ქრონოლოგია, დასმული საკითხის გადაწყვეტაც ადვილი იქნებოდა; მაგრამ, ვინაიდან, ჯერჯერობით ეს არა გვაქვს, თან საეჭვოა ამ დროს არსებობა როგორც ფარსმან მეფისა, ისე ევლავიოზ კათალიკოზისა, ამ ცნობას ვერ დავეყრდნობით”-ო (62:34-35). “იმ დროს, როდესაც იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები მოსულან, მეფობა ქართლში გაუქმებული იყო და ამიტომ ფარსმან მეფე იქ ვერ იქნებოდა; ვერ იქნებოდა ვერც კათალიკოზი ევლავიოზი, ვინაიდან ამ დროს, როგორც ესტატე მცხეთელის ბიოგრაფიიდან ჩანს, კათალიკოზად იყო სამოელი” (62:35, შენ.1).

როგორც ვხედავთ, ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევრისაგან ზემოდასახელებული ცნობის უგულვებელყოფა იმან განაპირობა, ქართულ ისტორიოგრაფიაში, პროკოპიოს კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით, ქართლში მეფობის გაუქმების თარიღად 523 წელი და ფარნავაზიანთა სახლის უკანასკნელ მეფედ გურგენი რომ არის მიჩნეული (კ.კეკელიძე იზიარებს ამ მოსაზრებას და მეფობის გაუქმების თარიღად 522 წელს უთითებს. 62:39). რითაც უარყოფილია ვახტანგ გორგასლის ძის – დაჩის შთამომავლების: ბაკურის, ფარსმანის, ფარსმან სხვაისა (ეს ის მეფეა, რომელმაც “ჰმატა ყოველთა ეკლესიათა შემკობა”, იმპერატორ იუსტინიანე I –ის მეგობარი იყო და რომლის ზეობაში ასურელი მამები მოვიდნენ) და ბაკურის ქართლში მეფობა (35: თავი IX).

როგორც გაირკვა, ქართლში მეფობა 523 წელს კი არა, დაახლ. 537 წელს იქნა სასანიანთა მიერ გაუქმებული. ხოლო ფარსმან სხვაი დაახლ. 525-535 წლებში მეფობდა (35:თავი IX). ზემოთქმულთან ერთად თუ “მოქცევაი ქართლისაისა” და ვახტანგ გორგასლის “ცხოვრების” გაგრძელების იმ ცნობას გავითვალისწინებთ, რომელთა თანახმად, ფარსმან სხვაის დროს გარდაიცვალა კათალიკოსი ჩერმაგი და ფარსმანმა დასვა კათალიკოსად საბა, საბას გარდაცვალების შემდეგ დაიკავა საკათალიკოსო კათედრა ევლავიოსმა (168:207; 100:326), ევლავიოსის კათალიკოსად დასმა ფარსმან სხვაის ზეობის ბოლო ხანაზე უნდა ვივარაუდოთ. აღნიშნულთან ერთად, რადგან “მისვე ფარსმანის-ზე”, “მოვიდა ნეტარი იოვანე... შუვაამდინარით ასურეთისაით... და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა...” (100:326; 168:207) და მათი მოსვლისას კათალიკოსი ევლავიოსი იყო (ევლათი|ევლავიოსი მეფე ბაკურის დროს – ე.ი. ქართლში მეფობის გაუქმებამდე – დაახლ. 537 წ. გარდაიცვალა. 168:215), გამოდის, რომ ასურელი მამები ქართლში ფარსმან სხვაის ზეობის ბოლო წლებში მოვიდნენ. როგორც შიოსა და ევაგრეს “ცხოვრებაშია” ნათქვამი (12:78), ამ დროს ქართლის მოქცევიდან (დაახლ. 317/318 წ. ამ თარიღის შესახებ იხ. 37: 81-83) “ორასი ოდენ წელიწადი” იყო გასული (მსგავსი მითითებაა Sin -50-ში. “მოქცევაი ქართლისაის” ჭელიშურ ვარიანტშია – “მეორასესა წელსა”. 101:94).

ამ მითითების საფუძველზე ასურელ მამათა ქართლში მოსვლა დაახლ. VI ს. 10-იანი წლების დასასრულზე მოდის<sup>5</sup> და გამოდის, რომ

---

<sup>5</sup> 1992 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში (იხ. 34) ზემოხსენებული თარიღის გამყარება ვცადე ზედახნის მონასტრის მამათა სიების მასალებით. სიაში მითითებულია იოანედან მოკიდებული თითოეული რამდენ წელს ხელმძღვანელობდა მონასტერს (111:73-74), მეორე მხრივ, ერთ-ერთი მამათაგანი (იოანე), 853 წელს რადგან ბულა თურქის საქართველოში



316 წლის ზაფხულში იერუსალიმიდან დავითის ედესაში დაბრუნების შემდეგ, მამა იოანემ და მისმა მოწაფეებმა დატოვეს ედესა და ქართლისაკენ გამოემართნენ. მაგრამ, როგორც ვხედავთ, მიღებული თარიღები წყაროთა იმ მითითებას არ ესადაგება, რომლის თანახმად, ასურელი მამები მეფე ფარსმან სხვაის ზეობაში მოვიდნენ ქართლში. ზემოდასახელებულ წყაროებში, მართალია, მითითება “ორასიოლენი წელი” ზუსტად ორასს არ ნიშნავს და შეიძლება მასში ცოტა მეტიც ვიგულისხმოთ, თუმცა, უფრო სწორი უნდა იყოს ის მითითება, რომლის თანახმად, ასურელი მამები ქართლში მირიანის გარდაცვალებიდან 200 წლის თავზე მოვიდნენ (216:424). მირიანი კი რადგან 334 წელს გარდაიცვალა (35: 58-70), ასურელ მამათა ქართლში მოსვლის თარიღად 534 წელს მივიღებთ (შდრ. 94: 23-24). \*

ასურელი მამების ქართლში წამოსვლასთან დაკავშირებით, ერთი საკითხიც უნდა განვიხილო. შიოსი და ევაგრეს “ცხოვრების” ცნობით, იოანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა ქართლში გამომგზავრებაამდე მოინახულეს “დიდი მნათობი” სვიმეონ საკვირველმოქმედი, “ლოცვა მისი მიიღეს და ესრეთ წარემართნენ გზასა ქართლად მიმყვანებელსა” (135:224-225).

დასმულ კითხვას რომ პასუხი გაეცეს, უნდა გაირკვეს: I. დაახლ. 334 წლისათვის, როცა ასურელი მამები ქედესიდან ქართლში წამოვიდნენ, სვიმეონი იყო სახელმოხვეჭილი ასკეტი — “დიდი მნათობი”? II. ქედესიდან ქართლში ასურელ მამათა წამოსვლისას სად მოღვაწეობდა სვიმეონი, ედესასთან ახლოს (სადაც მას ადვილად მოინახულებდნენ ასურელი მამები), თუ სირიაში მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქიის მახლობლად?

გადავხედოთ სვიმეონის “ცხოვრების” ცნობებს. სვიმეონი 520 წელს დაიბადა (525 წლის 4 ოქტომბერს მომხდარი დიდი მიწისძვრისას იგი 5 წლისა იყო. 135:219). 528 წელს ბერად აღიკვეცა სელევკია ქალაქის მახლობლად სოფ. ტიბერიანთან არსებულ მონასტერში (135:220), სადაც 14 წელი დაჰყო (135:339;94:21). 532 წელს, როცა ანტიოქიის პატრიარქმა ეფრემიოსმა (527-545) და სელევკიის ეპისკოპოსმა სვიმეონი დიაკვნად აკურთხეს, იგი “უწლოვანი ბერი” იყო (135:223).

ამრიგად, დაახლ. 534 წლისათვის, ასურელ მამათა ქართლში წამოსვლისას 14 წლის სვიმეონი “დიდი მნათობი” ვერ იქნებოდა და

---

ლაშქრობისას “მოიკლა სარკინოზთაგან” (10:6), 853 წ. გამოვაკელი ზედაზნელ მამათა წინამძღოლობის საერთო ჯამი (ასევე მამაის კათალიკოსობის 14 წელი) და ასურელ მამათა ქართლში მოსვლის თარიღად 521 წელი მივიღე (34:199), რაც დღეისათვის სწორად არ მიმაჩნია.

ვერც ასურელ მამებს მივიჩნევთ მის მოწაფეებად. ასურელმა მამებმა თუ მართლაც “მიიღეს კურთხევა” “უწლოვანი ბერიისაგან”, მაშინ ეს უფრო სვიმეონის დედის – მართას ოჯახისადმი პატივისცემის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოდ (მართა 540 წლის შემდეგაც ცოცხალი ჩანს. 135:259). მართას ოჯახი ჩრდილოშუამდინარულ ქართულენოვან მოსახლეობასა და იქ არსებულ ქართულ ემიგრაციაში ზომ დიდი პატივით სარგებლობდა და როგორც კ.კეკელიძე წერს, ახლოს იცნობდა საქართველოსა და ქართველებს (188:12).

ახლა რაც შეეხება სვიმეონის თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილს.

სვიმეონის “ცხოვრების” ცნობით, 8 წლის სვიმეონმა მოღვაწეობა სელევკია ქალაქის მახლობლად სოფელ ტიბერიანთან (იქვე იყო “დაბაი მცირე პილა”) არსებულ მონასტერში დაიწყო (135:220. იქიდან გადავიდა შემდეგ საკვირველ მთაზე). ქ.სელევკია კი მდ.ორონტზე მდებარე ანტიოქიის მახლობლად მდებარეობდა. მეორე მხრივ, კ.კეკელიძე ასურელ მამათა მოღვაწეობის ადგილად, რადგან სირიაში ანტიოქიის მახლობლად მდებარე საკვირველ (შაე) მთას თვლიდა (63:88), სვიმეონის თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი თითქოს საკამათო არ უნდა იყოს, მაგრამ საეჭვოა ედესიდან ქართლში წამოსულ ასურელ მამებს ზღვისპირა სირიაში მყოფი სვიმეონი მოენახულებინათ. შიოსი და ევაგრეს “ცხოვრება” თუ არ ცდება (შდრ. 62: 40-41) და ქართლში წამოსვლის წინ ასურელმა მამებმა, მართლაც, მიიღეს ლოცვა სვიმეონისაგან, მაშინ საკვირველ მთაზე მისვლამდე სვიმეონის მოღვაწეობის ადგილი უნდა დაზუსტდეს.

სვიმეონის “ცხოვრების” ცნობებიდან გამომდინარე, იგი 528-542 წლებში ტიბერიანის მონასტერში იმყოფებოდა (540 წელს როცა ხოსრო I-მა ანტიოქია მდ. ორონტზე აიღო, სვიმეონი ჯერ კიდევ არ იყო მისული საკვირველ მთაზე. 94:21. ამ ფაქტს ჯერ კიდევ მ.ბროსემ მიაქცია ყურადღება. 94:20-21). ე.ი. დაახლ. 534 წელს, ასურელ მამათა ქართლში წამოსვლისას სვიმეონი ისევ სელევკია ქალაქის მახლობლად ტიბერიანის მონასტერში იყო. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ოსროენაში, ქ.ედესის მახლობლადაც რომ მდებარეობდა ქალაქი, რომლის სახელი ასევე სელევკია იყო (იქვე უნდა ყოფილიყო სოფელი ტიბერიანიც. ამავე სახელის ოლქი იყო კაპადოკიაშიც სადაც მდებარეობდა გრიგოლ ნაზიანზელის სამშობლო ქ. არიანზი. 217:492), ვფიქრობ, რეალობასთან უფრო ახლოს იქნება, საკვირველ მთაზე გადასვლამდე, სვიმეონის მოღვაწეობის ადგილად ქ.ედესის მახლობლად მდებარე ქ.სელევკიასა და ტიბერიანის მონასტერს თუ

მივიჩნევთ<sup>6</sup>. მაშინ ქედესიდან ქართლში მომავალი ასურელი მამები, მართლაც, ადვილად მოინახულებდნენ სვიმეონს (როგორც ვხედავთ, სირიასა და ასურეთში ერთნაირი სახელის მქონე ქალაქების – ანტიოქიისა და სელევკიების არსებობამ საკმაოდ გაართულა ასურელი მამების თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილის გარკვევა).

ქედესიდან ქართლში ასურელ მამათა წამოსვლის საკითხზე მსჯელობისას, მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მათი წამოსვლის მიზეზს.

კაკეკელიძე ასურელი მამების წამოსვლის მიზეზად ბიზანტიის იმპერიაში დაწყებულ მონოფიზიტთა ღვენას მიიჩნევდა. თითქოს გულდაჯერებულ მონოფიზიტებს სირიაში აღარ ედგომებოდათ და მათ “ცხოვრებებში” ისინი რომ დიოფიზიტებად არიან დასახელებულნი, ეს მომდევნო ხანის ავტორთა, თუ რედაქტორთა ნახელავია (11:31). შნუცუბიძის თანახმად, ასურელი მამები, როგორც სირიის ქართული ნეოპლატონიკური სკოლის წარმომადგენლები, ბიზანტიაში ანტიკური ფილოსოფიის ღვენის გამო მოდიან ქართლში (მხედველობაში აქვს 529 წელს გამოცემული იმპერატორ იუსტინიანეს ედიქტი. რასაც მოჰყვა ათენის წარმართული აკადემიის დახურვა). როცა მათ აღარ ჰყავდათ ისეთი ავტორიტეტული მეთაური, როგორიც იყო პეტრე იბერი (105:134).

როგორც კაკეკელიძე ფიქრობს, ედესიდან ასურელ მამათა წამოსვლა შეიძლებოდა მართლაც VI ს. 20-30-იანი წლების ედესასა და საერთოდ იმპერიაში არსებულ რელიგიურ ვითარებასთან დაგვეკავშირებინა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, VI ს. 20-იანი წლების დამდეგიდან იმპერიაში ვითარება დიოფიზიტთა სასარგებლოდ შეიცვალა. დიოფიზიტური მრწამსისანი (რა თქმა უნდა, “ჰენოტიკონის” მოთხოვნათა გათვალისწინებით) იყვნენ ასურელი მამები. ასეთი მრწამსისა იყო მათი თანადროული ქართლის სამეფოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (იხ. ზემოთ).

აღნიშნულის გამო რელიგიურ ნიადაგზე ედესიდან ასურელ მამათა წამოსვლა საეჭვოდ მერჩვენება. ასევე საეჭვოა, ედესა მათ ანტიკური ფილოსოფიის ღვენის – პეტრე იბერიის სახით

---

<sup>6</sup> ასეთ მოსაზრებას მხარს უნდა უჭერდეს შემდეგიც. როგორც აღვნიშნე, სახელი ედესა ქალაქმა ურჰამ მიიღო მაკედონელთაგან მათი ძველი დედაქალაქის – ეგის გარეუბან ედესასთან მსგავსების გამო. ამიტომ გამოირიცხული არაა, ქედესას ახლოს მდებარე “დაბა პილას” (პელას) სახელი ასევე მაკედონელთა ახალ დედაქალაქ პელას უკავშირდებოდეს. თუ ეს ასეა, მაშინ ტიბერიანის მონასტერი რომ ოსროენაში მდებარეობდა საეჭვო აღარ იქნება.

“ავორიტეტული პიროვნების” არყოლის გამო დაეტოვებინათ. ასურელ მამათა ქართლში წამოსვლისას პეტრე იბერი 40-ზე მეტი წლის წინ გარდაცვლილი იყო და ამ ხნის განმავლობაში მათ “ავტორიტეტის” გარეშე იმოღვაწეს.

ასურელ მამათა ქართლში მოსვლის მიზეზთა ძიებისას, ვფიქრობ, ყურადღება უნდა მიექცეს მათ “ცხოვრებებში” არსებულ ცნობებს. მათში წამოსვლის მიზეზად ასკეტური ყოფისადმი სწრაფა, საქართველოში ახალნერგი ქრისტიანობის განმტკიცებაა დასახელებული. და მართლაც, იმ ხანად, ირანელთა ბატონობის გამო ქართლის “წურილი ერიდან” მრავალი ზომ “მიქცეული” იყო ცეცხლისმსახურებასა (168:145). აი, ამ “წურილი ერის” ქრისტიანობისაკენ შემობრუნება იყო საჭირო. ამიტომ აირჩიეს ასურეთში მოღვაწე (წარმოშობით ქართველებმა) მამებმა სამოღვაწეო ასპარეზად ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხე (ისინი ედესიდან რომ რელიგიურ დევნას გამორიდებოდნენ, ერთი მონასტრის ძმობა ქართლშიც ერთად მოიყრიდა თავს), ამიტომ აღიარა ისინი ქართულმა ეკლესიამ “სჯულის გამწმედელად” და წმინდანებად შერაცხა.

ასურეთიდან ქართლში “სჯულის გამწმედელი” მოღვაწეთა მოსვლა, ვფიქრობ, სახელმწიფო ღონისძიება იყო. ედესიდან ქართლში მათ გადმოსახლებაში იქნებ გარკვეული როლი შეასრულა დაახლ. 534 წელს მეფე ფარსმან სხვაის წარმატებულმა ვიზიტმა იმპერატორ იუსტინიანეს კარზე? (ამ ვიზიტის შესახებ იხ. 35:151-152).

ისტორიული საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებულმა, აღზრდილმა და განათლებამიღებულმა მამებმა, რა თქმა უნდა, ქართველური წარმომავლობის გამო, საქართველო მშობლიურ ქვეყნად მიიღეს და მხურვალედ ემსახურნენ მას. ასურელ მამათაგან ერთმა — აბიბოს ნეკრესელმა ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ ბრძოლას სიცოცხლევც კი შესწირა (იხ. ქვემოთ).

ასურელ მამათა (მათ შორის აბიბოსის) ქართლში მოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, ქართლის კათალიკოსმა ევლავიოსმა ისე წილკნის, ზოლო აბიბოსი ნეკრესის ეპისკოპოსებად დაადგინა. მაგრამ, როდის აწამეს ირანელებმა აბიბოსი?

მას შემდეგ რაც სასანიანები ქართლში გაბატონდნენ (დაახლ. 537 წელს სასანიანებმა ქართლში მეფობა გააუქმეს. ამ დროიდან ქვეყნის უშუალო გამგებელი ირანელი მარზპანი გახდა), სხვადასხვა მხარეში ცეცხლთაყვანისმცემელთა სამლოცველოები ააგეს, მოსახლეობას კი ქრისტიანობის დატოვება მოსთხოვეს. ამ მხრივ, გარკვეულ წარმატებასაც მიიღწიეს (168:145). ასეთ ვითარებაში აბიბოსმა ნეკრესის მახლობლად არსებული ცეცხლის საგზებელი მოსპო. რის

გამოც, მარზპანის ბრძანებით იგი აწამეს. როგორც ზემოთ ვნახეთ, სიკვდილის წინ აბიბოსმა იწინასწარმეტყველა, რომ მისი წამების შემდეგ “მსწრაფლ” ბერძენნი დაეუფლებოდნენ ქართლს და იმავედროულად ქართლის მპყრობელნი ერისმთავრები გახდებოდნენ.

აბიბოსის წინასწარმეტყველებაში, როგორც ითქვა, ბიზანტიელთა მხარდაჭერით ქართლში ადგილობრივი ხელისუფლების აღდგენა (გურამის “განჩენა”) იგულისხმება. ეს მოვლენა სათანადო საისტორიო წყაროთა მონაცემებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით, ჩემს მიერ 555 წლით იქნა დათარიღებული (ამ აქტს გ.ჩუბინაშვილი 545, ხოლო ნ. ლომოური 552 წლით ათარიღებენ. 31: 109-110). აღნიშნულიდან გამომდინარე, აბიბოსი 555 წლის წინა ხანაში უნდა ეწამებინათ და არა 590 წელს, როგორც ამას კ.კეკელიძე ამტკიცებდა (დ.მერკვილაძემ აბიბოსის წამების თარიღად VI ს. 60-იანი წლები მიიჩნია. 94:31-33). მართლაც, აბიბოსი ზომ ასურელ მამათა სახელების ორივე ნუსხაში — იოანესთან ერთად მოსულთა შორისაა დასახელებული.

ქართული საისტორიო მწერლობაში შექმნილი ტრადიცია ასურეთიდან ქართლში მაინცდამაინც “ათსამეტი” მამის მოსვლის შესახებ რომ გვაუწყებს, ეს შემთხვევითი არაა. ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდანვე, ქრისტეს მოწაფეთა მიბაძვით, მოძღვრებს ხშირად 12 მოწაფე ჰყავდათ (მაგ. ედესაში, ზოგ სკოლაში 12 მოწაფე სწავლობდა. 206:38). ისე, ედესის ქართული კოლონიიდან და ედესასთან არსებული იოანეს მონასტრის ძმობიდან, ქართლში “ათსამეტზე” გაცილებით მეტი მოღვაწე უნდა მოსულიყო.

დაბოლოს. რაც შეეხება ასურელ მამათა ეროვნულ კუთვნილებას.

დ. ბაქრაძე, კ.კეკელიძე და შ.ნუცუბიძე მათ ქართველებად თვლიდა (11:33;62:41), ხოლო ს.კაკაბაძე ასურელ მამათა შორის ქართველებსაც გულისხმობდა (10:16). ასურელ მამათა ქართველობა ივ.ჯავახიშვილს, მართალია, “უსაფუძვლო ჰიპოთეზად” მიაჩნდა (158:415), მაგრამ ყოველივე იმას თუ გაკითვალისწინებთ, რაც ჩრდ. შუამდინარეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობის შესახებ ზემოთ ითქვა, ცხადია, ქ.ედესასა და მის მახლობლად მდებარე მონასტრებში ქართველების ყოფნა საეჭვოდ არ მოგვეჩვენება (სწორედ იმ ხანებში იერუსალიმის მახლობლად საბა განწმედილის ლავრაში მრავლად იყვნენ ქართველები). როგორც ჩანს, ედესის ერთ-ერთი ქართული მონასტრის მონაზვნები მოვიდნენ ქართლში. აღნიშნულით უნდა აიხსნას, ქართლში მოსვლისთანავე იოანემ ქართლის კათალიკოსს ევლავიოსს ქართულ ენაზე რომ დაუწყო საუბარი (12:81-82; 62:44). კ.კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, “მოხდა ის რაც

უნდა მომხდარიყო, ქართველი ქართულად გამოეცხადებოდა ქართველს”, “ქართლში მოსვლის პირველი დღიდანვე “ასურელი მამები “ისე დაუახლოვდნენ ადგილობრივ მკვიდრთ, ისე შეიჭრენ მათს სულსა და გულში, რომ ძნელი დასაჯერებელია ეს მოეხერხებინათ შორეულ უცხოეთიდან მოსულ ადამიანებს, რომელთაც არც ენა იცოდნენ ადგილობრივ მკვიდრთა, არც ზნე-ჩვეულება მათი...” (62:41).

ამრიგად, ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად ჩრდ. შუამდინარეთის ქ.ანტიოქია-ედესა (ურჰა) უნდა იქნას მიჩნეული. ასურელი მამები, მათ შორის დავითი და აბიბოსი (ანტონის გარდა), იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით დაახლ. 534 წლის ახლო ხანაში მეფე ფარსმან სხვაისა (დაახლ. 525-535) და კათალიკოს ევლავიოსის დროს მოსულან ქართლში. მათი მოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ ევლავიოსმა ისე წილკნის, ხოლო აბიბოსი ნეკრესის ეპისკოპოსებად დაადგინა. ირანელი მარზპანის ბრძანებით აბიბოსი 537-555 წლებს შორის აწამეს.

ანტონი, როგორც ჩანს, მონასტრის იმ ძმობას განეკუთვნებოდა, რომელნიც იოანესთან ერთად წამოსულთა შორის ვერ მოხვდნენ. ანტონი, რადგან 544 წელს, ირანელთა მიერ ქ.ედესის გარემოცვის თვითმხილველი იყო, მას, როგორც კ.კეკელიძე ფიქრობს, მართლაც 544 წლის ზაფხულში უნდა დაეტოვებინა ქალაქი და ქართლში წამოსულიყო. ასურელი მამები,რომლებიც ძირითადად ჩრდ. შუამდინარელი ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, დიოფიზიტური მრწამსისანი იყვნენ. მათ ქართლში, ირანელთა ბატონობის გამო შერყეული დიოფიზიტობის გამყარება უნდა ჰქონოდათ მიზნად. ამიტომ მიიჩნია ისინი ქართულმა ეკლესიამ “გამწმენდელად სჯულისა” და წმინდანებად შერაცხა. ერთ-ერთი ასურელი მამა – შიო მღვიმელი საქართველოში ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დამამკვიდრებლად ითვლება (11:33. შემონახულია მისი ორი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოები. 63:124).

### თავი X. პეტრე იბერი – “ურჰაელი”

V ს. გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე , რევიანთა ქართლის მეფის – ბოზმარიოსის ძე პეტრე (ერისკაცობაში მურვანი, ასურელ წყაროში ნაბარნუგად იწოდება), იმ დროის ფილოსოფიური აზროვნების “ერთ-ერთი უსაჩინოესი წარმომადგენელი”, “მსოფლიოში განსაკვიფრებლად სახელგანთქმული ადამიანი”, მთელი თავისი

მოღვაწეობის განმავლობაში “იბერის” ზეწოდებით იყო ცნობილი მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში.

პეტრე რომ “იბერად” იწოდებოდა, ეს გასაკებია, იბერია (ქართლი) მისი სამშობლო იყო. ზეწოდება “იბერი” პეტრეს სამშობლოს რომ გულისხმობდა, ეს, ალბათ, ცნობილი იყო ბიზანტიის იმპერიის ქრისტიანთათვის (მისი განათლებული ზედაფენისათვის მაინც), მაგრამ სწორედ იმპერიის სასულიერო ფენის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ პეტრეს “ურჰაელად” მოხსენიება, როგორც ამ გამოკვლევის შესავალში აღვნიშნე, ჩასაფიქრებელი იყო.

სად იხსენიება პეტრე იბერი ურჰაელად?

ბელგიელი ბიზანტიოლოგის ერნესტ ჰონიგმანის თანახმად, იაკობ სპარსის წამების კოპტურ ვერსიაში გვხვდება ადგილები, რომლებიც ეხება მისი ნეშტის გადასვენებას ეგვიპტეში, პეტრე იბერის ორი მოწაფის მიერ იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი გაიქცა ალექსანდრიაში, იქიდან კი ოქსირინხში. ეს ტექსტი საფუძვლად უდევს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ არაბულ ვერსიას, რომელშიც ასევე ცნობებია წმინდა იაკობ სპარსისა და პეტრე იბერის შესახებ. ეთიოპურ და არაბულ სვინაქსარებში პეტრე იბერი იწოდება “პეტრე ურჰაელად” (“Butrus ar Ruhavi), ხოლო იბერთა მონასტერი იერუსალიმში “ურჰაელთა მონასტრის” სახელით (220: 68-69).

იაკობ სპარსის წამების კოპტურ ვერსიაში პეტრე იბერის “ურჰაელად”, ხოლო იერუსალიმში მის მიერ დაარსებული მონასტრის “ურჰაელთა მონასტრად” მოხსენიება, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, იმაზე მიგვითითებს კოპტი (ეგვიპტელი) ავტორისათვის “ურჰა” და “იბერია” (პეტრეს სამშობლო) იდენტური ცნებები რომ იყო.

აღნიშნულთან ერთად, რადგან ასევე “ურჰაელად” იწოდება V ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე იერემია იბერიელი, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროის კოპტთათვის და სხვებისთვისაც “ურჰა” და “იბერია” იდენტური შინაარსის ცნებანი იყო. მართლაც, ჩემს მიერ ჩრდ. შუამდინარეთისა და კერძოდ ედესა-ურჰას შესახებ ზემომოტანილ მასალას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვადიაროთ, რომ როგორც კოპტ ავტორს, ისე იერემია იბერიელის “ურჰაელად” მიმმართავს გარკვეული საფუძველი ჰქონდათ ჩრდ. შუამდინარეთი და მისი ერთ-ერთი მთავარი ქალაქი ურჰა, აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელის – იბერიის იდენტური შინაარსის აღმნიშვნელად მიეჩნიათ.

კ.კეკელიძის თანახმად, იერემია იბერიელი ედესაში არ ყოფილა და არც იქ უმოღვაწეა, მაგრამ იერემია იბერიელი თუ იგივე “ქართველი მართლმადიდებელის” “დიდაქეს მთარგმნელის” იერემია ურჰაელის (რომელიც “ყარბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს

დაშორებაზე” ჩივის. 63:560) იდენტური პიროვნებაა, ცხადია, იერემია იბერიელი ედესის ქართული კოლონიის ერთ-ერთი წევრი უნდა ყოფილიყო. იერემია უნდა მიეწინოთ ედესაში არსებული იმ ჯგუფის წევრად, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ასურულიდან (სირიულიდან) წმინდა წიგნების ქართულად თარგმნის საქმეში (წმინდა წიგნების სომხური თარგმანის გარკვეული ნაწილიც ხომ ედესაში უნდა შესრულებულიყო. 93:54).

რაც შეეხება პეტრე იბერს, ასევე, მისი “ასურული ცხოვრებიდან” არ დასტურდება პეტრე იბერის ედესაში ყოფნა, მაგრამ, როგორც აკად. შ.ნუცუბიძე წერს, ასურელი მამები თუ პეტრე იბერის მიერ დაარსებული სირიული სკოლის წარმომადგენლები იყვნენ, მაშინ პეტრეს ურპაელად მიჩნევას ამ მხრივაც ეჭნებოდა საფუძველი.

შ.ნუცუბიძის თანახმად, პეტრე იბერის გარშემო გარკვეული სკოლა იყო შეკრებილი და მის საფუძველს შეადგენდნენ ქართველები – ქართველთა სირიული სკოლის წევრები (მასში არაქართველებიც შედიოდნენ: ბერძნები, სირიელები და სხვა), მეცადინეობა-საუბრები მიმდინარეობდა ბერძნულ, ქართულ და სირიულ ენაზე. ასეთი სკოლები კი რადგან ისეთ პუნქტებში ეწყობოდა, სადაც ერთმანეთს კვეთდა როგორც ვაჭრობის, ისე კულტურათა ურთიერთშელწევის გზები, ცხადია, ქედესა თავისი მდებარეობით, რაც მთავარია, თავისი ქართველური დასახლებებითა და ქართული კოლონიით პეტრე იბერის ყურადღების გარეშე არ დარჩებოდა (პეტრე იბერის ედესურ სკოლაში ალბათ უნდა ვიგულისხმობთ სასულიერო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელნიც პეტრე იბერის იდეების მიმდევარნი იყვნენ).

შ. ნუცუბიძე, როცა პეტრე იბერის მიერ დაარსებული სირიული სკოლის შესახებ წერდა, მას მხედველობაში, რა თქმა უნდა, ქართლში წამოსვლამდე ასურელ მამათა მოღვაწეობის ადგილად, მისი თანადროული სამეცნიერო ლიტერატურიდან გამომდინარე, ზღვისპირა სირიაში, მდ. ორონტზე მდებარე ქ.ანტიოქია და მისი რაიონი მიაჩნდა. აქედან გამომდინარე, ცხადია, პეტრეს მიერ დაარსებულ სკოლასაც შ.ნუცუბიძე სირიაში გულისხმობდა. მაგრამ, ახლა თუ იმას გავითვალისწინებთ, ასურელი მამები, როგორც მათ “ცხოვრებებშია” ნათქვამი, შუამდინარეთიდან – ე.ი. ასურეთიდან რომ იყვნენ და საქართველოში წამოსვლამდე სწორედ ქედესაში (იგივე ურპა, ანტიოქია) მოღვაწეობდნენ, მაშინ ქართველთა ის სირიული სკოლა, რომელიც შ.ნუცუბიძის მტკიცებით პეტრე იბერმა შექმნა და თვით ხელმძღვანელობდა, ქედესაში უნდა ყოფილიყო. ჩანს, ედესის ქართულ კოლონიაში დომინირებდა ისეთი რელიგიური შეხედულება, რომელიც



პეტრე იბერიდან მომდინარეობდა და VI ს-ში საქართველოში მოსულმა ასურელმა მამებმა პეტრე იბერის იდეები ასახეს.

ეს მრწამსი, როგორც ვნახეთ, მონოფიზიტური არ იყო (მონოფიზიტური მრწამსის ასურელ მამებს ქართლის კათალიკოსი ევლავიოსი დიდი პატივით არ მიიღებდა). არ იყო არც ნესტორიანული (იერემია იბერიელი, ურპაელად წოდებული ანტინესტორიანელი მოღვაწე იყო და თავს “მართლმადიდებელს” უწოდებდა. ამას გარდა, მამა ანტონმა ხელთუქმნელი ხატი ზომ არ დაუტოვა ედესელ ნესტორიანებს, ხატის მათ ხელში ყოფნას ცოდვად მიიჩნევდა და ქართლში ჩამოიტანა). ცხადია, ედესის ქართული კოლონიისა და ედესიდან გამოსული ასურელ მამათა მრწამსი დიოფიზიტური (აღბათ მონოფიზიტობისადმი გარკვეული დათმობებით, რაშიც ასახული იყო 482 წელს გამოქვეყნებული იმპერატორ ზენონის “ჰენოტიკონის” მოთხოვნები) იყო<sup>1</sup>. ჩანს, ასეთივე იყო პეტრე იბერის მსრწამსიც და აი რატომ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, ბიზანტიის იმპერიის აღმ. პროვინციებში მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის გააფთრებული ბრძოლების დროს ორივე მხარე ცდილობდა პეტრე იბერი თავისი მრწამსის თანაზიარად დაესახა. იმ ხანად პეტრეს ავტორიტეტი შეუვალი იყო, როგორც საიმპერატორო კარზე, ისე მთელს ბიზანტიაში. აღნიშნულით ხსნიან იმპერატორმა ზენონმა (476-491) სწორედ პეტრე იბერს რომ მიმართა მოპაექრე მხარეთა შესარიგებლად და მონოფიზიტი პატრიარქის (თეოდოსი იერუსალიმელის. ვ.გ.) მიერ მაიუმის ეპისკოპოსად დადგენილი პეტრე მონოფიზიტთა დამარცხების შემდეგ ეპისკოპოსობიდან არ გადააყენა (107<sup>1</sup>: 195).

ასურელი მამები კი თუ მართლაც პეტრეს მიერ დაარსებული სკოლიდან იყვნენ გამოსულნი (შ.ნუცუბიძე, შდრ., 11:32), ცხადია, ასურელ მამათა მრწამსი (ისევე როგორც პეტრე იბერისა), ასურეთში მოღვაწეობისას და ქართლშიც, როგორც შ.ნუცუბიძე წერს, მონოფიზიტობასთან შემრიგებლური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ქართლში მათ სწორედ ასეთი მრწამსი დახვდათ (როგორც ზ.ალექსიძემ დაასკვნა, ღვინის საეკლესიო კრებაზე, 506 წ, ქართულმა ეკლესიამ “ჰენოტიკონის” საფუძველზე მონოფიზიტობასთან

---

<sup>1</sup> შ.ნუცუბიძის თანახმად, ასურელ მამებს ერთნაირად შეეძლოთ ორივე ქრისტოლოგიურ მიმდინარეობასთან მშვიდობიანი დამოკიდებულება. და ეს მართლაც ასე მოხდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ (105:134), მათ არავითარი რელიგიური პრობლემა არ შექმნიათ.

შემრიგებლური პოზიცია დაიკავა. VII ს. დამდეგიდან კი ქართული ეკლესიის მრწამსი უკვე დიოფიზიტურია. იხ. 2).

ახლა ისევ პეტრე იბერის “ურპაელობის” შესახებ. რადგან პეტრეს მრწამსი მაინცდამაინც იმთავითვე უარსაყოფელი არ იყო ქართული ეკლესიისათვის, ძველ ქართულ მწერლობაში თუა მითითება პეტრეს ურპაელობაზე (ასურელობაზე)?

შ.ნუცუბიძის შენიშვნით, “... საუკუნეთა განმავლობაში პეტრე იბერს უყურებდნენ როგორც ერეტიკოსს. ქართული ეკლესიის მიერ ქალკედონური კრების პოზიციის შეწყნარებამ წინასწარვე განსაზღვრა ყველა მიმდინარეობათა ბედი, რომლებიც კი ეკლესიას შეიძლებოდა საეჭვოდ სჩვენებოდა და ამათ რიცხვში პეტრე იბერის ბედიც. XIII საუკუნემდე მისი სახელი ოდიოზურად იყო მიჩნეული, მაგრამ მის კანონიზირებულ “ცხოვრებაში”,... შემოგვენახა ადგილები, რომლებიც გადაურჩა საეკლესიო ცენზურას (104:176).

შ.ნუცუბიძემ ყურადღება მიაქცია ჩახრუხადის თხზულების ერთ ადგილს. მისი თქმით, “... ძნელია ეჭვი გვეპარებოდეს იმაში, რომ პოეტმა ჩახრუხადემ ასახა საქართველოში ცნობილი ტრადიცია ფსევდო-დიონისეს საიდუმლოების შესახებ<sup>2</sup>. დასაწყისში ნათქვამს, სახელდობრ, იმას, რომ დიონისედ უნდა ვიგულისხმოდ ის კაცი, რომელიც შესაფერია თამარის ქების სათქმელად (რაც წარმოადგენს მინიშნებას ქართველ პეტრე იბერზე, სოფისტი ენეოსის მახლობელ პირზე<sup>3</sup>), ახლა პოეტმა კიდევ ერთი თვისება დაუმატა – დიონისეს წიგნთა შესაქმნელად ყოფნა და ამით საიდუმლო საბოლოოდ გაშიფრა. ამ ფაქტის შუქში, – დასძენს შ.ნუცუბიძე, – გასაგები ხდება ჩახრუხადის კიდევ ერთი მითითება, სადაც იგი “ასურ ბრძენზე” ლაპარაკობს. ეს ხდება ვერტიკალურად გამართულ “ჩახრუხულ სტროფში”:

“ახლო პირო, მძლეო ნოსრ ვითა

ბრძენმა გასახა ასურმა ისო” (104:184).

“ბრძენ ასურში”, რა თქმა უნდა, ჩრდ. შუამდინარეთში მოღვაწე პიროვნება იგულისხმება. და “ბრძენი ასური” თუ პეტრე იბერია –

---

<sup>2</sup> შ.ნუცუბიძის თქმით, დიონისე არეოპაგელისადმი ინტერესი საქართველოში ძალიან დიდი იყო. მისი ავტობიოგრაფია აღრევე ითარგმნა ქართულად და მარტო საეკლესიო მუზეუმში ექვსი ეგზემპლარი აღმოჩნდა (104:176).

<sup>3</sup> ეკლესიის ცნობილი ისტორიკოსი ზაქარია რიტორი მოგვიხრობს ფილოსოფიური წრის არსებობაზე, რომელშიც შედიოდნენ V ს. ცნობილი მოღვაწეები: ისაია, ენეოს დაზელი და მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი (104:35).

ასურელი მამების მასწავლებელი, მაშინ პეტრეს ასურეთთან კავშირზე უნდა მიუთითებდეს ის, რომ ასური იყო პეტრე იბერის ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფე სერგი რეშაინელი (იგიც, ჩრდ. შუამდინარეთში მოღვაწეობდა. გარდ. 536 წ.). შ.ნუცუბიძის თანახმად, სერგი “წლების განმავლობაში ეკუთვნოდა ქართველთა სირიულ სკოლას” და პეტრე იბერის უახლოესმა და ერთგულმა მოწაფემ, რომელიც თავისი მოძღვრის სულის უკვდავებაზე ზრუნავდა, პეტრეს სიკვდილის შემდეგ, ზაქარია რიტორის ცნობით, შეადგინა სიტყვა, რომელიც იკითხებოდა პეტრე იბერის მოწაფეთა კრებაში მისი მოხსენიების დღეს.

სერგი რეშაინელმა სირიულ ენაზე თარგმნა ფსევდო დიონისეს ნაწარმოებები და თავის თარგმანში შეიტანა პეტრე იბერის მიერ მიზეზთა შესახებ დაწერილი თხზულების გადამუშავება (104:49). სერგიმ, – წერს შ.ნუცუბიძე, არ იცოდა ქართული ენა, რის გამოც, მან, როგორც ეს შემდეგ გაირკვა, სირიულ ენაზე თავისი სიტყვით გადმოსცა მიზეზთა შესახებ დაწერილი პეტრე იბერის შრომის იდეები (104:50).

შ.ნუცუბიძე პეტრე იბერის სირიული სკოლიდან გამოსულად თვლის VI ს. სომეხ მოღვაწეს დავით ანახტს (დავით უძლეველს). სომხეთში აღიარებული მონოფიზიტური მრწამსის გამო, – წერს შ.ნუცუბიძე, – დავითი იძულებული გამხდარა, სირიიდან დაბრუნებულს ქართლში ეცხოვრა და იქვე გარდაიცვალა (105:134-135). დავითი რომ ქართულ სამყაროსთან იყო დაკავშირებული იქიდან ჩანს, რომ მის ერთ-ერთ ნაწარმოებში მოიპოვება ქართული სიტყვა (104:176). აღნიშნული იმაზე მიგვიითითებს პეტრე იბერის მიერ დაარსებულ “სირიულ სკოლაში სომხებიც რომ იყვნენ გაერთიანებულნი (შ.ნუცუბიძე, არ გამორიცხავს, დავით ანახტი საქართველოში ასურელ მამებთან ერთად მოსულიყო).

რაც შეეხება იაკობ სპარსის წამების კოპტურ ვერსიაში პეტრე იბერის “ურჰაელად”, ხოლო “იბერთა მონასტრის” “ურჰაელთა მონასტრად” მოხსენიებას, როგორც შ.ნუცუბიძე ამტკიცებს, ასურელი მამები თუ პეტრე იბერის მიერ დაარსებული ფილოსოფიური სკოლიდან იყვნენ გამოსულნი, უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე იბერს ედესის ქართულ კოლონიასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. რამაც საფუძველი მისცა კოპტ ავტორს, პეტრე ურჰაელად მიეჩნია. ჩანს, კოპტ ავტორს, როგორც პეტრეს, ისე პალესტინასა და სირიაში მოღვაწე ქართველების სამშობლოდ ურჰა (ედესა) მიაჩნდა. აქედან გამომდინარე, იერუსალიმში პეტრეს მიერ დაარსებული მონასტერი “ურჰაელთა მონასტრად” მოიხსენიან.

კობტი ავტორის თვალში იბერიის იდენტური მნიშვნელობის ქვეყნად ურპას (ოსროენის) მიჩნევას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ჩრდ. შუამდინარეთის ის რაიონები, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, როგორც ვნახეთ ძველ ავტორებს შეიძლებოდა “სამხრეთის იბერიად” მიეჩნია. ასეთი ტრადიცია, როგორც ჩანს, ისე მყარი იყო სირიულ სამყაროში, რომ XVII საუკუნეშიც კი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი მდ. ეფრატის დასავლეთით მდებარე მიწებს ქართლის მეფის (საქართველოს) საკუთრებად თვლიდა.

### თავი XI. ედესიდან მამა ანტონის წამოსვლა. ედესის ქართული კოლონიის დასასრული

ედესიდან იოანეს მეთაურობით ასურელ მამათა წამოსვლის შემდეგ, იოანეს მონასტრისა და, როგორც ჩანს, კოლონიის წევრები თანდათან ტოვებდნენ ედესას და ქართლში მოდიოდნენ. ამ პროცესმა, მართალია საგრძნობლად დაასუსტა ედესაში არსებული ქართული კულტურული და სამეცნიერო ცენტრი (პეტრე იბერიის მიერ დაარსებული ფილოსოფიური სკოლა?), მაგრამ, ამის შემდეგაც ედესის ქართული კოლონია არსებობას განაგრძობდა. თვით ედესასა თუ მის მახლობლად მდებარე იმ მონასტერში, საიდანაც ასურელი მამები წამოვიდნენ კვლავ რჩებოდნენ იოანეს მოწაფეები, რა თქმა უნდა, არსებობას განაგრძობდა ქართული კოლონიაც. მაგრამ როდემდე?

ასურელ მამათა შესახებ არსებული მწირი მასალიდან ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იოანეს მონასტრის ძმობიდან, ყველაზე ბოლოს მამა ანტონმა დატოვა მონასტერი და იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის პირი ქართლში წამოიღო. ეს ხატი საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი სიწმიდეთაგანი შეიქმნა. ამიტომ მასზე შედარებით ვრცლად ვისაუბრებ.

\* \* \*

ედესიდან ქართლში მამა ანტონის მიერ ხელთუქმნელი ხატის მოტანის შესახებ როცა ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, დგება საკითხი, თუ რამდენად რეალურია იესო ქრისტეს მიერ ედესის მეფე აბგარისათვის ხატის გაგზავნის შესახებ ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ამბავი.

მეფე აბგარი რომ ნამდვილი, ისტორიული პიროვნება იყო, ამაში დაეჭვება არ შეიძლება. ამ ბოლო ხანებში აღიარებული იქნა იესო

ქრისტეს არსებობაც (ზემოთ ამის შესახებ უკვე ვისაუბრე). იმაზეც მივუთითე, ოსროენის მეფე აბგარი ერთადერთი მმართველი იყო, რომელსაც იესო ქრისტემ თავისი ხელთუქმნელი ხატი გაუგზავნა.

როგორც კ.კეკელიძე წერს, как бы ни смотреть с научной точки зрения на сказание о переписке царя Авгаря с Иисусом Христом, о присылке ему Спасителем своего нерукотворенного образа, о миссионерстве в Едессе апостолов Фоми, Фадея и Анании, одно несомненно, что в конце II или начале III века христианство в Едессе было религией государственной и отсюда оно проникло к соседним народам, между прочем, в Армению и Иверию (188:102).

ჩრდ. შუამდინარეთის პატარა სამეფო ოსროენა<sup>1</sup> და მისი დედაქალაქი ედესა, ერთადერთი ქვეყანა იყო, რომლის მიმართ იესო ქრისტემ ყურადღება გამოიჩინა. მაცხოვარმა მეფე აბგარს, როგორც ითქვა, თავისი ხელთუქმნელი ხატი გაუგზავნა. ქართული საისტორიო ტრადიცია სწორედ ამ ხატის პირის (კეცზე) შემოტანას მიაწერს ერთ-ერთ ასურელ მამას – ანტონს.

“მამა ანტონი შუამდინარელი”, როგორც ითქვა, იოანეს (ქართლში დამკვიდრების შემდეგ იოანე ზედაზნელი) მოწაფე იყო. “განშორებულთა შორის ფრიად სანდო და წარჩინებული” (168:212). მამა ანტონის მიერ ქართლში შემოტანილი “წმიდა...ხატი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი” საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი სიწმიდე გახდა. ქართლში შემოტანამდე ხატს საინტერესო თავგადასავალი გადახდა.

როგორც გადმოცემა გვაუწყებს, მეფე აბგარის (ავეგაროზის) თხოვნის შემდეგ, ქრისტემ თავისი სახე ტილოზე გამოსახა და თადეოსის ხელით მოუვლინა მეფეს და “განკურნა კეთრისა მისგან ქუემდებარისა”. განკურნების შემდეგ მეფე თავისი სახლეულით მონათლა, ხატი კი “აღმართა...ბჭეთა ზედა ქალაქისათა” იმ ადგილას სადაც მანამდე წარმართული კერპი იდგა (168:212-213).

მეფე აბგარის შთამომავლები ქრისტიანობას განუდგნენ. ამიტომ, ქედესის ეპისკოპოსმა იმ ადგილას, სადაც ხატი ესვენა (აქ “კამარედად ქმნილ იყო”) დადგა კანდელი ანთებული, საფარველად ტაძრისა მის,

<sup>1</sup> ძვ. წ. 132 წლიდან ახ. წ. 216 წლამდე ოსროენაში არსებობდა არაბი მომთაბარე ტომის – ოროის მიერ დაარსებული სამეფო მანუს მმართველი დინასტიით. მეფეებს ძირითადად აბგარი (“პლევაბოსილი”) ერქვათ. ძვ.წ. I ს-ში ოსროენა სომხეთის მეფე ტიგრან II-ემ დაიპყრო, შემდეგ რომაელებმა. ახ.წ. 116 წ. ანტირომაული აჯანყებისას ქედესა დაანგრიეს, 216 წ. რომაელებმა უკანასკნელი მეფე აბგარი გადააყენეს და ჩქარა ოსროენა რომის პროვინციად გამოცხადდა.

აღმართა კეცი წინა პირსა ხატისასა და აღმოყორა კარი კამარისა, და შეაფარილა რომელ ყოვლად არა ეტყობოდა” (168:213).

გავიდა ხანი. ირანის შაჰმა ხოსრო I-მა ანუშირვანმა (531-579) 540 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ძველ ავტორთა ცნობებით, საომარი მოქმედებები ძირითადად ჩრდ. შუამდინარეთში მიმდინარეობდა. საბრძოლო მოქმედებათა ერთ-ერთი ასპარეზი ქ.ედესა იყო.

როგორც მამა ანტონის “ცხოვრებაშია” ნათქვამი, “ხუასრო, სპარსთა მეფე, მოადგა ედესია ქალაქსა, და უწყო თხრა ქუეშე ზღუდესა”, სურდა ქალაქში ისე შესულიყო, ქალაქის დამცველებს ვერ გაეგოთ. მაშინ ღმერთმა “არა დაიდუმა უტყუველი აღთქმა”, ის აღთქმა, რომლის თანახმად, მისი ხელთუქმნელი ხატი ედესის დამცველი იყო (“ზღუდე ედესისა”). ქ. ედესის ეპისკოპოსს ევლავიოზს გამოეცხადა დედა ღმრთისა და უთხრა, თუ რომელი “ბჭის ზედა” იყო “ხატი იგი ხელით-უქმნელი დაფარული”. ეპისკოპოსი მიხვდა “ძილსა შინა ჩუენებულს” ჭეშმარიტებას, ამიტომ გამთენიისას ლიტანიით მივიდა მითითებულ ადგილას და იპოვა ხატი “ყოვლად განურყვნელი”. მიუხედავად იმისა, რომ ხატის დაფლვიდან “ჟამთა სიმრავლე” იყო გასული, კამარის გახსნისას აღმოჩნდა, რომ კანდელი ისევ ენთო ხატის წინ. იმ კეცზე კი, რომელიც ხატის საფარველად იყო აღმართული “გამოსახული იყო სხვა ხატი და მსგავსება წმიდისა მის საუფლოსა ხატისა, რომელი იგი სწორებით პატივ-იციემებოდეს”. კეცზე გადასული ხატი “ნისტორიანთა ეკლესიასა შინა დაესუნენეს” (168:213).

ქალაქის დამცველებმა კანდელის ზეთი “გარდააწუეთეს... მებრძოლთა მათსა ზედან...”, მომხდურებს ცეცხლი მოედო და ისინი “ვითარცა მტუერი განიბნივენეს, და უჩინო იქმნეს” (168:213). ანტონის “ცხოვრების” ცნობით, ასე მოიგერიეს ედესის დამცველებმა ირანელთა იერიში.

ქალაქზე ამ იერიშის დროს (544 წ. ზაფხულს) იოანეს მოწაფეთაგან მამა ანტონი კვლავ ედესაში იმყოფებოდა. მას შემდეგ რაც, ქალაქის დამცველებმა ირანელთა შეტევა მოიგერიეს, ირანელებმა ქალაქს ალყა მოხსნეს. “წმიდა ...ანტონი” “აღიძრა ტრფიალებითა მოძღურისა თვისისათა”, “იძია მოძღურისა თვისისა გზა” და გადაწყვიტა თვითონაც ქართლის ქვეყანაში წამოსულიყო. მაგრამ “ეძვინებოდა გულსა თვისს” (ე.ი. მის განრისხებას იწვევდა) ის, რომ “საუფლონი ხატნი” “ნისტორიანთა ეკლესიასა შინა იყვნეს”. ამიტომ “ადიყვანა კეცი, რომელი საფარველად მის ხატისა ყოფილ იყო, და ხატი ქმნულ იყო. ესე უჩინარად წარმოიყვანა, წინაძლომითა ანგელოზისათა და უწყებითა ზეციერითა, ჩრდილოეთს და მიიწია

მტკუარსა ზედან”. “განელო იგი და დაემკვიდრა აღმოსავლით... მათათა აკრიანთა” (168:213).

ანტონის “ცხოვრების” ცნობით, “ხატი იგი საუფლო” “არს ვიდრე დღეინდელად დღემდე უჩინრად, და სასწაულთ-მოქმედებს განცხადებულად, რომელ უადვილეს არს აღრიცხვა ზღვის ქვიშითა, ვიდრე საკვირველებათა საუფლოსა მის ხატისათა” (168:214). ქრისტეს სახე მართალია კეცზე იყო გამოსახული, მაგრამ იგი ტილოზე გამოსახული ქრისტეს ხატის “სწორებით პატივ იცემებოდა” (168:213).

რამდენად რეალურია მამა ანტონის “ცხოვრებიდან” ზემომოტანილი თხრობა?

კ.კეკელიძის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ედესის მეფესა და ქრისტეს შორის მიწერ-მოწერას მართლმადიდებლური ეკლესია აპოკრიფად თვლიდა, ექვთიმე მთაწმიდელს იგი მაინც უთარგმნია — “ებისტოლე ავგაროზ მეფისაი, რომელი მიუწერა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესსა”. ეს აპოკრიფი, — დასძენს კ.კეკელიძე, — მეტად გავრცელებულია მთელ საქრისტიანოში, მისი თარგმანი თითქმის ყველა ენაზეა ცნობილი. ექვთიმეს ეს აპოკრიფი სახარებასთან ერთად უთარგმნია და სახარებისათვის ბოლოში დაურთავს, როგორც ეს მიღებული იყო სხვა საქრისტიანო მწერლობაშიც. ექვთიმეს ეს თარგმანი მოთავსებულია...ალავერდის სახარებაში (63:195).

რატომაა საეჭვო იესო ქრისტესადმი მეფე აბგარის მიერ -გაგზავნილი წერილის რეალობა?

მეფე აბგარი, როგორც აღვნიშნე, ისტორიული პიროვნებაა. ისტორიული პიროვნება იყო იესო ქრისტეც — იესო ქრისტეს უმცროს თანამედროვეს, ებრაელ ისტორიკოსს იოსებ ფლავიუსს ამაში ეჭვი არ ეპარება. იოსებ ფლავიუსის ახალგაზრდობაში, ვფიქრობ, ჯერ კიდევ მრავლად იქნებოდა ხალხი, რომელთაც იესო პირადად ეყოლებოდათ ნანახი. იოსები ახ.წ. 37 წელს დაიბადა წარჩინებულ ებრაულ ოჯახში. იზრდებოდა იერუსალიმში. 20 წლისა იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავრად დააყენეს. შემდეგ, ერთხანს უდაბნოში იყო განდევნილად. მაგრამ ასეთმა ცხოვრებამ არ დააკამყოფილა, დაბრუნდა იერუსალიმში და რელიგიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება. გარდაიცვალა 58 წლის ასაკში 95 წელს (124:12-13).

ასე რომ, იოსებ ფლავიუსის ცნობები იესო ქრისტეზე მეტად საინტერესოა. როგორც პროფ. თ.ყაუხჩიშვილი წერს, “სპეციალისტები საგანგებო ყურადღებას აქცევენ იოსების თხზულების — “იუდეველთა სიძველეების” იმ ადგილს (XVIII, 3,3), სადაც იესო ქრისტეა ნახსენები. მართლაც, განაგრძობს თ.ყაუხჩიშვილი I ს. მოღვაწეს,

უარესად განათლებულ პიროვნებას, ტომით ებრაელს, იოსებ ფლავიუსს შეიძლებოდა თავისი აზრი ჰქონოდა იმ საკითხზე, რომელსაც მერე მსოფლიო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. “იუდეველთა სიძველეთა” ეს ადგილი ასე იკითხება: “დაახლოებით ამ დროს (იგულისხმება პონტოელი პატარა ტანადროული იუდეა. ვ.გ.) ცხოვრობდა იესუ, ბრძენი კაცი, თუ საერთოდ შეიძლება მას ადამიანი ეწოდოს. მან საოცარი საქმენი ჩაიდინა და გახდა მოძღვარი იმ ხალხისა, რომელიც ხალისით ეწაფებოდა ჭეშმარიტებას. მან მიიმხრო ბევრი იუდეველი და ელინი. ის იყო ქრისტე. ჩვენი გავლენიანი პირების დაჭინებით პილატემ მას ფვარზე გააკრა მიუსაჯა, მაგრამ მათ, ვისაც ის უწინ უყვარდა, ახლაც არ შეუწყვეტია მისი სიყვარული. მესამე დღეს [იესუ] კვლავ გამოეცხადა მათ ცოცხალი, როგორც გვაუწყეს მასზე და მის სხვა სასწაულებზე ღვთივშთაგონებულმა წინასწარმეტყველებმა...” (124:16).

თ.ყაუხჩიშვილის თანახმად, ზემომოტანილი ადგილი ერთნაირად იკითხება “იუდეველთა სიძველეთა” ყველა ხელნაწერში (რომელთა შორის ლათინური V-VI სს-ისაა), მას იმეორებენ საეკლესიო მამები-ევსებიოსი, იერონიმე, ორიგენე. ზოგ მეცნიერს, – დასძენს თ.ყაუხჩიშვილი, ეს ცნობა ინტერპოლაციად მიაჩნდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა “იუდეველთა სიძველეთა” X ს. არაბული ხელნაწერი, სადაც იგივე ადგილი უფრო გავრცობილად და ბერძნულისაგან განსხვავებული ვარიანტით არის, მეცნიერებაში ისევ დგას საკითხი, რომ აღნიშნული პარაგრაფი ნამდვილად იოსების კუთვნილია (124:16-17).

თუ იოსებ ფლავიუსის ცნობას დავეყრდნობით, იესო ქრისტე რომ ახ.წ. I ს-ში მცხოვრები პიროვნება იყო ეჭვი არ შეგვეპარება. რატომ არ შეიძლებოდა მისთვის მეფე აბგარს მართლაც მიეწერა წერილი? რაც შეეხება იესოს მიერ აბგარისათვის თავისი ხატის გამოგზავნას, არაა გამორიცხული ედესაში მართლაც არსებულიყო ხატი, რომელიც ამ ქალაქის მფარველად ითვლებოდა და მისი პირი წამოეღო მამა ანტონს ქართლში.

ახლა მამა ანტონის “ცხოვრებიდან” ზემომოტანილ სხვა ფაქტებს გადავხედოთ.

ა. რადგან მეფე აბგარის შთამომავლები ქრისტიანობას განუდგნენ, ხელთუქმნელი ხატი ედესის გალავნის კედელში (ეს ადგილი “კამარედად ქმნილ იყო”) თაღში დაასვენეს და ამოლესეს (ამოყორეს).



როგორც ძველადმოსავლურ ხანაში, ისე ახ.წ. I-IV და შემდეგ საუკუნეებშიც ჩრდ. შუამდინარეთის ქალაქებს ძირითადად ალიზის ზღუდეები ჰქონდა<sup>2</sup> და თავისუფლად შეიძლებოდა ალიზის კედელში ხატს ასწლულები განმავლობაში გაეძლო.

ბ. ანტონის “ცხოვრების” ცნობით, ედესის ალყის დროს ირანელებმა “ზღუდის ქვეშ” გვირაბის გაყვანა დაიწყეს, რათა ამ საშუალებით შეეღწიათ ქალაქში. “ცხოვრების” ამ ეპიზოდს შემდეგი ისტორიული რეალობა უდევს საფუძვლად. როგორც VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპიოს კესარიელი მოგვითხრობს, 544 წელს, ედესის ალყის დროს, ხოსრო I-ის ბრძანებით, ირანელებმა ქალაქის გალავნის გვერდით მიწაყრილის აღმართვა დაიწყეს. როცა მიწაყრილმა გალავნის სიმაღლეს გადააჭარბა, ქალაქის დამცველებმა, რომელთაც ქართველი უფლისწული პერანი ხელმძღვანელობდა, ქალაქის კედელთან მიწაყრილის ქვეშ გაიფანეს თხრილი, შევიდნენ ხელოვნურად ხეებზე აღმართული მიწაყრილის ქვეშ და ააფეთქეს<sup>3</sup> (209:188-202).

ანტონის “ცხოვრებაში”, უეჭველია, ედესის ალყის ამბავია მოთხრობილი, მაგრამ, გვიანდელი გადამწერის მიერ გვირაბის გათხრა ალყაშემორტყმულთა ნაცვლად, მოალყეებს აქვთ მიწერილი (მდრ. 94:19).

ჩენი კვლევისათვის მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი ირან-ბიზანტიის 540-562 წლების ომის დროს 543-544 წლებში ქ. ედესის დაცვას ქართველი მხედართმთავარი პერანი იბერიელი რომ ხელმძღვანელობდა. იგი “დასავლეთი ქართლისაის” (ეს იყო ტერიტორია ტაშისკარიდან შავ ზღვამდე) მმართველის გურგენის ძე იყო. 523 წელს ანტიირანული აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ გურგენი თავისი ოჯახითა და ახლობლებით ბიზანტიაში გაიქცა და მისი შთამომავლებიდან იმპერიის სამხედრო ასპარეზზე არაერთი დაწინაურდა.

პერანი რომ ქართველი უფლისწული იყო, ეს კარგად სცოდნია ირანის შაჰს ხოსრო I-ს. როგორც პროკოპიოსი გვამცნობს, იგი ალყაშემორტყმული ქალაქის მცხოვრებთაგან მოითხოვდა მისთვის

---

<sup>2</sup> იაკობ ნისიბისელის “ცხოვრებაში” არსებული ცნობით, ირანის შაჰმა შაბურ II (309-379) ნისიბისის ალყის დროს, რათა ქალაქის ალიზის კედელი დაეგურია მასზე მდინარის წყალი მიუშვა, მაგრამ წყალმა ალიზიდან ისეთი ლაფი დააყენა და იმდენი კოლო გაჩნდა, რომ ირანელები იძულებულნი გახდნენ ქალაქი მიეტოვებინათ (132: 362-363).

<sup>3</sup> ბიზანტიელებმა შსგავსი მოქმედება ჩაიდინეს 505 წელს ქამიდის ალყის დროს (207:118).

გადაეცათ პერანი და მისი თანამებრძოლი პეტრე (პეტრე წარმოშობით იყო ჩრდ. შუამდინარეთიდან – არზანენეს ოლქიდან), როგორც მისი ყოფილი ქვეშევრდომები, ან 500 კენტინარი ოქრო გადაეხადათ (209:195).

544 წლის ზაფხულში, მას შემდეგ რაც ქედესის მოსახლეობამ ირანის შაჰს ოქრო გადასცა, ირანელებმა ქალაქს ალყა მოხსნეს, იოანეს მონასტრის ძმობიდან ქედესაში დარჩენილ მამა ანტონს საშუალება მიეცა თავისი მოძღვრისაკენ წამოსულიყო. ამის შემდეგ ჩქარა პერანი ცხენიდან გადმოვარდა და მოკვდა (209:202-204).

ედესიდან “ჩრდილოეთით კერძო” იოანესი და “სხუათა თანა” მოწაფეებთან შესაერთებლად წამოსვლის წინ მამა ანტონი ნესტორიანთა ეკლესიაში “უჩინრად” და ყოველგვარი გართულების გარეშე რომ დაეუფლა “საუფლო ხატს”, იქნებ ამ საქმეში მას ქართველი უფლისწული დაეხმარა (ნესტორიანები, რა თქმა უნდა, ხატს ადვილად არ დათმობდნენ). ასევე, როცა ანტონმა “იძია მოძღურისა თვისისა გზა”, ცხადია, ქართლისაკენ მომავალი გზა ყველაზე კარგად ქართველ უფლისწულს ეცოდინებოდა.

\* \* \*

ბიბლიური სამოთხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრიდან ქედესიდან იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის პირის შემოტანა საქართველოში, ამავე ქალაქიდან განათლებული სასულიერო მოღვაწეთა მოსვლა, როგორც ითქვა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ადრექრისტიანული ხანის საქართველოს რელიგიურ, სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში. შეიქმნა ასურელ მამათა “ცხოვრებები”, რა თქმა უნდა, შეიქმნა ნაწარმოებები ხელთუქმნელი ხატის შესახებ.

ამ მხრივ საყურადღებოა, XIII ს. I ნახევრის ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის არსენ ბულმაისიმის ძის საგალობლები ხელთუქმნელ ხატზე. არსენს საქართველოს საკათალიკოსო ტახტი ჯალალედინისა და მონღოლთა შემოსევების დასაწყისის დროს ეკავა. იგი იღვწოდა საქართველოს სიმტკიცისა და დამოუკიდებლობისათვის. ქმნიდა ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს წმინდანთა და დღესასწაულთა სადიდებლად. საქართველოში ხელთუქმნელი ხატის ჩამოსვენებისადმი მიძღვნილი მისი საგალობელი პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული და მიზნად ისახავს მტერთაგან შევიწროებული ქართველების გამხსნევებას (იხ. 95).

არსენის თანახმად, ანტონის მიერ ედესიდან ჩვენში ხელთუქმნელი ხატის მოტანა გამოწვეული იყო იმით, რომ ანტონს არ სურდა ხატი “ღმრთის მბრძოლისა ნესტორის შვილთა” ხელში

ყოფილიყო. მეორე მხრივ, ხატის მოტანის მიზეზი იყო მაცხოვრის “დიდი სიყვარული ნათესავისა მიმართ ჩუენისა”. ჰიმნოგრაფის აზრით, ხელთუქმნელი ხატის ქართლად შემოსვლა იმას მოასწავებდა, ქართველები რომ წარმოადგენენ “ერსა საზეპუროსა”. “ერნო ქართლისანო, – მოგვიწოდებს არსენი, – გიხაროდენ და აღიპყრენით ხელნი და მადლობაი შესწირეთ ხატსა ამას ყოვლადუხრწნელსა ხელითუქმნელსა, რამეთუ ესე არს სამეუფოისა ამის სიმტკიცე, ძალი და ღიდებაი, და ხმობდით: მონიჭე მეფესა ჩუენსა ძლევაი, ქრისტეს ღმრთისა ხატო საშინელო” (63:327).

ხელთუქმნელი ხატის ქართლში შემოტანა ანტონ მარტყოფელის მიერ – ფაქტი უცილობელი და ურყეველი ქართლის ეკლესიის რწმენით, ჰიმნოგრაფს აგონებს მაცხოვრის მიერ თაბორის მთაზე “ბუნებრივი ხატის” ცვალებას. ამიტომ არსენის ჰიმნებს ხელთუქმნელ ხატზე 6 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს გალობდა საქართველოს ეკლესია. ამავე დროს მსოფლიო ეკლესია 16 აგვისტოს დღესასწაულობდა იმავე ხელთუქმნელი ხატის ედესია ქალაქიდან კონსტანტინოპოლში გადასვენებას. არსენმა ამ დღესასწაულსაც მიუძღვნა ჰიმნები. არსენს აინტერესებდა როგორ მოხდა, რომ ერთი და იგივე ხატი ჩვენშიც მოიტანეს და კონსტანტინოპოლშიც? და არსენი თვითვე პასუხობს: “ქალაქთა მზემან (ე.ი. კონსტანტინოპოლმა. ვ.გ.) ტილოი, ხოლო ქართლმან კეცი დაიმკვიდრა სიმდიდრედ საცხოვრებლად”. ეს გარემოება, კეკელიძის თანახმად, საბუთს აძლევს ჰიმნოგრაფს თქვას: “სიხარულით აღიტყუელენ ხელნი, ჰოი ქართველთა სამეუფეოო, არასადა უმრწემეს ხარ ქალაქთა შორის ახალისა ისრაილისათა; ქართველთა მეფობაო, იხარებდ და განცხრებოდე”. შემდეგ არსენი ვედრებით მიმართავს მაცხოვარს: “მეფე მორწმუნე. შენ მიერ გვირგვინოსანი, განამხნევე ძლევად მტერთა და გამოაჩინე იგი მძლედ ბარბაროზთაო”. კეკელიძის დასკვნით, ამ პატრიოტული გრძნობით ნაკარნახევი სიტყვების მიზანი უნდა იყოს მონღოლებისა და ჯალალედინის შემოსევების გამო სულით დაცემული ქართველების გამხნეება (63:327-328).

მამა ანტონის მიერ მარტყოფის მონასტერში დასვენებული ხატი, როგორც ვნახეთ, XIII საუკუნეშიც დიდ სიწმიდედ ითვლებოდა. რა მოხდა შემდეგ რა მოუვიდა ხატს?

პლატონ იოსელიანის თანახმად, ხელთუქმნელმა ხატმა საქართველოში არაერთი სასწაული მოახდინა და განსაკუთრებით გაითქვა სახელი. საქართველოში თემურ ლენგის ლაშქრობამდე იგი მარტყოფის მთავარ მონასტერში იყო დასვენებული. თემურ ლენგის ლაშქრობისას მონასტრის მოძღვარნი ეპისკოპოს გიორგის

ხელმძღვანელობით ჩქარობდნენ სამონასტრო სიწმინდენი და საგანძური მიწაში საიმედო ადგილას დაეფლათ. გიორგი მარტყოფელი (ეპისკოპოსი) მოკლულ იქნა მტრების მიერ და მას საშუალება არ მიეცა მონასტრის ძმობისათვის განეცხადებინა თუ სად იყო დამალული წმინდა განძი. შემდეგში ტაძრის მსახურნი ცდილობდნენ მოეძებნათ განძი, მაგრამ მათი ცდა ამაო გამოდგა. ეს განძი დღემდეა მიუკვლეველიო.

ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე იყო ხატის გამოსახულება, ამიტომ პ. იოსელიანის სიტყვით, ეკლესიის მსახურებს ხატი ამ სვეტის შიგნითაც უძებნიათ. ქართული ეკლესია — განაგრძობს პ. იოსელიანი, ძველთაგანვე უგალობს საგალობლებს ამ წმიდა ხატს და მის მიერ თაყვანისმცემელთა მიმართ მოხდენილ სასწაულებს. ასევე ძველთაგანვე მამა ანტონს გამოსახავენ ხელთუქმნელი ხატით გულზე (181: 11-12).

როგორც პ. იოსელიანი წერს, 1752 წლამდე, მარტყოფის მონასტრის გაუქმებამდე, მონასტერში იმყოფებოდა მეორე ასევე ძველი ხელთუქმნელი ხატი. ამ წელს მონასტერი ლეკებმა გაძარცვეს. მაგრამ ხატი გადარჩა და იგი თბილისში გადაასვენეს — მისთვის საგანგებოდ აგებულ სამლოცველოში. შემდეგში, ხატის ოქროს ძველი მოჭედილობა ბერძენმა მხატვარმა ქსანტოპულომ განაახლა. ახალ ჭედურობაზე ჩანს ბერძნული წარწერა, რომლის გარჩევა ჭირსო. 1818 წელს საქართველოს ეგზარქოსმა მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ ხატი სიონის კათედრალურ ტაძარში გადაასვენა. სადაც იგი დღესაც მორწმუნეთა განსაკუთრებულ მოკრძალების საგანია (181: 12-13).

\* \* \*

დასკვნები: I. ქართული (ასევე სომხური) საისტორიო ტრადიცია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ჩრდილოეთი შუამდინარეთისადმი. ძველი ქართველი ავტორი ჯუანშერი თუ ჯაზირეთის (შუამდინარეთის) ნახევარს (ე.ი. ჩრდ. შუამდინარეთს) თვლის ქართლის მეფეთა საკუთრებად, მოესეს ხორენაცი გარდა იმისა, რომ შუამდინარეთს სომხურ მიწებად მიიჩნევს, ოსროენის მეფეებს სომხებად, ხოლო ოსროენის დედაქალაქ ედესას სომხების დაარსებულად აცხადებს.

ყოველივე აღნიშნული, ცხადია, ქართველთა და სომეხთა თვალში ჩრდ. შუამდინარეთის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

II. ქრისტიანული ქვეყნების, მათ შორის საქართველოსი და სომხეთის დაინტერესება ჩრდ. შუამდინარეთით შეიძლება გარკვეულწილად ბიბლიის იმ ცნობას ემყარება, რომლის თანახმად,

ჩრდ. შუამდინარეთი იესო ქრისტესი და მისი წინაპრების (მისი მოღვაწის ხალხის) სამშობლო იყო. ბიბლიის გადმოცემით, ჩრდ. შუამდინარეთი და მისი მიმდებარე მხარეები რადგან “ედემის ბაღს”, “სამოთხეს” წარმოადგენდა, მეორე მხრივ, ბიბლიური სამოთხის ერთ-ერთ მდინარეს – ფისონს, მდ. ფაზისთანაც (მდ. რიონი) აიგივებენ, საფუძველი იქმნება ჩრდ. შუამდინარეთთან ერთად, კოლხეთი და სამხრეთი ამიერკავკასია ბიბლიურ სამოთხეში შემაჯავლ ისეთ მხარეებად მივიჩნიოდ, რომელთაც ერთიანი კულტურა ასაზრდოებდა.

III. ჩრდ. შუამდინარეთი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, რადგან ქართველთა წინაპრებად მიჩნეული ტომების განსახლების არეალი აღმოჩნდა, ჯუანშერს გარკვეული საფუძველი ჰქონდა ჯაზირეთის ნახევარზე ქართლის მეფეთა პრეტენზიებზე მიეთითებინა.

IV. ძველადმოსავლური წყაროები ქართველთა წინაპრებად მიჩნეულ მუშქებს, უკვე ძვ. წ. XII ს-ში ასახელებენ, როგორც ძლიერ და ხალხმრავალ ტომს (გრ. გიორგაძე). იმავე მუშქებსა და თობალებს კარგად იცნობს ბიბლია.

“შესაქმეთა” წიგნის ავტორის თანახმად, ბიბლიური ლემეხის მესამე ვაჟი თობალი “იყო მჭედელი სპილენძისა და რკინისა”. იგივე “შესაქმე” იაფეთის ძეთა შორის ასახელებს “თობალ”-სა და “მოსოხს”. მეორე მხრივ, ძველი ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის (ასევე, მისგან მომდინარე საისტორიო ტრადიციის) მტკიცებით, ბიბლიურ თობალებს შემდეგში რადგან იბერები ჰქვიათ, ხოლო მოსოხებს (მესხებს) კაპადოკიელები, გასაგები გახდება ქართული საისტორიო ტრადიცია რატომ მიიჩნევს ჩრდ. შუამდინარეთს ქართველთა კუთვნილებად.

V. ჩრდ. შუამდინარეთში, ისტორიული საქართველოს ფარგლებს გარეთ – მდ. არცანია-მურად-სუს სამხრეთით (აქ იყო ალზი – “მუშქთა ქვეყანა”, ძველადმოსავლური წყაროების შუბრია), ასევე აღმოსავლეთ მცირე აზიაში თუ მუშქები, თობალები, და სხვა ქართველური მოღვაწის ხალხები ცხოვრობდნენ, აღმოსავლეთ შუამდინარეთში – მდ. კენტრიტის აუზი, ქართველთა ერთ-ერთ წინაპრად მიჩნეული კარდუნთა განსახლების არეალი იყო (ესაა ძველადმოსავლური წყაროების ხუბუშქია). თვით საქართველოს მცხოვრებლებთან ერთად სწორედ ეს მოსახლეობა ქმნიდა ერთიან ქართულ სამყაროს და მონაწილეობდა ქართული კულტურის შექმნაში.

VI. სამხრეთში მცხოვრები ქართველური მოსახლეობისათვის ისტორიული საქართველოს ტერიტორია ჩრდილოეთის ქვეყანა – “იბერია” იყო (სემიტურ ენებში “იბერ” იქითა მხარეს გადასულს ნიშნავს. ამიტომ სირიულ-ასურული კულტურული სამყაროს

გავლენით შექმნილ ლიტერატურულ ძეგლებში საქართველო “ჩრდილოეთის” ქვეყანაა). ამ ტერმინში ასახული უნდა იყოს სამხრეთიდან ჩრდილოეთში ქართველური მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გადმოსახლება. ასევე ტერმინ “იბერ”-იდანაა ნაწარმოები ქართველთა სომხური სახელწოდება “ვირ”-ქ (ვერ). სომხურად “ივერ” “ზემოს” “ზემო ქვეყანას” – ჩრდილოეთის ნიშნავს (პ. ჰიუბშმანი) – სომხებისათვის საქართველო მართლაც ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა იყო. ასე რომ, ტერმინი “იბერია”, როგორც ფიქრობდნენ, ბერძნულ სამყაროში არაა შექმნილი. საყოველთაოდ ცნობილია: ბერძნები საქართველოს “გეორგიას” რომ უწოდებდნენ, ხოლო სირიელები “გურზან”-ს.

VII. ძველ საქართველოში ეროვნული კულტურის აღმავლობა ძვ. წ. III ს-ში, ახალი ქართლის სამეფოს შემქმნელის, მეფე ფარნავაზის მიერ “ქართული მწიგნობრობის” შექმნით დაიწყო. ახ.წ. IV ს-ში კი, მეფე მირიანის (გარდ. 334 წ.) ზეობისას “ძველი და ახალი” წიგნების არსებობა იმის მაჩვენებელია, ქართლში ქრისტიანულმა კულტურამ დიდი აღმავლობა რომ განიცადა. თავის მხრივ, ადრექრისტიანული ხანის ქართული კულტურის ფესვები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. მას საფუძვლად უდევს: ერთის მხრივ, ძვ. წ. XII ს-ში შექმნილი დიაოხისა და კოლხას ქართული გაერთიანებებიდან მომდინარე, გენეტიკურად ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურებთან დაკავშირებული კულტურული ტრადიციები, მეორე მხრივ, ძვ.წ. 676 წ. შემდეგ ახლო ხანაში ქართლში სახელმწიფოებრიობის დიდი ტრადიციების მქონე მუშქ-მესხთა მიერ შემოტანილი კულტურა.

VIII. IV-V სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის გაანალიზებისას აშკარად გამოიკვეთა ძველი საქართველოს კულტურულ-იდეოლოგიური კავშირები ასურულ-სირიულ სამყაროსთან. კერძოდ, ჩრდ. შუამდინარეთის მთავარ კულტურულ და რელიგიურ ცენტრთან ქედესასთან. ჩრდ. შუამდინარეთის ქალაქებიდან ქართველთა განსაკუთრებულ ინტერესს, სწორედ ქედესა იწვევდა.

ქართველთა დაინტერესებას ჩრდილოეთი შუამდინარეთით ისიც განსაზღვრავდა, რომ ქედესაში იყო მთელ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი უმაღლესი სკოლა-აკადემია. სადაც მოსწავლეები ცოდნას ეუფლებოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო დისციპლინებში. ედესაში სასწავლებლად ჩადიოდნენ მეზობელი ქვეყნებიდან, მ.შ. საქართველოდანაც.

IX. V საუკუნისა და საერთოდ, უფრო ადრინდელი ხანის საქართველოში სკოლები (საერთოდ, სწავლა-განათლებისა და აღზრდის სისტემა), ჩრდ. შუამდინარეთის საგანმანათლებლო სისტემის – “ნისიბისის სკოლის ყაიდაზე” იყო მოწყობილი. ჩრდ. შუამდინარეთის (კარდუხთა ქვეყნის) მნიშვნელოვანი კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრის – ნისიბისის სკოლაში უმთავრეს სასწავლო საგნად ითვლებოდა “ბიბლიური ტექსტის შესწავლა და ახსნა-განმარტება”. “ეკლესიაში საჯაროდ ღვთისმსახურების შესრულება” (კ.კეკელიძე). რაც ასე საჭირო და აუცილებელი იყო IV-VI სს. საქართველოს ეკლესიისათვის.

X. საქართველოდან ედესაში სავაჭროდ, სასწავლებლად თუ მუდმივ საცხოვრებლად ჩასულებთან ერთად, იმ დროისათვის ჩრდ. შუამდინარეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე (აღმ. კაპადოკიაში) ვერ კიდევ მცხოვრებმა, ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომების წარმომადგენლებმა შექმნეს ის ქართველური კოლონია, რომელიც IV-VI სს. ედესაში არსებობდა.

ქ.ედესაში ქართული კოლონიის არსებობას ადასტურებს სირიულ წყაროში (“ედესის ქრონიკა”) არსებული ცნობა 499 წლის სექტემბერში მიწისძვრის გამო “იბერიელთა აბანოსათვის” სამი დღის განმავლობაში წყლის შეწყვეტის შესახებ.

XI. ედესაში მხოლოდ ქართული კოლონიის არსებობით აიხსნება ჯუნშერის ის ცნობა, რომლის თანახმად, ვახტანგ გორგასლის დედამ – დედოფალმა საგდუხტმა 8 წელი (460-468) ედესაში რომ გაატარა და იქ ელოდა ირანის შაჰთან ერთად ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად წასულ ვახტანგს. ასევე, ქ.ედესაში ქართული კოლონიის არსებობას ადასტურებს სვიმეონ მესვეტისა და მისი დედის – მართას “ცხოვრებებში” არსებული ის ცნობები, რომელთა თანახმად, სვიმეონთან “მასობრივი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ქართველებს” და ბევრი მის მონასტერში რჩებოდა საბერძნეთისა და სომხეთისაგან მოღვაწეობისათვის. სვიმეონის “ცხოვრებიდან” ჩანს, მის მონასტერში ქართველები დიდ როლს რომ თამაშობდნენ. სავარაუდოა, მართასი და სვიმეონის ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ VI ს. 30-იან წლებში ქართლში შემოსულ ასურელ მამებს.

XII. ჩრდ. შუამდინარეთის კულტურულ ცენტრებთან ქართული სამყაროს ძველთაგანვე არსებულმა ეკონომიკურმა და კულტურულმა

---

“ედესის ქრონიკის” ნ. პიგულევსკაიასეულ რუსულ თარგმანში “აბარნის” ცხელ წყლებზეა მითითება (226:93). ტიგრანოკერტთან იბერიის არსებობა, როგორც შევნიშნე (იხ. ზემოთ), გ. სტრატანოვსკისაც ეეჭვებოდა, მაგრამ ტექსტიდან არ ამოუღია.

კავშირებმა ახ.წ. IV ს-დან ახალი სახე მიიღო. გარდა იმისა, რომ ჩრდ. შუამდინარეთის ქალაქების: ედესის, ნისიბისისა და ბატნანის ბაზრობებზე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ ვაჭართა შორის იყვნენ ვაჭრები, ლაზიკიდან და იბერიიდან (ნ.პიგულეესკაია), საქართველოში განათლების ნისიბისის სისტემის გამო, ჩრდ. შუამდინარეთში არამეული ენის ედესის დიალექტზე შექმნილი სირიულიდან და ბერძნულიდან თარგმნილი ქრისტიანული ლიტერატურა (მათ შორის “წმინდა მამათაგან დაწერილი წიგნები”) იმთავითვე ხელმისაწვდომი შეიქმნა ქართველთათვის. IV-VI სს. ქართლის სამეფოში ისეთი ძალების აღზრდასა და მომზადებაში, რომელთაც ხელეწიფებოდათ იმ დიდი ეროვნული საქმის გადაჭრა რასაც სირიულიდან ქართულ ენაზე “წმინდა წიგნთა” თარგმნა მოითხოვდა, ჩრდ. შუამდინარეთთან საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ კავშირებს უნდა შეეწყო ხელი.

XIII. ავტოკეფალიის მოპვების დროისათვის (487/88 წ.) ქართველებს უკვე საკუთარი ქრისტიანული ლიტერატურა ჰქონდათ. ორიგინალური ქრისტიანული მწერლობის შესანიშნავი ნიმუშებისა და ბიბლიის წიგნთა მაღალი ღირსების თარგმანების შექმნით, ქართლის სამეფო იმ დროის მოწინავე ქრისტიანულ ქვეყანათა რიგში ჩადგა. V საუკუნისათვის ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურის ასეთი დაწინაურება, იმის მაჩვენებელი იყო, IV-VI საუკუნეებისათვის ქართულ მწერლობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები რომ ჰქონდა.

XIV. ედესის ქართული კოლონიის წევრები მხოლოდ ვაჭრობითა და განათლების მიღებით არ იყვნენ დაკავებულნი. განათლებული ქართველები იქ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდნენ. მცხეთასთან ერთად, სწორედ ქ. ედესა უნდა ყოფილიყო მძლავრი მთარგმნელობითი კერა. ქრისტიანული ლიტერატურა ქართულად სირიულიდან რომ ითარგმნებოდა, ამის დასტურია უცხოენოვანი ტექსტიდან გადმოღებული მასალის აღსანიშნავად ქართულ ლექსიკაში სირიული სიტყვის “თარგმანის” დამკვიდრება. როგორც ფიქრობენ, ქართულ ენაზე ბიბლიის პირველ მთარგმნელთა სახელების მოუხსენებლობას ქრისტიანულ მოკრძალებასთან ერთად, ისიც განსაზღვრავდა, ამ საქმის შემსრულებელი ერთი ან ორი კაცი კი არა, მთელი კომისია რომ უნდა ყოფილიყო (კ.დანელია).

XV. IV-VI საუკუნეებში ქართველები სასულიერო ხასიათის წიგნებს თარგმნიდნენ ბერძნულიდანაც. ერთ-ერთ ასეთ მთარგმნელად გვევლინება “იერემია ურჰაელი” (იგივე ედესელი) “ქართველი მართლმადიდებელი, ყარიზობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული” (ეს იერემია 431 წელს ქ.ეფესოში გამართული



მსოფლიო საეკლესიო კრების მასალებშიც იხსენიება). იერემია ქედესის ქართული კოლონიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩანს. ედესაში ქართული კოლონიის არსებობის მიუხედავად, იერემია „ყარიბობის“ გამო სამშობლოდან დაშორებას განიცდიდა.

XVI. იერემია იბერიელის გარდა უცხოენოვან ძეგლებში „ურჰაელად“ (ედესელად) არის მოხსენიებული V ს. ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი (ურჰაელად იგი იაკობ სპარსის „წამების“ კოპტურ და არაბულ ვერსიებში იწოდება). ამავე ძეგლებში იერუსალიმში პეტრე იბერიის მიერ დაარსებული იბერთა მონასტრის „ურჰაელთა მონასტრად“ დასახელება, როგორც ჩანს, იმაზე მიგვითითებს ძველი კოპტი ავტორის თვალში ჩრდ. შუამდინარეთი და მისი მთავარი ქალაქი ედესა (ურჰა), აღმ. საქართველოს ძველი სახელის – იბერიის შინაარსის იდენტური რომ იყო.

XVII. როგორც შ.ნუცუბიძე ამტკიცებს, ასურელი მამები თუ მართლაც პეტრე იბერიის მიერ შექმნილი „სირიული სკოლიდან“ (სადაც ქართველებთან ერთად არაქართველებიც სწავლობდნენ) იყვნენ გამოსულნი და ისინი ამ სკოლაში განათლებამიღებულნი ჩამოვიდნენ საქართველოში (და აქ მათ პეტრე იბერიის იდეები ასახეს), მაშინ ასურელი მამები საქართველოში რადგან ქედესიდან (ანტიოქია, ურჰა) მოვიდნენ, გამოდის, რომ პეტრე იბერიის მიერ დაარსებული ის სკოლა, რომელზეც, შ.ნუცუბიძე მიუთითებს, ქედესის ქართულ კოლონიასაც მოიცავდა. ასეთი თვალსაზრისის სასარგებლოდ უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ ჩრდ. შუამდინარეთიდან იყო და იქვე მოღვაწეობდა, „სირიული სკოლიდან“ გამოსული პეტრეს ერთ-ერთი მოწაფე სერგი რეშაინელი (გარდ. 536 წ. რეშაინის მონასტერი ჩრდ. შუამდინარეთში ქ. ამიდის მახლობლად მდებარეობდა).

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ, როგორც შ.ნუცუბიძე წერს, შეიძლება, მართლაც, პეტრე იბერი იგულისხმება ჩახრუსაძის მიერ ნახმარ გამოთქმაში – „ბრძენი ასური“.

XVIII. ძველ ქართულ წყაროებში ჩრდ. შუამდინარეთის ქალაქების (ნისიბისის, ედესის) ელჩისტური სახელით – ანტიოქიად მოხსენიება, შემთხვევითი არაა. V ს. საქართველოში ჯერ კიდევ იჩენდა თავს ძველადმოსავლური კულტურული ტრადიციები. იმ დროის ქართული ცოდნა და კულტურა მნიშვნელოვანწილად ისევ ამ ტრადიციებით საზრდოობდა. ასეთი ტრადიციების დაკარგვას საქართველოში ბიზანტინიზმის დამკვიდრებამ შეუწყო ხელი. ამ დროს მოხდა „გადაფასება რელიგიურ-კულტურული წარსულისა“, მოიშალა „ყოველგვარი კვალი აღმოსავლური იდეოლოგიისა და ნიადაგი

მოუმზადა ორთოდოქსალური ბიზანტინიზმის” გამარჯვებას (კ.კეკელიძე).

XIX. ქართველები IV-VI საუკუნეებში ძირითადად თუ აღმოსავლეთის ქრისტიანულ ცენტრებთან იყვნენ დაკავშირებულნი, შემდეგში პირი იბრუნეს რა დასავლეთისაკენ (ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის ცენტრებისაკენ) იქაც გაიჩინეს სამონასტრო ცენტრები. მას შემდეგ რაც ჩვენში ბიზანტინიზმი დამკვიდრდა, ქართული საზოგადოება ბიზანტიური განათლებისა და სწავლა-აღზრდის ორბიტაში ჩაება. ბიზანტინიზმის გამარჯვებას ასევე ხელი შეუწყო სასანიანი შაჰების რელიგიურმა პოლიტიკამ და აღმოსავლეთში (კერძოდ შუამდინარეთში) არაბთა დამკვიდრებამ. რის შედეგადაც თანდათან დაიკარგა, ან დავიწყებას მიეცა ის ცოდნა, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში ქართველ ხალხს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებიდან ჰქონდა შეთვისებული. აღნიშნულით უნდა აიხსნას, ძველ ქართულ წყაროებში არსებული ზოგიერთი ცნობა სპეციალური კვლევა-ძიების შემდეგ რომ ხდება გასაგები (მაგ. ჯუანშერთან მოხსენიებული ქანტიოქია, აბაშეთი და სხვა).

XX. ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი ჩრდ. შუამდინარეთის ქანტიოქია (ედესა, ურჰა) იყო. ასურელი მამები, მათ შორის დავითი და აბიბოსი (ანტონის გარდა), იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით VI ს. 30-იანი წლების შუახანებში (დაახლ. 534 წელს) მეფე ფარსმან სხვაისა (დაახლ. 525-535) და კათალიკოს ევლავიოსის დროს მოვიდნენ ქართლში. მათი მოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ ევლავიოსმა ისე წილკნის, ხოლო აბიბოსი ნეკრესის ეპისკოპოსად დაადგინა. ირანელი მარზპანის ბრძანებით, აბიბოსი 537-555 წლებს შორის აწამეს.

XXI. ანტონი, როგორც ჩანს, მონასტრის იმ ძმობას განეკუთვნებოდა, რომელნიც იოანესთან ერთად წამოსულთა შორის ვერ მოხვდნენ. ანტონი, რადგან 544 წელს ირანელთა მიერ ქედესის გარემოცვის თვითმხილველი იყო, მას, როგორც კ.კეკელიძე ფიქრობს, მართლაც 544 წლის ზაფხულში უნდა დაეტოვებინა ქალაქი და ქართლში წამოსულიყო.

მამა ანტონის მიერ ედესიდან ქართლში მოტანილი ხელთუქმნელი ხატის პირი ქართული ეკლესიის ერთ-ერთი დიდი სიწმინდეთაგანი შეიქმნა. ასურელი მამები, რომლებიც წარმოშობით ძირითადად ჩრდ. შუამდინარელი ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, დიოფიზიტური მრწამსისანი იყვნენ. მათ, ქართლში ირანელთა ბატონობის გამო შერყეული დიოფიზიტობის გამყარება ჰქონდათ

მიზნად. ამიტომ მიიჩნია ისინი ქართულმა ეკლესიამ “განწმენდელად სჯულისა” და წმინდანებად შერაცხა.

XXII. საქართველო-შუამდინარეთის ურთიერთობისათვის მეტად მნიშვნელოვანია ის მასალები, რომელნიც 410, 420 და 424 წლებში სელევკია-ქტეზიფონში გამართულ ნესტორიანთა საეკლესიო კრებებსა და 424 წლის კრებაში ქართველთა მონაწილეობას ეხება. ამ დროს ქართლი რადგან ისევ ირანისა და ბიზანტიის გავლენაში მყოფ ორ სამეფოს წარმოადგენდა, 424 წლის კრებაზე ირანის გავლენაში მყოფი ქართლის სამეფოს წარმომადგენელს უნდა მიეღო მონაწილეობა. V ს. I ნახევრის ქართლის მოსახლეობის მრწამსი ძირითადად ისევ მართმადიდებლური რჩებოდა. სელევკია-ქტეზიფონის საეკლესიო კრებაში ქართველთა მონაწილეობა ირანის შაჰის ზეწოლის შედეგი იყო.

P.S.

ამ წიგნის შესავალში დასმული საკითხები როგორ გადავწყვიტე, ეს მკითხველმა განსაჯოს. საქმე ისაა, რომ ასეთი საკითხების დასასმელად ძველი წყაროები საფუძველს იძლეოდა და მათ პასუხის გაცემა ესაჭიროებოდა.

მონოგრაფიაზე მუშაობისას მე მხოლოდ ის მაკვირვებდა, ჯუანშერის ცნობები (მხედველობაში მაქვს ჯაზირეთის ნახევრის ქართველთა კუთვნილებისა და 8 წელი ქართლის დედოფლის — საგდუხტის ედესაში ყოფნა) იმ მეცნიერთა ყურადღების საგანი რომ არ გახდა, რომელნიც ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლების არეალად ისტორიული საქართველოს ტერიტორიის გარდა, სამხრეთ ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ შუამდინარეთის ცალკეულ რაიონებსაც მიიჩნევდნენ.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში არსებული თეორია, ქართველთა წინაპრების სამხრეთით ვრცელ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ იმდენად პოპულარული ყოფილა ქართულ საზოგადოებაში, რომ მას რაფიელ ერისთავმა ლექსიც კი მიუძღვნა. XX ს. 30-იანი წლებიდან ქართველთა ავტოქტონობის დამტკიცებასთან ერთად, აღნიშნული თეორია უარყოფილი იქნა. მაგრამ, როგორც ჩანს, საისტორიო წყაროების მონაცემებმა გარკვეული საფუძველი მისცა აკად. ს.ჯანაშიას ქართველთა მონათესავე ტომების განსახლება ისტორიული საქართველოს ტერიტორიის გარდა, შრდ. შუამდინარეთშიც ევარაუდა. ასეთ თვალსაზრისს არაერთი მკვლევარი უჭერდა მხარს. ამ ბოლო

ხანს ს. ჯანაშიას თვალსაზრისიც უარყოფილი იქნა. ქართველთა წარმომავლობისადმი მიძღვნილ უახლეს გამოკვლევებში (იხ. 24ა. ავტორები: აკად. გრ. გიორგაძე და პროფ. ნ. ხაზარაძე) ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, ბ.კუფტინი (ასევე ქართველი ხალხის წარმოშობისადმი მიძღვნილი გ.მელიქიშვილის წიგნი) საერთოდ არ არიან ნახსენები. ქართველთა განსახლების არეალი სამხრეთით ძალიან შეიზღუდა.

საინტერესოა ის, რომ თუ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი უყურადღებოდ ტოვებს აკად. ს.ჯანაშიას ზემონახსენებ თვალსაზრისს, ჩვენი საშუალო სკოლების მოსწავლეები, სწორედ ახლა ეცნობიან რ.ერისთაის დასახელებულ ლექსს (იგი შეტანილია IV კლასის კლასგარეშე საკითხავ წიგნში). მეოთხე კლასელები ასევე ეცნობიან აკად. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისზე დაყრდნობით შექმნილ გალაქტიონ ტაბიძის ლექსს, რომელიც 26 საუკუნოვან ქართულ ანბანს ეძღვნება. ასე, რომ ზემოდასახელებული ლექსების სახელმძღვანელოში შეტანით, ჩვენი სკოლების აღსაზრდელებს ვფიქრობ, სამართლიანად უღვივებენ ინტერესს ისეთი საკითხებისადმი, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება.

ისტორიული სინამდვილე ჩვენმა ნაშრომმა რამდენად და როგორ გადაწყვიტა, საკითხის ერთი მხარეა, ერთი კი ცხადია, ამ საკითხების კვლევა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ჯუანშერის ზემომოტანილი ცნობები მეტ ყურადღებას იმსახურებს.

Родина ассирийских отцов и Грузия  
Резюме

Грузинская историческая традиция сохранила память о родственных племенах, проживавших в Северной Месопотамии. Древнегрузинский историк Джуаншер считает «половину Джазирети», т.е. Северную Месопотамию, принадлежащей картлийским царям.

Население Хубушкии и Шубрии – древневосточных государств в Северной Месопотамии – обычно считают хурритским (Г.А.Меликишвили, И.М.Дъяконов, Д.Н.Саркисян и др.). Однако, Хубушкия была расположена к югу от совр. реки Бохтан-Су, где позднее проживали кардухи, которые по мнению большинства исследователей (И.А.Джавахишвили, С.Р.Горгадзе, С.Н.Джанашиа, К.Леман-Хаупт, Г.А.Меликишвили, П.И.Ингороква и др.), были картвельским (грузинским) племенем. Исходя из этого, Хубушкию скорее следовало бы признать грузиноязычной, а не хурритской страной. Это предположение подтверждается также и наличием в Хубушкии гидронима (р.Кентрит), топонима (г.Армаз) и омонима (имя царя Какиа), имеющих близкие параллели в Грузии (ср. р.Киптриши, город Армазцихе, имя собств. Какиа).

После того как в XII веке до н.э. племена мушков, признанные одними из родственных предков грузин, поселились на территории Алзи (т.е. Шубрии), она в ассирийских источниках стала называться «Страной Мушков».

Потомки Мушков долгое время сохраняли свой язык. По сведениям сирийских авторов VIв. н.э. (Иешу Стилит, Иоанн Эфесский), на территории западнее Ванского озера (Алзи-Шубрия) проживал народ «Орта», «Урта» (т.е. мушки-урартийцы. В.Г.) говоривший на языке, отличном как от сирийского, так и армянского. Их потомки, в Сасунских горах, вплоть до XIIIв. сохраняли свой язык и армянам, для общения с ними, нужен был переводчик (Фома Арцруни, XIII в.). О грузиноязычности этого края могут свидетельствовать и топонимы (напр. город и гора «Белкания» и др.).

Древневосточные источники XIIв. до н.э. упоминают мушков как сильное и многочисленное племя. Те же мушки вместе с тобалами известны и Библии, согласно которой («Книга Бытия»,

4,22) Тобал был «ковачем всех орудий из меди и железа». Та же «Книга Бытия» (10,2) среди сыновей Яфета называет Тобела и Мосоха. С другой стороны, по утверждению древнееврейского историка Иосифа Флавия (Iв. н.э.), а также исходящей от него исторической традиции, поскольку библейские Тобали (Тобели) затем называются иберами, а мосохи (месхи) каппадокийцами, станет понятным, почему грузинская историческая традиция считает Северную Месопотамию принадлежностью грузин.

Для проживающего в Северной Месопотамии грузиноязычного населения территория исторической Грузии была северной страной – «Иберией» (в семитских языках «Эбер», «Ибер» означает перешедшего на другой берег реки), поэтому в литературных памятниках, созданных под влиянием сирийского (ассирийского) культурного мира, Грузия называется «северной страной». Для грузиноязычных племен (кардухи, мушки и др.), живших в Северной Месопотамии, территория исторической Грузии действительно была северной страной. Не исключено и переселение определенной части грузиноязычного населения с юга на север.

В III веке до н.э. при Парнавазе, основателе нового картлийского царства, государства, «устроенного наподобие царства Персидского» начался общий подъем грузинской культуры. Тогда же была создана грузинская письменность. А упоминание «древних и новых книг» при царе Мириане (скончался в 334г. н.э.) свидетельствует о высоком уровне культуры ранехристианской Грузии; культура, истоки которой берут начало, с одной стороны, в недрах древнегрузинских государственных образований Диаохи и Кулха (XII в. до н.э.), а с другой - культуре, переселившихся в Грузию вскоре после 676 года мушков-месхов, имевших древние традиции государственности.

Древнегрузинские и иноязычные исторические источники определенно указывают на культурно-идеологические связи Древней Грузии с ассирийским миром, в частности, с главным культурным и религиозным центром Сев. Месопотамии – городом Эдеса. Из городов Северной Месопотамии именно г.Эдеса вызывал особый интерес грузин.

Заинтересованность грузин Северной Месопотамией определяло и то, что в г.Эдеса была известная во всем христианском мире высшая школа-академия, где ученики получали знания как по духовным, так и по светским дисциплинам. В Эдесу

приезжали на учебу из соседних стран, в том числе и из Грузии. Школы и, в целом система образования и воспитания в ранехристианской Грузии, были устроены по образцу «Нисибисской школы» - образовательной системы Северной Месопотамии (г.Нисибис был центром страны кардухов).

В IV-VI веках в г. Эдесе существовала грузинская колония, которую пополняли наряду с выходцами из Грузии, также и представители родственных грузинам вышеупомянутых племен, издавна населявших Северную Месопотамию и Каппадокию. Существование грузинской колонии в Эдесе подтверждается сведением латинского перевода «Эдеской хроники», в котором говорится о прекращении подачи воды в «баню иберийцев» в течение трех дней из-за землетрясения в сентябре 499 года.

Только существованием грузинской колонии в Эдесе можно объяснить рассказ Джуаншера (Vв.), согласно которому царица Картли, мать Вахтанга Горгасала Сагдухт с дочерью Хварандзе провели в Эдесе 8 лет (460-468г.г.), в ожидании царя, восставшего против гуннов вместе с шахом Ирана. Сведения житии Семена Столпника и его матери, Марфы, согласно которым к Семену «было массовое хождение грузин», многие из которых оставались в его монастыре для монашеской деятельности, также подтверждают существование в Эдесе, грузинской колонии. Из жития Семена видно, что в его монастыре грузины играли большую роль. Ассирийские отцы, прибывшие в Грузию в 30-ых годах VI века, были представителями грузинской колонии в Эдесе. Они, по-видимому, были как-то связаны с семьей Марфы и Семена Столпника.

Ко времени получения автокефалии грузинской церковью (487/488 г.г.) у грузин уже была как переводная, так и оригинальная христианская литература, что ставило картлийское царство в один ряд с передовыми христианскими государствами. К V веку грузинская литература имела многовековую традицию.

Издвеле существовавшие экономические и культурные связи грузинского мира с культурными центрами Северной Месопотамии с IV в. н.э. получили новое содержание. Члены грузинской колонии г.Эдесы, помимо прочих занятий, занимались также переводческой деятельностью (одним из таких переводчиков – грузином должен был быть Иеремия Урхайский, считающийся переводчиком «Дидахе»). По-видимому именно г.Эдеса наряду со Мухетой был мощным переводческим центром. Подтверждением того, что

христианская литература на грузинский язык переводилась с ассирийского (сирийского), является внедрение в грузинскую лексику сирийского термина «таргмани» (перевод). Думается, что неупоминание имен первых переводчиков библейских книг на грузинский язык, наряду с христианской скромностью, определяло и то, что исполнителями этого дела были не один или два человека, а целая комиссия (К.Данелия).

Подтверждением того, что в V веке в Грузии все еще были живы древневосточные культурные традиции, является упоминание в сочинении Джуаншера «Жизнь Вахтанга Горгасала», городов Сев. Месопотамии (Нисибис, Эдеса) под эллинистическим названием – Антиохией. Грузинская образованность и культура того времени в значительной степени все еще питались этими древними традициями. Утере этих традиций способствовала переориентировка Грузии на запад, к Византии, в результате которой произошла «переоценка религиозно-культурного прошлого», стерлись «всякого рода следы восточной идеологии и была подготовлена почва для победы ортодоксального византизма» (К.С.Кекелидзе).

Первоначальным местом деятельности ассирийских отцов был Северо-Месопотамский город Эдеса (Антиохия, Урфа). Ассирийские отцы, за исключением Антона, возглавляемые Иоаном Зедазенским, прибыли в Картли около 534 года, в царствование Фарсмана (около 525-535г.г.). Спустя некоторое время после их прибытия Католикос Эвлавий назначил одного из ассирийских отцов Иесе епископом в Цилкани, а другого, Абибоса – в Некреси. Абибоса казнили в промежутке между 537-555 г.г. по приказу иранского марзпана.

Антон, ученик и сподвижник Иоана, видимо прибыл в Грузию несколько позднее, ибо он был очевидцем осады иранцами г.Эдесы в 544 году. Очевидно прав К.Кекелидзе, который считает, что Антон оставил город Эдесу и направился в Грузию после снятия этой осады.

Нерукотворная икона Спасителя, принесенная в Картли отцом Антоном из Эдесы, стала одной из святынь грузинской церкви. Ассирийские отцы, которые по происхождению должны были быть в основном, грузинами из Сев. Месопотамии, были диофизитами и их целью было укрепление в Картли диофизитства, пошатнувшегося из-за господства иранцев. Поэтому грузинская церковь причислила ассирийских отцов к лику святых.



## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აბდლაძე ა., "ქართლის ცხოვრება" და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ. 1982.
2. ალექსიძე ზ., ლიოფიზიტობა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3. თბ., 1978.
3. ალექსიძე ზ., ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, ძიებანი საქართველოს და კავკ. ისტორიიდან, თბ., 1975.
4. ალექსიძე ზ., კავკასია და ქრისტიანული აღმოსავლეთი IV და VI მსოფლიო კრებებს შორის, თბ., უნ-ტის შრომები, 241, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1983.
5. ალექსიძე ზ., "მოქცევაი ქართლისაის" სტრუქტურისათვის. სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილი I სამეცნ. კონფერენცია, თბ., 1995.
6. ალექსიძე ზ., რელიგიური სიტუაციის შესახებ VI ს. კავკასიაში, "მაცნე" ისტ. სერია, 1974 № 1.
7. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.
8. ანტინესტორიანული ტრაქტატი არსენი ვაჩეს ძის "დიდაქტიკონში", გამოსცა ა. ჩანტლაძემ, თბ., 1997.
9. არმაზული დამწერლობა, ქართ. ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975.
10. ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები. გამოსცა ს. კაკაბაძემ, ტფ., 1928.
11. ასურელი მამები, ქართული მწერლობა, I, თბ., 1984.
12. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955.
13. აფაქიძე ა., ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
14. ბარამიძე რ., ფარნავაზმან ძლიერპყო ქუეყანა თვისი., თბ., 1992.
15. ბარამიძე რ., "ცხოვრება ფარნავაზისი", "მნათობი", 1985 № 11.
16. ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს., ჯავახიშვილი ი., საქართველოს ისტორია, თბ., 1946.
17. ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
- 17<sup>1</sup>. გაბაშვილი ტ., მიმოსვლა, გამოსცა ემეტრეველმა, თბ., 1956.
18. გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა., თბ., 1990.
19. გვარამაძე ი., ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, ტფ. 1882.
20. გიორგაძე გრ., ათასი ლეთაების ქვეყანა, თბ., 1988.
21. გიორგაძე გრ., "მუშქაია", "მუშქი" და "დაიანი" დაიანი" ასურულ ლურსმულ ტექსტებში. მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000.
22. გიორგაძე გრ., მცირე აზია უძველესი დროიდან ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულამდე. ხეთების სამეფო. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988.

23. გორგაძე გრ., ხეთურ-არმაზული “ტრიადები”, “მნათობი”, 1985 № 7.
24. გორგაძე გრ., ხური-მითანის სამეფო. ძველი აღმ. ხალხთა ისტორია, თბ., 1988.
- 24ა. გორგაძე გრ., უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმოშობა, თბ., 2002.
25. გორგი მცირე, ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გორგი მთაწმიდელისაი, ჩენი საუნჯე, I, თბ., 1960.
26. გოზალიშვილი გ., მთრიდატე პონტოელი. თბ., 1962.
27. გოზალიშვილი გ., ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბ., 1965.
28. გოილაძე ვ., აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბ., 1997.
29. გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში, “მაცნე” ისტორიის... სერია, 1982 № 4.
30. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991.
31. გოილაძე ვ., VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, “მაცნე”, ისტორიის სერია, 1979 № 1.
32. გოილაძე ვ., IV ს. 60-იანი წლების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1990.
33. გოილაძე ვ., მიქაელი იყო “მღვდელი ჭეშმარიტი”..., “მნათობი”, 1987 № 4.
34. გოილაძე ვ., საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში, “მნათობი”, 1992 № 5-6.
35. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990.
36. გოილაძე ვ., ქალაქი ანტიოქია “ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში”, “ღროშა” 1986 № 1.
37. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991.
38. გოილაძე ვ., ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, “მნათობი”, 1984 № 11.
39. გორგაძე ს., წერილები საქართველოს ისტორიიდან. “მოამბე”, 1905 № IX (სექტემბერი). № X (ოქტომბერი), ტფ., 1905.
40. გორგაძე ს., წერილები საქ-ოს ისტორიიდან (ნაწ. II), ძველი საქართველო, ტ. I, ტფ. 1909.
41. გორდუზიანი რ., წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.
42. დანელია კ., იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, უნ-ტის ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964.
43. დანელია კ., პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციები, “მაცნე”, ენის... სერია, 1976, № 3.

44. დანელია კ., რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან, თბ. უნ-ტის შრომები (არქეოლ., კლასიკ. ფილოლოგია, ბიზანტიზმისტიკა), თბ., 1978.
45. ღაბიანი... ისე წილკნელისაი... ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, წ. V, გამოსცეს ე-გაბიძაშვილმა და მ.ჭავჭავაძემ, თბ., 1989.
46. ევსევი კესარიელი, გეორგიკა, ტ. I. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქ. შესახებ. თბ., 1961.
47. ევსტათი ანტიოქიელი, გეორგიკა, ტ. I, თბ. 1961.
48. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა თ.ციციტიშვილმა, თბ., 1976.
49. ეპისტოლეთა წიგნი. გამოსცა ზ.ალექსიძემ, თბ., 1963.
50. თარხნიშვილი მ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოშობა და განვითარება, "მნათობი", 1989 № 11.
51. თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველო, სპბ., 1848.
52. თეოდორიტი კვირელი, გეორგიკა, ტ. I თბ., 1961.
53. თოფურია გ., სამცხის ტოპონიმიკიდან, მაცნე ენის... სერია, 1968 № 6.
54. თოფურია კ., შუმერულ-ძველმცირეაზიური რელიგიური კულტები სამეგრელოში- ხეთური ღვთაება "ანთარი" და მეგრული "ჟინი ანთარი", ჟურნალი "აია". 1998 № 1.
54. ინაძე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
55. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
56. იოსებ ფლავიოსი, თობალები, მესხები, გეორგიკა. ტ. I, თბ., 1961.
57. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, ტ. II, გამოსცა ს.ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959.
58. კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, 1924.
59. კარბელაშვილი პ., ქართული საერო და სასულიერო კილოები, ტფ., 1898.
60. კეკელიძე კ., იერემია იბერიელი, ეტიუდები ძველი ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956.
61. კეკელიძე კ., მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, ეტიუდები, ტ. VI, თბ., 1960.
62. კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები...ტ. I. თბ., 1956.
63. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ., 1960.
64. კერამი, ხეთების საიდუმლოება, თბ., 1960.
65. კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, თბ., 1952.
66. კოხრეიძე ა., რამ გამოიწვია ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის კონფლიქტი, ისტორია... სკოლაში, 1980 № 1.
67. კუფტინი ბ., ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ., 1949.
68. ლეონ გრამატიკოსი, გეორგიკა, ტ. V, თბ., 1963.

69. ლონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, “ქართლის ცხოვრება”, ტ. I. თბ., 1955.
70. ლიჩელი ვ. ანდრია მოციქული სამცხეში – არქეოლოგიური რეალობა. მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000.
71. ლომთათიძე გ., პაპუაშვილი თ., ქართული კულტურა IV-V საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბ., 1973.
72. ლომსაძე შ., მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984.
73. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
74. ლორთქიფანიძე მ., ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
75. ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
76. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იან წწ. დასაწყისამდე, საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979.
77. ლორთქიფანიძე ო., ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIX, № 3, თბ., 1975.
78. ლორთქიფანიძე ო., ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972.
79. ლორთქიფანიძე გ., ჩიქოვანი ნ., ქართული კულტურის ისტორია, თბ., 1997.
80. მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998.
- 80\*. მამულია გ., ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა. “მნათობი”, 1971. № 2.
81. მამულია გ., კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.
82. მამულია გ., ქართული ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბ., 1992.
83. მგალობლიშვილი თ., ქრისტიანული ქართლი IV-V სს-ში, “მაცნე”, ენის...სერია, 1988 № 1.
84. მელიქიშვილი გ., იბერია. ქართ. საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5. თბ., 1980.
85. მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
86. მელიქიშვილი გ., საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955.
87. მელიქიშვილი გ., ურარტუ, თბ., 1951.
88. მელიქიშვილი გ., ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში, “მაცნე”, ისტორიის... სერია, № 3, 1967.
89. მელიქიშვილი გ., ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბ., 1953.
90. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. ისტ. ინ-ტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958.

91. მელიქიშვილი გ., ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი, საქ. მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1962 № 2.
92. მელიქიშვილი ლ., ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ენაობა, ტფ. 1923.
93. მელიქიშვილი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1914.
94. მერკვილაძე დ., ასურულ მამათა ქართლში მოსვლის დრო, თბ., 1996.
- 94ა. მეტრეველი რ., ზოგიერთი ქართული ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებ, მცირე გულანი, თბ., 1979.
95. მიქაძე გ., არსენ ბულმაისიძის ძე, ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975.
96. მიქელაძე თ., მესხთა საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.
97. მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
98. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა ააბლაძაძემ, თბ., 1984.
99. მოქალაქეობა და წამება აბბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაი, ძველი ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, წ. I (V-X სს.) თბ., 1964.
100. მოქცევაი ქართლისაი, შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
101. მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წ. I (V-X სს.), ააბულაძის რედაქციით, თბ., 1963.
102. მუსხელიშვილი დ., ზოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.
103. მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დონანაშვილმა, თბ., 1981.
- 103ა. ნორაკიძე ნ., ზანიზმები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში, „მნათობი“, 1971, № 4.
104. ნუცუბიძე შ., პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, შრომები, V, თბ., 1975.
105. ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956.
106. პატარიძე რ., ქართული ასომთავრული თბ., 1980.
107. პატარიძე რ., ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989.
- 107<sup>ა</sup>. პეტრე იბერიელი, ქართული მწერლობა, I, თბ., 1984.
108. პლუტარქე, ლუკულუსი, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები I, ა. ურუშაძის თარგმანი, თბ., 1957.
109. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, თბ., 1965.
110. ჟორდანიას გ., მეზურელნი, თბ., 1956.
111. ჟორდანიას თ., ქრონიკები, I, ტფ., 1892.
112. სანიკიძე ლ., ტაციტუსი ქართული “უმაღლესი განათლების” შესახებ, ძველი ენისა სწორია, თბ., 1987.

113. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის შესავალი, თბ., 1984.
114. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970. ტ. II, თბ., 1973, ტ. III, თბ., 1979.
115. სვანიძე აღ., ხეთებისა და მათი ქართველ ტომებთან ნათესაობისათვის, "მნათობი", 1937 № 4.
116. სონღულაშვილი მ., ბიბლიური მოთხრობები, თბ., 1993.
117. ტაბალაძე ი., ფარნავაზ მეფემ "გააუმჯობესა დამწერლობა", "მნათობი", 1987 № 9.
118. ტაქსილი ლ., სახალისო ბიბლია, თბ., 1973.
119. ურუშაძე აკ. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
120. ქეთარაძე გ., ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985.
121. ქეთარია გ., აზონი, თბ., 2000.
122. ქეთარია გ., ფარნავაზი, თბ., 1999.
- 122<sup>ა</sup>. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. კ.კეკელიძის რედაქტორობით, კიშენი I, ტფ. 1918.
123. ქურდიანი მ., საერთო-ქართველური ენონიმის თეოსახელწოდებისათვის ("მესხი", "მესხები"). მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა. ახალციხე, 2000.
- 123<sup>ა</sup>. ქურდიანი მ., ხუბუშქია, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, თბ., 2001.
124. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1983.
125. ყორანაშვილი გ., საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, თბ., 2000.
126. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972.
- 126<sup>ა</sup>. შენგელაია ი., წმიდა სუდარა. ჯვარი ვაზისა, 1985 № 1.
127. ჩიტაია გ., აკად. ს.ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, მიმოხილველი, I, თბ., 1949.
128. ჩუბინოვი დ., ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის მკვიდრთა მოსახლეთა, გაზ. "ივერია", 1877, № 14, 15, 16, 17.
129. ჩხარტიშვილი მ., "წიგნი პირველი", "მნათობი", 1988 № 5.
130. ცქიტიშვილი გ., ზოველეორა, ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, ტ. 11. თბ., 1987.
131. ცხოვრებაი და განგებაი წმიდისა... ეფრემისაი, მამათა ცხოვრებანი, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.
132. ცხოვრებაი და განგებაი წმიდისა იაკობისი..., შატბერდის კრებული, თბ., 1979.
133. ცხოვრებაი და მოქალაქეობაი... იოვანე ოქროპირისა..., ძველი მეტაფრასული კრებული, გამოსცა ნ. გოგუაძემ, თბ., 1986.
134. ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურელი რედაქციის ქართული თარგმანი გამოსცა ი. ლოლაშვილმა, თბ., 1988.

135. ცხოვრებაი სვიმონ მესვეტისაი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კაკაპელიძის რედაქციით, კიმენი I, ტფ., 1918.
136. ცხოვრებაი ღირსისა ილარიონ ქართველისაი, საქართველოს სასულიერო მახარებელი, 1866.
137. ცხოვრებაი შიოსი და ევაგრესი, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955.
138. ცხოვრებაი და მოქალაქეობაი... პეტრე ქართველისაი, ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები წ. II (XI-XV სს.) თბ., 1967.
139. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. IV, თბ., 1968.
140. წერეთელი გ., არამეული დამწერლობა, ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975.
141. წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა. ენიშკის მოამბე, XIII, თბ., 1942.
142. წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
143. წერეთელი კ., სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, თბ., 2000.
144. წერეთელი კ., ქართული ეთნიკური ტერმინის "მესხ"-ის ისტორიისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 2, თბ., 1954.
145. ჭელიძე ე., ქართლის ცხოვრების ქრონიკები, ტ. I, თბ., 1973.
- 145<sup>1</sup>. ჭილაშვილი ლ., წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან. "ქართველოლოგია", 2000, № 7.
146. ჭურულუღია ო., "ხე" ნაწილაკის ვარიანტები ქართველურ ენებში, "მაცნე", ენის... სერია, 1983 № 4.
147. ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978.
148. ხაზარაძე ნ., ბიბლია და მესხების ძველი ისტორია. მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000.
149. ხაზარაძე ნ., გიორგაძე გრ., მუშქები. ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984.
150. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984.
151. ხიდაშელი მ., ელამი. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988.
152. ხინთიბიძე ე., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982.
153. ჯავახიშვილი ივ., ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, "მოამბე", 1900, № 5.6.
154. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

155. ჯავახიშვილი ივ., ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
156. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, ტფ., 1928.
157. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951.
158. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თხზ. ტ. I, თბ., 1979.
- 158<sup>1</sup>. ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.
159. ჯავახიშვილი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
160. ჯავახიშვილი ივ., ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956.
161. ჯანაშია ლ.-ნ., აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV-V საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
162. ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ., 1959.
163. ჯანაშია ს., კავკასიელი ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა, შრომები, ტ. II, თბ., 1952.
164. ჯანაშია ს., უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე, შრომები, II, თბ., 1952.
165. ჯანაშია ს., ცხოვრებაი საბა ასურისა, "არილი", თბ., 1925.
166. ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, თბ., 1996., ტ. 3, თბ., 1999.
167. ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი), ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბ., 1994.
168. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, "ქართლის ცხოვრება", I, თბ., 1955.
169. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XI, СПб., 1918.
- 169 а. Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами в 614 г. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IX, СПб., 1909.
170. Бикерман Э, Государство Селевкидов, М., 1985.
171. Виппер Р., Возникновение христианской литературы. М.-Л., 1946.
172. Геродот. История. Перевод Г.А. Стратановского, Л., 1972.
173. Гидулянов П.В., Восточные патриархи в период четырех первых вселенских соборов, Ярославль, 1908.
174. Гидулянов П.В., Митрополиты в первые три века христианства, М., 1905.
175. Грозный Б., Протондидийские письма и их расшифровка, ВДИ, 1940 N 2.
- 175<sup>2</sup> Грозный Б., Хетские народы и языки. ВДИ, 1938 N 2(3).
176. Давид Сасунский. Армянский народный эпос, Ереван, 1959.



- 176 \*Даидамаев М.А. Вавилонские писцы, М., 1983.
177. Джавахов И.А., Государственный строй древней Грузии и древней Армении. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн., УИИ, т. I, СПб., 1905.
- 177 \*Дьяконов И.М., Предистория армянского народа, Ереван 1968.
- 177 \*Дьяконов И.М., Языки древней передней Азии, М., 1967.
178. Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910.
- 178 \*. Житие святого отца нашего Евфимия Великого. Палестинский патерик, вып.2, СПб., 1893.
179. Жузе П., Грузия в 17 столетии по изображению Патриарха Макария, Казань, 1905.
180. Исромонах Федор Олтаржевский, Палестинское монашество с У до УI века. Прав.палест. сборник, в.44, т.ХУ, вып. II, СПб. 1896.
181. Иоселиани Пл., Описание Марткопского монастыря. Тф., 1847.
182. Иоселиани Пл., Различные наименования грузинов. Журнал министерства народного просвещения, 1844 N 1.
183. История древнего мира, т. II, М., 1982.
184. История епископа Себеоса. Перевод с армянского, Ереван 1939.
- 184 \*Капанцяи Гр., Историко-лингвистическое значение топонимики древней Армении. Ереван, 1940.
185. Капанцяи Гр., К установлению хурритского термина..., ВДИ, 1951. N 1.
- 185 \*Капанцяи Гр., О взаимоотношении армянского и лазо-мегрельского языков, Ереван, 1952.
- 185 \*Капанцяи Гр., Хайаса-колыбель армян. Ереван, 1948.
186. Капанцяи Гр., Хетские боги у армян..., Ереван, 1940.
187. Кекелидзе К.С., Историко-агиографические отрывки (Житие Данила Столпника), ეტიუღები..., УII, თბ., 1961.
188. Кекелидзе К.С., Житие и подвиги Иоана Католикоса Урхайского, ეტიუღები, УII, თბ., 1961.
189. Косидовский З., Когда солнце было богом, М., 1968.
190. Ксенофонт. Анабасис. Перевод, статья и примечания М.И., Максимовой. М., 1951.
191. Кулаковский Ю., История Византии, т. I, (395-518), Киев, 1910.
192. Курбатов Г.А., История Византии, М., 1984.
193. Курбатов Г.А., Ранневизантийский город (Антиохия в УV веке) Л., 1962.
194. Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1944 XII-ვ.
195. Латышев В.В. Известия древних писателей... ВДИ, 1947 N 1.

196. Леман Хаупт К.Ф., Вступительная лекция по истории и культуре халдов, თბ., უბ-ტის შრომები, სპ. მეცნიერება, VII, 1938.
197. Марр Н.Я., Из поездки в Турецкий Лазистан. Известия Императорской Академии наук, 1910.
198. Меликсет-Бек Л., Вопросы этнографии Грузии в древнеармянских источниках. Вопросы этнографии Кавказа, Тб. 1952.
199. Михаил Брек, Список антиохийских патриархов. Труды Киевской духовной Академии, 1874. Июнь.
200. Моммзен Т., История Рима, V, перевод с немецкого, М., 1949.
201. Муравьев С.Н., Заметки по исторической географии Закавказья. Плиний о населении Кавказа, ВДИ, 1988, № 1.
202. Окрочедлов И.А., Об изобретении грузинского алфавита, Труды V-го археол. съезда в Тифлисе, М., 1887.
203. Орманиан м., Армянская церковь, М., 1913.
204. Пигулевская Н.В., Византия и Иран на рубеже VI-и VII вв. М.-Л., 1946.
205. Пигулевская Н.В., К истории социальных и экономических отношений в Месопотамии VI в., ВДИ, 1938 № 3 (4).
206. Пигулевская Н.В., Культура сирийцев в средние века, М., 1979.
207. Пигулевская Н.В., Месопотамия на рубеже V-VI вв. н.э., (Сирийская хроника Иешу стилита), М.-Л., 1940.
208. Прокопий Кесарийский, История войн римлян с персами, Перевод с греческого Сп. Дестуниса, кн. I, СПб., 1876.
209. Прокопий Кесарийский, История войн римлян с персами, кн. II. Перевод с греческого Сп. Дестуниса, СПб., 1880.
210. Раит В., Краткий очерк истории сирийской литературы, М., 1902.
211. Ранович А., Восточные провинции Римской империи в I-III вв. М.-Л., 1949.
212. Ранович А., б., Эллинизм и его историческая роль, М.-Л., 1950.
213. Рудаков А., П., Очерки византийской культуры по данным греческой агиографии, М., 1917.
- 213<sup>a</sup>. Саркисян Д.Н., Страна Шубрия, Ереван, 1989.
214. Страбон, География. Перевод Г.А. Стратановского, М., 1964.
215. Таины веков. М., 1977.
216. Такаишвили Е., Описание рукописей., т. I, вып. 1-4, Тифл. 1902/4.
217. Фарраф Ф.В., Жизнь и труды Святых отцов и учителей церкви, I, Петроград, 1902.
218. Фарраф Ф.В., Жизнь и труды святых отцов и учителей церкви, II, Петроград, 1903.
219. Хаханов А.С., Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии. Записки Кавк. отд. Имп. Русск. Геогр. Общества, кн. XXII, вып. 6, Тифлис, 1903.
220. Хонигман Э., Петр. Ивер и сочинения пс.-Днионисия Ареопагита, უბ-ტის შრომები, 59, თბ., 1955.

- 220 \*. Хроника Захарии Ритора. Н.Пигулевская, Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941.
221. Хроника Иешу Стилита. Н.В. Пигулевская, Месопотамия на рубеже V-VI вв., М.-Л., 1940.
222. Церетели Г.В., Армазская билингва, Тб., 1941.
223. Церковная история Ермия Созомена..., СПб., 1851.
224. Чубинашвили Г., болниси, Тб., 1940.
225. Шанидзе А.Г., К этимологии названия «Топата», շեմքոն թուսնոյ, I, ԹԳ., 1937.
226. Едеская Хроника. Палестинской сборник, выпуск 4 (67), М.-Л., 1959.
227. Brosset M., Histoire de la Geogie, V.I, SPB., 1849.
228. Grumel V., La chronologie, Paris, 1958.
229. Harnak A. Von, Die Mission und Ausbreitung des christentums in den ersten drei jahrhunderten, Leipzig, 1924.
230. Hubschmann H., Armenische Grammatik, 1897.

შესავალი .....	3
თავი I . ჩრდილოეთი შუამდინარეთი ქრისტიანთა წმინდა ადგილი. ბიბლიური სამოთხის ცენტრი .....	5
თავი II. ჩრდილოეთი შუამდინარეთი ქართულ და სომხურ საისტორიო ტრადიციაში	
§ 1.ჩრდილოეთი შუამდინარეთი და ქართული საისტორიო ტრადიცია .....	9
§ 2. ჩრდილოეთი შუამდინარეთი და სომხური საისტორიო ტრადიცია .....	12
თავი III. ქართველები და ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლება ძველადმოსავლურ ხანაში	
§ 1.საკითხის მოკლე მიმოხილვა .....	16
§ 2.მუშქ-კაპადოკიელები. მცირე აზიის ქართველური სამყარო .....	20
§ 3.ჩრდილოეთი შუამდინარეთის ქართველური სამყარო .....	26
§ 4.მოსაზრებანი ჩრდილოეთ შუამდინარეთში მცხოვრები ქარდუხების საქართველოში მიგრაციის შესახებ .....	39
§ 5.ქარდუხები და მათი ქვეყანა .....	44
§ 6.მუშქ-თაბალთა და ქარდუხთა შთამომავლები V და XIII სს. საქართველო .....	48
§ 7. ძველი ავტორები სამხრეთიდან ჩრდილოეთში ქართველთა გადმოსახლების შესახებ. გადმოსახლების კვალი არქეოლოგიურ მასალაში .....	51
§ 8.სამხრეთის იბერნი .....	58
§ 9.საქართველო – ჩრდილოეთის მხარე – იბერია .....	64
თავი IV ჩრდილოეთი შუამდინარეთის კულტურული ცენტრები და საქართველო .....	78
თავი V. ქართული კულტურის ძველადმოსავლური ფესვები	
§ 1. წინაეღინისტურ ხანაში ქართველთა მიერ ფინიკიური ანბანის შეთვისების საკითხი .....	85
§ 2. ფარნავაზის პიროვნება. მის მიერ “ქართული მწიგნობრობის” შექმნა .....	91
§ 3. ადრექრისტიანული ქართული კულტურის ფესვები .....	95
თავი VI. რელიგიური ვითარება V-VI სს. საქართველოსა და ჩრდ. შუამდინარეთში .....	110
თავი VII. ქალაქი ედესა. 502-505\6 წწ. ბიზანტია-ირანის ომი – ფარსმან კოლხი .....	118

თავი VIII. ქართველთა კოლონია IV - VI სს. ედესაში. კოლონიის მასაზრდობეელი ქართველური სამყარო .....	125
თავი IX. ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი. მათი ქართლში მოსვლის დრო. ....	139
თავი X. პეტრე იბერი – “ურჰაელი” .....	158
თავი X. ედესიდან მამა ანტონის წამოსვლა. ედესის ქართული კოლონიის დასასრული .....	164
დასკვნები .....	172
Родина ассирийских отцов и Грузия (Резюме) .....	181
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა .....	185